

1983/2

ISSN 0182-600/X

საქართველოს
ზოგადი განათლების
მინისტრო

გნებობა



4

1983



ენათმეცნიერება

საქართველოს
მეცნიერებათა
აкадеმიის
გამომცემლობა

საქართველოს რესპუბლიკის აკადემიის გამომცემლობის
და საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის
შეჯამება

წიგნი № 59-0

№ 4

თბილისი, 1983 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა, პოეზია

მტია იოსელიანი — ავტობიოგრაფიული ნოველები	3
ბაჩიშვილი ვანუშაია — ლექსები	16
ზურაბ ლორთქიფანიძე — ლექსები	20
ლადო სულაბერიძე — ზღაპრები მისიველი გზები. რომანი. გაგრძელება	22
მიხეილ დუდინი — ლექსები. თარგმანი თედო ბექაშვილი	71
ნაირა გელაშვილი — ზაფხულის ბიტი ამბავი ანუ რომელია ბაბრაცხა მთვარე. ზღაპარი	74
ზორბეგ ჯაფარიანი — ლექსები	85
ლარი ალიბეგოვი — ჟამთაყვესილება. ლექსი	87
რევაზ მინაშაძე — ორი ნოველი	90

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

გრიგოლ ბაბაშვილი — ლიტერატურული კრიტიკის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა	96
გიორგი ნატროშვილი — კომუნის გზა	101
ზურაბ მამარაშვილი — შუაღმის სიგელი	110
ილირაზა ჯაფარიანი — ნუ განიხილავთ...	124

პუბლიკაციები

ნიკოლოზ ჯანაშია — ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას მიმოხილვები	144
---	-----

მეცნიერება

პაპა კვიციანი — საკატოვილის ისტორიის ეპიკური წარმოება	158
---	-----

ნიგნების მიმოხილვა

ზურაბ კილაძე — ესთეტიკური კანონების მიმოხილვა	165
ბ. გოციანიძე — ზიგნი ადრიატიკისა და კალტურის შესახებ	169
ნათელა არაქიანი — საუბრალოდები ნაწარმი	171

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური

სარედაქციო კოლეგია:

პრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამავუბელი (მთ. რედაქტორის მოადგილე),
მ. ბარძენიშვილი, ალ. გომიზიშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე,
მ. ლასურია, მ. ლეზანიძე, ე. მალრაძე, ლ. მრულაშვილი, გ. ნატრო-
შვილი, რ. პატარიაძე, ო. კაპორია, (პ/მზ. მდივანი), ნ. წულეისკირი,
ო. ზილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯავახიანი, გ. ჯიბლაძე, ჯ. ჩარკვიანი.



ოტია იოსელიანი

ავტობიოგრაფიული ნოველები

ფსახურთი

17431

მოგეხსენებათ, გაკირვებული ბავშვიც ისეთივე ბავშვია, როგორც დაღინებული. წლები ერთსაც ემატება და მეორესაც... შეჭირვებულს მეტად, რა თქმა უნდა, და მოღუნენილს ნაკლებად, (ზოგიერთი მთელი ცხოვრება ბავშვად რჩება). ასე თუ ისე, ავადაა თუ კარგად, დრო-ჟამი ისეთი უღმობელი რამაა, სულ წინ, უკან მოუხედავად გარბის და გარბის.

ომის დამთავრებას საშველი არ ადგება, მაგრამ რომ ელირსოს და ოდესმე მაინც დასრულდეს, ბავშვობას ვილა დაგებრუნებს. ვინ გეტყვის: მაშინ, იმ უბედურების ხანს, ხელი შეგეშალა, ახლა წვერულღვაშიანმა დაიჭირე რიგტაფელა და ითამაშე, ჯორი და მოჭორობიე გაახურე, ან ტყავის ნამდილო ბურთს სდიეო.

„როგორც გიჭირდეს, ისე გიღბინდესო“, — რალაცა უნდა გაახერხოთორემ პეშეში მოჭყეული წყალივით გაგიძვრება ერთადერთი, განუშეორებელი, ბალიშა კანფეტივით ტბილი ბავშვობა. წავა და წავა, დაეარგავ და მერე, ქვეყანამ შენთვის რომ მოიცალოს, ცხოვრებამ ხელისგულზე რომ დაგისვას და სამყარო მხოლოდ შენს გულგასახარად მოეწყოს, რად გინდა, მთავარი არ გაგაჩნია — ბავშვობა არა გაქვს. თუ საფუძველი, საყრდენი გა-

მოცილილი გაქვს, ვერანაირ ცხოვრებას ვერ ააშენებ, წასულია შენი საქმე...

ბავშვობა, სანამ ბავშვი ხარ, მაშინ უნდა ნახო და მერე, მთელი სიცოცხლე, იმით უნდა იცხოვრო. როცა უშოვარია, შოკოლადის მაგიერ, ბალიშა კანფეტს შექამ, კანფეტის მაგიერ — ალუჩას, ან ტყის ზღმარტლს, მაგრამ ბურთის მაგიერ საზამთროს და ნესეს ვერ ითამაშებ და უბურთო ბავშვობა, მით უმეტეს ბიჭისთვის, ბავშვობა არაა.

კი, მთლად უსაშველო თუა გაჩენილი, გაზაფხულზე, საქონელი რომ ბალანს იცვლის და მაინც ცვივა, გააცლი მუჭა-მუჭა, გულში ქვის კენჭს ჩაუტნე, აგორგოლავებ პეშეში, ასველებ და თელავ. როგორმე მუჭის სიმსხო, ასე ბატის კვერცხის ტოლა, ბალნის გუნდას ვითომ ბურთად გამოაგორგოლებ, მაგრამ ამას ადგილზე ასაკენკად, ან იქვე გააგორ-გამოაგორებ, თორემ ფეხბურთის მოედანზე, ერთი კარიდან მეორემდე, ისიც ბალახებში, ფეხშიშველა ვინ წაიღებს, ან რავა წაგყვება. ამით ვის „მოატყუებ“ და ვინ „მოგატყუებს“. ნაწვიმარზე რომ უცაბედად ფეხი დაადგა, მიწაში ჩაიშარხება.

ნამძველა წინდის ყელში შეიძლება ბამბა და ძონძები ჩატენო, ბოლოებში თასმა, ან ბაწრის ნაგლეჯი წაუჭირო, კინკის ბურთი გამოიხელებითლო.

პ. შარქის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკა

ამოკრავ ფეხს და ააგდებ, მაგრამ სადამდე ააგდებ, სინამდვილეში ხომ ჩეარია. ჩამოვარდება და მიწაზე ახტება, დახტება, თუ რა? ან, კარში მაგრადა დაარტყამ, ნაძველა წინდის ყელი არ გასკდება და არ გამოცვივა ბურთს „წელეები“.

მიდის, ეს განუმეორებელი, სულზე უტკბესი ბავშვობა ისე, რომ ნამდვილ ბურთს ვერ ველირსეთ. საიდან ელირსები, ციდან არ ვარდება და იმ ახლო-მახლო, რეზინის მუჭის ტოლა ბურთები, ომამდე თუ უნახავს ვინმეს, თორემ ტყავის „კამერა-აბალოჩკა“ — არც მანამდე.

დეიდაჩემი ცხოვრობს ქუთაისში, რკინიგზის ძველ სადგურთან. იქვე ფეხსაცმლის მწმენდავია, ბაჭინიდან ჩამომავალი კიბის ძირში. ვაქსით გაღებელი გეგონება, იმისთანა შავგვრემანი კაცია. და ამ „მეჩისტეს“ მუშტრის სკამის ფეხზე აქვს მიბმული, გაბერილი თეთრი... უფრო ნისლისფერი რეზინის კამერა. მატარებლით რომ ჩავედი და კიბის საფეხურებს ჩავეუყევი, დავინახე და მონუსხულმა ფეხი რომ მივასვე, წასვლა ხომ ველარ მოვიფიქრე.

მართალია, შიშველი კამერაა, არავითარი ტყავის „აბალოჩკა“ არ გააჩნია, მაგრამ გაბერილია ბურთზე უფრო მსხვილად. სკამი რომ შეინძრევა, მაშინვე ცეტავს და ცაში აპირებს გაფრენას, დაბმული რომ არ იყოს, იზამს.

უკან დასაბრუნებელი ნახევარი ბილეთის ფული თუ მაქვს, ისიც კარგია და ეს რას მიყიდის, ძვირი ელირება, არ უნდა ლაპარაკი. ჩვეულებრივი მაღაზიის კამერა კი არაა. მოგვხსენებთ, გაგანია ოქია და თავდაცვის შტაბები, მუშათა ბატალიონები, თუ რალაც ამგვარი რამეები არსებობს, საჰაერო დაბომბვისა და ქიმიური თავდასხმების შემთხვევებისათვის. იქ და ალბათ სხვაგანაც, ჯარის ნაწილებში ხომ თავისთავად იყო აირწინალები. ერთი ცალი ჩვენ სკოლასაც ჰქონდა. სამხედრო გაცვეთილზე შარა-შარა დაგვარბენინებ-

დნენ და მოსწავლეები იმ აირწინალს შორიგეობით თავზე ვიცობდით.

აირწინალს ხომ მომწამლავი გაზის საფილტრი კოლოფი აქვს, ბამბით და მშთანთქმელი ნახშირით გატენილი. აქედან გაფილტრული ჰაერი ხორთუმით მიოდის და რეზინის სატუჩურს, რომელშიც უნდა ისუნთქო, ნიკაპქვეშ სარქველი აქვს, ამონასუნთქი რომ გარეთ გამოუშვას. აი იმ სატუჩურს აჭრიან სამაგრებს, ხორთუმის მისახრახნს სარქველიანად. აწებებენ, (ეს ფეხსაცმლის მწმენდავები მაშინ დახეულ კალოშებსაც აკერებდნენ), უკეთებენ ჩასაბერ მილს და... გაქვრიალებული ბურთის კამერაა.

უთუოდ ორი აირწინალი მაინც დასჭირდება, მერე რეზინის წებო, გახეხვა, დაწებება... ამას ყველაფერს ჩემი ნახევარი ბილეთის ფული კი არა, სულიან-ხორციანად რომ გავიყიდო, ვერ ავუყვალ.

დეიდაჩემი უკან დაბრუნებისას კი მკითხავს, გზის ფული თუ გაქვსო და თუ არ გავუმხელ რომ მაქვს, მომცემს, მაგრამ საქმეს არც ეს უშველის. დეიდაშვილი მყავს ჩემი კბილა ბიჭი — შოთა. იცოცხლე ბურთზე გადაგებულია და კარგადაც თამაშობს (მეკარეა), მაგრამ იმას რისი ფული ექნება. სადგურის იქითა მხარეზე ჩემი მამინაცვალი ცხოვრობს, მაგრამ ვერ მივალ. თვე-ნახევრის წინ ვიყავი, დედაჩემმა ერთი გამწლეული თხა მიყიდა და რომ არ ეტირა, სახლში იმ წვერცანცარას წამყვანი არ ვიყავი.

თუ უკან უბილეთოდ წავალ, იმ ფულს შევინახავ, კიდევ რალაცას ვიშოვი, მეორედაც ისევ უბილეთოდ წამოვალ, იქნება მივწლდე. მერე კი, თუ რეზინის კამერა მექნა, ფეხით დაგბრუნდები სოფელში. ქალაქს რომ გავცდები ფეხშიშველა ვივლი, ძველი საურმე გზით; სულ ათი კილომეტრიც არ იქნება. მერეც უბილეთოდ რომ გავბრუნდე, ისევ გამიმართლებს? რომ დამიჭირონ, არ მეტყვიან: შე მამაძალო, თუ ბურთის ფული გქონდა, რკი-

ნიგზას უფასოდ ცვეთავო?!

ახლა, უბილეთოდ მგზავრობა როგორ ხდება.

წყალტუბოდან ქუთაისამდე რალაცა ორი კინკილა ვაგონი და შიგ, გაწბილებულ უანასავით, თითო-ოროლა მგზავრობა. რევიზორების ფხიზელ თვალს შენ გამოეპარები? დაშინებული ვარ, ოთხი წლის წინ დედაჩემს ვახლდი, თავისი ბილეთის ფული ძლივს იშოვა. რევიზორები რომ დავლანდე, საპირფარეოში დავიმალე. სუნზე მომაცნეს და ყურით გამომათორიეს. რა იტირა დედაჩემმა, ქვრივი ვარ, ბავშვი ობოლია, ჭარიმის ფული რომ გვქონოდა ბილეთს ავიღებდითო, მაგრამ არაფერმა გაჭრა, სახლში გამოგვიგზავნეს, რალაც პროგრესულად გაზრდილი, გზის საფასური გადასახდელად.

ეს მაშინ, მაგრამ ახლა ვიცი, ამ ერთობ კულმოვეცილ შემადგენლობას ბოლოში უბია ორლერძიანი პატარა საბარგო. ამ საბარგო ვაგონს აქვს მოაჯირიანი ბაჭანი, „ხვოსტაჟოი კონდუქტორის“ დასადგომად. წყალტუბოდან მატარებელი რომ გამოვა, არ ვიცი ეს კონდუქტორი ზის თავის ბაჭანზე თუ არა, მაგრამ თერნალის პატარა სადგურზე, ორი წუთით რომ ჩერდება და რომელიც ჩვენთვის უფრო დასამხარია, იქ ზედ კაციშვილი არ ჩანს. აი, იქ შეიძლება აძვრე ამ ბაჭანზე. სანამ მატარებელი იჭაურობას გაცდებოდეს, მოაჯირის მოეფარები და მერე გიყვარდეს, ბაჭანი უკან ცარიელ ლიანდაგს გადაპყურებს, დაეყრდენი იდაყვებით ხარიხას, იმგზავრე იაფად, ნისიად და ასვი თვალს წყალი.

ასე იყო თუ ისე, იმ გაზაფხულის მიწურულში უკვე რეზინის კამერა მქონდა. კინალამ დავზაფრე ჩვენებური ბიჭები სიხარულით.

ეზოში, მინდორზე, წრე შეეკარით და ვითომ შიშით და მოარებით პაერში შევთამაშეთ. შიშველა, თხელი რეზინაა გაბერილი, მსუბუქად დაფრიანავს, მაგრამ ხელმეუჩვეველნიც ვართ და ამას გარდა, სიხარულით, თუ მჩატე

და პაეროვანი რომაა, ვეკრძალვით, ხელიდან გავევიარდება. იმ ეჭლუმატლუ მიწაზე ეკალს რა უნდა, ხეყმამა ხმელდ ბალახის ღერიც, რა ვიცი, რას დავგმართებს.

ტყავის გარსი უნდა ახლა ამას, „აბალოჩკა“.

ჩემი და ჩემი ძმის ქლანებს, რომ მიპირს, ქე ვბუჯავ, მაგრამ ბურთს როგორ შევეკრავ, ან რით შევეკრავ. არ შევეკრავ და გარბის დრო-ჟამი — გეცლება ხელიდან ბავშვობა. თანაც, საქმე სანახევროდ მოგვარებულა, რეზინის კამერა მაქვს.

რა ვქნათ, რა ვიღონოთ, რა გამოვცდებნოთ და...

იორამის მამა — ცალხელა ბიჭტორა, რაც მახსოვს, ქირზის ჩექმებს დაახრიგინებდა. ფსკერი რომ გავარდებოდა და ტყავის საპირე დასკდებოდა, რალაში პოეზმარა და ლობის ძირში მიგდებული დამინახავს. ახლა, ამ გაგანია ომის დროს, ან მთელი სადლა აქვს და ან გადასაყრელი, მაგრამ იქნებ ძველია სადმე დარჩენილი.

აგერაა იორამიც.

იორამი ამბობს, რომ კი ეგდო სადლაც, მაგრამ რაც არ გჭირდება და იცი, არ დაგჭირდება, არც იმახსოვრებ.

— აბა, იო, იქნება დაძებნო! — იქვე ცხოვრობს, ორლობის ვადამა.

— რაცხა ისე მახსოვს, ცალი ქე უნდა ეგდოს.

— მეორე რა უყავით, მოხარშეთ და შექამეთ? — პირში ვეცი მე.

— მეორე, იონიეს ღორს ესროლა დედაჩემმა და გზაში გადმოვარდა.

— ეეჰ, გზაში მუხლამდე ტალახია, იმას ვილა ნახავს, წადი, წადი, დაძებნე!

გარბის, ლობიდან ლობზე ხტება, კიშკრიდან რომ არ მოუაროს და დრო არ დაკარგოს.

სანამ იორამი დაბრუნდებოდეს, რეზო ამბობს, რომ მის ძმას — მიშას, ჭარში გაწვევამდე, მქონდა ჩექმები და ცალი, ლანჩააგლეჯილი, მგონი, ქუხნის აივანში რომ პატარა ოთახი აქვთ შე-

მოჭედლილი (ოდა-სახლი დაეწვათ და ძელურ სამზადში ცხოვრობდნენ), იმის ქვეშ უნდა ეგდოსო.

— არიქა, რეზო, თუ მინდორში ნაგდები და ნაწვიმარი არაა, უკეთესია, დამპალი არ იქნება.

ზალიყო რეზოზე ოთხი წლით უმცროსია და ის უნდა გაიქცეს. ესენი აქვე, ორობობის გადაღმა კი არ ცხოვრობენ, ზევით, ეკლესიის იქითა გვერდზე სახლობენ. კაი ძალი გზაა სარბენი, მაგრამ ჩექმა რეზოს გაახსენდა და თავი იწილი საქმე გააკეთა. ახლა ზალიყო თუ არ მოიტანს, მას რა, ბურთი რომ შეიკრება, მერე მარტო თამაში ეყოფა? ის კი არადა, კარგად დაძებნოს, იქნებ მეორე თვითონ იპოვოს.

გარბის წელმოწყვეტილი ზალიყო.

არ გაიქცევი, მერე გამოუდები შენს ბავშვობას და დაეწევი, არ გინდა?

მოათრია იორამმა, სადღაც ღობის კედელში ნაგდები ცალი ნაჩექმარი, დანოტიებული და შემპალი, შმორის სუნი ახდის. როგორც კი საპირესა და ყელში გავწიეთ, ფბრიწინ-ფბრიწინით წავიდა დაქონილი ძაფი და შეგვრჩა ქირზის ყელი. უკანა ნაქერშიც იოლად გაიჩრვა და კაი ფართე მასალა გვაქვს, რომელიც ასე გაწევით არ იხევა, მაგრამ ჭრას, აერვას, მერე ბერვას და წიხლებს ცემას როგორ გაუძლებს, საკითხავია.

მიჩერებული ვართ, ზალიყო რას იზამს. ცალი ჩექმის ყელი ბურთს არა ნიჩრად არ ეყოფა, ორი მაინც უნდა. თუ მან ორივე მოიტანა და უკეთესი, ხომ ავშენდით, თუ არადა, ერთი ის და ერთი ეს... მეტი, ამჯერად, არაფერი გავჯანჩია.

არ დაადგა საშველი ზალიყოს გამოჩენას... წასულიყო რეზო, იცოდა სადაც ეგდო, იქნება მალე ენახა. სულ ასე იციან უფროსმა ძმებმა — უმცროსებს დაარბენინებენ.

აბა, წავიწიოთ ჭიშკრისკენ, გადავიხედოთ გზაში, იქნება მოდის, ამ ბეოლებს ჩრდილებში რომ წამოეწოლილვართ მხარ-თეძოზე. ან ჩემი ძმა წაპ-

ყოლოდა, მარტო რომ გავუშვიტ, მამამისი — ისიდოროე შინ რომ წასვს, დანახოს მისი ურჩი შვილი ოთახის ქვეშ, მტვერსა და ნაგავში მიფორთხავს, ფეხით არ გამოათრევს? ჩემი ძმა რომ ხლებოდა და შემეცვრალიყო, ხმას ვერაინ ვასცემდა, ჩვენ ობლები ვართ, არც მაკვითი და მაკვარანცი, ჩვენ უბატონოდ ხმას არავენ გავგვემს.

როგორც იქნა დაადგა საშველი, მობრბის და მგონი რალაცას მოათრევს.

— ბარო, ბიჭო, ზალიყია!

ერთი კი არა, ორივე უნახავს. მაგრამ მეორე, ძელურის უკან, ლაფაროში, ნაყელში ნაგდები და ნაწვიმარია, ხავი მოდებია. როგორც კი გავწიეთ, მაშინვე დაიქონქა. ერთი მართლა კარგია, ასეთი იორამის მამისეულიც არაა. ვინლა დაეძებს, ხელი ცას გვიწვდება, არის რალაცა, რითაც შეიძლება საქმის დაწყება.

ბურთი მრგვალია, უთარგოდ არაფერი გამოვა. შენ კი არა, კარგ ხარახს გაუჭირდება, ასე თვალდათვალ გამოჭრას და შეკეროს. თარგს აიღებდი ბურთზე, რომ ჩემ სოფელში კი არა, მეზობელ სოფლებშიც მეგულებოდეს.

კამერა მაქვს აგერ, ამას გავებრავ იმ ზომაზე, რა სიმსხო ბურთიც მინდა, მაგრამ კამერა რეზინისაა, (მშვენიერი ხარისხის იყო აირწინაღის რეზინები), მრგვალად იბერება. ეს ჩვენი საპირე მასალა ქირზისაა. ტუავისა რომ მაინც იყოს, დაალობო, გამოჭრი და გულს ჩაქუჩით დაუბეგვავ: გაიწევა, გაიგობება. ქირზისაა არაფერი ეხერხება, თუ მომცრო ნაჭრებად არ აქციე და ისე არ შეკერე, ფართო ნაჭრისანი გვერდები ბრტყელ-ბრტყელი გამოვა და არ გავორდება, რამდენი ნაწილისაგანაც შეკერავ, იმდენ გვერდინ მრავალკუთხედს მიიღებ. (გეომეტრიას იმდენს ვსწავლობ, რამდენიც, თუ მეცნიერებას არა, ჩემს საქმეს ქირდება).

რალაცა ჭინჭის ძველა უნდა ვიშოვო, ის მოვარგო კამერაზე და მერე, იმ ჭინჭის თარგით ქირზი გამოვჭრა.

ნაძველა მაშინ გაქვს, თუ ახალს

იშოვი და ნახმარს გადაადგებ. ჩვენ ძველზე ძველს ვადებთ და სადაა ტყუილად. სათამაშოდ გასაოხრებელი ნაშარვალე, ან ნაპერანგალი.

ხამის აბგა ჰქონდა ბიძაჩემს ერთი, ომამდე ყანაში სადილი დაჰქონდა. წინა თვალში ნეშოთი თავდაცულ წყლიან ღოქს ჩადგამდა და უკან მჭადს, ყველს, პრასს და... გააჩნდა, რა ჰქონდა იმ დღეს სადილად. ეს აბგა დაგვიცვდა და, ამას გარდა, ამ გაგანია ომის დროს კილას სჭირდება.

ჯერ, ვითომ, ორი ნაჭერი შემოვამარგვალე ბურთის სიმსხოზე და შემოვლამბე. ჩავდევდი კამერა, ჩავებრე. მართალია ხამი უფრო გაჰყვა, მაგრამ ორი ფრიალო თეფში რომ ერთმანეთს შეამხო, რალაცა ამდაგვარი საშინელება გამოვიდა.

ოთხი ნაჭრისაგან არაფერი გამოვიდოდა, „თავი“ და „ფსკერი“ ხომ უნდოდა? ეჭვსი ნაწილისაგან გვერდებგამობერილი ყუთივით, რალაც უმსგავსობა მივიღე. რა გვერდზეც დაწებოდა, თავისით აღარ გაგორდებოდა. უთუოდ თითოეული ნაწილი კიდევ შუაზე უნდა გამეჭრა, რკალივით გამომეყერა (რა წორის რკალიც ბურთს უნდა ჰქონოდა) და მერე ერთმანეთზე მიმეცულა.

ასე არა უშავდა. კი ეჭნებოდა ოდნავ ბრტყელი ერთი მეთორმეტედი გვერდი, მაგრამ ნაკერს ცოტა, ორმაგი ძაფით, ზომაზე მეტად მოკიმავედი, ოდნავ მოანაოტებდი და მთლად თვალში საცემი კუთხეები არ უნდა დარჩენოდა.

ვარაუდზე მეტი დრო დამჭირდა, გაუწყდა მეზობელ ბავშვებს მოთმინების ძაფი. ბურთის საკერავ ძაფს არა უშავს, ბებიას დართული ბამბაა, სანთელიც კი გვექონდა შემორჩენილი, ჩიტის კვერცხის ტოლად დამარგვალებული და სადგისის წვერზე წამოცმული.

რალაცა გამომდის მგონია, მაგრამ მართო ბურთს ხომ ვერ მივაჩერდები. სასწავლო წლის ბოლოა, რალაცა წიგნშიც ხომ უნდა ჩაიხედო. მე შენ გეტ-

ყვი, გაკვეთილი არ გაგიცდენია და უსწაველი არაფერი გამოგჩენინა უსწაველი აგერ გასამარგლი ხდებდა შენს ტყუილად და ქამენიე ბალახებში ამომძვრალი ყვითელი სიმინდი. ახლაც თუ არ უშველე, ეალტამი დაახრჩობს.

დედაჩემმა, ქმრის ნამალევედ იყო, თუ ნაცხადურად, ფული შეაგროვა თუ გაყიდა ნაშთივით, მონჭორეული ხელის საკერავი მანქანა, ერთ დღეს თხა გვიყიდა. მეწველ თხას პატივი უნდა! თვალცრემლიანი მეჩიჩინებოდა: რახან ჩემთან წამოსულა არ გინდათ, რძეს როგორც ჩამოწველით, მაშინვე თბილად დალიეთ, წაკვდომაზე ხართო.

ნაკლასებს ვმარგვალვთ ეზოს. ძროხა მინდორში გვეავს გაბმული, თხა — ბურდებზე და ეკალ-მაყვლის ხლსტეებზე. სალამოს ძმა წიგნს კითხულობს, მე ბურთს ვკერავ. წულაც კია ხელშესაველები, მაგრამ უნდა „გაგვიგოს“ და ერთხანს „მოითმინოს“. ორი ძაფით ვკერავ, მაგრამ, ბეჯითად. ხუმრობა საქმეა? მთელი სოფლის ბავშვებს რა გაუძლებს. თანაც გამოდის რალაცა. კი, ბიქტორის ნაჩქმარი შელანძლულია, მაგრამ მიშას ნაქონი ახალს არ ჩამოუვარდება. ერთმანეთს ვუნაცვლებ, ერთი ნაჭერი რომ ესაა, მეორე — ის.

მე და რეზო ერთ კლასში ვსწავლობთ წყალტუბოში. იორამი ჩამოგვრჩა, თერთან გააბარა მამამისმა შეგირდად.

დილით გზაში დგას რეზო და მელოდება.

- რავაა საქმე.
- რა ვიცი...
- გამოდის რამე?
- გამოდის.
- მერე, არ დაადგა საშველი?
- რა ვიცი, რომ ავჩქარდე.
- არა... — ფიქრობს რეზო, —

აჩქარება არ ივარგებს, მაგრამ ზალიკომ დამამტვრია ლოგინში ფეხები, მთელი ლამე ფეხბურთს თამაშობს.

ძმა საფერხულში უწევს, დაწითლებული აქვს უძილარს თვალეები, გაკვეთილზე ყვინთავს.

სკოლიდან რომ ვბრუნდებით და ეზოში ჩაუხვევს, ბუზღუნებს:

— გაანძირე ხელი, შე უპატრონო!

— შენ რა გენაღვლება.

— ვის არ ენაღვლება, გავთავდი კაციშვილი! ე, ზალიკომ დაგვინახა და მორბის.

— დამანებოს თავი.

— წაიყვანე, თხას მაინც გადაგიბამს და შენ ნუ გაცდები.

არის ბურთი!

ძალიან გინდა, ბავშვობავ, ხელიდან უსინდისოდ გაგვიძვრე, მაგრამ აგერ ა, ხელში მიჭირავს შენი სული (ბურთში რომ სული ჩაებერეთ, ის ჩვენი ბავშვობის სული იყო), და ასე მთლად გასაწირავად არ დაგნებდებით!

ეზო, როგორც იქნა, გამოვჩოქნეთ. გადავთხარეთ აუკვავებული ქამენიე, ვითომ ამოვძირკვეთ გლურტაც, მაგრამ მეტი არაა ჩემი მტერი, რამდენად გაქრი და დაკეპავ, იმდენი ძირი ამოვა, მაგრამ მანამდე სიმინდი წამოიწვეს.

ნავენახარი გვაქვს გასათოხნი. გვალვამაც მოგვისწრო, მაისი იღვევა. რა გინდა რომ გააწყო, თოხი მხარზე გვაქვს, ბურთი ილიაში. ეს ორი საქმე ერთად არაფრის დიდებით არ ხერხდება. მთელი სოფლის ბავშვები ამ დღეს მოუთმენლად ელოდნენ, მაგრამ კამერა ვიყიდე, ბურთი შევეკრე... ახლა ისინი ითამაშებენ და მე თოხს ვუბაყუნებ? არადა, ამდენი მოლოდინით დაოსებულ ბიჭებს რა პასუხს აძლევ?

რა ვქნა, რომ არ გვნებდება ეს ჩვენი განწირული ბავშვობა.

გადავიტანეთ თოხებიც და ბურთიც ნავენახარში. გავხედ-გამოვხედეთ, მარგვლა ისედაც დაგვიანებულია, რალას გადადებ. ყოველ ნაკლასებს, ერთი კვირა სულ რომ არ გავცდეთ, ვერ გავწვდებით. მერე, სანამ ეზო გახდებოდეს სამოროდო, იქნება წაითამაშო, მაგრამ ერთი კვირა ვინ გაძლებს!

დავდექით ბურთი ყანის თავში და ჩვენ თოხები ყანის ბოლოში ჩავიტანეთ. ძროხის თავიც აღარა გვაქვს, თხა გადავაბით და ორ-ორ ბწყარ სიმინდს

ჩავეუდექით. სიცხეა, მიწა გაფიცხებულა, ქირს მუშაობა. ჩვენ ნავენახარზე ფერდობია, პირდაპირ ბეკნარას მინდორს გადაწყურებს, სადაც ფეხბურთის მოედანი უნდა გავმართოთ.

გავიხედე, გადმოხტა იორამი ლობეზე, თვალუბადაა ქვეული. თავქულმომგლეჯილი მორბის.

— ბიჭებო, ბურთი სადაა?!

— ე, ბურთი! — დავანახე მის ზურგს უკან, ყანის თავში.

— მერე, ბიჭო?!

— მერე და მერე...

— გადვირიეთ! მათამაშეთ ერთი...

გავიხედეთ, რეზო და ზალიკო გამოცვივდნენ ლობეზე.

— რას შობით, კაცო, თქვენ? — თვალებს არ უჯერებს რეზო.

— ე, ბიჭო, ზაკოია, ბურთი!.. — იკრიჭება ნირწამხლარი იორამი.

ზალიკო მამამისის აკოტაგებულ უზარმაზარ შარვალს მიათარბუნებს და უკან გარბის, ბურთის ხელის შესაღვლებად.

— აქით გამოდი, ზაკოია, ხელი არ ახლო! — ვუყვირი მე.

— აბა, რა ვქნა... ბურთი, ბიჭებო!..

„ბურთიო“, გაუგონია ეყუქურის, იქვე ცხოვრობს, ლობის გადაღმა და თვალუბადმოცვივნილი ამოძვრა, მისი ჭიშკრის პირდაპირ, კბოდეზე.

ეულიეტა თვალმავალა, ახტაჯანა გოგოა, მაგრამ ბიჭებივით ლობეზე ხტომას ვერ დაიწყებს. თავის ეზოდან გვითვალთვალებს, თუ სათამაშოდ გავვიგულა, სახლში რა დასვამს, ოჭროსთმთან ფაცუნის გაუვლის, ან იქვე დასხდებიან ფაცხის აივანზე, ან ჭიშკრის ალაგზე და იქიდან მინდორი ისე ჩანს, თითქოს ქანდარაზე იჯდე.

— ბიჭო, ხელი არ ახლოო! — შეტირის ზალიკო ეყუქურისას.

— თუ არ ახლოო.. რა ვქნათ ახლა!..

ჩემგან უიმედოს ეყუქური რა იმედს გაუჩენდა.

ალიმიე და ბუღუნეი კი ფაცუნის ძმებია, იქვე სახლობდნენ. ჩვენი ნავენახარის ბოლოში, მაგრამ შოთაიამ

და ინდიკომ რა სიზმარი ნახეს, ოკოიე რამ ამოიყვანა მეჭოშეების უბნიდან, რომ გაივსო ბიჭებით იქაურობა.

ბურთი ცდუნებასავით დევს ყანის თავში და მე და ჩემი მამა ვუბაყუნებთ თოხებს.

— არაფერი გამოვა ამისგან... — თქვა რეზოიამ ჩემ გაბუხულ, მიწასჩამკვლელებულ მზერაა რომ უყურა. — წადი, ზალიკო, და მოიტანე ჩვენი თოხებიც.

— თოხი და ბარი დაწვა ცეცხლმა!

— ავივდა ზალიკო.

— წადი, თუ გინდა ბურთის თამაში, წადი!

— ახლა სახლში რა წამოიყვანს?

— არ წახვალ და დაჭეკი მაგერ ნიგვზის თირში და ყლაპე ბუხები.

— ჩემთანაც გამოიარე, ზაკოია, უკანა აივანშია, ქილუტზე მიყუდებული თოხი და წამოილე. — აბარებს იორამიც.

— ამდენ თოხს რა მათრევიწებს!

— გივია კიკალიშვილს გამოუარე და წმომგაღებინება. გიყდება ბურთიზა. არიგებს უფროსი მამა.

— შენ წადი, თუ კაია და შენ გამოუარე.

— მაგიორათ, კარების სარებს მე მოეჭკრი. — ურიგდება იორამი.

რეზოს და იორამის გარდა, ყველანი თვალისდახამხამებაში გაცვივ-გამოცვივდნენ.

— რამდენ ბჭკარს გათოხნით, ვითომ, შენ და შენი პაყვი მამა?... — იღრინება რეზო.

— რა ვიცი, ერთი ათი ბჭკარი მაინც უნდა გავიტანოთ.

— ჰო, ორ-ორს გავიტანთ თითო და არ გავიგონო შენი ჭაჭლანი.

— ხმის ამომღები არა ვარ.

ათი ბჭკარი რომ გაქვს გასათოხნი, მარტო ეა გუყვიტავს წელს და გასავათება. თუ იცი, ორი გიშველის, სულმოუთქმელად იმუშავენ და იმის ნახევარი დრო გეყოფა, რაც ათი ბჭკარისთვისაა საჭირო.

ეუყურიმ მოასწრო ყველას, ყველაზე

ახლოს ის ცხოვრობდა. ოკოიას გერამისას ენათხოვოებია თოხი და ბუდუნიაა ფესდაფეს მარყვანა.

— ორ-ორი ბჭკარი. — ანაწილებს „მუშახელს“ რეზო.

ზალიკო მისული არ გვეგონა, რომ თოხს მოაძუნძულებს. გივი კიკალიშვილისთვისაც არ დაუცდია.

დატრიალდა ნადი, ნაპერწყლები ცვივა თოხებს. ვინ დაგიდევს ან სიცხეს, ან გვალვას. ბურთი დევს სვრელის თავში.

„ახლა რალას იზამ ჩემო, დედინაცვლად ქეუელო, ბავშვობავე, ასე უსინდისოდ რომ გინდა გამიძვრე ხელიდან, გიყელე თუ არა?“ — ეუსობ თოხს და მივდევ აღმართს. ანდამატეით გვიზიდავს და მიყყავართ თავისკენ ჩვენივე ხელით შექმნილ და სულით სულჩადგმულ ბურთს.

„ფონი გასავალს დალოცეთო“. — გვარიგებდა ბებია. ვერ შეწვდა ამ სიბრინეს ჩვენი სულწასული ბავშვობა. და როცა სათოხარი ბღღვირად წავილეთ, თოხები, ჩვენიც და სხვისიც, იქვე დავყარეთ. მინდორში გადაეცივდიოთ. სარები ერთმანეთისგან შვიდ ნაბიჯზე დავასვეთ და ძელი, ხაზი და ლარი აღარ გვიძებნია...

გადმოსხდნენ ალაგზე, შავი ყორნისფრთა წარბ-წამწამა ეულიეტა და ოჭროს წყალში ნაბანი ფაცუნეი.

დავდექით მოედანზე მე და იორამი და „გავიყავით“.

- არჩევანი — მე!
- არადანი — მე!
- გივიე — მე.
- შოთაიე — მე.
- რეზოიე — მე.
- კუყურიე — მე.
- ზალიკიე — მე.
- ოკოიე — მე.
- ინდიკო — მე.
- ალიმიე — მე.
- ბუდუნეი — მე.
- სუეულიე — მე.
- შაბუკიე — მე.
- დათუნეი — მე.

— აჩიკო — მე.

— თენგიზო — მე...

— იცოდეთ, ორ-ორი ბწყარი გაქვეთ გასათოხნი, ვინც ახლა მოხვედით. — აფრთხილებს რეზო.

ოთხი იყოს, თანახმა არიან, ოღონდ ვათამაშოთ.

დავდეთ ბურთი დაახლოებით მოედნის შუაგულში, იორამმა ჩაიყო პირში წყვილ-წყვილი თითები და დაუსტვინა. ერთი დარტყმა კი მოვასწარი, რაკი თამაში მე დავიწყე. გაგორდა ჩვენი ბავშვობა მწვანე მინდორზე, დავეციოთ ყვირნა და ჭგროდ გამოვენთეთ. „ცენტრიდან“ მოწინააღმდეგის კარამდე კი ვსდევთ და ვუგორეთ ერთმანეთს წითელი კვერცხით, მაგრამ დარტყმა არ გვაცალეს, წაგვართვეს და ჩვენსკენ გამოუტრეს...

ეულიტე და ფაცუნე გვიყურებს...

ის იყო იორამი შეიჭრა საჯარიმოზე. კარში ზალიყო გვეავს ჩაყენებული, მამამისის განიერი „პარუსინის“ შარვალი

აცვია, ორ-ორი მტკაველი აქვს თითო ტოტი, კარში არ ეტევა. მოუქნია თავ-დამსხმელმა, მთელი ბავშვობა ფეხშიშველობით გაძვალბული ფეხი, გლიჩა ბურთს! იგრიალა, მარა რა იგრიალა. იქით ზალიყო აგდია ბალახებში უბურთოდ, აქეთ ჩვენ ვდგავართ პირდაფჩენილი — არაა ბურთი! არც გოლი გასულა, არც კარს აცილებია. გაქრა ჩვენი წვით და დაგვით ახდენილი ოცნება. სადაა მაინც, სად უნდა გაფრენილიყო, ასე ხმაურით და ამდენი დაპრაწული თვალის შეუფლებლად.

— ვაი დეე-დააა! — იბღავლა იორამმა, წაიქცა.

მიეცვივდით, რას ვხედავთ, ბურთი გახეთქილა და ტერფზე აქვს წამოცმული.

ამოხდა სული, ჩვენ ბურთსაც, ჩვენც და ჩვენ ბავშვობასაც.

წავიდა და წავიდა, თვალი ვერ მოვატანეთ...

გერმანელი

ვერ ვიტყვი, გარეთ ძალი არ გაიგდებოდა-მეთქი, მაგრამ უემური დღე იყო, ექიმბატი, ნაცრისფერი, უსულგული. ლაფაროში სახურავის ნაწრეტი, ნაწვეთალი რომ არ ჰყავუნობდეს, თითქოს არც წვიმს. წყლითაა გაჭერებული ჰაერი, მიწა, ხე, ჩალა...

შეშა ისედაც ნედლია და ახლა კიდევ ასე დაღუმპულს რა ცეცხლი წაედება. ბეუტავს მუგუზალი, ბეუის, შიშინება, იჩიება, იღუეება...

მუხლისათეები ნაცრით გვაქვს გაბელთილი, წარამარა რომ ვიჩოქებთ კერიასთან და ვებერავთ. ჩავისუნთქავთ ღრმად, ღრმად და ნელ-ნელა, გამოზოგვით, უწყვეტი ქშუტუნით, კერიაში ცხვირწარგული ვუბერავთ: მე, ჩემი ძმა, ბებიაც გვემელება. ჩასუნთქვისას კი ავწევთ თავს მაღლა, მაგრამ ადგაფებული ნაცარი იმაზე მაღლა

ასულა, რასაც ჩვენ ვწვდებით და მშრალი ტუტით, მარტო ცხვირი და პირი კი არა, ხორხიც გვეგლისება. სანამ სახეზე არ წამოვენთებით და ხველაც არ მოგვისწრებს, ვუბერავთ.

ვითომ წამოკიზინდება ცეცხლი, ტიტავს ალი წვრილ, სინსილა ენას აჩოლებულ კვამლში და კვამლიც ნოტიოს ნისლის მსუთრითვით ოჯინჯალომდე თუ აღწევს, ბურულის საკვამურში და საფაფურებში გამდგარს, გარეთ გაუტევიარი სჭირს.

ჩვენი სამზადი, ბოყვში უკოტაოდ აწყობილი, მუხის გაურანდავი ფიცრულია, უქილაქო და უფანჯრო. წინა და უკანა ცალფა კარების ამარა. აივნის თავზე ბეოლის ჩელტია გადებულა. სხვა დროს კვამლს რა დაამავრებს, მით უმეტეს, დარია თუ ავდარი. ცალი

კარი ღია გვაქვს, უამისოდ შიგ რას დაინახავ.

ეინელავს, ეივის, იწუქმპლება ჩამოხურული ცისიერი და ეანტი ჰაერი ისეა დამძიმებული, კვამლსაც კი მალა ასვლა უჭირს. ლამის ისიც მიწას განერთხოს და თვალები დაგვთხაროს, ისედაც მზერაგაულწუველ ტაროსში.

სამზადიდან ოდა-სახლამდე ოცი ნაბიჯია. კერიასთან მჯდომი, ყურთამდე მოფენილი წინა კარიდან, ოდის უკანა ოთახის კედელს თულა დაინახავ.

ძალღი არ გვყავდა იმხანად. ჩვენ ვენახი საღლა გექონდა, მაგრამ ყურძნობის დროს, ძალღებს ყველა ვაბამდით. სოფელში ძალღები დაბმას ნაჩვევი არაა და დილაღ, თაკილობენ; ასე თავმიკრულს საჭმლით რა მოპირავს და წემუის, ყმუის, ყეფს საცოდავი — კაკალი გული დაგუწვება. მეზობლის წყენინება რავე გინდა, მარა ორ ცეცხლშუაც სანამდე გაძღებ. და აუშვებ გაწამებულს, ან თვითონ გადაიძრობს ბაწარს, ყურს გადაიღლეტს, ქოჩორს დაიბღღენის და გადაიძრობს. აიტხავეს ჭირითს, მაგრამ ეზოში უნდა დადგე და უდარაჯო, თუ ღობეზე და ალაგზე გადაბტომა დააპირა, უკან მოიხმობ. იცის, მჭადის ნატეხებით და ნაგება ღომის ნარჩენებით ვერ გაუმასპინძლდები, ისევე ყულფს წაუჭერ კისერში და ფეხები უკან რჩება.

მაგრამ ყოველთვის სახლშიც არა ხარ. ნახევარ დღეზე მეტი სკოლაში, ან სკოლის და სახლის გზას ადგახარ. მოხვალ და, მე შენ გეტყვი, საქმე საათით აწყობილი დაგზვდება და სადილვანშამი გადაშუშებული. ეს, ორი კონა, ეკლისხის ევაგი შუშა ნაკლასებს, წელან მოვათრიეთ, მინდვრის გადაღმა გაჩანაგებულ კაბეტებიდან. მეტყვევ აპალიე რომ წაგვსწრებოდა, წალღით გაგჩეხავდა...

და აიშვებს ძალღი ამასობაში, ან გაღუქავს ბაწარს. თუ თავი იშოვა და ამ დროს შენც იქვე არ აუტყდი, რა საკითხავია!

გადავარდნილიყო ასე, ჩენი, მუჭი

რუხი, ნავაზი კარის მეზობლია და მასწავლებლის, — პოლიკარპეს ცენახში. გაფრთხილებული კი ვყავდით იმ საღლაშიანს, გადმოელო თოფი, ებრიგა და იქვე გაეგორებინა. (საკვერცხებში მოხვედროდა მაინცდამაინც). როგორი რიღი მქონდა, ჭერ მასწავლებლის და მერე ისეთი თავარიდებული მეზობლის, მაგრამ ძალღის სიყვარული იმოდენა ბოღმად მექცა, ვაწყენინე. ჩემგან არ ეკადრებოდა, ნამდვილად, იმისთანა დროულ კაცს, მანამდე საღლაში რომ არ შემობედიო.

ძალღზე იტყვიან, მისმა გვარმა აქოსო, მაგრამ ნამეტანი ერთგული და გონიერი რამ იყო. საღამოს თხებს და ძროხას რომ მოედენიღით, საღ იყო იმის წენელი და სარი, ეზოში ყანა ცალკე გადაგვეყავებინა და ბოსტანი კოდევ ცალკე შემოგვერავვა. გარედან, გზის პირზე, თუ რაღაცას „მოვახლათორთებღით“, შიღა საყავებღების თავი ვის ჰქონდა. არც გექირდებოდა, აგერ გვყავდა ძალღი, ერთსა და იმავე დროს ყოველი სიმიღის ძირში რომ იღვა, ყოველ ძირ სოიო-ღობიოს რომ დარაჯობდა. თხა რომ თხაა, ვაგლახად ფოთოღს ვერაფერს გააგღებინებდა.

მეზობელ სოფელში — მალლაკში, ნათესავეები გვყავდა ნიყარაძეები. რაც საკარმიღამო ნაკვეთი ჰქონდათ, საზამთროს და ნესვის ბაღებად აქცევდნენ, იმის საფასურით გაჰქონდათ თავი წლიღან წლამდე. ოშია, მწიფე ნესესა და საზამთროს კი არა, შიშველი ფეხი რომ დაგრჩეს გარეთ, ისე ავწანინან, გაგებას ვერ მოასწრებ. ილია ნიყარაძე (მამას ბიძაშვილის — იუღიას ქმარი იყო), სანამ დაგვიმოყვრდებოდა, თურმე, მანამდეც მეგობრობდა მამაჩემთან, (საქორწილო გარიგებაც მამას მეოხებით მომხდარა). ხშირი სტუმარი ვიყავით მათი ოჯახისა. ილია მუღამ ოხრავდა მამაჩემის ისე უღროღოდ დღუქვას. ავი კაცი იყო, უღიმილო. შვიღლებსაც არ ანებებებდა და ჩვენ თვალში რომ ჩაგვარდნოღით, ხელს არ ამოისვამდა. ძალღი კი არა, რაში რომ

გვეოლოდა, საჩუქრად არ უნდა დაგვანანებოდა, ძალი ინდომა სანათხოვროდ... და გაგვივირდა.

ვითომ შეუღლებულს შეველიეთ და გავატანეთ, მაგრამ ერთ კვირაში ჩავსდით. გაცემულები იყვნენ. ასე უცხო სოფელში და ოჯახში იმდღესვე საქმეს, ძალი კი არა, კაცი ვერ აულებს ალლოსო. მეორე დღესვე აეშვათ. მაშინვე გაქცეულა, შემოუვლია ბაღისთვის. მისულა კარავში და დაწოლილა. კი დავუბარე, მალე ჩამოვალ და წამოგიყვან, შენ არსად წახვიდე, არ დაიკარგო-მეთქი, მაგრამ თუ გაიგო, რაღა მეგონა. ურბენდა, დღე და ღამე, თავის სადარაჯოს, ან ყურებდაცქვეტილი კარავში იწვია. მე და ჩემი ძმა რომ ჩავედით, ილიას არ გაჰკვირვებია, სჯეროდა, რომ ამისთანა მეგობრის გასანათხოვრებლად შელევაც არ შეიძლებოდა. არ დაუცდია ბაღის დამწიფებისა და დაკრფისათვის, უკან გამოგვატანა.

იმ შემოდგომის მერე ლეკვიც არ გვიძებნია. გვივირდა მისი ხსოვნისათვის ჩრდილი არ მიგვეყენებია, თუ... არ ვიცი, ის მკვდარი ცოცხალს გვერჩია, ასე უძალოდ კი ვიყავით და...

— ვინაა, ბებია, ე კაცი! — მკითხა ბებია, კვამლითა და ნაცრით თვალებამოლუმპული რომ უბებებს მუშტით ვიკიჟყნით.

— ვინ კაცია!

— გეხედვ, შვილო, გარეთ!

ჩვენს სამზადსა და ოდა-სახლს შორის კაცი იდგა. ცარიელ-ტარიელი, ხელში უბრალო ჯოხიც კი არ ეჭირა. ყრუ-მუნჯივით დაბნეული, თუ უენო. დამორცხვებული და მოკრძალებული. თითქოს გზიდან გადაგვეგდოს და მაინც ჩვენს იქით გზა არ ჰქონოდა. თითქოს იცოდა, არაფრის მქონებელი ვიყავით და მაინც რაღაცას ვთხოვდა. ვითომ ეზოშიც არ ჩამოესვლებოდა და კერიაზე აპირებდა ხელის მოთბობას. თითქოს გავწყრომოდე, გაგვეპანლურებინოს და მადლობის სათქმელად მოსულყოს.

— ვინაა, ბიჭო, ამოიღე ხმა! — გამიწყრა ბებია.

იდგა კაცი ასე ჩვენგან შეურაცხყოფილივით და მაინც ჩვენი წყალობის მომლოდინე, მე კი ვერაფერს ვამბობდი. არადა, რაკი ბებია არ იცნობდა, ჩემს ძმას თუ არა, მე ხომ უნდა მცნობოდა. ასე თავს ვინ ააღერდა და გადამთიელი, დაუძახებლად და მოუპატიებლად, კარს როგორ მოგვადგებოდა!

— არ ვიცი, ბებია, ვინაა?

— იმე! — შეწუხდა მოხუცი. — რაფერ არ იცი?

— არ ვიცი, პირველად ვხედავ.

— გახედე, გახედე კაცია, სტუმარია. კარისკენ წავედი. მალა კარაპანზე (ზღურბლზე) გადავალაჭე და აივნის სოხანეზე დავედექი.

— მობრძანდით! — ეს ისე ვთქვი, როგორც სტუმარს უნდა უთხრა.

რალაცნაირად გადმოდგა ნაბიჯი, ნათქვამზე რომ მიხვდები, რა გულით გეუბნებიან, მაგრამ რას — არაფერი გაგეგება.

სოფლად, ეზოში რომ ვინმეს დაინახავ, ვერ ჰკითხავ, ვინ გნებათ, ან ვინ ბრძანდებითო. თუ კარზე მოგადგა, სცოდნია „ვინც ნებავდა“ და სტუმარი რომაა ხომ ხედავ, მეტი ვილა უნდა იყოს?

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით! — კერიის პირიდან გამოსძახა ბებია. ალბათ, ფეხს ამისთვის თუ ითრევს, ბავშვის შემოპატიეება გულს ეთანაღრებაო. (სტუმარმა ხომ არ იცოდა, ოჯახში რომ მე აუფროსებული ვიყავი და კაცად მთვლიდნენ).

აივნის სოხანზე რომ ფეხი შემოდგა, თავი დამიქნია. ხელის ჩამოსართმევად თითქოს კი არ ვეპატარავე, ვერ შემომბედა.

— მიბრძანდით, მიბრძანდით!

მიადგა კარს და შეიხედა. გარედან, რალა თქმა უნდა, უფანჯრო, გამქვართლულ, გაკვამლულ, ბნელ ქოხში ვერაფერს გაარჩევდა.

თავის დაკვრით შევიდა და კარის წირთხლთან აიტუხა.

— სკამი დოუდგი, ბებია, სკამი! — წამოდგა ბებიაც (ძალიან დაბალ ჯორკოზე იყო და ჯდომა) — უკაცრავად ვართ, ბატონო... არც ქე გელოდით...

დაბალი ჯორკოების გარდა, ერთი მოღანჰალეზული ტაბურეტტი გვაქვს. ამაზე ვწერთ, ვკითხულობთ... ღამით, თუ ნათი გვაქვს, ჭრაქი გვიდგას, ისევ წიგნი, სადგისი, ძაფი თუ ტყავი და რეზინი...

თუ ასე საპატიო სტუმარი გვეწვია და უამინდობის გამო ოდაში ვერ შევიპატოებთ, ამ სკამს გავუცლით.

— დაბრძანდით, ბატონო!

ძმას, სტუმრის ხათრით, ბოგის საპირვეში თავმიკრული ძროხისათვის ჩაღის ყუყერე ამოუცლია, ცეცხლისთვის შეუხმელებია, შეშასაც ამატებს. ბებიას ცოლ ხელში ჯოხი აქვს დაბიჯებული, მკორეს ზურგს უკან, კალთაზე იწმენდს, ნაცრობი რომ გამოდგეს და ხელის ჩამორთმევა მოინდომოს...

არა, თავს იქნევს ისევ მოსალმების ნიშნად და კერიასთან მოახლოებას ეკრძალებს.

საშუალო კაცია. არც ჩამოხეულ-ჩამოკონკილი. შავი თუ რუხი დაბამბული აცვია. ქუდი ახურავს თავზე კარგად მორგებული, რკალისებური წანაფრა ახლო-ახლოსაა დალიანდაგებული. ქუტა თვალები აქვს, თუ ამ კვამლმა და სიბნელემ დაუეფროვა.

ეტყობა, ცეცხლთან მისვლა უნდა, მაგრამ იმდენად უცხოვ და მოუხმარადა, ბებია ხვდება, ეს კაცი ჩვენთან ნამყოფი არაა. მით უფრო მოსაზრებელია. არც ისე აცვია, ტაბურეტზე არ დაეჯდომებოდეს, ხელი კი გადაუღსვით, მაგრამ ნავთის განაჯონს რას მოაცილებს. არ ჯდება და ვერც ჩვენ მოვირთხამთ ფეხს კერის პირას. არც არაფერს ამბობს და როგორ გავიგოთ, ვინაა, რა უნდა, შესაფერისად რომ მოვიქცეთ.

ბებია იფიქრა, ალბათ ტაბურეტს წუნობსო და სელის სკამი გამოიტანეთო — ჩაგვილაპარაკა. მოუფტანეთ, ხელები გაასავსავა, ეს არ მინდაო და ტაბურეტზე მერე ჩამოჯდა. ჩამოჯდა

რალაც სანახევროდ, უფრო იმიტომ, რომ ჩვენ არ შევეწყუხებოდით და არც ის გვეფიქრა, ეს აქ დიდხანს დაიჩენას აპირებსო.

მოიკალათა ბებიაშაც თავის ადგილზე (ბებია ყოველთვის ერთ ადგილზე იჯდა, კერიის ძირში, აღმოსავლეთით).

— სიბერეს დოუდგა თვალი, ველარი გიცანი, შვილო...

არადა, ბებიას მხედველობა არ აკლდა.

სტუმარი შეცბუნდა, ხელები უმწეოდ გადაშალა — არ მესმის რა მითხარო.

ჩვენ მივხვდით, რომ ესმის, მაგრამ ენა არ იცის. არც რუსია, თორემ „ნეზნაიუ“-ს იტყობდა. დადიოდა ჩვენ სოფელში ერთი „მეფეშტე“ რუსი. ქართული არც მან იყო და, მაგრამ მშვენივრად „ემუსსაფობდით“ და ემეგობრობდით. ჩვენსას ღამეც კი გაუთევია. თუ რაიმე ჯამ-ჭურჭელი გავკაჩნდა, მისი დაკერებული იყო. „მეფეშტეობა“ იმისგან ვისწავლე.

რალა თქმა უნდა, „ეს“, ვილაცა სხვაა. ახლა მე ვანიშნე ხელებით: აბა ვინა ხარ-მეთქი. თითქოს იმას ეთქვას, რუსი არა ვარო.

— ნემეც!..

— აუჰ, ბებია, ლემენცი ყოფილა — გერმანელი!

მოზუცი შეჩქვიფდა და მარცხენა მხარი შეუტოკდა (ბებიას ზოგჯერ შეუხტებოდა მარცხენა მხარი და, უცხო თვალისთვის შეუმჩნევლად, თავიც კი გადაუქანდებოდა). ჩვენც ხელი ხელს შეგვრჩა და პირი-პირს, ვერაფერი მოვისაზრეთ...

— რა ვუყოთ მერე... — კარგა ხნის დუმილის შემდეგ თქვა ბებიაშ. სტუმარშაც თავი გადააქნია: — მაგი არც თქვენი ბრალია და არც ჩემიო.

კი ბატონო, ლემენცია და ლემენცი იყოს, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ, ან აქ საიდან გაჩნდა, ჩვენ სოფელში გერმანელი არავის გაუგონია. თუნდაც გავგონა, ჩვენ რა ექნათ ახლა, ომი თვითონ წამოიწყო და ჩვენგან რას მოითხოვს.

გერმანულს ესწავლობდი სკოლაში. მეხუთე კლასში დაეიწყეთ და მაშინ კი არა, ახლაც მახსოვს: „ანნა უნდ მარტა ბადენ“. სახელმძღვანელოს ბოლოში აქვს პატარა ლექსიკონი. აგერ მაქვს წიგნი ჩანთაში და თუ მაგი მართლს გერმანელია, ამწუთს დავადგენ. ბოლოდან გადმოვშალე და ვეძებ რაღაც ისეთ სიტყვას, რომ თუ წაიკითხა და მიხვდა, ხელებით მანიშნოს, რას ნიშნავს. მე იქვე მიწერია ქართულად და მაგი მომატყუებს?

„მერცხალი!“

მერცხალია, აგერ, ქართულ-გერმანულად. მიმაქვს გადაშლილი წიგნი, ვუღებ თითს და ვანიშნებს, წაიკითხე-მეთქი.

შემომხედა, რა წერა-კითხვა გამომიგონაო, მაგრამ ფურცლებს მაინც დააჩერდა, ეგონა ნახატი იქნებოდა. რა ნახატი უნდა იყოს, ლექსიკონის გვერდია, და ისევ ამომხედა.

— ლემენც, ლემენც! — ავუხსენი, თუ გერმანელი ხარ, აგერ გერმანული ნაწერი-მეთქი.

რაღაცა იაზრა და გაშლილ წიგნს ორივე ხელით ჩააფრინდა. თითდადებული სიტყვა რომ ამოიკითხა, გაუხარდა, მარა რა გაუხარდა! გაშალა ხელები და აფათქუნა: როგორ არ ვიცი, ჩიტია, დაფრინავსო. ჩვენც გაგვიხარდა და სიცილი აგვიტყდა: „ჩვენი“ მერცხალი მათთანაც ჰყოლიათ და სკოლნათ-თქო, თუ საერთო ენა რომ ვიპოვეთ.

— მერცხალი, მერცხალი! — ვუძახით და ვაფათქუნებთ ხელებს.

ის გერმანულად იმეორებს:

— „რონდინ“, „რონდინ“... — და იქნევს მკლავებს...

სიხარულით კინალამ ცაში ავფრინდიო...

— რა წერია, ბებია, მაქანე ამნაირი?! — ბებია სიხარულზე სულ დაგვიწყებოდა და მოხუცს ვერაფერი გაეგო, ასე მოულოდნელად, ფრთები რამ შეგვასხა.

— გერმანელი ყოფილა ეს კაცი, ბებია, ლემენცი! — მივახარეთ ჩვენ.

— რავა, მანე არ თქვა თუ?

— მერცხალი ჰყოლიათ გერმანიაში.

— უყურე შენ!.. აჰა, ინდოეთში მიფრინავსო, რო ამბობენ...

— ა, კითხე ამ კაცს აგერ და გეტყვის.

გადაშალა წიგნი, გადმოშალა, გადაავლო თვალი და მაშინვე ისე გაგვიშინაურდა, თვითონაც ჯორჯოზე დაქდა. სახელმძღვანელო ტაბურეტზე დავიდეთ და ირგვლივ მე და ჩემი ძმა შემოვესწრაფეთ. ვკითხულობთ, ჩვენ ქართულად, ის გერმანულად და „ვმუსაიფობთ“. ამ ნედლ შეშას წყალი შეაშრა, მოახურდა თუ, სტუმარი რომ გვეყავდა, იგრძნო — შიშინებს, ტყაუტუნებს, იღუეება, მაგრამ იწვის. ჩვენც ვამბობთ, სანამ ჩანავლდებოდეს, რომ ამ უცხო კაცმა ხელი მოითბოს. ორ დღეს, მაინც, უნდა გვეყოფნოდა და ორ საათში დავფუშვდეთ.

გადაუღებელი, მუწუხი საქმე რომ ჰქონოდა, ჩვენი უნახაობისათვის, დარწმუნებული ვარ, არავინ დასჯიდა.

ეტყობოდა დიდი გზა ედო, თორემ დაღამებამდე არ აჩქარდებოდა. ბებიას, გამომშვიდობებისას, თავი მიწამდე დაუჯრა.

— ასე უწყალწმინდოთ, რაფერ გოუშვათ ეს უცხო სტუმარი... — ერთი სიკვდილი გაათავა ბებიამ.

ჩვენ ვაცილებთ. ჰიშკრიდან არ ჩამოსულა, ეტუბა, და ეზოს ბოლოში, ბებერი აკაციის ძირში, კბოდეზე რომ ალაგე გვაქვს, იქით მიდის.

— აქედან საიდან მოდი-მეთქი? — ვეკითხები და ვანიშნებ.

ხელი სამხრეთ-დასავლეთით გაიშვირა.

დასავლეთით ხონია, ხონთან ეჭვი და გუბი. სამხრეთით მალაკი, მათ შორის არც სოფელია, არც ქალაქი. მდინარე გუბისწყალი მოედინება. გამოღმა რაღაც ფერები უნდა იყოს, დარიანში თვალი ძლივს მიგვიწვდენია. ჩვენი სოფლის გადაღმა ჰაობებია, ჰი-

ლით და ლაქაშით დაფარული. ერთ-
ხელ ვართ ნამყოფი, ჭილოფს ვთხრი-
დი და წურბელა რომ კანჭებზე მეცა,
ძლივს მოვიცილე, ავიკეცე სველი შარ-
ვლის ტოტი, ჩავდე, მუხლამდე ავიკო-
ტავე და ბებიას მივუყვანე (მედიცინის
ნამდვილი პროფესორი რომ მიმეყვანა,
ისე არ გაუხარდებოდა).

იმ კაობიან მხარეს დამპალას ვემახ-
დით და იმას იქით იყო ის, რაღაც ფე-
რმები. უთუოდ იქ ჰყავდათ გერმანე-
ლი ტყვეები და იქიდან გვწვეოდა. რა-
ტომ გამოიარა ამოდენა გზა, ალბათ იმ
ქენჭყოებს შემოსავლელიც ჰქონდა,
მაგრამ რა სჯიდა ასეთ ამინდში, ამდენი
ველო და მაინცდამაინც ჩვენ მოგვდ-
გომოდა.

დაძახება რომ არ შეეძლო და ჩვენ
ძალი არ გვყავდა, ამიტომ ჩამოხედა,
თუ გული უგრძობდა, რომ ჩვენ გერ-
მანული „ვიცოდით“. თუ კაცში მტრის
დანახვა რომ არ შეგვეძლო...

რა გვქონდა, რომ პატივი გვეცა,
ისიც ასე უცხო სტუმრისთვის. (მაშინ,
ტყვეებზე მეტად ჩვენ გვიჭირდა). სხვა
დროს, მანამდეც და მას შემდეგ, თუ

რაიმე გაგვაჩნდა, არ გაგვაჩნდა, ყო-
ველნაირად ვცდილობდით, გვემასპინძ-
ლა, მაგრამ არ მახსოვს, ჩვენი ოჯახი
დან, მასზე კმაყოფილი ვინმე გაგვეს-
ტუმრებინოს. არც ახლობელი და არც
შორებელი.

ნეტავი ვიცოდე, ასეთი რა გავუკე-
თეთ!

ცრიატი წვიმა იყინებოდა და ეა-
მავდა საღამოს. ბუდღური, მტვერივით
რომ რიალებს ჰაერში და მიწაზე ეშ-
ვება თუ არა, თვალს ვერ დაატან. ყვე-
ლაფერს კი ასველებს, ნესტით ელენ-
თავს, ლუმპავს და თითქოს არც წვიმს.
არც ცაა ქუფრი, არც ჩამოხნელებუ-
ლია და შორს მაინც ვერაფერს ხედავ.

მიმავალი ნავენახარის ბოლოს რომ
გაუსწორდა, მოსახვევში გაჩერდა, მოგ-
ვიბრუნდა და მკლავები აიქნია —
„მერცხალიო!“

ჩვენ, კბოდზე გადამდგრებმაც, ავა-
ფათქუნეთ ხელები: „მერცხალი, მერ-
ცხალი“-თქო.

წავიდა და წავიდა.

გაფრინდა და გაფრინდა.

ტარიელ ჭანტურია

ლექსი და გუხარი

თუ სუფრაზე ვარგა ღვინო
და სუფრასთან — კაცად კაცი,
თუ ბუხარიც გუზგუზებს და
ცეცხლს გაუღის ტკაცატკუცი,
თუ კეცებზე კეცები დევს
და ხურდება კეცით კეცი,
მაშინ არის ბედნიერი
გულით — გული,
კაცით — კაცი!

თუ სუფრასთან ვარგა ქალი
და სუფრაზე მისი მხალი,
ვარგა მაზლი, ვარგა ქვისლი,
ვარგა სიძე, ვარგა რძალი,

თუ კისკისებთ, ბუხრიდან რომ
გავარდება ნაპერწკალი,
მაშინ არის ბედნიერი
ქალით — კაცი,
კაცით — ქალი!

ხაპი იხარშება ქვაბში.
წითლად იღველდება კუნძი.
ისმის ფიქრის, ისმის წიფლის,
ისმის იფნის ტკაცატკუცი!
„არ მიედივარ! — სამუდამოდ
უნდა დავრჩე ამ სადგურში!“ —
და იზრდება ბავშვობისთვის
დარდი ერთიასად გულში...

დიდი ხუროთმოძღვარი

(თხუთმეტი წლის წინათ რამაზ
კეჩაძესთან ნუბარის გახსენების ცდა)

დარიალი ყაზბეგის მთით ისე მაღალია!
საქართველო დარიალით — ისე ძლიერია!
დარიალი — საქართველოს ინტერიერია! —
მუდამ მომსვლელ-წამსვლელის რომ ისმის რია-რია!

საქართველო თვით სამოთხის ინტერიერია!
ედემისკენ მიმავალთა ისმის რია-რია!
აქ რომ ცხოვრობს? — ამ მთებზე მავარი ერია!
ამ კლდეზედაც კერკეტა და ძლიერი ერია!



საქართველო თვით სამოთხის ინტერიერია!
 აქ დღემუდამ ტურისტების ისმის რია-რია!
 სილამაზემ აჭაურმა გადარია რომბ,
 გადარია პარიზი და გადარია რიო!

შორეული სტუმრები რომ წამოვლენ და წავლენ
 და შინ როცა ქართველები მარტო დარჩებიან,
 დალაგება უნდა ამ სახლს, თორემ ქუჭყი წაგვლექს!
 დარეცხვა და გადაფენა — საბნებს ფარჩებიანს!

ბიჭიაა!..

გადასძახის ქუჩა ქუჩას,
 ხიდი ხიდს და
 დაბა დაბას:
 ულოცავენ ერთმანეთს
 დიდი ბიჭის დაბადებას!
 ულოცავენ ერთმანეთს
 ძმები ძმების, დები დების,
 დები, ძმების ნატრულები,
 დღეს, იმ ბიჭის დაბადების!
 უსურვებენ კაი დღის და
 კაი ღამის დაბედებას.

ულოცავენ ერთმანეთს
 ლომის — მხსნელის — დაბადებას!
 მიუჩოჩეს კუნძი კუნძს და
 კეცი კეცს და ტაფა ტაფას:
 მწვადებს წვავენ, მილოცავენ
 შეე მესიის დაბადებას!
 მოელიან მზე-ბატონის
 მშვილდოსანში დაბუღებას! —
 მშვილდოსანი დაერქმევა
 მის დღეს — მის დიდ დაბადებას!

• • •

ცას თავში ჩიტმა გაუელვა.
 ჩიტს თვალი ელვამ გაუელმა
 და ღრუბლის ტევრმა გაუვალმა —
 ირხვეა ასი ტოტი!

მეც გულში შიშმა გამიელვა —
 შიშმა პაწიამ, წამიერმა.
 ჩანს უჭუხილო სამი ელვა!
 (მოსკოვს მიფერინავთ „ტუ“-თი)...

სახელი. ეჭვი. სინანული.

ჩვენ ჩვენს პლანეტას დედამიწას ვეძახით!
 მაგრამ რას ვეძახიან ჩვენს პლანეტას ისინი,
 შორიდან რომ გვითვალთვალუბენ,
 გვაკვირდებიან ელექტროტელესკოპებით და
 გულმოდგინედ სწავლობენ დედას ჩვენსას —
 მის ორბიტას, მასას მისას,
 მის ხნოვანებას...

იქნება სულაც უსახელო პლანეტა ვართ მათთვის,

2. „მნათობი“ № 3.

ქ. შარჭიის საბ. საქ. სსრ
 სახელმწიფო რესპობლიკა



ან ღვაწლმოსილი რომელიმე მათი პოეტის
პატივსაცემად ჩვენც პოეტის გვქვია სახელი!
აღბათ რამდენს კამათობენ ჩვენს გამო:
შეიძლება თუ არა იყოს,
არის თუ არა ჩვენს პლანეტაზე
ცივილიზაცია..

მათ კი არა და, მეც ეჭვი მეპარება ზოგჯერ —
არის თუ არა დედამიწაზე ცივილიზაცია:
ტანკის გრუხუნის და ყოველი ბომბის გასკდომა
მავაგებს ეჭვით და სინანულით...

• • •

აუჰ, რა კარგი დარია! აუჰ, რა კარგი დარია!
აღსარება მომენატრა გულჩათხრობილ გიტარის!
კოტეჯის წინ მოშრიალე მარტოხელა კედარი
მარტოობამ გადარია. გადარია. გადარი...

მერცხალივით მოაკითხა წელსაც შარშანდელ ბინას! —
ბნელ სიღრმეებს მიელტვიან დელფინი და დელფინა,
წარსულივით დაიბრუნეს სითბო შარშანდელ ბინის,
ტრიალებენ.

ტრიალებენ
, დელფინა და
დელფინი!

აღსარება მომენატრა გულჩათხრობილ გიტარის,
ქება ატმის ყვავილის და ქება ამ კარგი დარის!
— რას შრიალებს, მაცოდინა, რას ჩურჩულებს კედარი!
— მარტოობამ გადარია. გადარია. გადარი...

ორთაქალის ტურფა

„ია ნა ტროიკე პოლუბიანა...“
და გვერდით შენ, ლოპიანა!
თვის ბოლოკი, მურწა, მწვადი! —
განა რძე და ლობიანა!

გაჯავრება გიყვარს მუშტრის!
დაჯახება გიყვარს მუშტის!
რატომა ხარ ასე ლალი,
ესე იგი ასე კუშტი!

ცა შენია — ცაში ჩიტი!
ზღვაც შენია — თევზი დიდი!
გაგედე და მუშტი დაკრა —
დაიქცევა მტკვარზე ხიდი!

არა უშავს! — მეც შენსავით გიყვი ვარ!
თვალს გაახელ? — ზედ წამწამზე
გიზივარ!



• • •

კვლავ დაიფარა მიწა მოლით.
 ატმის ყვაელით — შეწამულით.
 სტენოკარდიით გაბეზრებულს
 სხვა არც მინდოდა მე წამალი.
 დასცქერის ვაზებს შეუწამლავს
 ცა, შაბიამნით შეწამლული!

მიწას, უძინარს, გადალალღვს
 ისევ მოგვარა ზეცამ რული!
 მზე, ლულასავით მოშვერილი...
 წერა გავხდები მეც ამ ლულის...

მკურნალი გულის მოწამლულის —
 ცა, შაბიამნით შეწამლული...

• • •

სწორი გითხრა, გამაკვირვა
 ცისარტყელის ხასხასმა:
 მთელი დილა ენთო ცაზე,
 როგორც ღმერთის ხაზგასმა...
 არა! — ამ დროს როგორ უნდა
 აწუენინოს კაცს კაცმა!
 ლამის დამარტყიანა
 შვიდი ფერის ხასხასმა!

დაინახა ეკუნიამ,
 უცინა და უცინა!
 (ცისარტყელა ჩანდა, როგორც
 უფლის რეზოლუცია!)
 უცინოდა ეკუნია
 ცისარტყელას! ის კიდევ
 თითქო იყო ნება ღვთისა,
 მიწერილი ცის კიდეს...

ლექვის ტოტი ქარში

გამოზრდილი ლექვის რძით და მაწვნითა და დოთი —
 შრიალებდა გაზაფხულის ბიჭუცელა ტოტი!
 სამეგრელოს სანახებში გაჰკიოდა ჭოტი! —
 ხმა არ ეყო — ვერ აეღო უმალლესი ნოტი.
 ჯერ — დარეცხა ჩანჩქერები საპნითა და სოდით,
 მერე — სულ დააუთოვა ვარვარა უთოთი!
 შრიალებდა, შრიალებდა ვარდობისთვის ტოტი:
 — გეხვეწები, გევედრები, გელოდები — მოდი...
 მომღერალი, მოცინარი, მოტირალი, მოტი...
 მოტირალი, მომღერალი, მოტიტინე, მოტი...
 შრიალებდა, შრიალებდა, შრიალებდა ტოტი:
 — გელოდები... გეხვეწები... გევედრები... მოდი...



ზურაბ ლორთქიფანიძე

ხარ ათასობით ბავშვის აღმზრდელი...

ოქტომბრის რაიონმა საბავშვო ბაგა-ბაღის მას-
წევლებს მავალა ლორთქიფანიძეს მოღწეო
შეხვედრა 50 წლის მოღვაწეობის თავზე.

შენაც განიცდი ერის სატკივარს,
ამ ფიქრით გნახე გულდაწყვეტილი.
გამრავლებული ჩვენი ბავშვების
გესმას ქლურტული და ხმა კეთილი.

ხარ ათასობით ბავშვის აღმზრდელი
შენ, შენი ერთიც არ მოგცა ბედმა.

მაგრამ დედობის ყველა სიკეთე
ბუნებამ შენთვის გამოიმეტა.

მაშ, დღეგრძელობა ერის სიმრავლეს,
თქვენი ამაგით ვალში დავრჩებით.
სიბერეს შენსას იჭერენ გზაზე
და არ უშვებენ შენსკენ ბავშვები.

ჩემი ბავული

შხეს ყველაფერზე ძლიერს და
(ასე მაქვს გულში ჩათქმული).

სამყაროს ურყევ დედაბოძს
მოვაბა ჩემი მამული.

ისე მიყვარდი

ისე მიყვარდი, ვერ გაგიძელი,
გადაგეკარგე, მოგწყუდი თავიდან.
რალაც საოცარ და სათაყვანო
ტრფობაში მყავდი მიტოვებული.

იმ პირველ დღესვე გიგრძენ რაც იყავ,
რა მომზიბლავი, რა სათაყვანო.
ყვაოდი, შლიდი გაფრენილ ფურცლებს
და ისტორიის ფერებს მასვედი.

ის ხეივანი დამამახსოვრდა
ქარში ანთებულ კელაპტარებად.
ალარ არიან, ალარ მოჩანან,
მაგრამ ხსოვნაში კვლავ შრიალებენ.

ის ხეივანი უჩინარ მხატვრებს
ამ სიერცეებზე გადაუხატავს.
ეხლაც აჩნია ცრემლიან ჰაერს
შიშველ ტანით და შიშველ ტოტებით.



ვიყავი მათთან, მათ დღე-ღამეზე
 ელოცულობდი და ვუდარაჯებდი,
 და ნათღებოდნენ სილუეტები —
 მამულის ჩემის აღორძინების.

რიონის ტალღად გეშეფებოდი,
 მტკვარში, ვუსვებდი ოცნების ნაევებს.
 მტკვაოზე, რიონზე შეერულ ტივებით
 ვლამობდი მუდამ შენთან მოღწევას.

გათავდა მგონი წილადობილა,
 ყოველივესი მოსეკლა ზღაპრიდან.
 კვითხით ვიბიჯებე წინაპრის გზაზე,
 ჩინის ქალამნით მოვდივარ, აჰა!

სადაც არ ვიყავ, ვერ ვიგრძენ მალა
 ვერსად უშენოდ ვერ მოვისვენებ
 ვერსად სიცოცხლე ვერ დავასრულე,
 მიტომ აქეთვე მოვეშურები.

რა არი ჩემი მოსვლის მიზანი?
 ასე გულს რისთვის ამეკვიატე,
 აღარ მასვენებ, აღარც მაძინებ,
 ცხელ სიყვარულად სულში მეშლები.

ახვა ნურაფერი ნუ შემეხება,
 ნურვინ ჩამიჭრობს ამ ტრფიალს უქმად,
 მსურს ჩემს მიწაზე ჩემი ხელებით,
 ო, მოწეული გაესინჯო ლექვა.

დედამიწიდან ჩამოვჭერი მიწის ნაჭერი

დედამიწიდან ჩამოვჭერი მიწის ნაჭერი,
 რომ სიყვარული დედამიწის არ დამვიწყნოდა.
 ფერღზე მივწეპ და სიყვარულის ზღვას ჩავაცქერდი,
 შემოვიყაემ სიყვარულსე მწვანე მინდორთა.

ტყეების მწვანე ნაწნავები მწედებოდა მხრებზე,
 ხეში წისქვილმა დამიძაბა სარეკელათი,
 სოფლის მდინარე პოელობდა მომხრეს მომხრეზე,
 შენ აღარ ჩანდი და ამიტომ ჩემად ვლელავდი.

ტანთ მეწებება წინაპართა ლამაზი ლანდი,
 ჩემა სულს ფრთოსანები ეზიდება ანკარა ცაში,
 ყოველდღიურად დღეში თითო იმედს ვკარგავდი,
 შენ მიგროვებდი, დედამიწავ, ყოველგვარ დარში.

უერი მიუგდე მიტოვებულ სივრცის სიჩუმეს, —
 იგი ჩემა სხეულს შეეზარდა ჭანსალ სხეულად.
 კედელ-უურედან ფრიაშლით ცა გააყრუეს,
 ვხედდე ღობეებს, თხების რქებით გამორღვეულა.

გადმომდგარიყო აივანზე აგიაშვილი, —
 ბებიაჩემი თაემორთული ჩიხტიკობითა.
 ცოც წყაროს აერზე შეაჩერა ბაბუამ ცხენი
 და ხელმოჩრდილვით ძლივს მიცნო და ქშენით მოვიდა.

მათი ხილვისაა წამოვიჭერ მშობელ მიწიდან
 და მორჩილებით ფართო-მკერდზე ავეკარ მათ ლანდს.
 ხშირი ცაცხეების ხეივანი მღეროდა ცაში
 და ფერად ფოთლის დალალები ეფინა კართან.



ლადო სულაბერიძე

ზღვისკენ მიმავალი გზები

რომანი

ბავი

ჩემდაუნებურად გამახსენდა, საშუალო სკოლაში რა კარგი მასწავლებელი მყავდა გერმანული ენისა და მიუხედავად იმისა, რომ ბეჭითი მოსწავლე ვიყავი, მაინცდამაინც გერმანული ვერ ვისწავლე ხერიიანად. ხუთიანს კი მიწერდა ყოველთვის, მაგრამ ახლა, აგერ რომ დამჭირდა, აღარ მეყო ის ცოდნა. არა, მასწავლებელი რა შუაშია, ის გერმანელი ქალი იყო და გვიყვარდა კიდევ მოსწავლეებს, დიდი რიდი და მოკოძიალება გვქონდა, მკაცრი და წესრიგის მოყვარული, ჩვენთან დამოკიდებულებაში უშუალო და ბუნებრივ სიტუბოს გამოასხივებდა, ჩვენ ყველანი ვგრძნობდით ამას და მისი გაკვეთილი გვიყვარდა, თუმცა უცხო ენის სწავლა გვიჭირდა, მაგრამ რაც შეგვეძლო, ვცდილობდით. ამას, ალბათ, თვითონაც ამჩნევდა და ხანდახან საშინაო დავალებების რვეულში თუ ჩაუწერდა რომელიმეს ორიანს, თორემ წლის ბოლოს, არ მახსოვს, ვინმესთვის ორიანი გამოეყოლებინოს. არც არავინ დაუტუქსავს უხეშად, ხმამალლა ლაპარაკი და მითუმეტეს ყვირილი არ უყვარდა. გაკვეთილზე ჩურჩული თუ შემოესმებოდა,

იქით არც გაიხედავდა, საუბარს შეწყვეტდა, სარკმელს მიაჩერდებოდა, მკლავებს მკერდზე გადაიჯვარდინებდა და ერთხანს გარეთ, ფანჯრის ახლოს ნიაცეში ფოთლებადფართქალეულ ქაღალდს უცქერდა. როგორც კი ჩურჩული შეწყდებოდა, შემობრუნდებოდა და განაგრძნობდა გაკვეთილის ახსნას.

გვიან მივხვდით, ამას რომ განგებ აკეთებდა, აქაოდა, შენი საჩურჩულო თუ უფრო მნიშვნელოვანია, ე, ბატონო, იჩურჩულე და გერმანული ენის საიდუმლოებას მერე ავიხსნო. რა თქმა უნდა, ამას რამდენიმე ბავშვი მივხვდით თავდაპირველად, მერე მოჩურჩულეებსაც გავაგებინეთ და ამიტომაც იყო, გერმანულის გაკვეთილზე ჩვენს საჯალსო ოთახში ბუზის გაფრენასაც გაიგონებდი.

თურმე რა გეჩურჩულედა, ყური უგდე ამნაირ მასწავლებელს და ექვსი წლის განმავლობაში სალაპარაკოდ მაინც შეისწავლი უცხო ენას.

— ბუდუ!

მადლობა ღმერთს, არჩილის ხმა გავიგონე, ინგა მასწავლებელზე ფიქრი ფიფქებივით შემადნა, გერმანელს ისევ მაგრად ჩავეიდე ხელი და არჩილს შევძახე:

— ავდგეთ ახლა და აქაობას გავეცალოთ.

— ჰო, ჰო, მომყევი. წამძინებია, ვერ გამალევი?

— რა ვიცი, სად აგდინხარ, ვერ გხედავ. ამას კიდევ ხელი ვერ გავუშვით.

გერმანელი წამოვყევენე, ხელი ჩავეკიდე და არჩილის ფეხის ხმას მივყევი. კარგა ხანს ვიჩნაყუნეთ ბრძემბივით. ხან არჩილი შემომძახებდა, ხან მე შევეხმინებები და ასე ვცდილობთ ერთმანეთი არ დავეკარგოთ.

ანაზღად შორს მიბეთუტულ შექს ვკვიდე თვალი.

— არჩილ!

— რა იყო?

— ბებია ანამ ხო თქვა, მთელ ღამეს შექს არ ვაჭრობო?

— კი თქვა.

— ისიც ხო თქვა, ამ არემარეზე ჩემს მეტი ხატებში არავინ ცხოვრობსო?

— ეგეც თქვა.

— ჰოდა, თავს მოვიკლავ ახლა, ეგერ შეუკი რომ გამოკრთის, ბებია ანას ხატა თუ არ არის. ვინ თქვა, ამქვეყნად სასწულეები არ ხდებო.

— სად ხედავ, ბიჭო, შექს?!

— ახლა შენ მომყევი და მე მიგიყვან იმ შექსთან.

შექს მივაპირდაპირე. მალე ხატას მივადექით. ობოლა ჭიშკართან შემოგვეგება, მაშინვე გერმანელს მიაცხრა და შინელის კალთაზე კბილებით ჩააფრინდა, დაითრია. შეშინებული გერმანელი ბეჭებზე ამეკრა და მკლავი მომხვია. ძლივს მოვაშორე ობოლა. ამა-სობაში ხატას კარიც გაიღო და კართან მომდგარმა ბებია ანამ შემოგვძახა, ვინა ხართო. ხატაში შევედი და ტალახში ამოგანგულეები რომ დაგვინახა, ბებია ანამ შეიცხადა:

— ხომ გეუბნებოდით, დილაძდე დარჩით-მეთქი. რას დამგვანებინხართ, თქვე საცოდავებო?! ეს ვილა არის?!— გერმანელს მიაჩერდა ბებია ანა.

— ტყვეა, გერმანელი, — ეუპასუხე მე.

ბებია ანამ მხრები აიჩეჩა, მაგის ჭიში გაწყდაო, ჩაილაპარაკა და მერე დაგვიცაცხანა,

— ჩქარა გაიხადეთ, თქვე ბედობლა თებო, ღუმელზე შეცვივდიო ბი გაითბეთ.

გერმანელი ღუმელთან მივაგდე. აღი-მეთქი ზემოთ, სიტყვები ზოგი გერმანულად, ზოგი რუსულად და ზოგიც ქართულად მივახალე. აცოცდა ღუმელზე და მიწვა.

ტალახიანი, სველი შინელები და გიმნასტურები გავიხადეთ, კერზეს ჩექმეში წავიძირეთ.

მე და არჩილი ღუმელზე ავძვევრით.

— რა გარეცხავს ახლა ამათ?! — ქოქოლას გვაყრის ბებია ანა.

მივწეკით თუ არა თბილ ღუმელზე. — მე გერმანელის გვერდით აღმოვჩნდი, — გერმანელმა ჭურციკივით ისკუპა და ღუმელიდან გადახტა. ვისკუპე მეც და ტყვეს ქამარში ჩავაფრინდი. ბებია ანას ცალ მკლავზე შინელები გადაეკიდებინა, მეორე ხელით ჩექმეში უჭირავს. კართან მისული შემობრუნდა და გოაცებულმა შემოგვხედა.

— მე ვერ დავწევი ამთ გვერდით!

— რუსულად მიახალა გერმანელმა ბებია ანას.

ბებია ანამ ჭერ მე შემომხედა, მერე გერმანელს მიაჩერდა, აახედ-დაახედა. გერმანელის რუსული რომ გავიგონე. სახტად დავერჩი, გამიკვირდა, რუსულად რომ აღაპარაკდა.

— რა ხართ ეს ქართველები! — ჩაიჩიფჩიფა ბებია ანამ, — ჯოჯოხეთშიაც ვერ ძლებთ უქალოდ. მაგის სინსილა გაწყდა, მაგის... ყველაფრის ღირსი კია, მაგრამ ამ კუნაპეტ ღამეში, ერთმანეთში ათქვეფილ ცასა და მიწაზე სად მიაგენით?!

ახლა მე მივაშტერდი გერმანელს.

— გზა აგვენა და ამის მიწურს მივადექით მოულოდნელად, — ამოვილულულე, ტყვეს ქამრიდან ხელი გავუშვი და არჩილს ავხედე: ის ღუმელზე წევს და ხმას არ იღებს.

— მეც მაგას ვამბობ. — ვანავრობ ბებია ანამ, — გზაბნეტლებიც მაინც დამაინც ქალს რო უნდა წააწყდეთ ქართველები... ახლავე გავკრიო გარეთ,

ჩემ ხატაში როგორ შემოიყვანეთ ეს კახბა, გაათრიეთ გარეთ და იქ ებლლარ-ქნეთ.

— არა, ბებია ანა, არც კი ვიცოდით, ქალი თუ იყო, გზა აგვენბა და...

— იძახე ახლა, გზა აგვენბა, გზა აგვენბანო, ჩემი ხატასაც რატომ აღარ აგვენბათ გზა?! ეს რუსულის მცოდნე გერმანელი მაინც სად იპოვეთ?!

გაწიწმატდა ბებია ანა, აღარ მომისმინა, გერმანელს მიმართა, გამომყევი, ეგვები მაინც გამარეცხინეო და კარის-ქივ გაემართა. გერმანელიც მორჩილად მიპყვა მას.

მე გაოგნებული ვდგავარ ნიფხავ-პერანგის ამარა. ბებია ანა და გერმანელი გარეთ გავიდნენ თუ არა, არჩილის ბარაქიანი ხვრინვა შემომესმა. ერთბაშად გამოვერკევე. გამოვერკევე კი არა, აღარაფერი გამეგება — რა იყო ეს?! სიზმარი თუ ცხადი?! ეს ნადირი მაინც რამ ჩააძინა ასე უცებ?! არჩილ მღებრი-შვილო, მე აქ რა დღეში აღმოვჩნდი და შენ კი ხვრინავ! კვახის ლერწი ხომ არა გაქვს ყელში გაჩხერილი, სტვენაც რო ამოსდევს მაგ შენს ხვრინვას?!

ბებია ანამ რაები მკადრა?! არც მომისმინა, თავისი გუმანი ამოღერდა და ამოღერდა. რის კახბა, რა კახბა! კახბას ჯერ არც კი გავკარებდევარ, კახბა კი არა, გოგოსთან ტანგოს რო ვცეკვავდი, ნახევარი არშინით ვიყავი მოშორებული მის მკერდს. რუსული კი სცოდნია ამ ოხრ გერმანელს და რამ დაამუნჯა, ვერ თქვა, ქალი თუ იყო?!

ეგლა გვაკლდა ახლა მე და არჩილს.

წინა ხაზიდან გამოვიჭყეით, მთელი ღამე უგზო-უკვლოდ დავეთრევით, გათენდება და თვალბამღვრეულ მაიორთან მივალთ, არჩილმა კი ჩაიბურდღუნა წუხელ, ტყვეს რო მივიყვანთ, იქნებ გაქცევა შეგვინდონო, მაგრამ ტყვეს კი არა, ქალს რომ მიუგდებ, ვინ რა იცის, რას იფიქრებს მაიორი?!

ხო არ დაგვიჯერა ბებია ანამაც კი? ხო არც მომისმინა? მაიორი მოგისმენს? დაგიჯერებს? თავს გადაგვხვდა ყველაფერი ეს და, რა თქმა უნდა, სინამდ-

ვოლეა, მაგრამ სხვა დაგიჯერებს? მაიორი, რომელსაც იქ, წინა ხაზზე ტყვეები და ბომბები ეყრება თავზე წარამარა, დაგიჯერებს ამ ზღაპარივით მომხდარ ამბავს?!

ამ მდგომარეობაში რომ ვართ, რამ დააძინა ეს მართლა ნადირი! მთლად დავიბენი. ვალენჩებული ვდგავარ ლუმელთან ნიფხავ-პერანგის ამარა და ვერ მომიზარებია, რა ვქნა, რა მოვიმოქმედო.

უცებ ისე ამოიხვრინა არჩილმა, თითქოს იღრზობაო. თოფის წამალივით აფეთქდი. არა, კი არ გავბრაზდი, არჩილს ჯერ ჩემთვის არაფერი უწყენინებია, არ შემძლია მე არჩილზე გაბრაზება, მაგრამ ახლა იმას რო ღრმად ძინავს და მე ამგვარ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, ჩემთვის უჩვეულო მდგომარეობაში, უძიოსოდ აზრის მოკრეფა გამიჭირდა და ამან გამაცეცხლა.

ავხტი ლუმელზე და რაც ძალა და ღონე მაქვს, არჩილი შევანჯღრიე. ზურგზე გაშოტილმა გვერდიც არ მოინაცვლა. ბოლოს ხვრინვა შეწყვიტა და ეგრევე ზურგზე მწოლიარემ თვალები გაახილა.

— გათენდა? — ამოიღუღღღა არჩილმა.

— ეაცო, ქალი ყოფილა, — ჩავძახე მე.

— ვინ ყოფილა ქალი? — არც განძრეულა, ისე მკითხა.

— ვინა და შენი გერმანელი.

— მერე?

— რა მერე?

— რა მნიშვნელობა აქვს ქალია თუ ეაცი, გერმანელი ხომ არის?

— რა ვიცი, რუსულად აღაპარაკდა და იქნება გერმანელიც არ არის.

არჩილი წამოჯდა. მე სულმოუთქმელად განვაგრძე:

— ბებია ანამ დამტუქსა, ჩემს ხატაში კახბა როგორ შემოიყვანეთო.

არჩილმა გარშემო მიმოიხედა.

— სად არის?

— ვინ?



- გააგდეო?
- ვინ გაუაგდეო?
- ვინ და ის ქალი?
- ბებია ანამ გაიყვანა, ტანისამოსი გამარეცხინეო.

— გაგიედი! რომ გაიქცეს?!
 არჩილი ელდანაცემივით გადმოხტა ღუმელიდან და იმ დროს მიძუნძულდა კართან, როცა კარი გაიღო და ბებია ანა და გერმანელი ჩვენი შინელებით ხატაში შემოვიდნენ.

არჩილი უკან გამობრუნდა. ღუმელზე აებობლდით.

ბებია ანამ ტანისამოსი ამოგვიყარა.
 — გინდათ გააშრეთ და გინდათ ეგრევე ჩაიციოთ. მალე გათენდება.

გერმანელი მიუპატივებლად კუთხეში ტაბურეტზე ჩამოჯდა.

შარკლები და გომნასტურები სასწრაფოდ გადავიციოთ. ღუმელიდან ჩამოვედით და ტამბორში გასულ ბებია ანას ოთახიდან გავძახე:

— ტყუილა გაგვიწიწმადით და უსაფუძვლოდ შეგვილანძლეთ ქართველობა.

არ ვიცი, მისმენს თუ არა, მე მაინც ვუამბე ჩვენი ამლამდელო ოდისგა.

არჩილი მაგიდასთან ჩამოჯდა მერხზე. ბებია ანას ხმა არ ამოუღია. მე ტაბურეტზე ჩამოსულებულ გერმანელს მივახერდი, ქუდი მოეხადა და ბეჭებამდე შეჭრილი ქერა თმა სანთლის შუქზე ბზესავით ულიციციებდა. ერთი ბლუჯა თმა მარჯვენა ყბაზე ჩამოფენია და მარჯვენა თვალ-წარბსაც ნახევრად უფარავს. ფეხი ფეხზე გადაუდგო და თითებგადაჭვარედიანებული ორივე ხელი მუხლისთავეზე უდევს.

არჩილს გავხედე, თავი ჩაუქინდრია და ცერა თითის ფრჩხილით მაგიდას ფხაჭნის.

— არჩილ, ა, ვინ გყოლია ზურგზე აკიდებული.

არჩილს არც გამოუხედავს, მაგიდის ფხაჭნას განაგრძობს.

მე ისევ გერმანელს გავხედე. უცებ წინ, ქამარზე პისტოლეტის შავ ბუდეს მოვკარი თვალი. ტანში გამცხრილა.

ჩვენ ჯერ არავითარი იარაღი არ გავგანჩნია, იქ, ნაწილში მოგვეცემენ გვიტოვებენ ხრეს არმიის შტაბში.

ავტორის ჩანართი

ოცდაათეუთმეტი წლის შემდეგ შევუდექი ბუდეუსა და არჩილის თავგადასავლის აღწერას. ბევრი რამ ჩემი ფრონტული ცხოვრებიდანაც მაგონდება.

მეც აგრე შემემთხვა, არმიის შტაბიდან ნაწილში, წინა ხაზზე უიარალოდ გავვაგზავნეს თორმეტი მეთაური. იმ დროს მივედიოთ, როცა წინა ხაზის სანგრებიდან განადგურებული და სისხლდაცილი ბრიგადა უკან, პოზიციის მესამე ეშელონზე გამოჰყავდათ დასასვენებლად და შესავსებად. ორი თვის პოზიციურ ბრძოლებში გააწამებულმა ჯარისკაცებმა და მეთაურებმა მთელ ღამეს ლასლასით იარეს. ბრიგადა ისე შეთხლებულიყო, მისი პირადი შემადგენლობის ერთი მესამედიც აღარ იყო დარჩენილი.

ორიოდე დღეში ბრიგადა მიჩენილ პოზიციაზე ჩასანგრდა. ახლად მისული მეთაურებიც ბატალიონებში გავვანაწილეს. ჩემმა ასეულის მეთაურმა ოცეული ჩამაბარა. ოცეულში თორმეტი ჯარისკაცილა იყო. როგორც კი შევხედე მათ, ზაფრა მეცა — მე ამათ როგორ ვუმეთაურო-მეთქი. ახლად დამთავრებული მქონდა სამხედრო სასწავლებელი. ოცეულისთვის ხერიანად სამწყობრო მეცადინეობაზეც არ მიმეთაურნია. უცებ ბრძოლებში ჩაბმა რომ მოგვიხდეს, როგორ გავუძღვე ამ ათას ჭირ-ვარამ. გამოვიღო ჯარისკაცებს-მეთქი.

გაუპარსავნი, ჩაწვირიანებულნი, ბორცვს მოფარებოდნენ, მარტის უღიმ-ლამო მზეზე ზოგი გარღვეულ ან აგლეჯილ ფარაქას აკერებდა, ზოგს ზედა ტანის სამოსი გავხადა, ზოგი წამოხრდილ წვერს იპარსავდა. ამ დროს მიმიყვანა მათთან ასეულის მეთაურმა. ისინი არ წამომდგარან, არც ასეულის მეთაური მიძალბება საამისოდ, ვააცნო

მათ ჩემი თავი და წავიდა. აღმაცერად შემომხედეს, ერთმა მეზღვაურმა თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა, კეთილი იყოს შენი მოსვლაო. საზღვაო ბრიგადა იყო, ქერჩში მეზღვაურებისაგან დაკომპლექტებული. ოცეულში სამი მეზღვაური იყო. შემორჩენილი.

ორიოდღე დღეში ოდნავ სული მოითქვეს და ნელ-ნელა გამოშინაურდნენ. მკერდბანჯგვლიანმა მეზღვაურმა აგრეც კი მითხრა, ნუ გეშინია, ლეიტენანტოო. რა შემამჩნია შიშისა, არ ვიცი.

ორი კვირის შემდეგ მივიღე ოცეულის შეესება — ოცი ჭარისკაცი. გავოცდი, უველა უიარაღო იყო. ასეულის მეთაურმა მათთან ერთად ბრძანება დამიტოვა, რამდენიმე დღეში შეაიარაღე თოფებით, ღამით გადიო წინა ხაზზე, იქ დახოცილთა თოფები ეყრება და შეაგროვეთო. დამიტოვა ოცი უიარაღო ჭარისკაცი და ეს ბრძანება. ძველმა ჭარისკაცებმა შემატყვეს, რომ დავიბენი, მკერდბანჯგვლიანი მეზღვაური წამომეშველა მაშინვე, ამაღამვე წავალთ ჩვენ ააშნი — მეგობარ მეზღვაურებზე მიმანიშნა — რასაც მოვიხელთებთ, მოვიტანთო.

აამი ღამე დაეხოხავდი მათთან ერთად წინა ხაზზე. ათი თოფი მოვაგროვეთ, ზოგს საეცტი არ ჰქონდა, ზოგის ჩახმაზი იყო მოშლილი, ლულები ჩაყანგული ჰქონდათ, ვაივავლახით საველე სახელოსნოში გავმართეთ ეს თოფები, დანარჩენი დაგვიმატეს და ასე შევაიარაღე ახალი ჭარისკაცები.

ამ ღამეში სამმა მეზღვაურმა მეგობრობის, გულადობისა და მოხერხებულობის იმგვარი მაგალითი მიჩვენეს, რომლისნაირიც ჩემი სიცოცხლის გზაზე არასოდეს მინახავს.

მერე ისიც გამოირკვა, რომ რამდენიმე ჭარისკაცს საერთოდ თოფი არც აუღია ხელში, მობილიზაციისთანავე პირდაპირ ფრონტზე გამოეშვათ. ჩემი ოცეულის სანგრებს უკან გვარიანად დამრეცი ფერდობი იყო, იქ ვეპარჩი-

შე ისინი თოფის შემარჯებელი და სროლაში.

ეს ამბავი თავად გადამხდა თავს. ახლა მიეყვით ჩემი გმირების თავგადასავლის თხრობას.

არც ვაცოე, არც ვაცხელე, მყისვე მიევარდი ტყვეს, ბუღეს ვეცი, გავხსენი და შავი პისტოლეტი ამოვიღე ბუღიდან. ქალმა ცივად შემომხედა.

არჩილთან მივედი და პისტოლეტი მაგიდაზე დავუდღე. ფრჩხილით მაგიდის ფხაქანს თავი მიანება და პისტოლეტს დააჩერდა.

— პისტოლეტი ჰქონია, — რაღა ჩემი თქმა იყო საჭირო, ისედაც ხო ხედავს არჩილი ლაღლაპა იარაღს, მაგრამ დაბნეულმა მეთი ვერაფერი მოვახერხე.

— ვხედავ.

— რო ესროლა?!

— ვერ მოახერხა, ალბათ.

— ჩემს ხელში მოქცეულ ხელს ექაჩებოდა მუღამ, კიდევ კარგი, არ ვანებებდი. რო გამეშვა ხელი, ხო გვესროდა?!

— ქალია და ვერ გვესროდა.

— აბა, რად ჰქონდა ქაშარზე ჩამოკიდებული?!

— წესია და ეკეთბ.

— თუ კაცი ხარ, არჩილ, გამაგებინე, რატომ არ გვესროლა?!

— ხო გითხარი, ქალია და იმიტომ. საცა დავიჭირეთ, იქ ვერ მოასწრო, მერმე შეაქვესკნელა ღამეში დიაცი კი არა, მეთოფარიც ვერ მოგვახვედრებდა ორივეს ზედიზედ, ჰკვიანი ქალი ყოფილა, კიდევ რომ ესროლა, მერე სადღა უნდა წასულიყო, მაგან რა იცოდა, ჩვენ რა იარაღი არ გვექონდა?

ობოლა ხან არჩილთან გაწვებოდა მუცლით იატაკზე, ხან გერმანელთან მიიჭრებოდა და წინ დაუყუნცდებოდა წინა ფეხებზე შემართული, თავაწეული. წელან ჰიშკარში რომ შემოვედით, მაშინვე გერმანელს წააფრინდა შინელის კალთაზე, კბილებით დაითრია კალთა, ძლივს მოვაშორე. მერე სულ გარშემო უვლიდა თვალანთებული.

ახლაც, არჩილი რომ ლაპარაკობდა, ობოლა გერმანელის წინ იჯდა თავშემართული და ქალს მიჩერებოდა.

— ბებია ანასთეის რომ ესროლა, მერე რომელ ქვესკნელში ჩავმძვრალიყავით?!

— იქ ობოლაც იყო და ვერ გაბედა.

— ობოლასაც მიაკლავდა ზედ.

— კარგი, ბუდუ, თავი დამანებე. გამომძიებელივით რომ ვარაუდობ, რომ ესროლა და რომ ესროლაო, გული ნუ გამიწვრილვ. არ გვესროლა და მორჩა. რა ვიცი, რატომ არ გვესროლა. თუ ძალიან განტერესებს, ე, მანდ არის და თვითონ მას ჰკითხე, მით უფრო, შენც იცი ქუთაისური გერმანული და მაგასაც სცოდნია რუსული.

ბებია ანამ ტამბორიდან შემოგვძახა, მალე გათენდებო, თვალი მაინც მოატყუეთ, წაიძინეთო, მაგრამ ჩვენ ძილის თავი აღარა გვაქვს. არჩილს პისტოლუტით თავი რომ მოვაბეზრე და გაგულივებულმა შემომღრინა, თავი დამანებეო, ბებია ანამ კარი შემოაღო და მკრთალად განათებულ ოთახში შემოვიდა.

გერმანელი ზის გარინდებული, ამჯერად უკვე მუხლებზე იდაყვები დაუყრდნია და ხელისგულებზე თავი ჩამოუდგია. ქერა თმის ზოლი უფარავს ყბაზე მიდებულ თითებს. მალა თავშემართულმა ობოლამ ერთი კი გამოაჩხედა ბებია ანას და ისევ თავჩაქინდრულ გერმანელს მიაჩერდა.

ნეტა ამ საცოდავი ძაღლის გულში ჩამახედა ახლა. ასე რომ მიაცივდა გერმანელს, ნუთუ უცხოოდ იგრძნო და მხოლოდ ამიტომ? თუ ის სიმწარე გაახსენდა, რაც ამნაირმა ფარაჯიანმა ადამიანებმა მიაყენეს? ეს ქალი, რა თქმა უნდა, არ ერია იმ გერმანელებში, რომლებმაც ობოლა აწამეს. ნუთუ ფარაჯის ფერი დაიმახსოვრა? კი მარა, ჭიშკარში რომ შემოვედით, ისე ბნელოდა, ფარაჯის ფერი როგორ გაარჩია, მაშინვე რო ეცა გერმანელს? ჩვენც ხომ უცხონი ვიყავით, როცა პირველად მოვედით აქ. მალე გაგვიშინაურდა. ამ გერმანოსს კი ჰიჯრად მიაცივდა და სრულე-

ბითაც არ ეტყობა, რომ მალე კი არა, საერთოდ გაუშინაურდეს. თვალებით მიჩერებია და თვალს არ აშორებს. ერთხელ თურმე ერთ ჩვენს ჭარისკაცს გერმანული ფარაჯით ჩამოუვკლია, გამონთებია ობოლა და კალთები კინალამ ჩამოუგლეჯია. ნუთუ მართლა ამ მოლისფერი ფარაჯის ფერია ჩაფენილი მის მეხსიერებაში?!

ნეტა ამ საცოდავი ძაღლის გულში ჩამახედა.

— რატომ არ იძინებთ? — წამიერი ჩაფიქრებიდან ბებია ანას ხმამ გამომარკვია, — ამ გოგოსი ნუ გეშინიათ, ისე თვინიერად მეხმარებოდა შინელების გაწმენდაში, არ ეტყობა, სადმე გაიქცეს, მერედა, მე და ობოლა აქ არა ვართ, ობოლას ახლა მაგი ვერსად გაეპყვადაქანცულეები ხართ, ბიჭებო, წაიძინეთ ცოტა.

ისეთი შემწყყნარებლური და შემბრალები გვიტხრა ბებია ანამ, მივხვდი, წელანდელი გაბრაზებისა არა შერჩენია რა. აღარ ფიქრობს, ალბათ, კახაპაო, დაგვიჭერა, რომ ჩვენ მართლა ტყვე ჩავივდეთ ზელთ.

— კაცის გული ყინული ყოფილა, — თქვა ბებია ანამ, — სწორედ შურისძიების მომენტში ხანდახან რალაცა გაგიღვობს და მორჩა. თქვენეი შინელების წმენდისას ამ გოგოს ხელი შემეხო ხელზე, რატომღაც გავიფიქრე, გერმანელი კია, ამათი ჯიში ვაწყდა, მაგრამ ამისი დედა რომ გაიგებს, დიკარგაო, ხომ დაეწვება გული? რა თქმა უნდა, დაეწვება გული, რაც არ უნდა იყოს, დედაა მინც.

ბებია ანამ ისე თქვა ეს, თითქოს გადავიწყებოდეს გერმანელებისაგან მიყენებული უმძაფრესი ტკივილები. აფთარივით უნდა ძგერებოდა ამ გოგოს, დაეკაწრა, დაეხოკა, თმით ეთრია ქმრისა და პაშას საფლაგებისა და ობოლას პატრონს. ის კი ზის ჩვენთან და შეილდაკარგულ გერმანელ დედაზე გვესაუბრება. საიდან აღმოაჩნდა ახლა ამ სულდატეტვილ ქალს ამგვარი არაადამიანური ლმობიერების ძალა! „ვეფხისტა

ჯა მოყმის ბალადა“ გამახსენდა, ამგვარი ლმობიერების დიდებული ღალადისი ჩვენი ხალხური პოეზიისა, „იქნება ვეფხის დედაი ღეშებრ დღედალამ სტირისა“, — ვეფხის მიერ დაკაწრული და დაგლეჯილი შვილის მაცქერალი, უდიდესი სევდით შეპყრობილი ღედა რა ძალამ მიიყვანა შვილის მკვლელი ვეფხის დედის სევდასთან?! იქნებ იმის შეგრძნებამ, რომ „ერთი შვილ მაინც გავზარდე ვეფხებთან მეომარია?!“ ეგებ ამ უზუნაესმა დედურმა სიამაყემ ჩაუტყბრო ოდნავ სიძულვილის უმძაფრესი ცეცხლის ალი?!

სად გაქრა შურისძიების ეინი?

დღემდე მეგონა, თმენისა და მიტევების ამგვარი ხასიათი მხოლოდ ქართველი ქალის დამახასიათებელი იყო, ქართველი ერის ისტორიის ურთულეს გზაზე შექმნილი.

ბებია ანამ რო თქვა „კაცის გული ყინული ყოფილაო“ და ამ გერმანელ ქალს ასეთი თვალთ შეხედა, ვიფიქრე, ალბათ, თმენისა და მიტევების ხასიათი საერთო კაცობრიული თვისებაა ყველა დედისა. აბა, სხვანაირად როგორ ამეხსნა ახლა არაადამიანურად გატანჯული, თითქოს სიცოცხლემოტეზრებული ბებია ანას სიტყვების აზრი, ამისი დედა რა დღეში ჩავარდებო.

— ა, რევოლუერი ჰქონია, — მივანიშნე ბებია ანას არჩილის წინ მაგიდაზე ალაპლაპებული პისტოლეტისაკენ.

— ჯარისკაცია და იარაღი ექნებოდა, ეს უნდა გკოდნოდათ, ლეიტენანტებო, — ლეიტენანტებოო, გვარიანად შესამჩნევი ირონიით თქვა ბებია ანამ, — რევოლუერი, როგორც კი ხელთ იგდეთ ეგ გოგო, მაშინვე უნდა წაგვართმიათ.

— მაშინვე ვერ მოვიფიქრეთ.

— ჰი, ჰი... ყოჩაღ, ახლა მაინც რომ შეამჩნიეთ, — კვლავ ირონიულად ჩაიჩიფიფა ბებია ანამ, — ეგ კი ვერ გამიგია, წინა ხაზზე მიდიხართ და იარაღი არა გაქვთ თან.

— არ მოუციათ, — ჩამოვყევი და გავკვასუხე, — გვიოხრეს, ნაწილში მიხვალთ და იქ მოგკემენო.

— ეთქვათ და ნაწილში მისვლამდე მოხდა რამე, ათასნაირი მარჯოლოდნელი შემთხვევაა ჩასაფრებული ამ სისხლიან გზაზე. აკი შეგემთხვათ, თქვენ გეგონათ ნაწილში მიდიოდით და გერმანელს ზედ გადააწყდით, იარაღის მომარჯვება რომ მოესწრო, ხომ გაათუქებდა ამ ზორზობა ვაჟაკს?! — ბებია ანა ძლივს შესამჩნევი ლიმილით არჩილს მიაჩერდა. არჩილი ზის თავჩახრილი და გაბუსული.

— ეგ რა ჩვენი საქმეა, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა არჩილმა.

— მეც მაგას ვამბობ, თქვენ რა მუშაში ხართ, მე იმ ჰქუის კოლოფზე ვლაპარაკობ, რომელმაც შტაბიდან ასე ცარიელ-ტარიელი გამოგიშვათ.

არჩილმა პისტოლეტი ჯიბეში ჩაიღო.

გერმანელი კვლავ გატრუნული ზის ობოლას წინ. რაკი რუსული ესმის, ჩვენს საუბარო, ალბათ, კარგად გაიგო. იქნებ ფიქრობს კიდევ, უიარალონი ყოფილან, ნეტა იარაღის მომარჯვება მომეხერხებო.

ბებია ანა მისკენ მიბრუნდა და ჰკითხა:

— რა გქვია შენ?

ხელეზე თავდაყრდნობილს, იატაკს მიშტერებულ გერმანელს თავი არც აუმართავს, ისე უპასუხა ბებია ანას:

— ჰილდა.

— გერმანელი ხარ?

— გერმანელი ვარ.

— რამდენი წლისა ხარ?

— ოცდაერთის.

— ასე კარგად რუსული საიდან იცი?

— ბავშვობიდან მასწავლეს, — წელში გაიმართა და ბებია ანას მიაჩერდა, — მერე სკოლაში და ინსტიტუტში ვისწავლე რუსული.

არჩილს აქამდე არ შეუხედავს გერმანელისთვის, თავის ფიქრებში იყო ჩაძირული. ახლა თვალი გააპარა მისკენ, ალბათ, იმან დააინტერესა, გერმანელი გამართული რუსულით რომ პასუხობდა ბებია ანას. მეც გაკვირვებული ვუსმენ მათ დიალოგს. რუსული კარგად არ

ეცი, მაგრამ ეს კი გავარჩიე, ბებია ანა თავისებური ცილოკავით ლაპარაკობს, გერმანელი კი — უფრო დახვეწილი ლიტერატურული ენით, ლაპარაკის დროს ვერც შეამჩნევს კაცი, გერმანელი რომა.

— რამდენი ხანია ფრონტზე ხარ?

— ორი თვეა.

— მიწურში რას აკეთებდი, საცა ამით დაგიჭირეს?

— საიდუმლო მიწური იყო, ტელეფონი მიერთებულია წითლების ხაზზე, ვუსმენდი მათ ლაპარაკს, მერე ჩვენებს ვაწვდიდი ამ ცნობებს.

არჩილი უკვე ინტერესით მიჩერებია გერმანელს. ბებია ანამ ეს შეამჩნია და დაუცაცხანა არჩილს:

— რას მიშტერებხარ, ზაქო, ხომ ხედავ, ოცდაერთი წლის ჭერა გოგო წამოგვიკიდებია ზურგზე. იქნება გეგონა, გერმანელი გენერალი იგდე ხელთ.

— მაგას თავისი განსაჭირი ეყოფა, — შევემუდარე ხუმრობის ხასიათზე მოსულ ბებია ანას.

ბებია ანა ობოლასთან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა, ვადი ახლა გარეთო, უთხრა, ობოლა მორჩილად მიჰყვა, კარი გაუღო, ოთახში შემობრუნდა და წელანდელი გავარვარებული სიტყვები მშობლიური ზრუნვით გამთბარი სიტყვებით შეცვალა:

— ბიჭებო... ბიჭებო... გაჰირვება ჭერ რა იცით თქვენ. ნეტავი სულაც არ გცოდნოდათ. გაჰირვება და დავიდარაბა წინ გელოდებათ. ამ ერთ ღამეში თავი შემაყვარეთ. თავს მოუარეთ, ბიჭებო. აჰა, თენდება კიდეც. წახვალთ და სადღა გნახავთ აწი მე თქვენ?!

თენდებოა, რომ გაიგონა, არჩილი წამოდგა, ფანჯარას გაჰხედა, ვიწრო სარკმლის მინებზე ჭერ კიდეც უღიმღამო ალიონის მკრთალი ნათელი ცაგობდა.

ბებია ანა გერმანელთან მივიდა, ადგილი გამომყვეო, ადგა გოგო და მორჩილად მიჰყვა. არჩილს პისტოლეტი

გამოვართვი და მივეყვი მეც, მაგრამ კართან ბებია ანამ შემაჩერა, პისტოლეტით ჭალს ჩეჩმასთან რომ დაუდგა, სირცხვილია ვაყვაცი კაცისთვის, ნუ გეშინია, მე და ობოლა გავაცილებთო.

პისტოლეტი არჩილს დავუბრუნე. ის უკვე ოდნავ შემშრალ შინელს იცვამდა. მეც სასწრაფოდ ჩავიცვი შინელი. როცა ბებია ანამ ჩვენი ტუვე ხატაში შემოიყვანა, ჩვენ უკვე შხად ვიყავით წასასვლელად.

აგრე რიგად გათენების სიხარული არასოდეს განმიცდია. ჩემს ცხოვრებაში პირველი უჩვეულო ჯოჯოხეთური ღამის შემდეგ — თუმცა სასიხარულო ჭერჭერობით მინცდამაინც არა მქონდა რა — გარეთ გამოვედით თუ არა, განთიადის ჭერ კიდეც შუქმიზნედილი სინათლე ჭადოსნურ მაღამოსავით მომეცხო აფორიაქებულ სულსა და გულზე.

ქვემეხების ყრუ გუგუნი კი ისმოდა შორიდან, მაგრამ ამჯერად ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. არც იმისთვის მიმიქცევია ყურადღება, მიწა რომ ატალახებულია, ალაგ-ალაგ წყლის გუბურებზე აისის მკრთალი ნათელი რომ ელვარება.

ჭიშკართან ბებია ანას გამოვემშვიდობეთ, ობოლას თავზე ხელი გადავუსვი და ეზოში ჭასა და ხატას თვალი რომ შევაეღე, ერთი წუთით გავიფიქრე, გასულ დღე-ღამეში ამ სახლში თითქოს მთელი ცხოვრება გავატარე, ერთ დღე-ღამეში მომხდარი მოულოდნელი ხიფათიანი მოვლენები თითქოს ამ ხატაში მცხოვრებ ადამიანებთან შემემთხვა, ლუმელთან ნაგრძნობი სითბო თითქოს თან მომყვება. მომეჩვენა, ამ უცხო ჭერქვეშ მრჩება ჩემი ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი.

ხატას რომ გვარიანად გავშორდით, ერთხელ კიდე მოვიხედე, ბებია ანა და ობოლა ღია ჭიშკართან იდგნენ, მათ ზემოთ ღრუბლებიდან გამოეჩინო აისის უფერულ ნათელში უსიცოცხლოდ განაბულიყო ორი მალალი ნაძვი.

აპტორის ჩანაბრძოლა

ბევრი რამ გადამავიწყდა. იმ შფოთიან დღეებში უბის წიგნაკში რომ რამე ჩაგეწერა, სად იყო ან უბის წიგნაკი, ან მოცალეობა და საშუალება. ჩემი წიგნის გმირებს ჩემდაუნებურად იმ გზებზე ვატარებ, რომლებიც მე თვითონ გავიარე ქერჩის ნახევარკუნძულზე. მათი აულის ხატს ჩემი თიხით ვძერწავ და რა გასაკვირია თუ ამ ფურცლებზე აღწერილი მათი ცხოვრება რაიმე ჩემსას დაემსგავსოს. მათში გავანაწილე ის, როგორი ვიყავი და ისიც, როგორიც უნდა ვყოფილიყავ. მოულოდნელი გარემოებანი ხანდახან ხელს უშლიან ადამიანს, მით უფრო გამოუცდელ ახალგაზრდას, გამომამკლავნოს თავისი შესაძლებლობანი.

ბევრი რამ აღარ მახსოვს. აღარ მახსოვს ყოველდღიური დეტალები, სანგარ-სანგარ, მინდორ-მინდორ, ბილიც-ბილიც წოწიალის დროს გარემოსაც ვერ ვაკვირდებოდი გულდაგულ იმ ქარცეცხლში. ბუდუსა და არჩილის მაშინდელი ტრაგიკული თავგადასავლის აღწერისას ძალიან დამჭირდა ეს ყველაფერი და ამიტომაც დროებით განზე გადავდე უკვე დაწერილი ფურცლები, ავიკარი გულა-ნაბადი და ქერჩში ჩავფრინდი. ეგებ იმ ადგილებს რომ თვალს შევავლებ, მეხსიერებაში მითვლემილი ზოგი რამ შეინჯღრეს და ამოტივტივდეს-მეთქი, ეგებ იქ გაცვეთილი ბიჭების აჩრდილებმა შემომძახონ მივიწყებული ამბები-მეთქი.

მოვიარე ქერჩის ნახევარკუნძული. მივაკლიე აზოვის ზღვის ნაპირზე იმ ადგილს, საცა ჩვენი ბრიგადა იდგა 1942 წლის აპრილში. მაშინ მეთევზეთა პატარა დასახლება იყო იქ, კრანნი კუტი ერქვა. ბრიგადა ემზადებოდა სადესანტო ოპერაციებისათვის. განზრახული იყო გერმანელების ფრონტის ზურგიდან შემოვლა, უნდა გადაჭრილიყო უკანდასახვევი გზა პერეკოპთან. ამ ოპერაციისთვის გვაზადებდნენ, როცა მოულოდნელად რვა მაისის დილით გერმანელებმა შეტევა დაიწყეს ფეოდოსიის მხრი-

დან. გაარღვეეს კიდეც ჩვენი ფრონტი და დაიწყო მაშინდელი ტრაგიკული ბრძოლები, რომლებიც თავს დასხდნათ ჩემი წიგნის გმირებს ბუდუსა და არჩილს. ბრიგადა მაშველ ძალად გადაისროლეს იმ დილითვე ფეოდოსიისაკენ, საცა გერმანელების შეტევითი ოპერაციები ვითარდებოდა.

ეს გზები მოვიარე. მართლაც გაიღვიძა ხსოვნაში მითვლემილმა მოგონებებმა. ბევრი რამ გამახსენდა.

ქერჩში დავბრუნდი და მეორე დღეს მითრიდატეს გორაზე ავედი. ქალაქიდან ხუთასსაფეხურიანი კიბით ასვლა გამიკირდებოდა და ტაქსით ავედი. იქიდან კარგად ჩანს მთელი ქალაქი ზღვიდან ყველა მისადგომით. გორაზე წამომართულია ომში დაღუპულთა სამახსოვრო ობელისკი უბრალო, ადგილობრივი ქვით ნაშენი. იგი 1944 წელს აღუმართავთ. ცალკეა სამშო საფლავი, რომლის მარმარილოს კედლებზე ამოტივტივლია აქ დაღუპულთა გვარ-სახელები. მათ შორის ერთი ქართველია — საბჭოთა კავშირის გმირი, ზემდეგი ვ. ი. ჭორბენაძე.

ცალკე, უფრო ამიღლებულ ადგილას ცილინდრისებურ კოშკთან გიზგიზებს მარადიული ცეცხლი.

განუწყვეტლივ მოემართება ხალხი, ზოგნი — კიბით, ზოგნი — საექსკურსიო მანქანებით.

ბავშვებს განსაკუთრებით იზიდავთ სურათების გადაღება ქვემეხებთან.

ერთი კოჭლი, ხანშიშესული კაცი ცოლ-შვილთან იდგა, ხელი შავი ზღვისა და აზოვის ზღვის ყელისაკენ გაეშვირა და რაღაცას უამბობდა მათ. მომერიდა ახლოს მისვლა, მიყურადება, არადა, თავის თავგადასავალს იგონებდა ნამდვილად.

აქიმუშეკის კატაკომბებსაც მივადექი. ირგვლივ ველზე ტალღებივით არის აშლილი პატარა-პატარა ბორცვები. მინდორზე ნაყუმბარევი ორმოები ახლაც არის შემორჩენილი, აბალახებულაია ოღონდ.



ერთ-ერთ საექსპურსიო ჯგუფს შეკუთვნილი და შევედი გვირაბში. ბნელ გვირაბებში ექსპურსიამძღოლი და რამდენიმე კაცი ფარნებით მიიკვლევდნენ გზას.

ეს საოცრებაა.

აღბათ, მსოფლიო ომების ისტორიას არ ახსოვს ამდაგვარი რამ.

1942 წლის 16 მაისს უკანდახეულმა, დარბეულმა ჭარის ნაწილებმა ამ გვირაბებს შეაფარეს თავი. გვირაბებში შეხიზნულ გარნიზონში 15000 ოფიცერი და ჭარისკაცი იყო. ხუთი თვის განმავლობაში გერმანელებმა რა არ იღონეს, მაგრამ ვერ აიძულეს ისინი, გვირაბებიდან გამოსულიყვნენ და ტყვედ ჩაბარებოდნენ.

ექსპურსიამძღოლი ფარნით ჯერ ტრაქტორის მიადგა. ერთ თვეს ეს ტრაქტორი ანათებდა ბნელ გვირაბებს ელექტროენერგიით. საწვავი რომ შემოეღო, რაც ტყვია-წამალი შეეზიდათ, იმის ყუთებს იზოგავდნენ ცეცხლის ასანთებად. მერე კი სულ სიბნელეში იყვნენ. ორ თვეს იმყოფინეს საკვები. წყალიც შემოეღიათ და გვირაბშივე დაიწყეს ჭის გათხრა ხიშტებით, დანებით, ბარებით. სანამ ჭას გათხრიდნენ, გვირაბის კლდოვანი კედლებიდან საცა წყალი მოეონავდა გამძლე, მაგარბაგინი ჭარისკაცები კლდეს სწოვდნენ წყალს, პირში ჩაგუბებული წყლის ერთ ყლუპს პირითვე აწვდიდნენ პირში დაპრილ ჭარისკაცებს, საერთო საველე ჭებურებში აგროვებდნენ, ერთი ყლუპი თვითონვე შეეძლოთ ჩაეყლაპათ. ამ ჭარისკაცებს თურმე ბაგეები დახეთქილი ჰქონდათ, სისხლი სდიოდათ. თხუთმეტი მეტრი სიღრმის ჭა გათხარეს, რომელსაც „სიცოცხლის ჭა“ შეარქვეს.

გვირაბებში ყოფილან ადგილობრივი მოახლებებიც ბავშვებიანად. ამჟამად ერთი რკინის აკვანია შემორჩენილი. შიმშილისაგან დაბოცილან ბავშვები. შემაზრხენ შთაბეჭდილებას სტოვებს ბავშვთა სასაფლაო.

ბომბებით რომ ვერაფერა გააწყვეს,

გერმანელებს გვირაბში მხოლოდ გაზი გაუშვიათ. გაწყვეტილან უაიშქონადონი. გიზლინოქთქას

მუსრი გატვლია შიმშილს, წყურვილსა და მხოლოდ გაზს გარნიზონისათვის, სამი თვის შემდეგ გვირაბებში ათასხუთასი დაუძლურებული კაცი დარჩენილა. იმდენად უძლურნი ყოფილან, ყარაულში დგომაც აღარ შეძლებიათ. გერმანელთა ან პროვოკატორთა შემოპარვა რომ გაეგოთ, გვირაბის ერთი კიდიდან მეორე კიდემდე თხრილი ამოუჭრიათ, თხრილში ჩაუყრიათ ყოველგვარი რკინის ნაჭრები — კოვზები, საველე ჭებები, რაც კი რამ მოუხელთებიათ რკინისა. სიბნელეში თუ ვინმე შემოიპარებოდა, მოულოდნელად ფეხს დაადგამდა თხრილში ჩაყრილ რკინის ნივთებს და მათი ჩხარუნის ხმაზე ჩასაფრებული გუშაგი ტყვიამფრქვევის ცეცხლით შეხედებოდა შემოპარულს.

ახლაც შემორჩენილია ექიმისათვის განკუთვნილი კუთხე, აქვეა რკინის სავარძელი, რომელზეც ოპერაციებს აკეთებდნენ ექიმები.

ხუთ თვეს გაუძლია გარნიზონს. უწყლობითა და შიმშილით მთლიანად გაწყვეტილა. გერმანელებს ხელთ მხოლოდ შვიდი ღონემიხდილი კაცი ჩაუგდიათ, რომლებიც წამებით მოუკლავთ.

გარნიზონის შტაბის დოკუმენტები ჯერჯერობით არ არის მიკვლეული. ნაპოვნია ზოგიერთის პირადი წერილი. შტაბში ინახებოდა კატაკომბებში მყოფი მეთაურებისა და ჭარისკაცების ყველა დოკუმენტი. ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე კაცის გვარი და სახელია ცნობილი. კვლევა-ძიება გრძელდება.

მსგავსი ჭარისკაცური შემართების მრავალი ეპიზოდი, სამწუხაროდ, უცნობი დარჩა მაშინ. ვის ეცალა ამ ეპიზოდების ფიქსირებისათვის.

ჭერჩის ნახევარკუნძულზე 1942 წლის მაისის ტრაგიკული ბრძოლების დროს უკანდახეულმა და დარბეულმა ჭარისკაცებმა და ოფიცრებმა უმაგალითო გამძლეობა და თავგანწირვა გამოიჩინეს.

ქერჩში მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მივაკითხე, ჩემთვის საინტერესო მასალების გასაცნობად მუზეუმის თანამშრომელმა ახალგაზრდა ქალიშვილმა ვალენტინა მხაილოვნა კირილენკომ გულისხმიერი დახმარება გაიწვია. იგი მუზეუმში სამამულო ომის ამსახველ განყოფილებას ხელმძღვანელობს. სამწუხაროდ 1942 წლის მაისის ბრძოლების სურათი მეტად ღარიბად გამოიყურება საექსპოზიციო ოთახის სტენდებზეც და საარქივო დოკუმენტებშიც. ვალენტინამ მოთხრა, ჩვენში დარჩეს და მაინცდამაინც არც კი აინტერესებთ იმ ამბების გახსენებთ.

რატომ?!
 რატომ?!

ვალენტინამ ერთი წიგნი შემომთავაზა, სიმფეროპოლში გამოცემული, ეს წიგნი თქვენთვის ძალზე საინტერესო იქნებოდა და თან გამომატანა.

სასტუმროსაკენ მივდიოდი. თეატრის წინ, მშვენიერ პატარა პარკში მერხზე ჩამოვჯექი. წიგნი გავშალე. ქერჩის ნახევარკუნძულზე სადესანტო ოპერაციებია აღწერილი დოკუმენტური სიზუსტით. ჩემთვის საინტერესო მაისის ტრაგიკულ მოვლენებზე შევაჩერე ყურადღება. ავტორის ძალზე ობიექტურად აქვს აღწერილი და შეფასებული ეს მოვლენები. ამიტომ მისი ზუსტი თარგმანი მინდა გავაცნო მკითხველს.

„იანვარსა და მარტში 51-ე და 44-ე არმიები განაგრძობდნენ მძიმე ბრძოლებს. კავკასიის ფრონტის სარდლობის გეგმით, რომელიც მთავარბანაკმა 1942 წლის 2 იანვარს დაამტკიცა, ორივე არმია უნდა გადასულიყო შეტრევაზე, რათა გაეთავისუფლებინათ ყირიმი. ოპერაცია გეგმა ითვალისწინებდა მთავარი ძალებით დარტყმას ჯანკოი-პერეკოპი-ჩონგარის მიმართულებით, ძალების ნაწილით კი — სიმფეროპოლის მიმართულებით, აგრეთვე დესანტების გადასხმას ალუშტის, იალტის, პერეკოპისა და ევპატორიის რაიონებში, რათა გადაეკრათ გერმანელებისთვის ყირიმიდან უკანდასახვევი ყველა გზა და შერე-

მოესპოთ მტრის დაჯგუფება ყირიმში.

მთავარბანაკმა უბრძანა ფრონტის სარდალს „ყოველმხრივ დაეჩქარებინა ჯარების თავმოყრის დამთავრებისა და საერთო შეტრევაზე გადასვლის ვადები“! ასრულებდა რა ბრძანებას, ფრონტის სარდლობა ორგანიზაციას უკეთებდა ნახევარკუნძულზე რეზერვების გადაყვანას. ამისთვის გაყინულ სრუტეში გაყვანილი იქნა ტრასები, რომლებზეც შეუჭრებლად მიდიოდნენ ჯარები. მაგრამ კავკასიის ფრონტის (28 იანვრიდან — ყირიმის ფრონტი) სარდლობამ — გენერალ-ლეიტენანტმა დ. ტ. კოზლოვმა და სამხედრო საბჭოს წევრმა ფ. ა. შამანიშმა — დროულად ვერ შესძლო შეტრევის მომზადება და დაწყება.

მოწინააღმდეგეებ დაასწრო ჩვენს ჯარებს და 15 იანვარს გადავიდა შეტრევაზე ფეოდოსიის მიმართულებით. 44-ე და 51-ე არმიები იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ და დატოვეს ფეოდოსია, რამაც მნიშვნელოვნად გააუარესა პირობები ყირიმის განთავისუფლებისათვის ოპერაციის მოსამზადებლად.

1942 წლის 28 იანვრის დირექტივაში უმაღლესი სარდლობის მთავარბანაკმა ყირიმის ფრონტის სარდლობისაგან მოითხოვა, რომ დახმარებოდა სევასტოპოლის თავდაცვის რაიონებს. ფრონტის ძირითად დაჯგუფებას უნდა დაერტყა ყარასუბაზარას მიმართულებით და ამ რაიონში გასვლით დამუქრებოდა გერმანელების მე-11 არმიის შენაერთებს, რომლებსაც ბლოკირებული პქონდათ სევასტოპოლი.

მაგრამ ამჯერად ფრონტის სარდლობამ ვერ შესძლო დანიშნული დროისათვის შეტრევის მომზადება. იგი დაიწყო არა 13, არამედ 27 თებერვალს. ფრონტს გააჩნდა საკმაო ძალები მათ წინაშე მდგარი ამოკანის გადასაჭრელად, მაგრამ შეტრევის ცუდი ორგანიზაციის გა-

მო ქარებმა მტრის თავდაცვა ვერ გა-
არღვიეს და ქერჩის ნახევარკუნძული-
დან ყირიმში შესასვლელი გზა ვერ გახ-
სნეს.

კოტაოდენ წარმატებას მიაღწიეს
მარჯვენა ფლანგზე 51-ე არმიის შენაე-
რებმა. მათ შეავიწროვეს მტერი, რო-
მელმაც ბრძოლის ველზე დატოვა
სხვადასხვა ყალიბის 120 ქვემეხი, ათი
ექვსლულიანი ახალი კონსტრუქციის
ნაღმსატყორცი, ბევრი სხვა იარაღი
და აღჭურვილობა. მიუხედავად ამისა
51-ე არმიის ცდებს, განევითარებინა
წარმატება, შედეგი არ მოჰყოლია.

არც მარტა და აპრილში ჰქონია წა-
რმატება შეტევის განვითარების ცდებს.
44-ე და 51-ე არმიების ქვედანაყოფ-
ები ამ თვეებში ეწეოდნენ მძიმე
ბრძოლებს.

ქერჩის ნახევარკუნძულზე დანაკარ-
გები რომ შეეყაო, გერმანელთა სარდ-
ლობამ ყირიმში საფრანგეთიდან სასწ-
რაფოდ გადმოიყვანა ოცდამეორე სა-
ტანკო დივიზია და იმის იმედით, რომ
მოულოდნელი თავდასხმა წარმატებას
მოუტანდა, 20 მარტს დილით გაგზავ-
ნა შეტევაზე. დივიზია ამ დღის განმავ-
ლობაში რამდენჯერმე დაესხა თავს
ჩვენს პოზიციებს. მხოლოდ ერთი დღის
განმავლობაში ჰიტლერელებმა 50 ტან-
კი დაჰკარგეს.

წითელი არმიის მეომრები გმირულად
იბრძოდნენ. განსაკუთრებით ისახელეს
თავი არტილერიისტებმა და ნაღმსრო-
ლულებმა. ისინი პირდაპირი დამიზნე-
ებით აზიანებდნენ მტრის მანქანებს.

ერთ-ერთ ბრძოლაში სასიკვდილოდ
დაიჭრა 143-ე მსროლელთა პოლკის
მეთაური მაიორი ლევკოვიჩი. პოლკის
კომიარმა კომუნისტმა გიორგაძემ
თვითონ იკისრა პოლკის მეთაურობა და
მეომრებს იერიშზე გაუძღვა. ბრძოლის
მესამე დღეს გადამწყვეტი შეტევის
დროს ის გმირულად დაეცა.

მტრის ბატარეა ჩვენს ნაწილებს არ
აძლევდა წინსვლის საშუალებას. ექვსი
მებრძოლი ცეცხლის ქვეშ გახოხდა
მტრის ბატარეისაკენ. ცდილობდნენ

ფლანგიდან შემოეკლათ. წინ ხელის
ტყვიამფრქვევით მიხოხავდნენ წინა
არმიული ზაგორსკი. მიცოცდნენ
მტრის ბატარეათან, მებრძოლებმა გა-
ხსნეს მოულოდნელი ცეცხლი. მტრის
ქვემეხები ჩაჩუმებულ იქნა.

მიუხედავად იმისა, რომ კომისარი
კილენკო ორჯერ დაიჭრა შეერდში,
მესამედ კი — ფეხში, მაინც განაგრობ-
ბდა ბრძოლის ხელმძღვანელობას. ერთ-
ერთი შეტევის დროს მისმა მებრძო-
ლებმა ხელთ იგდეს მტრის ორმოცი
ქვემეხი ჭურვებითურთ, ბევრი ტყვი-
ამფრქვევი და მაშინვე მიაბრუნეს ისინი
მტრისკენ. მტერმა ბრძოლის ველზე
ბევრი მოკლული და დაჭრილი დატოვა
და უკან დაიხია. ქერჩის ნახევარკუნძუ-
ლზე ბრძოლების პერიოდში განსაკუ-
თრებული სიმამაცითა და შეუღრეკ-
ლობით იბრძოდნენ ზუბკოვის, შარიპო-
ვიასა და ლეონტიევის ნაწილები.

საბჭოთა მეომრებისათვის განსაკუთ-
რებით სასიხარულო დღე 11 თებერ-
ვალი გახდა, როცა გამოცხადდა სსრ
კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდი-
უმის ბრძანებულება იმ მეთაურთა და
მეომართა დაჯილდოების შესახებ, რომ-
ლებმაც მამაცობა გამოიჩინეს ქერჩის
ნახევარკუნძულზე დესანტის გადმოსხ-
მის დროს და გერმანელი ფაშისტები-
საგან ყირიმის განთავისუფლებისათვის
ბრძოლაში.

მთავრობის ჭილდოებით აღფრთოვა-
ნებული მებრძოლები და მეთაურები
დაპირდაპირ მშობლიურ პარტიასა და
მთავრობას, რომ უკეთესად იბრძოლე-
ბდნენ მტრის წინააღმდეგ.

მამაცობის არა ერთი მაგალითი უჩ-
ვენეს აგრეთვე ყირიმის მფრინავებმა.
ჩვენი ქარები ნაწილობრივი წარმა-
ტების მიუხედავად, 1942 წლის გაზა-
ფხულზე 44-ე და 51-ე არმიების მდგო-
მარეობა მძიმე იყო. რამდენიმე წარუ-
მატებელი გადამწყვეტი შეტევის ცდის
შემდეგ, მთავარბანაკის ბრძანებით ყი-
რიმის ფრონტის ქარებმა აქტიური მო-
ქმედება შეწყვიტეს და თავდაცვაზე
გადავიდნენ.

ვითარება მოითხოვდა ღრმა ეშელო-ნირებულ ტანკსაწინააღმდეგო საპაერო თავდაცვას, კარგად აღჭურვილი საინჟინრო აპარატურით და ძლიერი რეზერვებით უზრუნველყოფას. სამწუხაროდ, ყირიმის ფრონტის ჭარები ამ მოთხოვნებებს ვერ აკმაყოფილებდნენ. ჭარები განაგრძობდნენ იმ საბრძოლო წესრიგის შენარჩუნებას, რომელიც გათვალისწინებული იყო შეტევითი მოქმედებისათვის. ფრონტის სარდლობამ არ მიიღო სათანადო ზომები საეშელო-ნო თავდაცვის შექმნისათვის მაშინაც კი, როდესაც მიღებული იქნა ცნობები, რომ მოწინააღმდეგე ემზადება აქტიური მოქმედებისათვის.¹

პიტლერელებმა მიიღეს გადაწყვეტილება გაზაფხულზე მთლიანად აელოთ ყირიმი, რათა 11-ე არმიის ჭარები მთლიანად გამოეყენებინათ საზაფხულო შეტევისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. გათვალისწინებული იყო შეტევა ჭერ ქერჩის ნახევარკუნძულზე, ხოლო შემდეგ სევასტოპოლის შტურმი. ამ მიზნით მოწინააღმდეგემ ქერჩის ნახევარკუნძულზე განალაგა შვიდი ქვეითთა, სამთო, სატანკო და ცხენოსანთა დივიზიები. ჰაერიდან ამ ჭგუფებს დაეხმარებოდა მერვე განსაკუთრებული საავიაციო კორპუსი და ძირითადი ძალები გერმანიის მეოთხე საპაერო ფლოტისა.

რვა მაისს დილით, საავიაციო დარტყმის შემდეგ, გერმანელ ფაშისტთა ჭარები გადავიდნენ შეტევაზე. მთავარ დარტყმას ისინი ახორციელებდნენ 44-ე არმიის მოქმედების ზონაში შავი ზღვის სანაპიროსთან. ერთდროულად აღმოსხმული იყო საკატარო დესანტი (დაახლოებით ორი ასეული) 15 კილომეტრის მოშორებით ფეოდოსიის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. დღის ბოლოს მოწინააღმდეგის ჭარებმა გაარღვიეს 44-ე არმიის ხუთკილომეტრიანი უბნის დაცვის ხაზი და წაიწიეს სიღრმეში რვა

კილომეტრით. ფრონტის დანაორენ უბნებზე მიმდინარეობდა ცალკეული შეტაკებანი ბატალიონების შალტებით.

მომდევნო დღეს, 9 მაისს პიტლერელებმა განაგრძეს შეტევა კერლუტის (მოშეაროვა) მიმართულებით, უზუნაიკის (შიროკოე) და ფრონტის ზურგიდან შემოვლის მუქარით ცდილობდნენ ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ჩვენი ჭარების გარემოცვას. ამასთან დაკავშირებით მდგომარეობა ქერჩის ნახევარკუნძულზე მნიშვნელოვნად გაართულდა.

დილით, 10 მაისს მთავარბანაკმა გაცა ბრძანება, ჭარები გაყვანილი ყოფილიყო აღმოსავლეთით თურქეთის უღელტეხილთან¹ და იქ ორგანიზებული ყოფილიყო თავდაცვა. მაგრამ ფრონტის სარდლობამ ვერ შესძლო ამ ამოცანის გადაწყვეტაც. მხოლოდ 11 მაისს ღამით ძალების ნაწილმა (ისევე სათანადო ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის გარეშე) დაიწყო უკანდახვევა თურქეთის უღელტეხილისკენ.²

ისარგებლა რა ტანკების და ავიაციის უპირატესობით, მოწინააღმდეგემ 13 მაისს გაარღვია თურქეთის უღელტეხილი და განაგრძო წინსვლა ქერჩის მიმართულებით. 14 მაისის დღის ბოლოს მისი მოწინავე ქვედანაყოფები გავიდნენ კატერლუზისის (ვოიკოვო) რაიონში, ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით, და აწარმოებდნენ ბრძოლას სანაპიროზე ქერჩის სამხრეთით, კამიშ-ბურუნისა და ელტიგენის რაიონებში. ხოლო 15 მაისს შევიდნენ ქერჩში. 15 მაისის ღამით მოწინააღმდეგე განდევნილ იქნა ქალაქიდან, მაგრამ გერმანელებმა დღისით, ავიაციის დიდი მხარდაჭერით, კვლავ აიღეს ქალაქი.

საბჭოთა სარდლობა ამ ვითარებასთან დაკავშირებით იძულებული გახდა მიეღო გადაწყვეტილება ყირიმის ფრონტის ჭარების ტამანის ნახევარკუნძულზე ევაკუაციის შესახებ. ევაკუაცია

¹ დიდი სამამულო ომის ისტორია, ტ. 2, გვ. 405.

¹ იქვე.

² იქვე.

მიმდინარეობდა 15-დან 20-მაისამდე. ამ დღეებში აზოვის სამხედრო ფლოტილიის გემებით და ქერჩის სამხედრო საზღვაო ბაზებით ევაკუირებულ იქნა 110 ათასზე მეტი ადამიანი უმნიშვნელო რაოდენობის ტექნიკით.

ყველაფერი, რაც არ იძირებოდა წყალში, — თვითმავალი ფლოტი, გასაბერი ნავი — მობილიზებულ და გამოყენებულ იქნა იმისათვის, რათა გადაეყვანათ ჭარები, მოახლეობა და გადაეტანათ მატერიალური ფასეულობანი ტამანის სრუტის გაღმა ნაპირზე.

ჩვენი არტილერია თავგამოდებით იცავდა ჭარების გადასაყვან ადგილს, შეუპოვრად იბრძოდა ქერჩის გარეუბნებში.

მტრის ავიაცია ბომბავდა თავდაცვის ხაზს და გემებს, რომლებიც გადადიოდნენ ტამანის სრუტის გაღმა ნაპირზე. გერმანელთა არტილერია და ნაღმსატყორცნები უშენდნენ ცეცხლს ჩვენს ჭარებს განსაკუთრებით ენიკალთან და ქალაქის სამხრეთ გარეუბნებში.

ქერჩის ნახევარკუნძულზე 1941 წლის დეკემბრისა და 1942 წლის მაისის ბრძოლების შეფასებისას ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქერჩი-ფეოდოსიის სადესანტო ოპერაცია იყო ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სადესანტო ოპერაცია არა მარტო საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დროს, არამედ მთლიანად მეორე მსოფლიო ომში.

საბჭოთა ჭარების გადასხმა ქერჩის ნახევარკუნძულზე იყო ერთ-ერთი მონაკვეთი სევასტოპოლის დაცვის გეგმისა, ამასთან ერთად ამ გეგმას უნდა ჩაეყარა საფუძველი საერთოდ ყირიმის განთავისუფლების საქმეში. საბჭოთა ჭარების საბრძოლო მოქმედებებმა ყირიმში 1941 წლის დეკემბერსა და 1942 წლის მაისში ჩაფუშეს ჰიტლერელთა სარდლობის გეგმა, გამოეყენებინათ ქერჩის ნახევარკუნძული კავკასიის დაპყრობის ტრამპლინად.

ქალაქ სევასტოპოლის დაცვით და საბჭოთა ჭარების ბრძოლებით ქერჩის

ნახევარკუნძულზე გერმანელ ფაშისტთა ჭარების მნიშვნელოვანი ნაწილი ყირიმში დიდი ხნით იყო შებოჭილი, რაც ძლიერ აფერხებდა მტრის ჭარების გადაადგილებას სამხრეთის სტრატეგიული მიმართულებით.

ქერჩი-ფეოდოსიის სადესანტო ოპერაციის საბრძოლო გამოცდილებამ დაუდო საფუძველი მომავალში მსხვილ სადესანტო ოპერაციებს, რომლებსაც ატარებდა საბჭოთა შეიარაღებული ძალები 1944-1945 წლებში.

1942 წლის გაზაფხულზე ყირიმის ფრონტის დამარცხება ქერჩის ნახევარკუნძულზე მოხდა რამდენიმე შეცდომის გამო, რომლებიც დაუშვა ფრონტის სარდლობამ ჭარების საბრძოლო მოქმედებაში.

ძალების თანფარდობა წყდებოდა ყირიმის ფრონტის სასარგებლოდ, რაც ხელს უწყობდა იმ ამოცანების წარმატებით გადაჭრას, რომლებიც ფრონტის ჭარებს დაუსახა მთავარბანაკმა. მაგრამ თავდაცვაზე გადასვლის დროს ფრონტის სარდლობა სათანადო პასუხისმგებლობით არ მოეკიდა ამ საქმის ორგანიზაციას. თავდაცვითი ოპერაციების ჩატარებისას ყირიმის ფრონტის სარდლობამ ვერ შესძლო მიეღო გადამწყვეტი ზომები მტრის მოსაგერიებლად. ყირიმის ფრონტის შემადგენლობაში შესული ავიაცია გამოყენებულ იქნა უმიზნოდ. მთავარბანაკი იძულებული იყო თორმეტ მაისს დროებით დაეჭვემდებარებინა ფრონტის ავიაცია შორეული მოქმედების ავიაციის სარდლის მოადგილისათვის.

ყირიმის ფრონტის ჭარები იძულებული იყვნენ ევაკუირებულნი ყოფილიყვნენ ტამანის ნახევარკუნძულზე, რის გამოც საბრძოლო ტექნიკისა და შეიარაღების გარკვეული ნაწილი მტერს დარჩა, ხოლო მტერმა მოგვიანებით ეს ტექნიკა გამოიყენა სევასტოპოლის დამცვე-

1 დიდი სამამულო ომის ისტორია, ტ. 2, გვ. 405.

ლებს წინააღმდეგ. ქერჩის ნახევარკუნძულის დაცვაში უარყოფითი როლი ითამაშა ჭარების სარდლობის ბიუროკრატიულმა მეთოდმა.¹ ჭარებს ეძლეოდათ ისეთი ბრძანებები, რომლებიც არ შეესაბამებოდა ფრონტის ვითარებას. ოპერაციის კრიტიკულ დღეებში ჭარების კონკრეტული ხელმძღვანელობის მაგიერ იმართებოდა სამხედრო საბჭოს უნაყოფო სხდომები. ფრონტის სარდლის გენერალ-ლეიტენანტ დ. ტ. კოზლოვისა და მთავარბანაკის წარმომადგენლის არმიის კომისარ ლ. ზ. მეხლისის² პირადმა უდისციპლინობამ გამოიწვია ის, რომ მთავარბანაკის მითითების თანახმად თავის დროზე ვერ იქნა გამოყვანილი ჭარები თურქეთის უღელტეხილიდან. ამ ჭარების ორი დღის დაგვიანებით გამოყვანა აღმოჩნდა დამლუბველი მთელი თავდაცვითი ოპერაციისათვის.³

მთავარბანაკმა ჩათვალა, რომ ქერჩის ტრაგედიის უშუალო დამნაშავენი იყვნენ ფრონტის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი კოზლოვი, არმიის კომისარი მეხლისი და სამხედრო საბჭოს წევრი, დივიზიის კომისარი შამანიჩი, რომლებიც გადაყენებულ იქნენ თავიანთი თანამდებობიდან და დაქვეითებულნი ჩინით.

ყირიმის ფრონტის ლიკვიდაციამ გართულა გერმანელების მიერ გარემოცული სევასტოპოლის მდგომარეობა. ქერჩის ნახევარკუნძულიდან ჰიტლერელებმა სევასტოპოლთან გადმოისროლეს განთავისუფლებული ძალები და შეუდგნენ სევასტოპოლის ახალ შტურმს. ოცდასამდღიანი დაძაბული ბრძოლების შემდეგ ხელში ჩაიგდეს საბჭოთა ჭარების მიერ დატოვებული, დანგრეული და დამწვარი ქალაქი. ყირიმის მონაკვეთში საბჭოთა და გერმანელი ჭარების სამხედრო მოქმედებანი შეწყდა თითქმის წელიწადნახევრით — 1943

წლის ნოემბრამდე, მაგრამ მთებში⁴ და ტყეებში ერთი დღითაც არ ეცხრებოდა სახალხო-შურისმაძიებლებს მტრის რეზერვები გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.⁵

გ. დიაჩინი

„საბჭოთა ჭარების საბრძოლო მოქმედებანი ქერჩის ნახევარკუნძულზე“.

(1941 წლის დეკემბერი, 1942 წლის მაისი).

კრებული. „ყირიმში დიდ სამამულო ომში“ „კრიზისდატ“, სიმფეროპოლი, 1963 წელი.

დედაბრები

ამ ვითარებაში მოხვედრილი ქართული სტუდენტი ბიჭების თავდადასავალს მოგიტხრობ, მკითხველო.

მაგრამ სანამ ბებია ანას ხატადან გამოსული ბუდე ბედიასა და არჩილ მღებრიშვილის შემდგომ ამბავს განვაგრძობდე, ცოტახნით კიდევ მინდა შეგაჩერო.

მერხზე მჯდარმა წიგნი დაეხურე. თვალი მოვკარი, პარკის კიდზე ერთი ხის ჩრდილში, ქუჩაზე დაფრენილ მტრედების გუნდს. გუნდი მაშინ დაფრინდა ასფალტზე, როცა თეთრშლაპიანი, ხმელი დედაბერი ხესთან მივიდა, თეთრი ხელთათმანები თითებიდან სათითაოდ პიწკად წამოიწია, წაიძრო და იქვე დადო. ხის ძირთან მიდგმული ტაშტი გადმოაბრუნა, ვედროთი მიტანილი წყბლი ზედ დაღვარა. მტრედები დედაბერს არ მორიდებოიან, ტაშტს შეაფრინდნენ და წყალს დაეწაფნენ.

მერე დედაბერმა ცელოფანის პარკი გახსნა და წვრილად დაფხვნელი პური მუჭა-მუჭა დაყარა ხესთან ახლოს ასფალტზე. მტრედები ახლა ფინჩებს მიეისვენენ.

ამასობაში მეორე, დაბალი, მსუქანი დედაბერი მიუახლოვდა ხეს, ცელოფანის პარკით მიტანილი წყალი ტაშტზე დაასხა, თეთრშლაპიან დედაბერს რალაც უთხრა, ჩანთიდან იმანაც პარკი ამოიღო, პეშვით ფეკილი თუ ხორბალი მიუყარა მტრედებს.

1. დიდი სამამულო ომის ისტორია, ტ. 2, გვ. 405.

2. იქვე.

3. იქვე.



მტრედები ხან საკენკს შეექცევიან, ხან ტაშტის კიდებზე შეფოთხილდებიან.

კოტა ხნის შემდეგ ორ დედაბერს შეუერთდა მესამე, მოგრძო სახის, მზით დამწვარი დედაბერი. ბალის დაბალ, ქვის ზღუდებზე ჩამოჯდა. გვერდით ბადურა დადო, რომელშიც ერთი ბოთლი რძე თუ მაწონი და ბუბლიკები ეწყო. იმანაც ბადურიდან პარკი ამოიღო, ხესთან მივიდა და პეშვით მტრედებს საკენკი მიუყარა. თან ერთმანეთს ესაუბრებოდნენ დედაბერები.

თეთრშლაპიანი იდგა, პურის ნატეხებს ნელ-ნელა აჭუქმაცებდა და მტრედებს უყრიდა.

უცებ ტროტუარზე ხანშიშესულ ქალსა და კაცს სამი თუ ოთხი წლის ბიჭი გაექცათ და საკენკს მიტანებულ მტრედების გუნდს მიაშურა. დედაბერი, რომელმაც ვედროთი წყალი მოიტანა, გააცეხლდა, ბავშვისკენ გაექანა, გაეცალე აქაურობას, შე შეჩვენებულაო, მიადახა, მერე კაცსა და ქალს მიმართა, რას შვრებით, ღმერთი არა გწამთ, წაიყვანეთ თქვენი ბავშვი, ხომ ხედავთ მტრედები ნაყრდებიან, დაფეთდებიანო.

ხანშიშესული კაცი ნელ-ნელა გაემართა ბავშვისაკენ, დედაბერი გაკაპასებული გაპყვიროდა, ჩქარა, კაცო, გააშორე ბავშვი მანდაურობასო. ქალმა (ალბათ ბებია იყო ბავშვისა) წყნარად ჩაილაპარაკა, რამ გაბაცოფა, მტრედები თუ აფრინდებიან, კვლავ მოფრინდებიანო. კაცმა ბავშვს ხელი მოჰკიდა, მოაცილა მტრედების გუნდს. ავეშვი ატირდა და გუნდისაკენ იქაჩეოდა.

თეთრშლაპიანი არაფერს ამბობდა, ისევ ნაფხვენებს უყრიდა მტრედებს.

მესამე დედაბერი შუბლშექმუხნული, გაბრაზებული მისჩერებოდა, როგორ მიექაჩებოდა ბავშვს ჭიცი, თან ბუბლებზედა, ფეხებზე ჰკიდიათ მტრედებო.

მერე ვედროიანმა თავისი ფუთა ვე-

დროში ჩადო და აჩქარებით გაუფეხა ქუჩას.

თეთრშლაპიანმა ბოლოს შეტეხა იფერთხა, ხელთათმანები ისევ ფრთხილად წამოიცვა თითებზე, ტყავის ჩანთა აიღო, კოტახანს ელაპარაკა მესამე, ლობებზე ჩამომჯდარ დედაბერს და ნელი ნაბიჯით პარკი გადაკეთა.

დარჩა მესამე დედაბერი მარტო, იჯდა და მტრედებს გაპყურებდა. ვილაც ჰბატუქმა ახლოს ჩაუარა გუნდს, შეფოთხილდნენ მტრედები, დედაბერმა მიადახა, შე მუტრუქო, ისე ვერ გაივლო, მტრედები რომ არ დააფეთოო?!

ნელ-ნელა გაფრინდნენ მტრედები.

კოტა ხანში არცერთი აღარ იყო იქ. დედაბერი იჯდა ბადურიდან. ბუბლიკი ამოიღო, ნახევარი შეატეხა, ბუბლიკი მოკბიჩა და მაწვნინანი ბოთლი პირზე მიიყუდა. დამწვილებული ჰამდა და პირქუშად გამოიყურებოდა.

ბალიდან ათი-თორმეტი წლის ბიჭი ლობეს შეახტა და დედაბრის ახლოს ტროტუარზე ჩახტა, დედაბერი გამოელაპარაკა, უბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, განასკვეული წვერი გახსნა, ხურდა ფული ბავშვს მისცა, ბავშვმა გამოართვა და მაწინვე მოკურცხლა. ისევ შენაკვეა დედაბერმა ცხვირსახოცის წვერი და უბეში ჩაიღო.

რამდენიმე დღის შემდეგ ვალენტინა წიგნი დავუბრუნე და დედაბრების ამბავი ვუამბე. მთელ ქალაქში ცნობილი დედაბრებიაო, მითხრა ვალენტინამ, ომში შვილები და ქმრები დაეღუპათ, მარტონი დარჩნენ, ომი ახალი დამთავრებული იყო, მანდ რამდენიმე მტრედს შეეყარა ერთი მათგანი, საკენკი მიუყარა, მომრავლდა მტრედების გუნდი, მეორე და მესამე დედაბერიც მალე გამოჩნდა მტრედებთან და მას შემდეგ, აგერ, რამდენიმე ათეული წელია აგრე ცხოვრობენ. ყოველ დღი-საღამოს მანდ არიან და მტრედებს აპურებენ. ერთხელ ავტომანქანებიც შეუჩერებიათ მტრედების დაპურების დროს. ერთ შოფერს ყურად არ უღია

მათი გაფრთხილება, გაუქმებია მანქანა და მტრედები დაუფეთებია. გაქცეულან დედაბრები მილიციის განყოფილებაში, უჩივლიათ, მოუძებნიათ ის შოფერი და რიგიანად გაუჭორიათ. მას მერე, მტრედების დაპურების დროს, შოფერები გზას უქცევენ ამ ადგილს.

ვინ გამოთქვამს იმ უზომო ფიქრსა და სევდას, რაც საეკნთან ერთად მიუყრიათ მტრედებისთვის ამ საცოდავ დედაბრებს?!

ჩემო მამისხვალო!

ნუ აგერევა ერთმანეთში ჩემი და ბუდუს ნაამბობი, ორთავე პირველი პირით გიყვებით ჩვენ-ჩვენს თავგადასავალს და, გარდა ამისა, ძალიან ჰგავს ერთმანეთს ჩვენი ფრონტული ცხოვრება.

ამ წიგნის მომდევნო ფურცლებზე შეგხვდება ჩემი ჩანართები. ბუდუ ბედია ბუდუ ბედი, მე კი ამ წიგნის მწერალი ვარ. ჩვენი ცხოვრება კი ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ სხვადასხვანაირი ხასიათისანი ვართ და ამიტომ ჩვენი ნაამბობიც სტილურად უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.

მე ახლა სამოცდაორი წლისა ვარ. ჩემმა ტოლმა მეგობარმა მწერლებმა უკვე დაიწყეს ამ ცხოვრებიდან იმ ცხოვრებაში გადაბიჯება.

ამას წინათაც, მოულოდნელად, მარად მოუსვენარი და კლდესავით ჯანის პატრონი იოსებ ნონეშვილიც დავიტირეთ მე და შენ. იოსებმა წამლის გემო არ იცოდა, ორი დღით არ მინახავს ლოგინში სიციხიანი მწოლარე. სულ თვითმფრინავში და მანქანაში იჯდა, ტრიბუნებიდან ლექსებით ალაღებდა შენს გულს, უცხო და ნაცნობი ადამიანებისათვის ზრუნავდა სად ეცალა ავადმყოფობისათვის. მაგრამ უცებ, არავინ რომ არ ელოდა, სისხლი ჩაექცა და ხელიდან გამოგვეცალა. რამდენი დაუწერელი ლექსი წაიღო თან!

მღუღარე ცრემლებით დავიტირეთ მე და შენ იოსებო.

შენ აგაშენა ღმერთმა, როგორი სი-

ყვარული გცოდნია შენი პოეტისა, ოუსთაველის პროსპექტზე მხრებით ჩაატარე კუბო და დიდუბის პანთეონთან სამუდამო განსასვენებლად გულდამწვარმა მიიტანე. შენ აგაშენა ღმერთმა, საყვარელი პოეტის ამგვარი დაფასება რომ შეგძლებოდა.

ამიტომ ვქაბობ-მეთქი ამ წიგნის გასრულებას, რა ვიცი, როდის გასკდება ჩემი დაღლილი ნერვიც.

ჰოდა, მივყვეთ ახლა კვალდაკვალ ბებია ანას ხატადან გამოსულ, ტყვე-აკიდებულ ბუდუ ბედიასა და არჩილ მღებრიშვილს.

ყური მიუგდე ისევ ბუდუს თხრობას.

გულის თვალი

მაისის ღრუბლიანი დღე გვარიანად მომსალარდა. არჩილი ისე გულიანად მიაბიჯებს, მალე ბებია ანას ნაძვები თვალს მიეფარა. მე გერმანელი წინ მივუშვი და ასე მივდევეთ ორივენი არჩილს.

შედებულნი ტყვიისფერი ღრუბლები უძრავად გართხმულან ცაზე.

იქით-აქეთ მიმომავალი ავტომანქანების გზას დეადექით.

თვალს ვაცეკებ გარშემო, ვერ მოვიმხარი, საიდან მოვრობდით გუშინ. არჩილმა შემხედურ ჯარისკაცებს რალაც ჰკითხა და კვლავ მიჰყვა წინ მიმავალ ავტომანქანებს.

გზის ორივე მხარეს, ტრიალ მინდორზე, ბლომად ჩანან ჯარისკაცები. ყველანი თავიანთი საქმეებით არიან გართულნი და არავის აინტერესებს, ჩვენ ვინა ვართ და რა დღეში ვიმყოფებით.

ყრანტალით გადაგვიფრინა ყვავები გუნდმა. ტყვე-გოგომ თავი შემართა, თვალი გააყოლა ჩვენს უკან გაქანებულ ყვავების გუნდს.

ღმერთო ჩემო!

ასეთი ლამაზი გოგო ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს.

ტყვიისფერი ღრუბლების ნათელმშრეტილ შუქზეც ზურმუხტივით გაკრი-აღდა მისი თვალები. ისე მოულოდნე-

ლად შევეფეთე ყვავებისაჲს მძიჲ-რობილ ამ მიამიტ მზერას, წამით გავ-შტერდი, გავშტერდი და მივაჩერდი, ნუშინაგავარი გუგებიდან ცისკენ მლოცველივით იყვნენ შემართული ჯადოსნური თვალები. ოდნავ მოგრძო სახე ტყვე გოგონასი ბინდდაფენილ ღრუბლების ფონს, ჩვენს საყდრებში რომ მინახავს, იმგვარ ფრესკასავით მივხატა. არც კი შეუძინეგია, მე რომ მივაჩერდი, მზერა ყვავების გუნდს მოსწყვიტა, თავი შეაბრუნა და მიჰყვა არჩილს.

წამით ყველა საფიქრალი ამომეფერთა თავიდან და ახლა ქალს ზურგიდან დაეუწყე თვალიერება. ახალა შევამჩნიე, მოლისფერ ფარაჯში რა კობტად იყო გამოკვანწული. ჩექმები ჩვენებური „აზიაცკებივით“ შემოტმანსია და ისე მიაბიჯებს, თითქოს ტყვედ ჩავარდნილი კი არ იყოს, არამედ ჩვენთან ერთად მოსეირნობდეს ამ ტრიალ მინდორზე. მხრებზე ჩალისფერი თმა აყრია და მოლისფერივე საველე ქუდი გვერდულად აქვს თავზე მორგებული. არჩილი გრძელი ნაბიჯებით მილაჩებს წინ, თავდახრილი ქალი მოკლე-მოკლე ნაბიჯებით მიჰყვება, მაგრამ ერთი არშინითაც არ ჩამოშორებია მას. ვინატრე, ერთხელ კიდევ გამოიხედოს-მეთქი.

ყვავების გუნდი აღარ გადაფრენილა ჩვენს თავზე.

ტყვე გოგონას მშვენიერების მოულოდნელად აღმოჩენამ თითქოს სხვაგვარად განმაწყო მისდამი. ზურგიდან რომ ავათვალიერ-ჩავათვალიერე, წამით ისიც კი გავიფიქრე, ერთი ლამაზ კაბაში მანახა-მეთქი ეს გოგო. უცებ არჩილისათვისაც მინდოდა შემეძახხა, მოიხედე, რა ლამაზი გოგო ყოფილა-თქო, მაგრამ თავი შევეკავე. სწორედ ამ დროს არჩილი შეჩერდა, აქ დამელოდეთო, თქვა ისე, რომ გერმანელისთვის არც შეუხედავს და გზიდან მინდორზე გაიჭრა. მე თვალი გავაყოლე. მოშორებით ჯარისკაცები დაბორიალობენ. არჩილი მივიდა მათთან, ერთ-ერთს გამოელაპარაკა, ჯარისკაცმა იქვე ახლოს

რომელიღაც მიწურში ჩაიყვანა. ცოტა ხნის შემდეგ არჩილმა მიწურიდან თავი ამოჰყო და ჩვენსკენ გამოემართა.

ტყვესთან მარტო რო დავრჩი, ვერა და ვეღარ გავებდე პირდაპირ შეხედვა. არჩილისაჲს თვალგადევნებულს, ქალისაჲს არც გამიხედავს.

არჩილი დაბრუნდა, მგონი მიეუახლოვდითო, თქვა და გზას გაჰყვა.

სად იყო და სად არა, ცას თვითმფრინავების ზუზუნნი მოაწყდა. ვეღარც კი მოვასწარი ცისკენ ახედვა, ჩვენს წინ მიმავალ რამდენიმე ავტომანქანის ახლომახლო ბომბებმა მიწა გაგლიჯეს. სამივენი მიწას გავეკარით. ტყვე არ გამექცეს-მეთქი, ამაზე აღარ ვფიქრობდი. ჩვენს გარშემოც გასკდა რამდენიმე ჭურვი და შემომესმა, როგორ წული-წულით გადაგვიშხულიეს თავზე ჭურვის ნამსხვრევებმა. მიწის ბოლქვები დამეყარა ზურგზე. პირქვე დამხოზილი თავს მალა ვერ ვწევდი. რამდენიმეჯერ კიდევ შემომესმა მიწის ხლეჩის შემაზრუნე ხმა და მერე უცბათვე დაწყნარდა გარშემო ყველაფერი. საკმაოდ შორს გაფრენილი თვითმფრინავების ყრუ გუგუნილა ისმოდა მხოლოდ.

წამოვდექი.

წინ ერთი მანქანა ცეცხლის ალსა და შავ ბოლში გახვეულიყო. არჩილი წამოდგა, მეც წამოვდექი. კისერზე სისველე ვიგრძენი, ხელი მოვისვი. ხელისგული სისხლით მომეთხვარა ხელისგულს რომ დეაჩერდი, არჩილმა შემომძახხა:

— რა იყო, ბუდუ?!

— მგონი გამეაწრა რალაცამ, — ამოვილულულე მე.

არჩილი მომვარდა, კეფაზე დამხედა, ნამსხვრევს გაუაწვრიხარ, საბრძოლო ნათლობის მირთონივით მოცხებია სისხლით (გუშინდელს აქეთ პირველად გაიხუმრა არჩილმა), ჯიბეში ხელი ჩაიყო, ცხვირსახოცი ამოიღო, დაიდო, საშიში არაფერია, სისხლის დენა შეწყდებაო, თქვა და მაშინვე ტყვეც მოგვიახლოვდა, ჯიბიდან პაკეტი ამოიღო, დაქეიო, მითხრა რუსულად, პაკეტს ქა-

ლალდი შემოაცალა და თეთრი ბანდით კრილობა შემიხვია. ზურგიდან იყო მომღვარი, თითების შეხებას ეგრძობდი და ერთი წუთითაც არ გამიფიქრია, რომ უცხო ვინმე მიხვევდა კრილობას. წამოვდექი და გასისხლული ხელისგული ფარაჯის კალთაზე შევიხოცე.

არჩილმა ხმაამოუღებლად განაგრძო გზა. მეც მივყევი. ცეცხლწაკიდებულ მანქანას ჩაეუარეთ და მაშინღა გამახსენდა, ტყვე უკან რომ დამჩნია. შემოვბრუნდი, დამწვარი მანქანის შავი ბოლი მოხვეოდა, ნელა მოგვეყვებოდა, მანქანას გამოსცდა და შავი ბოლიც შემოეცალა, წინ გავატარი.

გულის თვალი გავაყოლო, რატომღაც გავიფიქრე, დამწვარი მანქანა რომ დინახა, გერმანელთა ჭურვით დაგლეჯილი, ნეტავი თუ გაუხარდა? კრილობა რად შემიხვია, ხომ შეეშლო ბანდი არ გამოეჩინა, ანდა არჩილისთვის მიეცა, ჯა, შეუხვიეო? თავისი ხელით რად შეუხვია კრილობა იმ კაცს, რომლის სიკვდილსაც უნდა ნატრობდეს, ამ დღეში რომ ჩაადგო, ტყვედ წამოიყვანა და ჭერ კიდევ გაურკვეველია, რა მოელოს აწი?! მომეფარისევლა, ეგებ არა მავნოს რაო, თუ ქალის გულმა უკარნახა, ასე მოქცეულიყო!

ეს კითხვები ბუნჯალებივით ამიზუნუნდნენ და მის სულში ვცდილობდი ჩახედვას გულის თვალით.

ბაბუცელა

ჩვენი ბრიგადის ადგილსამყოფელის მიგნება აღარ გავკვირვებია. არჩილს გეზი დაახლოებით სწორად აუღია წინა ხაზიდან ავტომატებისა და თოფების კანტიკულტი სროლის ხმას როცა მიუვახლოვდით, ჩასანგრებული ქარის ნაწილები უფრო გახშირდა, ალაგ-ალაგ დროგები დალოდავენ, ალაგ საველე ქვაბების თხელი ბოლია მიმოფანტული, გაშლილ მინდორზე ქარისკაცები მიმოდიან. დასახლებული ადგილი არსად ჩანს.

რაც ბებია ანას ნაძვებს გამოეცდით, ერთ ხესაც ვერ მოვკარი თვალი სად-

მე. ბორცვებაყრილი თვალგაუწვედნელი მინდორი ახლად ამოწვერილი ბაღით არის გადაფარული.

მაისის პირველი დღეებია, მაგრამ საეჭაოდ გრილა. სიარულში გავხურდი და ხანდახან სახეზე ნიავის შეხებით ეგრძობ ნესტიან სიგრილეს.

ხანგამოშვებით შორიდან ქვემეხების მძიმე ხენეშაც ისმის.

კითხვა-კითხვით ბრიგადის ჩასანგრებულ უბანსაც მივადექით. ერთ შემალბებულ ბორცვს მოვეფარეთ და ჩავეჩქით. არჩილმა მითხრა, აქ დამელოდეთო და თვითონ ბორცვს იქით გააბოტა.

გახსოვს, ბაბუცელა (ბაბუცა გერქვა, მაგრამ მე ასე გეძახდი) — სულ შენს ახლოს რომ მინდოდა ყოფნა? მე-შვიდე კლასში ვიყავით და ყოველ შესვენებაზე სულ შენთან ახლოს მინდოდა თამაში. ახლა რო ვიკონებ ამას, კი ეხვდები რაში ყოფილხარ საქმე, მაგრამ მაშინ რა ვიცოდი, რატომ იყო ასე. ახლა, ამ ბორცვთან რომ ვართ მომჭდარი მე და ეს ტყვე გოგო და არჩილს ველოდებით, რატომღაც შენზე ფიქრმა წამავლო ხელი. ხშირად მომგონებიხარ, მაგრამ ახლა მაინც რამ გამახსენა შენი თავი?!

გერმანელი გოგო ზის ენაჩავარდნილი, ჯადორეული თვალები კი აქვს, მაგრამ მე რა მესაქმება მის ლამაზ თვალებთან. შენზე ფიქრში გართული, ხანდახან შევხედავ და მიკვირს, დალონების არავითარი ნიშანწყალი არ ეტყობა, თითქოს ჩვენი ტყვე არც კი იყოს. ხანდახან კიდევ ასე მგონია, თვალს რომ შემავლებს, თითქოს შემუდარებოდეს, გამიშვი, შე უღმერთო, მე თოფის მსროლელი გერმანელი არა ვარ, ტელეფონთან დამსვამენ ჩვენები სულ მუდამ და შენ რა გენაღვლება, გამიშვი, თუ კაცი ხარო. ისეთი ლამაზია ეს შეჩვენებული, ხმა რო ამოიღოს და ასე მითხრას, იქნება მართლა ქე გავუშვა. თუმცა რას ვროშავ, ხომ მომკლავს არჩილი, ეს რო გავუშვა, მერე იმ თვალდაქაჩულ მაიორს ვინღა მივუყვა-

ნოთ? იქდეს ამ ბორცვთან არჩილის მობრუნებამდე, აღვრიალოს ციფერი თვალები და თუ უნდა, ის პატარა ჩრდილიანი ფოთო, ნიკაპზე რო აქვს, თითებით დამალოს. რა მესაქმება მე ახლა მის ციფერ თვალებთან და ნიკაპის ფოთოთან?!

მე შენ გამახსენდი და შენზე ვფიქრობ, ბაბუცელა.

სულ შენთან ყოფნა მინდოდა და ვერაფერს გეუბნებოდი. თამაშის დროს ხელს რომ შეგახებდი, მიხაროდა. როცა გავნაპირდებოდი, რაღაცა მინდოდა მეთქვა, თითქოს ვიცოდი კიდევ, რა უნდა მეთქვა და ვერ გეუბნებოდი. ერთხელ ერთი კარგი წიგნი გათხოვე და გითხარი, ჩანიშნულ ფურცელზე ფანქრით ხაზგასმული სიტყვები დაევირევიან წაიკითხე-მეთქი. მეორე დღეს წიგნი დამიბრუნე, ფანქრით ხაზგასმული სიტყვები მართლაც რა ლამაზი სიტყვებიო. ეს მითხარი მხოლოდ და მეტი არაფერი. მე მეგონა, მიხვდებოდი. ჩემ სათქმელ სიტყვებად მიიღებდი წიგნის გმირის ნათქვამ სიტყვებს. შენც არ მომიკვდე.

გახსოვს, კინოში პირველად რომ წავედი ამხანაგებთან ერთად? კინოში მერვე ბევრჯერ წავსულვარ გოგოსთანაც, ძმაცებთანაც, მარტოკაც, მაგრამ იმ ღამესავით არც ერთი ღამე არ მახსოვს. საგანგებოდ გამოვიპრანჭე, შენს გვერდით დაჯდომაც მოვახერხე კინოში, საგანგებოდ გამოპრანჭული რო ვიყავი, შენ არც კი შეგიმჩნევია. ტანისამოსით ვისიმე ყურადღების მიპყრობა ბავშვობიდანვე არ მიყვარდა, იმ ღამეს კი ძალიან მინდოდა ჩემი ჩაცმულობაც მოგწონებოდა.

კინოს შემდეგ დავიშალენით. მე და შენ გუგული დვალი გავაცილეთ შინამდე. თოვლქვაპიანი ღამე იყო. სველი თოვლი მოდიოდა ციდან და მიწაზე წყალშემდგარი თოვლი იდო.

მე და შენ ქალაქის ერთუბნელები ვიყავით. გუგული ჩვენ გზაზე ცხოვრობდა. ბნელ-ბნელი ქუჩებით სახლამდე მივაცილეთ და ჩვენ აღმა შევუყე-

ვით ჩაბნელებული ქუჩაბანდებით ჩვენი უბნისაკენ. მარტო რო დანდნულთუ ერთი სული მქონდა, ახლან მოვსულიყავი. წელზე ხელი მომხვია და ისე მოგყოლოდი გვერდი-გვერდ. ვერ გავბედდე და შორი-შორ მოგვევბოდი ერთგულ ფინიასავით. თოვლქვაპში მივაბოტებდით. ჩვენი სკოლის დიდი ეზო გადავქვრით, ასწლოვანი მუხების ქვეშ გავიარეთ, მუხის რტოებზე დაცურებული წყლიანი თოვლი გვეყრებოდა მხრებზე.

მოახლოება კი არა, ისიც ვერ შევძელი, რამე მეთქვა, შეამბნა მაინც რამე ან წაიკითხული, ან გაგონილი. მთლად ჩამივარდა ენა, დავმუნჯდი, ხმა ვერ ამოვიღე. სკოლაში შესვენებების დროს კი გუუბნებოდი რაღაც-რაღაცებებს, შენც გულიანად მისმენდი ხოლმე, ხანდახან გადაიკისკისებდი კიდევ (ნეტა რას გეუბნებოდი ასეთას), ახლა მოგდევდი შორიახლოს და წელზე ხელი მომხვია კი არა, შენ ჭიშკართან მოულოდნელად ისე აღმოვჩნდი, მთელ გზაზე ერთი სიტყვაც ვერ გითხარი. ხელი ჩამომართვი, ჭიშკარი შეაღე, ალბათ, დედამ არ დამინახოსო, ამის შეგეშინდა და ეზოში შევარი.

მე ცოტახანს გაოგნებული ვიდექი მოხტრული ჭიშკრის წინ და მერე დანალვლიანებული ჩავუყევი ჩემი სახლისკენ დაქანებულ, რიყის ქვევით მოკირწყლულ ქუჩას.

მთელი ღამე ვერ დავიძინე. ეს იყო პირველი ღამე, რომელიც გოგონებ ფიქრში გავათენე.

ჩემს ცხოვრებაში ეს იყო პირველი შეცდომა, რომელიც თანდაყოლილი გაუბედობის გამო დავუშვი. ახლა აგრეც ვფიქრობ ხანდახან, იქნება მაშინ ჯერ კიდევ გაუცნობიერებელმა პირველმა სიყვარულმა ჩამადენინა ეს შეცდომა?

მეორე დღეს სკოლაში დიდ დასვენებაზე გუგული დვალმა ცალკე გამიხმო და მითხრა, ბუდუ, შენ ქალბიჭა ხომ არა ხარო. გაოცებული მივაჩერდი, რად მეუბნები-მეთქი მაგას. აბა, ბიჭო,

თოვლქყაიან ბნელ ქუჩებში ბაბუცას ფეხი რომ დაცდენოდა და რამე ტყენოდა, დღეს ქვეყანაზე თავი გამოსაყოფი არ გეჭნებოდა, ხელი მაინც ვერ მოკიდებო გოგოს? სახეზე აღმურცა გადაშიარა, მიწა რო გამხეთქოდა ფეხქვეშ და თან ჩავეტანე, ის შერჩია. ფუი, შენ კაცობასო, მომაყარა ქოქოლა გუგულომ და წავიდა.

გაშტერებული დაერჩი ადგილზე. მერე თავჩაღუნული საკლასო ოთახში შევეკარდი, ჩანთას ხელი დავტაცე და სკოლიდან გავიქეცი.

პირველად შვიდი წლის სწავლის განმავლობაში გაკვეთილებიდან გავიპარე. ეჰ, ბაბუცელო, ბაბუცელო, შენ ეტყოდი, აბა, ვინ ეტყოდა შენს დაქალს ამას, ჩვენს მეტმა არავინ იცოდა და ამ დილითვე რატომ ჩაუღერლე გუგულის ეს ამბავი, რატომ ჩამაგდე მაგ ჭორიკანა გოგოს ყბაში?!

შენს აჩრდილს ასე გამოველაპარაკე შინისკენ მიმავალი.

შვიდწლიანი იყო ჩვენი სკოლა. მისი დამთავრების შემდეგ მე სხვა სკოლაში წავედი და შენ — სხვა სკოლაში.

ასე გაიყარა ჩვენი გზები. სევდიანად მაგონდებოდი ყოველთვის. რომ შემხვედროდი სადმე, ნეტა თუ გეტყოდი გულისნადებს, წელზე თუ მოგხვევდი ხელს თოვლქყაში?

ახლა აგერ გერმანელი ტყვე გოგო მიზის გვერდით, ამასთანაც ხმაჩაწყვეტილი ვარ, მაგრამ წუხელი ეგეთა წვიმაში ხელი მაგრად მჭონდა ჩაჭიდებული მის ხელზე — იმ თვალგაუმტარ ღამეში როგორ შევამჩნევედი, ამისთანა ნაზი და ჩამოქნილი თითები თუ ჰქონდა. ჰო, მაგრად ვიყავი ჩაფრენილი მის ხელზე, მაგრამ ეგ სხვა იყო. ახლაც რომ არაფერს ვეუბნები, ეგეც სხვაა.

რა მესაქმებდა მის ღამაზე თვალებთან, ჩალისფერ თმასთან და ჩამოქნილ თითებთან.

მე შენ მომაგონდი და შენზე ვფიქრობ, ბაბუცელო.

ბაბუცელო, სად ხარ ახლა? იქნება შენც ამ დასაქცევში ხარ, ამ ჭოჯოხე-

თში? შენი ტოლა გოგოებიც ხომ წაიღინენ ჯარში? სულ არ მინდა უკრო იყვე, არა, არა, სულაც არ მინდა, მაგრამ უცებ რომ სადმე შემხვდე, ამ წუთს, ეგერ, იმ ბორცვთან რომ დაგინახო, წუხანდელი ჯოჯოხეთური ღამე მაშინვე გადამავიწყდება.

ახლა რომ ციდან ჩამოგაგდო და ამ გერმანელი გოგოს გვერდით დაგსვა, შევძახებდი ამ საცოდავს, ა. შეხედე, შეხედე, სად ბაბუცელას სილამაზე და სად შენი-მეთქი. მაშინვე მოგვარდებოდი და წელზე ხელს მოგხვევდი, ყურში ჩაგჩურჩულებდი, სულზე უტბებსო, რატომ ჩამაგდე იმ ჭორიკანა გოგოს ყბაში-მეთქი.

ამ გერმანელი გოგოსკენ სულაც არ გავიხედავდი, ბაბუცელო.

არჩილი მობრუნდა, მომყვითო, თქვა, გერმანელი და მე წამოვდექით და ბაბუცელას აჩრდილი ბორცვთან დავტოვე.

— რა ქენი არჩილ, მიაგენი? — ვკითხე არჩილს.

— ვერა, ვერ მიაგენი. მითხრეს, აგერა, ამ ფერდობს გაყევი და ბრიგადის ბლინდაეებს მიადგებიო. წუხელ სხვა ნაწილს შეუცვლია და ბრიგადა წინა ხაზიდან გადმოუყვანიათ ხუთი კილომეტრით უკან, შესავსებად. ჩვენი ბრიგადის მეზობელი ნაწილის ჯარისკაცებმა მითხრეს. ისინიც წუხელ გადმოუყვანიათ აქ, ახლა სანგრებსა და მიწურებს თხრიან.

თვალი გავადევნე ფერდობს, შემალლებული ველი გვარიანად დამრეცი ფერდობითაა მიერთებული დაბალ ველზე. ფერდობს გავყევით. შემალლებულ ველზე ველარაფერს ვხედავ, დაბლა დაცემულ ველზე კი უამრავი ჯარისკაცი, ცხენშებმული ორთვალეები, ქვემეხის ლულები, სანგრები და მიწურები ჩანს. ხანდახან ზარბაზნების გუგუნი ისმის შორიდან.

ჯარგახანს ვიარეთ. კითხვა-კითხვით ბოლოს ბრიგადის ადგილსამყოფელსაც მივადექით და ერთმა ჯარისკაცმა

ბრიგადის შტაბის ძელმიწურთან მიგვიყვანა.

არჩილმა შტაბის მორიგე მეთაურს მოახსენა, ვინც ვიყავით. მორიგე მეთაურმა გერმანელი აათვალ-ჩაათვალიერა, აქ დაიცადეთო, თქვა და ძელმიწურში ჩავიდა. ცოტახნის შემდეგ კარიდან ამოგვძახა, მოდიეთო და ძელმიწურში შეგვიძღვა.

ძლივს ვიციანი მაიორი კლიმოვი. იგი გრძელი და განიერი მიწურის კუთხეში მდგარ მაგიდასთან იჯდა და ქალაქებს ჩაპკირკიტებდა. ჩვენ კართან ავიტუხეთ. მაიორს კარგახანს ჩვენთვის არც შემოუხედავს.

მერე თავი ამართა და შემოგვაჩერდა. ძლივს ვიციანი. აღარ ჰგავდა ტყიდან გამოვარდნილ ნადირს, იმგვარს, გუშინ რომ მომეჩვენა ორმოსში. ჭაგარივით წვერი გაეპარსა, ცხვირის ნესტოებიდან გამომზეკილი ბეწვებიც აღარ უჩანდა. ერთმანეთზე გადაბმული სქელი წარბებით ვიციანი და ფართო, ღვრილა თვალებით, რომლებშიც გუშინდელი ბრიალა ცეცხლი ოდნავ მინელებულიყო.

კარი გაიღო და მალალი, ახოვანი, წელში გამართული, მკერდგანიერი პოლკოვნიკი შემოვიდა, მას ახალგაზრდა კაპიტანი შემოჰყვა. მაიორი კლიმოვი წამოდგა. პოლკოვნიკმა შინელი მოიძრო და ტახტზე მიაგდო. მკერდზე წითელი ვარსკვლავის ორდენი ეკეთა. რაც ამ გზაზე მოვდივარ, ჯერ ორდენიანი არავინ შემხვედრია. მაშასადამე პოლკოვნიკს რალაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ფრონტზე. ისედაც ლამაზი შესახედაობის კაცს ორდენი შეენის.

— დენის პეტროვიჩ, — მიმართა პოლკოვნიკმა მაიორს, — სამასი ჯარისკაცი გამოუგზავნიათ, ხვალ დილით აქ იქნებიან.

— სამასი?! — შეიცხადა მაიორმა, — გაწყვეტილია ბრიგადა და სამასი სალდათი გვეყოფა?!

პოლკოვნიკი მაგიდის მეორე მხარეს სკამზე ჩამოჯდა.

— კიდევ მოგაშველებთო, გვპირდებიან. — უპასუხა პოლკოვნიკმა.

— დაპირებები და დაპირებები! მაიორმა ყელთან მიიტანა დაკოტიტებული თითები, — გუშინ თორმეტმა მეთაურმა მოაღწია ჩვენამდე და სალამოსს ნახევარი ძლივს მოვაგროვე.

ტანში გამცრა, მაგრამ მაშინვე ოდნავი შვება ვიგრძენი, ნახევარი ძლივს მოვაგროვეო, თქვა მაიორმა, მაშასადამე გუშინდელი წისკვილის ქვა მართო ჩვენს თავზე არ დაბრუნებულა. ვიღრე ამ აზრით ჩვენი მდგომარეობის აწონ-დაწონვა მოვასწარი, არჩილმა ფეხი წინ წადგა, არც აცია, არც აცხელა და მაიორს მოახსენა ისე რიხიანად, გამიკვირდა:

— ამხანაგო მაიორო, ჩვენ აქა ვართ! პოლკოვნიკი, მაიორი და კაპიტანი შემოგვაჩერდნენ. მაიორი მოგვიახლოვდა.

— თქვენ ვინა ხართ?!

— ლეიტენანტი არჩილ მღებრიშვილი! — მიუგო სმენაზე მდგარმა და საფეთქელთან ხელმიდებულმა არჩილმა. მეც ფეხი წინ წავდგი, გავიჯგიმე და მაიორს წარვუდგინე ჩემი თავიც:

— ლეიტენანტი ბუღუ ბელია! მაიორი უფრო ახლოს მოვიდა და არჩილის წინ შედგა. არჩილი სარგადაცლალეოვით დგას. მაიორმა რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ თითქოს მიუხედავო, რაც უნდა ჰკითხოს, არჩილმა დინჯად უთხრა:

— ორმოსთან ჯოჯოხეთური ცეცხლი გაჩაღდა. დავშინდით. გავიფანტენით. შემოგვალამდა და გზა ველარ გამოვიკვლიეთ ორმოსაკენ.

— ისეთი ბათქაბუთქი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს, ამხანაგო მაიორო, — წამოვეშველე არჩილს, — თქვენ გვიბრძანეთ, თავს გაუფრთხილდითო და ჩვენც ასე მოვიქცეთ.

— ფრონტზე თავს გაქცევით არ უნდა გაუფრთხილდე. ლეიტენანტო! — ცივი ხმით შემოგვძახა იქვე, პოლკოვნიკის ახლოს მდგარმა კაპიტანმა. მაიორმა ახლა მე შემომხედა, კაპი-

ტნის საყვედურს მხარი არ აუბა. ბრი-
ალა თვალები ჩემგან ტყვე გოგონაზე
გადაიტანა, იგი გატრუნული იდგა
ჩვენს უკან.

— ეგ ვინა არი?! — გოგონასათ-
ვის თვალი არ მოუშორებია, ისე იეი-
თხა მაიორმა.

— გერმანელია, ტყვედ ავიყვანეთ
ლამით, — მიუგო არჩილმა.

მაიორმა პოლკოვნიკს გაჰხედა. პო-
ლკოვნიკი სკამის საზურგეს მიყრდნო-
ბოდა და პაპიროსს აბოლებდა.

— დიახ, ჩვენი ტყვეა ეს გერმანე-
ლი, — კვერი დავუყარი არჩილს.

მაიორი კვლავ გერმანელს მიაჩერდა.

— თქვენი ტყვე?!

— დიახ, ჩვენი ტყვე, — მიუღებ
გაკვირვებულ მაიორს.

მაიორი თითქოს მე არ მენდო, ისევე
არჩილს დაუდგა წინ.

— არწივო, ეს გოგო რჩგორღა ჩა-
გვიარდა კლანჭებში?!

აღბათ იმის გამო, რომ ეს დიდი მე-
თაურები არც ისე მრისხანედ იყვნენ
განწყობილნი ჩვენდამი, გაებედღე და
ვუპასუხე:

— აადაც არის ბედი შენი, იქ მიგი-
ყვანს ფეხი შენი, ამბობენ ჩვენში, ამ-
ხანაგო მაიორო. ახლა რომ მოვინდო-
მო, ვერც მივაგნებ იმ ადგილს, საცა ეს
ეშმაკის კერძი დავიჭირეთ, გარშემო
ვერაფერს ვხედავდით, ისეთი შავი ღა-
მე და აწიოკებული წვიმა იყო.

თვალი პოლკოვნიკისაკენ გავაპარე,
გაიღიმა, პაპიროსი საფერფლზე და-
ასრისა და კაპიტანს მიმართა, ჩვენს
თარჯიმანს გამოუძახეთო.

— თარჯიმანი არ დაგჭირდებათ, ამ-
ხანაგო პოლკოვნიკო, — მაშინვე შეე-
ძახე მე, — ეს გერმანელი კარგად ლა-
პარაკობს, რუსულად.

პოლკოვნიკმა ისევე პაპიროსი ამოი-
ლო, მოუკიდა, გააბოლა და გერმანელი
თავისთან მიიხზო.

ტყვე მხრებში გაიმართა, თავზე პი-
ლოტურა შეისწორა და ტანის კოხტა
რხევით, მოკლე, მაგრამ ჭარისკაცური
ნაბიჯებით პოლკოვნიკისაკენ გაემართა.

ახლოს შედგა, ჩექმების ქუსლები ერ-
თმანეთს ენერგიულად ეხებოდა —
ტყავი! — გამოსცა ქუსლებმა გამოკვე-
თილი ხმა და ტყვე მალა თავშემარ-
თული ლარჩევით გაიჭიმა.

— რა გვარი ხარ? — ჰკითხა პოლ-
კოვნიკმა.

— ჰილდა გოტვალდ! — თითქოს
ტყვე კი არა, მისი ჭარისკაცო იყოს, ისე
რიხიანად უპასუხა ტყვემ.

პოლკოვნიკმა სკამზე მიუთითა.

— დაბრძანდით!

ჰილდა სკამის კიდეზე ჩამოჯდა, ფე-
ხები ერთმანეთს მიატყუპა, ხელები
მუხლებზე დაიწყო და პოლკოვნიკს მი-
აჩერდა.

პოლკოვნიკმა მაიორს მიმართა:

— დენის პეტროვიჩი, აბა, ერთი გვი-
ამბოს მაგ არწივმა, როგორ მოხილ-
თა ეგ მშვენიერი ტყვე.

მაიორმა არჩილს უთხრა მოყვეო
და თვითონ თავის მაგიდასთან მოვიდა,
სკამზე ჩამოჯდა.

არჩილმა დაიწყო მოყოლა ჩვენი
გუშინდელი თავგადასავლისა. პოლკო-
ვნიკი და მაიორი გულდასმით უგდებ-
დნენ ყურს, რატომღაც კაპიტანი ვერ
ისვენებდა, ვხადავხა რაღაცას ჩასჩუ-
რჩულებდა ხოლმე პოლკოვნიკს. არ-
ჩილს რუსულად ლაპარაკი ჩემსავით
უჭირდა, მაგრამ მაინც მოახერხა ეამ-
ბნა მათთვის ჩვენი გუშინდელი გასა-
ჭირი. განსაკუთრებით შთამბეჭდავად
ილაპარაკა ბებია ანასთან შეხვედრის
თაობაზე. არჩილმა ამბის მოყოლა და-
ამთავრა, ჭიბიდან ჩვენი ტყვის პისტო-
ლეტი ამოიღო, გაალაჯა და მაიორის
მაგიდაზე დადო. შემობრუნდა და თავის
ადგილას დადგა.

მაიორი კლიმოვი წამოდგა, ჩვენთან
მოვიდა.

— მაშ, ფრონტელ ბებიას წააწყდით
შიშნაჭამები, არა?! დავიცაცხანათ
ხომ?! აბა, ახლა ჩემგან გაჯორვა აღარ
დაგჭირდებათ თქვენ, ვიცი ფრონტე-
ლი ბებიას ხასიათი. ფეხს არ გადავდ-
ვამ აქედანო!.. ჰმ... თქვენ კი მტრის



ორიოდე ჭურვის ბატქმა დაგაფრთხოთ ამხელა ვაჟაკები.

მაიორ კლიმოვის ჩვენთან საუბარი პოლკოვნიკის ხმამ შეაწყვეტინა. პოლკოვნიკმა ტყვეს რაღაც კეთხა და მაიორი თავის მაგიდას დაუბრუნდა, ჩამოჭდა. ჰილდა მოკლე-მოკლე პასუხებს აძლევდა პოლკოვნიკს. საუბრიდან გამორკვეა, რომ ჰილდა ორიოდე კვირის წინ ჩამოუყვანიათ იმ დივიზიაში, საცა ახლა იმყოფებოდა, დივიზიაც ახალი ჩასანგრებული ყოფილა იმ არემარეზე — წინანდელი ნაწილები შეუცვლია. თვითონ ჰილდა რამდენიმე დღეა მორიგეობით საიდუმლო ტელეფონთან იჭდა და რა ლაპარაკსაც ტელეფონით გაიგონებდა, იწერდა და დივიზიის შტაბში აგზავნიდა. პოლკოვნიკის შეკითხვაზე, ტანკები თუა ბლომად თქვენს დივიზიაშიო, ჰილდამ უპასუხა, მე რომ ჩამომიყვანეს, სწორედ იმ დღეს მოვიდა ერთი დიდი სატანკო ნაწილიო.

პოლკოვნიკმა ტყვესთან საუბარი შეწყვიტა, წამოდგა, ჩვენთან მოვიდა, მადლობთ, ბიჭებოო, გვითხრა, არჩილს მხარზე ხელი დაარტყა და კაპიტანს მიუბრუნდა:

— კაპიტანო, მოასვენეთ ბიჭები, დაანაყრეთ. ტყვეც არ დაგავიწყდეთ. ხვალ დილით ტყვე არმიის შტაბში გააგზავნეთ!

— ამხანაგო პოლკოვნიკო, — ადგილიდანვე მოახსენა კაპიტანმა, — არმიის შტაბში ეს ყმაწვილებიც უნდა გაიგზავნონ.

— ესენი რატომ?! — პოლკოვნიკი კაპიტანს მიუახლოვდა.

— მე მგონი საჭირო არ უნდა იყოს ამის განმარტება.

— რა განმარტება უნდა ამას?! — პოლკოვნიკი დაჭდა, — დაშინდნენ ბიჭები. მითუმეტეს, უიარალოდ იყვნენ. ხო დაბრუნდნენ?! მერედა როგორ დაბრუნდნენ, ტყვე, ტყვე მოიყვანეს, მოენე. გესმით თქვენ ეს?!

— გამორკვევა უნდა, რა გზით და როგორ მოიყვანეს მოენე.

— როგორ!.. რა გზით!.. — ოდნავ გაცხაოდა პოლკოვნიკი.

— მე ვალდებული ვარ, და კაპიტანი.

— მე კი ვალდებული ვარ, სისხლდაცლილ ბრიგადას ბრძოლისუნარიანობა დავუბრუნო. ხვალ სამასი ჯარისკაცი მოვა, უნდა შევკავოთ ბრიგადა. ოცეულები და ასეულები უმეთაურებოდ დაგვირჩა. მეთაური ახლა ჰაერივით გვჭირდება. გამომიგზავნეს და ორი მეთაური ახლა შტაბს დაუბრუნო?!

— ამგვარი მეთაურები!

— დენის პეტროვიჩ, — პოლკოვნიკმა მაიორს მიმართა, — ამ ბიჭების დოკუმენტები მაჩვენეთ.

მაიორმა საქალაღდე მოძებნა, გახსნა, ორი ქალაღდი ამოიღო და პოლკოვნიკა მიაწოდა. პოლკოვნიკმა ჩაიკითხა ქალაღდები.

— ახლახან დაუმთავრებიათ სამხედრო სასწავლებელი, — კვლავ კაპიტანს მიაჩერდა პოლკოვნიკი, — სტუდენტები... მაგათ გუშინ იეთი სიმწარე უნახავთ. ჩინებული წრთობა გაუვლიათ. კაპიტანო, მოასვენეთ ბიჭები, ხვალ ოცეულები უნდა ჩავაბარო.

— ახსნა-განმარტება უნდა დავაწერინო.

— დააწერიენე, დააწერიენე... მალე გაუშვი, მოისვენონ.

ჰილდა, არჩილი და მე კაპიტანს გავყევით. სხვა მიწურში შეგვიყვანა, მე და არჩილი მაგიდასთან დავგვსხა, ქალაღდები წინ დავგვიდო და ახსნა-განმარტება დაწერეთო, ცოვად გვითხრა. მოკლედ დაწერეთ ჩვენი გუშინდელი თავგადასავალი. მერე კაპიტანმა მორიგე ოფიცერს ჩაგვებარა.

მორიგე მეთაურმა ტყვესთან ერთად ცალკე მიწურში შეგვიყვანა.

ცოტა ხნის შემდეგ ერთმა ჯარისკაცმა საკმელი მოგვიტანა, ცალ-ცალკე დავგვიდო წინ საველე ქვაბურები და პური. ჯარისკაცი მიწურის კართან ჩაჭდა და ჩვენთვის ხმა არ გაუცია.

პოლკოვნიკისა და კაპიტანის საუბრით იე ვიყავი გაოგნებული. გონს ვერ

მოვედი. ტყვესთან ერთად რად შემოგვრეეს ამ ბნელ მიწურში? ეს თოფიანი ჭარისკაცი რად დაგვიყენეს კართან? შიშვილმა გვარიანად შემაწუხა, მაგრამ ლუკმა ვერ მივიტანე პირთან.

— არჩილ, — ველარ მოვითმინე და არჩილს შევძახე, — გამაგებინე, რა ხდება ჩვენს თავს?

— რა ვიცი მე, — ხმა ამოიღო არჩილმა.

— ხო არ დაგვაპატიმრეს?

— არც ეგ ვიცი.

— რა უნდა კაპიტანს?

— ყველას თავისი საქმე აქვს. მომეწვი ახლა. გათენდება და ყველაფერი გაირკვევა. არ მოგშვიდა?

— ძალღივით მომშვიდა და ლუკმას ვერ ვიღებ პირში.

— ჰამე, ჰამე. — არჩილმა ლუკმა გაღეჰა.

ჰილდასაც ვერ მოუთმენია და პურს შეეჭყვევა ნელ-ნელა.

მე კართან მჭდარ ჭარისკაცს გავძახე:

— გამარჯობა, ჭარისკაციო!

ჭარისკაცი შეიშმუნა და, გაგიმარჯოსო, მიბასუხა.

— მე, ძმაო, ბუღუ ბუღია ვარ, ეს — არჩილ მღებრიშვილი, ეს კიდე — ჰილდა, გვარად გოტვალდი უოფილა (პოლკოვნიკს ასე არ უპასუხა?), იგი გერმანელია, ჩვენ ტყვედ ჩავიგდეთ წუხელი. შენ რა გქვია, ამობილო? — ჭარისკაცთან საუბრისას სულ არ მიფიქრია, მე რო ლეიტენანტი ვარ და ის ჭარისკაცი. ჭარისკაცმა ამ ჩამობნელებულში შეიძლება ვერც შეგვაძინა, ჩვენ რომ მეთაურები ვართ.

— გენადი მქვია მე, — ჩაიბურღლუნა ჭარისკაცმა.

— მადლობელი ვართ, გენადი, პურმარილისათვის, მაგრამ გამარჯობა რამ დაგავიწყა, შე კაცო?! რაც არ უნდა იყოს, პირველად ვხვდებით ერთმანეთს.

პასუხი არ გამცა გენადიმ.

გვარიანად დავნაყრდი. მერე გაშლილ თივაზე მივწვიქი, შინელი გადავიფარე.

კარგად რო მოვკალათდი, გენადის ვუთხარო:

— თუ კაცი ხარ, მაგ ტყვეზე ფრთხილად გეჭიროს თვალი.

დაწერილი და დაუწერილი ახსნა-განმარტება

არჩილის ღრმა სუნთქვა მალე შემომესმა. დანაყრდა თუ არა, თივაზე მიწვა და მაშინვე ჩაეძინა. გასაფათებულნი კი ვიყავით, მუხლჩაუხრელად ბევრი ვიარეთ დღეს, მაგრამ ასე უცებ რამ ჩააძინა, ტყვესთან ერთად შემოგვყარეს მიწურში, ყარაული კი, შეიძლება ტყვეს დაუყენეს, წუხანდელი გადმოსული არის ბრიგადა წინა ხაზიდან და ამდენი მიწური სად ექნებათ ჭერ, ჩვენ ცალკე და ტყვე ცალკე რო მოეთავსებინათ. მართლაცდა, გათენდება და ყველაფერი გაირკვევა, როგორც არჩილმა თქვა. მაგრამ პოლკოვნიკისა და კაპიტანის საუბრის შემდეგ ნუთუ არჩილს არავითარი საფიქრალი არ გაუჩნდა? ფიქრის აჩქარებულად გამელავნება საერთოდ არ უყვარს არჩილს, ეს ბევრჯერ შევამჩნიე, ამიტომ არის სიტყვაძვირი, რაც არ უნდა ჩქარობდეს, თუ რამე შეეკითხებ, მაშინვე არ გიპასუხებს. მე ხშირად მოთმინებიდან გამოვუყვანივარ ამის გამო, შევეუძახებ ხოლმე, ამოიღე ხმა, რამე მითხარი-მეთქი, შენც არ მომიკდე, არჩილზე ამგვარი შედახილები არ მოქმედებს, როდის, როდის, რამდენიმე სიტყვით შეგეპასუხება და ეგ არის.

რა თქმა უნდა, ამლამინდელი ჩვენი მდგომარეობა არჩილსაც დააფიქრებდა, მაგრამ, გათენდება და ყველაფერი გაირკვევაო, მითხრა, მიწვა აგერ თივაზე და ჩაიძინა კიდეც. იქნება მართლაც არ ღირს ამაზე ფიქრი ახლა, იქნება ჯობდეს ლაზათიანად გამოვიძინო, პოლკოვნიკმა ხო თქვა, ხვალ ამ ბიჭებს ოცულები უნდა ჩავაბაროო. პოდა, პოლკოვნიკი ბრიგადის მეთაურია, მისი სიტყვა კანონია. ვინ იცის, ხვალ რა ჭაფა დაგვადგება.

მივწვიქი და ვგრძნობ, ერთი წაძინე-

ბა ახლა ყველაფერს მიჩრევენია, მაგრამ თვალები დავხუჭე თუაო, მაშინვე კაპიტანი დამიდგა თვალწინ. მხარი მოკინაცვლე, მაინც ვერ მოვიშორე ეს მოლანდება. რას ჩაგვაცივდა ეს კაცი?! იმდენი დავიდარაბა გადაგვხდა თავს, ბრიგადის შტაბს როგორც იქნა მოვაგენით, ტყვეც მოვიყვანეთ, ახლა ჩვენც რატომ ვართ გასაგზავნი არმიის შტაბში? ხან—დუნერტირობააო— წამოიძახა ბრიგადის მეთაურთან საუბარში, ხან „არ ვიცი რა ჩვენ, სად გადაეყარნენ ამ გერმანელსო“. ასეც კი უთხრა პოლკოვნიკს: „თქვენი ნებაა, მაგრამ მე მაინც უნდა ვაცნობო არმიის შტაბში ჩემს უფროსსო“.

ისევ მოკინაცვლე მხარი. ეს ფიქრი მაინც ვერ მოვიშორე. კინალამ წამოვვარდი, არჩილს გვაღვიძებ-მეთქი, ერთი გაფიქრება გავიფიქრე. თავი შევიკავე, მოვერიდე წაძინებული იმეკაცის გაღვიძებას.

თვალები მოვიუღღმე, უცებ, ახსნა-განმარტება რად დაგვაწერინა-მეთქი, ამ აზრს წავეტანე. როგორც კი ამ აზრს წავეტანე, იმ წუთსავე თელავი გამახსენდა. იქაც დამაწერინეს ერთხელ ახსნა-განმარტება და, ალბათ, ამიტომ გამახსენდა თელავი.

სამხედრო სასწავლებელს ვამთავრებდით. ერთ საღამოს სასწავლებლის შტაბში გამომიძახეს. ერთმა ლეიტენანტმა თვეს ოთახში შემიყვანა, დავსხედით და ხალისიანად გამესაუბრა. ლიმილ-ლიმილით გამომკითხა ჩემი ავანჩავანი. მეც ალაღმართლად ვპასუხობდი. მერე უეცრად, კომკავშირიდან რატომ გაგრიცხესო, ეს მკითხა ისე, უბრალოდ, ყოველგვარი ხაზგასმის გარეშე. არ მესიამოვნა ამის გახსენება, მაგრამ ლეიტენანტმა ისე ამიყოლია საუბარში, კითხვაზე კი არ ეუბასუხე, მე თვით შევეკითხე, ეს საიდან იცით-მეთქი. ჩიტმა მომიტანა ამბავი, ხუმრობით მითხრა, მერე რა, შე კაცო, მასეთები მომხდარაო, გაიღიმა, ქალაღდი და კალმისტარი მომაწოდა და, მოკლედ ახსნა-განმარტება დამიწერეთ. მითხრა.

მე კომკავშირში აღდგენილი ვარ-მეთქი, ვუთხარი, ვიცი, ეგეც ვიციო, მათდა, ყველაფერი ეს მაგ ქალაღდზე დაწერეთ.

დავწერე ახსნა-განმარტება, მოკლედ კი არა, კი ვრცლად.

ყოჩაღად იყავიო, მითხრა ლეიტენანტმა და გამომემშვიდობა.

რამდენიმე დღე კი ვფიქრობდი ამაზე, არჩილსაც ვუთხარი მაშინ, მერე სულ გადამავიწყდა ეს ამბავი.

ახლა გამახსენდა მხოლოდ. რაკი ეს გამახსენდა, თავისთავად მესამე ახსნა-განმარტებაც მომაგონდა, რომელიც უნდა დამეწერა, მაგრამ აღარ მომიხდა მისი დაწერა, ეგეც არჩილის წყალობით.

ტაქტიკურ მეცადინეობაზე ვიყავით თელავთან ახლოს, შუამთის ტყიან სანახებში. ეს, აგერ, სამიოდე თვის წინ მოხდა, ზამთარში. გვარიანი თოვლი იყო. დათოვლილ ტყითა და ბუჩქნარით დაბურულ მთებში კარვები გავმართეთ და ერთი კვირა, დღე-ღამე მოსვენება არ გვქონდა. სასწავლო შეტევით და თავდაცვით ოპერაციებისათვის გვამზადებდნენ. კარვებში ცეცხლს ვანთებდით ზოლმე. ხან ყარაულში ვიდევით, ხან ღამით დანვერვაში გვაგზავნიდნენ, ხან რომელიღაც პოზიციაზე ჩაგვასაფრებდნენ და სიცივე ძვალსა და რბილში გავგიჟდებოდა. ერთი სული გვქონდა, კარვებში როდის მივიდოდით და ტყეში მოგროვილი ფიჩხით აბრიალებულ ცეცხლს როდის მივეფიცებოდით. ცეცხლის გარშემო ყველანი თავისუფლად ვერ ვთავსდებოდით და ხანდახან ძიძგილაობაც კი გვქონდა ამის გამო.

ერთხელ შუალამისას გალიგეულნი და გასავათებულნი დავბრუნდით კარვებში. ყოველ საღამოს ჩვენ-ჩვენს აღჭურვილობას ვამოწმებდით და ოცმეთაურს მოვახსენებდით. იმ ღამით გადავხედე ჩემს ავლა-დიდებას და თოფის ერთი ტყვია მაკლდა. რა თქმა უნდა, სასწავლო ტყეები გვქონდა, მაგრამ მკაცრი ბრძანებით ვიყავით გაფ-

რთხილებული, გასროლილი ტყვიების ცარიელი მასრებიც უნდა შეგვენახა, ვინც თუნდაც ერთ ტყვიას დაკარგავდა, ტრიბუნალი არ ასცდებოდა. არ ვიცი, მართლა ასე მოხდებოდა თუ არა, — ჩვენ ასე ვიყავით გაფრთხილებული.

ბევრი ვეძებე ჭიბებში, აირწინალის ჩანთაში, — ერთი ტყვია მაკლდა, ვერსად მივაგენი. მეტი რა ჩარა იყო, გაციებულ-გათოშილმა მოვახსენე ათეულის მეთაურს, მან კი იმწამსვე ოცეულის მეთაურს, ლეიტენანტს მოახსენა.

გაცხარდა ლეიტენანტი. ფიცხლად ფეხზე დააყენა მთელი ოცეული, კარვებში მხოლოდ მორიგეები დატოვა და წაგვიტოვა იმ ადგილისაკენ, საცა მთელი დღე ვიყავით ჩასაფრებულნი. ადგილზე მივედით და გვიბრძანა, სანამ ტყვიას არ იპოვით, კარვებში ვერ დაბრუნდებითო. დაიწყეს ბიჭებმა ბუზღუნნი, ამ სიბნელეში თოვლში ჩავარდნილი ტყვია როგორ მოვიძიოთო, შენ დაგეჟცა, ბუღუია, ოჯახი, ჩვენი ასე გაწამებისთვისო, მაგან ტყვია დაკარგა, ჩვენ რა შუაში ვართო, — თოვლში ხელთს ვაფათურებდი და მესმოდა ჩემი მართლაცდა გამწარებული მეგობრების ამგვარი ბოლმიანი წამოძახილები.

ორი საათი ვეძებეთ, ტყვიას ვერავინ მიაკვლია. ბოლოს, ალბათ, შეებრაღა ოცეულის მეთაურს გაწამებული ბიჭები და კარვებში დაგვაბრუნა. მაშინვე ცეცხლს მიცივიდნენ, გალიგვული ხელები მოლაპლაპე აღს მიუშვირეს ბურღულენ-ბურღულენით.

ლეიტენანტმა მიბრძანა, დაწერე ახსნა-განმარტება და დილით ჩამაბარეო.

არჩილი ცეცხლთან მიტუტგურებულ ამხანაგების უკან იდგა. ლეიტენანტი ჩვენი კარებიდან გავიდა. ცოტახნის შემდეგ არჩილიც გავიდა. ბიჭებს, ზოგს იქვე, ცეცხლთან ჩამჭდარს ჩამოეყვინათა, ზოგნი თავ-თავიანთ ადგილას თივაზე მიწვნენ. მეც მიეწეკი და იმაზე ვფიქრობდი, როგორ დამეწერა ახსნა-განმარტება. კარგა ხანს ველოდე არჩილს, — მისი საწოლი ჩემს გვერდით

იყო, — ამ ლოდინში ჩამძინებია კი-დეც.

ახალ შეთენებულზე არჩილმა გამაღვიძა. თვალი გავახილე და გულაღმა მწოლარემ გოაცებით შევხედე ჩემს ფერხთით მდგარ არჩილს. ხელი გამომიშვირა.

— აჰა, ტყვია.

მკერდზე დამეცა არჩილის თითებიდან ჩამოვარდნილი ტყვია.

ტყვიას ხელი დაეტაცე და ფეხზე წამოვიჭერი. არჩილი დათვივით მიწვა თავის ადგილას, შინელის საყელო წამოიწია, ყურები და კისერი საყელოში ჩამალა, მარჯვენა კკერდზე მიწოლილი გაიჩინდა. სად იპოვე-მეთქი, ჩავეკითხე, ხმა არ გაუცია. მე არც ვაციე, არც ვაცხელე, კარვიდან გარეთ გავვარდი. გამოსვლისას ცეცხლთან ფხიზლად მჭდარი მორიგის ხმა შემომესმა:

— როდემდე გინდა, შე ბოთე, მაგ მამაცხონებულმა გათროს?!

არჩილს მთელი ღამე უძებნია ტყვია. გათენებისას დათოვლილ ბუჩქზე ჩამოცმული ტყვიის ძროსთვის მოუკრავს თვალი მოულოდნელად, ახლად ამოწვერილი მზის სხივი გამკრათალა ზედ.

აღარ მომიხდა იმ ახსნა-განმარტების დაწერა.

ესეც რომ გამახსენდა, უცხად ყველა საფიქრალი ნისლივით შემომეფანტა და მომინდა, ძალიან მომინდა მიძინარე არჩილთან მივსულიყავი, გვერდით მიეწოლოდი და ყურში ჩამეჩურჩულებოდა, რა კაი ბიჭი ხარ, არჩილ, შენ ღვიძლი მმა არა ხარ, ჩემი ღვიძლი მმა-ჭარშია ახლა, იგი შორს არის, შენ რა გაიძულეხს, იმის მაგიერობას რომ მიწევა-მეთქი.

მე არასოდეს მიტყვამს მისთვის ეს სიტყვები, ამის მსგავსი რამ. ის უფრო მეტ თანაგრძნობას მიწევდა პირველივე შეხვედრის შემდეგ, ვიდრე მე ვუწევდი მას, მეტი ჭაფა აწვა ჩემ გამო, მაგრამ ჩვენ ერთხელაც ხმა არ ამოგვიღია ამის შესახებ. მხოლოდ ერთხელ, ერთ კვირა დღეს ქემ სანახავად ჩა-

მოსულ დედასთან წამომკდა, დედა, ეს ჩემი კარგი მეგობარია-მეთქი. დედამ ლეიძლი შვილივით გადაკოცნა არჩილი, ეი, შვილო, საკუთარი თვალით დავინახე, როგორი ერთგული მეგობარი გყოლიაო, მითხრა დედამ.

ნეტავი არ ჩამოსულიყო დედაჩემი იმ კვირა დღეს, ნეტავი არ დაენახა ჩემი იმდღევანდელი გასაჭირი.

კვირაობით საერთოდ ვისვენებდით, მაგრამ იმ დღეს ჩვენმა ბატალიონმა სპორტული ღონისძიება ჩაატარა: საუზმის შემდეგ მთელი აღჭურვილობით — თოფით, აირწინაღით, ზურგჩანთითა და მკერდზე მხარიღლივ გადაიდებული დაგრაგნილი შინელით — ათკილომეტრიან გადარბენაზე გაგვიყვანეს. სასწავლებლია უკან ტყიანი მთის დამრეცი ფერდობები იწყებოდა. ფერდობების ოღრუ-ჩოღრუ ბილიკებით დავიწყეთ გარბენა. ოცმეთაურები ცდილობდნენ არ გაწელილიყო ოცეულები, შეჭგუფულად ერბინათ. ჩვენი ოცეულის კურსანტებმა ასე შეჭგუფულად კი ირბინეს სოფელ შალაურამდე, შემოვერბინეთ სოფელს და დიდ მარაზე გავედით, გუმი უკან, სასწავლებლისკენ ავიღეთ. მოხრწილ მარაზე ჩექმების ბათქაბუთქი და ბიჭების ღრმა სუნთქვა და ხენქმა თანდათან მატულობდა. ლეიტენანტი ჩვენთან ერთად მობრბოდა და მოგვეიოდა, შემჭიდროვდით, შემჭიდროვდითო. ზოგ-ზოგ არაქათგამოცლილ კურსანტთან ერთად თანდათან მეც ჩამოვემორდი ოხშივარადენილ ოცეულს. გამიჭირდა, სუნთქვა აღარ მყოფნიდა, ძალა ცვილივით მადნებოდა, რა წამს გასკდებოდა აძიგძიგებული გული, არ ვიცოდი, ოცეულის ძირითად ბირთვთან შერჩენილი ლეიტენანტი განუწყვეტლივ მომძახოდა, ბეღია, ბეღიაო, და მეც მივოასლასებდი შემორჩენილი ძალ-ღონით. ოფლის ღვარმა საცვლები სულმთლად გაჟღენთა და მკერდზე და ზურგზე გიმნასტურაც გასაწურავი მჭობდა.

ორიოდე კილომეტრი დაგვრჩაო, კვლავ მომძახა ლეიტენანტმა და ის

ყო უნდა წავეკეულიყავი კიდევ, როცა ვილაცამ მკლავში ჩამაველურე, ლონიერი ხელი. გაუძელ, მუდღუმიცხა ტალა დაგვრჩაო, ხენქმით შემომძახა არჩილმა და გამიყოლია. ოცეულის თავში მირბოდა არჩილი, თვალი რომ მოუკრატეს, რა დღეშიც ვიყავი, ჩამორჩენია ოცეულს, ლეიტენანტის წყრომა ყურად არ მიუღია, სირბილითვე მომვარდა და მაგრად ჩამკიდა ხელი.

ალაყაფის კართან ხის ათიოდე გრძელ-გრძელი შერხი იდგა. სანახავად ჩამოსულ შინაურებს აქ ვხვდებოდით ხოლმე. ახლაც მოგროვილიყვნენ მშობლები, ძმები, დები. საწყალი დედაჩემიც ჩამოსულიყო მოულოდნელად.

„ვაი, შვილო!“, „ვაი, შვილო!“ — გაისმოდა თურმე დედების ოხვრა, ბატალიონის წინა ოცეულს როგორც კი შემოუდგამს ფეხი ალაყაფის კარში. არჩილის ღონიერი მკლავით წინწაზიდული რომ დავენახებვარ, დედაჩემს ხმამალლა აო შეუცხადებია, შემომახერდა თურმე და ავიშვიშებულ დედებში მდგარს ცრემლები ღვარივით წასკდა თვალებიდან.

კახარამსთან შეეჩერდით, მე ერთბაშად მუხლთ მომეკვითა და მიწაზე გაშლართვას ვაპირებდი, მაგრამ არჩილმა უფრო მაგრად ჩამკიდა ხელი და პირქვე დაცემა არ დამანება. ცოტახანს უაზროდ ვიდექი, ვხენქმოდო და გული ამოგლეჯას ლამობდა. ნელ-ნელა მოვიდგი ფეხი მიწაზე, შუბლიდან და ღაწვებიდან მოხეთქილი ოფლი ყელში მეღვრებოდა. როგორც იქნა სული ოდნავ მოვიტყვი, პილოტურა თავიდან ჩამოვაცურე და სახეზე ოფლი ჩამოვიმშრაღე.

როცა ოცეულის ბიჭებს ხენქმა ჩაუცხრათ და ოფლის ოხშივარიც აღარ ანდიოდათ, ლეიტენანტმა ბრძანა, დადექითო და ყველანი ჩვენ-ჩვენ ადგილზე დავეწყეთ. სმენაზე დაყენებულ ოცეულს ლეიტენანტმა შესძახა, ყოჩაღ, კურსანტებო, ოცეულმა ამოცანა ჩინებულად შეასრულაო. მერე ბრძანა:

— კურსანტო არჩილ მღებრიშვილო, ორი ნაბიჯით წინ!

ჩვენი მეთაური, ლეიტენანტი ორლოვი ნაფრონტალი იყო. ჩვენზე რამდენიმე წლით უფროსი, ქერა, წელში მუდამ სარივით გამართული, ცისფერთვალემა ყმაწვილი უკვე სასტიკ ბრძოლებში იყო გამობრძმედილი, ერთ-ერთ ბრძოლაში დაჭრილიყო, ერთი თვე ჰოსპიტალში იწვა, კი გამომჯობინებულა, მაგრამ გერმანელების შემტევ ნაწილებს იმ დაბა-ქალაქამდე მიუღწევიათ, საცა ჰოსპიტალი იმყოფებოდა, სასწრაფოდ ჰოსპიტალისა და მოსახლეობის ევაკუაცია დაუწყიათ. ლეიტენანტი ორლოვს ბავშვებითა და ქალებით დატვირთული ეშელონი ჩააბარეს და საქართველოსკენ გამოისტუმრეს.

მერე ჩვენს სასწავლებელში გამოამწყესეს ოცმეთაურად. ჩვენი ყოფილი ოცმეთაური სადღაც გაგზავნეს და სექტემბერში ორლოვი დაგვიინშნეს. მთელ პოლკში ელვის სისწრაფით გავრცელდა ხმა, ნაფრონტალი მეთაური ჩამოვიდაო. მეთაურთა საცხოვრებელი სახლი იქვე იყო სასწავლებლის ტერიტორიაზე და როგორც კი ყური მოვკარით, ორლოვი ჩვენი ოცეულის მეთაურად დანიშნეს, აღარ დაველოდეთ, იმ საღამოსვე მივადექით შინ. ოთახიდან გამოიხმეს ბიჭებმა, საცხოვრებელი კორპუსის წინ თავმოყრილთ ღიმილიანად მოგვესალმა, ყველას სათითაოდ ჩამოგვართვა ხელი.

პირველი ნახვისთანავე მოგვეწონა ორლოვი, უშუალოდ და გულდიად ჩაერთო ჩვენთან საუბარში. ჩვენ ფრონტის ამბები გვიანტერესებდა, მაგრამ მაგის დრო ბევრი გვექნება ზვალდინო, გვითხრა და ხალისიანად გამოგვეშვიდობა.

მერე მართლაც თავი შეგავყვარა ორლოვმა. ყველანი დიდ ანგარიშს ვუწევდით მის ბრძანებებს. მკაცრი იყო, მაგრამ ხშირად ისე გაგვიშინაურდებოდა, გვავიწყდებოდა, რომ მეთაური იყო. ბევრი ფრონტული ეპიზოდი გვი-

მბო. გატყლარკული სიტყვები არ უყვარდა, მწყობროში როცა ვიდექეთ, ფოლადივით რეკდა მისი ბრძანებები. საუბარში კი სიტყვა გაუნელდებოდა, რაღაცნაირი შინაურული ფერი დაედებოდა ხოლმე მის სიტყვებს.

არჩილმა ორი ნაბიჯი წინ წადგა და სმენაზე გაიციმა.

ლეიტენანტი არჩილს მიუახლოვდა.

— იერიშზე რომ ვყოფილიყავით ნამდვილ ბრძოლაში, უკან ჩამორჩენილ ამხანავს ასევე წავეხმარებოდი? — მიმართა მან არჩილს.

არჩილმა ოდნავ შეყოვნდა და დინჯად უპასუხა:

— ალბათ, ასევე წავეხმარებოდი.

ეგ იყო და ეგ, ლეიტენანტმა არჩილს ხმა მეტად ველარ ამოაღებინა. რა არგუმენტი არ მოიშველია იმის დასადასტურებლად, რომ იერიშზე მეტბრძოლი წინ-წინ უნდა მიილტვოდეს, ეს კანონია იერიშისა, უამისოდ იერიში სიმძაფრეს ჰკარგავს, ნელდება და მტერს მტერი საშუალება აქვს იერიშის მოგერიებისა და ჩასანგრებისა, უკან დახევა კი არა, უკან მოხედვაც კი შეიძლება საბედისწერო გახდეს, ამიტომ მეომარი იერიშის დროს მხოლოდ წინ უნდა იყურებოდეს, თავდავიწყებით მიილტვოდეს წინ, შეტევისას წინ გადადგმული ყოველი ნაბიჯი ჯარისკაცულ გმირობას უახლოვდებაო.

გატრუნული ისმენდა არჩილი ლეიტენანტის ამ შეგონებას და როცა კვლავ შეეკითხა, კურსანტო მღებრიშვილო, იერიშის დროსაც თუ ასე მოიქცეოდით, არჩილმა დინჯად მხოლოდ ესლა უპასუხა, მე უკვე გიპასუხეთო.

ვინ იცის გულში რა გაიფიქრა ნაფრონტალმა ლეიტენანტმა ორლოვმა, აღარ ჩაიციებია არჩილს, მწყობროში დააბრუნა და დაიშალეთო, ბრძანა.

დედაჩემთან არჩილიც წავიყვანე. დედას არაფერი უთქვამს ჩემ წელანდელ გასაჭირზე, რომელიც თავისი თვალით ნახა. შინ გაკეთებულა, ჩემთვის საყვარელი საკმელები ჩამოიტანა. ვაზეთი

გააფინა მერხზე, საკმელები ზედ და-
აწყო, ორივეს შეგვემუდარა, მოწიებუ-
ლნი იქნებით და, აბა, ერთი შინაუ-
რულად დანაყრდითო.

სწორედ მაშინ წამომცდა პირველად
— დედა, არჩილი ჩემი კარგი მეგობა-
რია-მეთქი. ვხედავ, შვილო, ვხედავ,
რამენაირად ერთმანეთს არ დაშორდე-
თო, თქვა დედამ და არჩილს შავი ღვი-
ნით — ძველშავათი — კიკა შეუვსო.
ეს ამბავიც გამახსენა დაწერილმა და
დაუწერელმა ახსნა-განმარტებებმა.

ავტორის ჩანართი

როგორც იქნა ღრმად ჩაეძინა ამ წი-
გნის გაწამებულ გმირს ბუღუ ბედიას.
არჩილ მღებრიშვილსაც ღრმად სძინავს
და ნუ შეეუკრობთ მათ ამ სანატრელ
წუთებს. გამოიძინონ ორი დღის მშფო-
თვარე გზებზე ღონემიხილვამ ბიჭებმა.
მით უფრო, ხეალ დილიდან ისეთი წის-
ქვილის ქვა დაბრუნდება მათ თავზე,
ამ ორი დღე-ღამის გასაჭირი ზღვაში
წვეთად მოეჩვენებათ. ეს ჯერ არ იციან
მათ და კიდევ კარგი, რომ არ იციან.
ქარ-ცეცხლიანი უძილო დღეები და ღა-
მეები წინ ელოდებათ, მოისვენონ, იძი-
ნონ.

ჩვენც ცოტა ხნით მათი ქირ-ვარამის
თხრობა შევაჩეროთ, ჩემო მკითხველო.
შენც იქნები მათი მწარე ამბის კითხ-
ვით შეღონებული და ამიტომ მინდა
ოდნავ შეგასვენო. სხვა ამბავი მსურს
გიაშბო, დღევანდელი, იმ საშინელი
დღეებიდან ოცდაათხუთმეტი წლის მე-
რუნდელი ამბავი, რომელსაც მე და
ჩემი მეგობარი მწერლები შევესწარით.

წამოიზარდნენ იმ დროს დაბადებუ-
ლი ბავშვები. მერე დაბადებული ბავ-
შვებიც, ახლა ისინი ბუღუ ბედიასა და
არჩილ მღებრიშვილის ტოლები არიან.
მე მათ ხშირად ვხვდები და ყოველთვის
მაინტერესებს მათი აზრი ჩვენზე, რო-
მლებმაც ბუღუსა და არჩილის მსგავსად
უძნელესი გზები გავიარეთ და შინ
დავბრუნდით.

და იმათზეც, ვინც ველარ დაბრუნდა.
ახლა თითქმის ყველა სოფელში შინ-

მოსვლელთა შემორიალია გაკეთებუ-
ლი. ერთმანეთს ეჯიბრებიან, ეგონე
თესად გააკეთებს ამგვარ შემთხვევას
გიორგი ლეონიძის ლექსიდან აფრენი-
ლი სიტყვა „შინმოსვლელი“ აწერია
შემორიალურ დაფებს; რომლებზეც
სურათებია გაკრული. ალაგ-ალაგ ამ
დაფებზე სურათებისთვის განკუთვნი-
ლი ადგილები ცარიელია და ქვემოთ
სახელი, მამის სახელი და გვარი აწე-
რია. ამგვარ ბიჭებს სურათებიც კი არ
დარჩენიათ შინ, ყმაწვილები იყვნენ.
სურათების გადაღებაც კი ვერ მოასწ-
რეს. არ შეიძლება გული არ შეგვეკუმ-
შოს, როცა ამ უფოტოებოდ დარჩენილ
ცარიელ ადგილებს შეხედავ შემორია-
ლურ დაფებზე.

არ ივიწყებენ მომდევნო თაობები
მათ სახელებს.

როცა ოცდაათი წლის შემდეგ ქერ-
ჩიდან უცნობი ქართველი ჯარისკაცის
ნეშტს მოასვენებდნენ დედაქალაქისა-
კენ, გზად სამეგრელოში, — ზუგდიდ-
ში, — წმინდა ნეშტს ერთმა შავითმო-
სილმა, უკვე ხანშიშესულმა დედამ და-
ატირა, რომელი ხარ, ბიჭო, ვისი სახე-
ლი დაგიძახო, — ამ დედას სამი შვი-
ლი დაქარგვია ომში.

ახლა საქართველოს დედაქალაქში გა-
მარჯვების პარკში უცნობი ქართველი
ჯარისკაცის საფლავზე მოგზოგითე მა-
რადიულ ცეცხლთან ახლადჯვარდაწე-
რილი ქალ-ვაჟები მოდიან საქორწინო
ტანისამოსში გამოწყობილნი, ყვავილს
დაადებენ მკერდზე შინმოსვლელ თა-
ნატოლს, მოლაპლაპე ცეცხლის ალზე
ხელებს შეითბობენ, შებრუნდებიან და
მაყრიონის თანხლებით ავტო შედგამენ
ფებს დიდ და სირთულეებით სავსე
ცხოვრების მომავალ გზაზე...

ნუთუ ეს ყმაწვილები რაიმე სიგლა-
ხეს გაიფიქრებენ ოდესმე?!

დიდებული ახალგაზრდობა წამოგვე-
ზარდა — ლამაზი, ჭანსალი, განათლე-
ბული, მხნე, რა ვუყოთ, თუ ზოგიერთი
მათგანი გაგვანაწყენებს ხანდახან. ეს
ასე იყო, ასე არის და ასე იქნება, ალ-
ბათ, ყოველთვის.

შეიძლება ზოგი იმ შინმოუსვლელთაგანიც სხვანაირი იყო, ვიდრე მათი დედები და მამები. შეიძლება უფროსთაგანი ვინმე — მასწავლებელი ან მეზობელი — კიცხავდა კიდევ მათ, ეს რა ახალგაზრდობა გვეჩვენებდა. ომამდე მათ გამოც გაისმოდა, ალბათ, უფროსთაობათა ეს მარადიული საყვედური. რა ვუყოთ, ასეა, უფროსები მუდამ დაქაჩული თვალებით მივჩერებივართ ახალგაზრდობას, ჩვენივე შვილებსაც, სხვათა შვილებსაც და თუ რომელიმე მათგანი თვალში არ მოგვივიდა, საერთოდ ახალგაზრდობაზე აღმოგვხდებოდა ხოლმე საყვედური. იმაზე კი არ დავფიქრდებით, იმ ზოგთაგანის მიმართაც მართალნი ვართ?! შეიძლება მართალნიც ვართ, მაგრამ იმაზე მაინც დავფიქრდეთ, ისინი რომ ჭერ ყმაწვილები არიან, რომ ახლო გარემოსა და საერთოდ სამყაროს თავიანთი თვალით შესცქერიან, ეძებენ სხვა გზას, სხვა ფერს, სხვა ხმას, ჩვენ მიერ მიკვლეული გზისა, ფერისა და ხმისაგან განსხვავებულს. შეიძლება ამ ძიების პროცესში ყმაწვილი მართლაც ცდებოდა, მაგრამ ჩვენ, უფროსებს, რატომ არ მოგვდის აზრად, რომ თვით ცხოვრება, შფოთიანი და მრისხანე, ძნელად გზაგასაყლევი წუთისოფელი, თუნდაც მოგვიანებით, მაგრამ აუცილებლად თავს ამოაყოფინებს ცდომილ შვილებსაც უაღრესად მკაცრ, კრიტიკულ, მყისვე ძალუმად დასაფიქრებელ გზაჯვარედინზე და აიძულებს მას, ამ გზაჯვარედინზე ფეთიანად შეჩერებულს, სასწრაფოდ მიიღოს ფხიზელი გადაწყვეტილება, აირჩიოს უფრო სწორი გზა, რომელიც ამ სასტიკად დახლართულ გზაჯვარედინიდან თავისი არჩივი წუთისოფლისაკენ მიემართება.

შეიძლება ზოგი იმ შინმოუსვლელთაგანიც ამდაგვარი იყო? რა თქმა უნდა, იქნებოდა. მათ ძალიან ადრე შეხედათ ეს გზაჯვარედინი, ცხრაშეტი, ოცი, ოცდაერთი წლის ყმაწვილებს. ომის ქარბორბალა ასვეტილიყო ამ გზაჯვარედინზე და როცა ზედ ფეხი

შედგეს, ზოგ უფროსთაგანს რო ეგონა, უგვანი და უხეიროაო, უაღრესად ფხიზელნი, ღონიერნი და გონიერნი შეეჭიდნენ ამ ქარბორბალას. მაშინვე სწორი გზა აირჩიეს და არ დაბნეულან.

საჭირო გახდა და მტრის ტყვიას მკეარდი შეუშვირეს.

ზოგ მათგანს ფოტოსურათიც კი არ დარჩა შინ.

მათ მოსაგონარ საღამოზე მიგვიწვიეს ომგადახდილი რამდენიმე მწერალი სამოცდაათიანი წლების მშვენიერმა ახალგაზრდებმა ქართული ხელოვნების ერთ-ერთ ჩინებულ დაწესებულებაში. ელერდა ნაღვლიანი სიმღერები, სიმღერები კი არა, რეკვიემის მსგავსი გალობანი. დარბაზი ნახევრად ჩაბნელებული იყო. არავითარი ტრიბუნა, არცერთი მაღალფარდოვანი სიტყვა. ხმა-მაღლა არაფერი თქმულა. თითქმის ჩურჩულით კითხულობდნენ მირზა გელოვანის ლექსებს. სალონური განწყობილება თავიდანვე ისეთი შეიქმნა, როგორც ეკადრებოდა მოსაგონარ ბიჭებს, ორმოციანი წლების შინმოუსვლელ ბიჭებს. რამდენიმე ყმაწვილმა სიტყვა წარმოსთქვა. ზოგი წვერმოშვებული იყო, ზოგი მხრებამდე ჩამოხურბუშვლებული თმით, გაცრეცილი ჭინსითა და ცალი ზელის თითებში ჩაჭმუჭნული საწვიმართი, მაგრამ ყმაწვილები, თითქმის იმათი ტოლები, ვისაც იგონებდნენ აგრე რომანტიულად. რაც მთავარია, განათლებულნი, ამ უბრალო მოსაგონარ სიტყვებშიაც ჩანდა მათი საკმაოდ მაღალი ინტელექტუალური დონე. ზოგი მათგანის სიტყვაში — ეგონათ, რომ ვერაფერ შეამჩნევდა ამას — გაიელვა მათმა პირადმა სურვილმაც, ნახეთ, აი, რამდენი რამ ვიცისო. ვუსმენდი და მიხაროდა. იქ მყოფი მწერლები ვისხედით და ვუსმენდით მათ. ალბათ ყველა ჩემსავით იყო ყმაყოფილი.

ძალიან მომიხნდა, გულწრფელად შეამბნა მათთვის ჩემი ფრონტული თავგადასავალი, ჩემი მეგობრების, მათი

თხანტოლი ბიჭების თავგადასავალი, მაგრამ მაშინ ეს ვერ მოვახერხებ.

იმ ღამეს დავიწყე ამ წიგნის წერა.

სამოსელი და პილდა

გენადიმ გაგვალეოდა, ჩქარა, აიბარკეთ, უნდა წავიდეთო. მიწურიდან გარკეთ გამოვდით, ტყვიისფერ ღრუბლებს მაისის დილა დაეხინდა, შელამების მიბეჭტული სინათლე უფრო იღვავა გარშემო, ვიდრე დილის ხახხასა ნათელი, ერთი ხალისიანი სხივი არ თრთოდა სადმე. ნამძინარევემაც კი შევაძინე ეს, მაგრამ უცებ ჩემი ყურადღება ამან კი არ მიიქცია, არამედ იმ ალიაქოთმა, რაც ჩვენს თვალწინ ხდებოდა. ბატალიონებდალ გაწყობილი ბრიგადა მინდორზე გაწელილიყო და მიწურებიდან უკვე კარგა მოშორებით მინდორ-მინდორ აჩქარებული ნაბიჯით სადაც მიემართებოდა. მიწურებთან მარტოოდენ ცხენებიანი ორთვალეები და რამდენიმე საბარგო ავტომანქანა შემორჩენილიყო, რომელთაც ფაცი-ფუციტ ქარისკაცები რალაცეებით ტვირთავდნენ. ისმოდა კანტი-კნტი გადაძახილი და ნერვიული ბრძანებები. გაჩქარებული ბრიგადის კვალდაკვალ რამდენიმე საველე ქვაბს ცხენები მიეზიდებოდნენ და ქვაბების მიღებიდან ბოლი ამოდიოდა. მიწურებს შორის ქარისკაცები გარბოდნენ და გამორბოდნენ.

გენადიმ, მომყევითო, შემოგვძახა და ბრიგადის ნაკვალევს კი არ აედევნა, საწინააღმდეგო მიმართულებით გაგვიძლია. ნამძინარევენი ჯერ კიდევ გონს ვერ მოვსულიყავით და გენადისთვის არაფერი გვიკითხავს, ისე ავედევნეთ მას. პილდაც მორჩილად მიაბიჯებდა ჩემსა და არჩილის წინ. სულ არა მაქვს ახლა პილდას ჯვარი, ტყვეა თუ გოგო, ამის გარჩევის თავი აღარ მაქვს. საცა საპირო იყო, იქ ხო მივიყვანეთ და აწი რა ჩვენი საქმეა, როგორც უნდათ ისე მოექცნენ და სადაც უნდათ, იქ წაიყვანონ.

ქერ გამოვიდა. ჩვენ რაღაა მიყვავართ

პილდასთან ერთად?! ძლივძლივობით ბრიგადის ადგილსამყოფელს მარჯვნივ ეთ, ბრიგადა კი ამ დილაადროს უნდა მხარეს გაეშურა, ჩვენ სხვა მხარისკენ დავალირეთ თავი.

რატომ?!

ნამძინარევი და მოულოდნელი ანახაობით გაოგნებული, ამ აზრმა და კითხვამ გამომამთხიზლა.

— არჩილ, რა ხდება?! სად მივდივართ? — შევეხმიანე არჩილს.

— ვისაც მიყვებარ, იმას ჰკითხე, მე რა ვიცი, — ამოლერლა არჩილმა.

გენადის წამოვეწიე და გვერდი-გვერდ გავყვევი.

— გენადი, ძმობილო, სად მივდივართ? — ვკითხე გენადის.

— მიბრძანეს არმიის შტაბში მივიყვანოთ, — გენადის არც შემოუხედავს, ისე მიპასუხა.

— ბრიგადა საით გაემართა?

— აბა, მე რა ვიცი, ასეა ალბათ საჭირო.

— მერე როგორღა მივაგნებთ ბრიგადას?

— თუ გვიბრძანებენ, მივაგნებთ.

— არმიის შტაბიდან ჩვენ გუშინწინ გამოგვგზავნეს, — ჩავაცვიდი გენადის, — ახლა უკან ვაბრუნებ?

— თუ კაცი ხარ, მომეშვი, — არ გაცხარებულა, დინჯად მიპასუხა გენადიმ, — მე რომელი დამბრუნებელი ვარ, რაც მიბრძანეს, იმას ვასრულებ.

გენადიმ ქისა ამოიღო ჩიბიდან, გულის ჩიბიდან გაზეთის გაცეცილი ქალალდი ამოაცოცა, აახია ქალალდს და ქისიდან მახორკა დააყარა ზედ. ქისა და ქალალდი მე გამომიწიოდა, ა, თუ გინდა, მოწიეო. ვერ მივეჩვიე, თორემ პაპიროსი კი გამიბოლებია სტუდენტობისას, მაგრამ გაზეთის ქალალდში გახვეული მახორკა არასოდეს მომიხინჯია. რა ვიცი, რატომ მომეპრიანა ახლა გაბოლება, იმიტომ, რომ გაცეცლებული ვიყავი, თუ ჩემი შეკითხვებით თავგაბეზრებულმა გენადიმ ალაღად და გულისანად რომ გამომიწიოდა ქისა. მეც ვახვიე მახორკა, გამიჭირდა, მაგრამ მა-

ინც გავახვიე, ქალაღი ავლოკე და ამ დროს ზურგიდან შემომესმა ჰილდას ხმა, თუ შეიძლება, მეც მომაწეინეთო.

გენადი შეჩერდა, შებრუნდა და ჰილდას მიაჩერდა.

— ეს გოგო გერმანელია თუ რუსი? — გაოცებულმა მკითხა.

გერმანელია, მაგრამ რუსული იცისმეტქი. აბა, ჩვენი ენა თუ იცის, მაგი მთლად გერმანელი არ იქნებაო. თქვა გენადიმ. ქისა და ქალაღი გამომართვა, ჰილდაათან მივიდა, აბა, თუ იკადრებ, მოაწიეო. სანამ ჰილდა მახორკას გაახვედა, გენადიმ თავისი, თვითნაკეთი კვეა-აბეღი ამოიღო, ჩამოჰკრა და ნაპერწკლებწინთებული ბამბის ძაფების მსხვილი გრებილი ჯერ მე მომაწოდა, მოუციდო, მერე თვითონ მოუკიდა თუთუნს ცეცხლი, ამასობაში ჰილდასაც გაეხვია მახორკა და იმასაც მოაკიდებინა. ბოლი გადამედა ყელში და კინალამ გამგულდა, ავხროტიანი, გენადიმ მათარა თავიარ ხელით მომაყუდა პირთან, წყალი ჩავვლავე და ოდნავ სული მოვიტევი. გენადიმ კიდევ მომაყუდა მათარა და სიმწრის ცრემლით შეღამული თვალი უცებ მის უღვაშებს შევაშტერე — უღვაში კი არა, თითქოს ფოჩიანი კანფეტი ჰქონდა მიწებებული ცხვირთან, ჯერ გაბზეცილი და ბოლოებზე კანფეტის ფოჩებივით ჩამოშლილი, ცხვირთან და ტუჩთან მახორკის ბოლით შერუჯული და შენიკოტინისფერებული. ერთი წამის წინ მახორკის მყარალი ბოლით გაგულდულს, კინალამ სიცილი წამსკდა, თავი შევიკავე და ვითომ გაგულსებულმა პაპიროსი მიწას დავათხლიშე, რა გაწეინებთ ამ ნაგავს-მეტქი, ჩავიბურტყუნე.

გენადი მაშინვე დასწვდა, აიღო, თითებით მოსრისა, ჩააქრო და სიგარეტი გულისჯიბეში ჩაიკვება.

— ყმაწვილო, შენთვის რა ნაგავია, ჩემთვის ოქროზე მეტად ღირებულია ეს დალოცვილი, — ჩაილაპარაკა გენადიმ, — ჯერ ჯიგარი არ გაგყანგვია შენ, დაიცა, გაგეყანგება და მერე ნახე, რო-

გორ მალამოსავით მოგეცხება ეს მყარალი ბოლი ჯიგარზე. ვაი, თუ გონი გეძენს მაშინ.

ჰილდა შემოგვეცქეროდა და იღიმებოდა, ბოლი გრბელ ზოლად ამოჰყვა მის ღრმა ამონასუნთქს და ნიავის ფრთაზე მიმოიფანტა. თითქოს ჩემს გამოსაჯავრებლად, კვლავ ისე მოჰჩაჩა სიგარეტს, ცეცხლწინთებული ბოლო ნაკვეთხალივით აუვიზგინა, ახლა ამონასუნთქი ბოლის გრბელი ზოლი ნიავემ მიგრიხმოგრიხა და ჰილდას ცხვირწინ მალლა აიტაცა.

— ეტყობა მაგარი გოგოა. — თქვა გენადიმ.

— ევროპელია, მაგათან გოგოებიც აღრიდანვე ისე ეწევიან თუთუნს, როგორც ბიჭები, — გავეპასუხე გენადის, — მაგან ჩვენ გუშინ მთელი ღამე სიმწრის ოფლი გვადინა და სისხლი გავვიშრო, ახლა, თუ კაცი ხარ, შენ ჩაგაბარეს და შენ მოუარე.

— მერედა, სისხლს რად აშრობინებდით, ჩაგვძალღებინათ სადმე და მორჩებოდა, აღარ გაწვალდებოდით.

— შეხედე ერთი, რა ღამაზია, ამისთანა გოგონს კაცი მოკლავს? — ვცადე გენადისთან შეხუმრება.

— ჰოდა, თუ ღამაზია და მოგწონს, ღირს სისხლის გაშრობად, შენვე მოუარე, მე ცოლშეილიანი კაცი ვარ, შენხელა შეილი მყავს, ლეიტენანტო, — მითხრა გენადიმ და უღვაშის ფოჩები თითებით ჩამოისწორა.

— ჩემხელა შეილი?! — გავიოცე მე.

— კი, შენხელა. მომწერა, ომში მივდივარო და მერე აღარაფერი ვიცი.

• წუხელ ისეთი უქმური მომეჩვენა გენადი, კაცს თუ ახლო მიიკარებდა, არ მეგონა. იმ წუთიდან, ქისა რომ გამომიწოდა ალალი გულით, სხვანაირი მომეჩვენა. ამ ორიოდ საათის გზაზე, საუბარში უფრო და უფრო გავუშინაურიდი, ჩემზე ბევრად უფროსი კი ჩანდა თავიდანვე, მაგრამ ისე გვარიანად ნაკურატებული იყო, კორფლიან სახეზე ისეთი მხნე გამომეტყველება ეტყობოდა, ჩემხელა შეილი თუ ეყოლებოდა.

ვერ წარმოვიდგენდი. წელზე ქამარი ერთყა, შინელი წელზე უსწორ-მასწოროდ მიჰკუტე-მოჰკუტეოდა, ქამარზე სავილე ქვაბურა ეკადა და ზურგჩანთა თემობამდე ჰქონდა ჩამოკონწიალებული. შვილისა აღარაფერი ეციო, რომ თქვა, გული ჩამწყდა, თურმე რამხელა დარდი ღრღნის კაცს და მე პირველივე შეხვედრისას უქარება და უემური მომეჩვენა.

მივდივართ ხან მინდორ-მინდორ, ხან გზა-გზა და ვხედავ ქვეითთა ნაწილებისა და ავტომანქანების გაცხოველებულ მოძრაობას ფრონტის ხაზისაკენ და პირუტყუც. ფრონტის ხაზიდან ქვემეხების გაბმული გუგუნის ისმის. რამდენჯერმე დაჭრილებით სავსე საბარგო მანქანებმა ჩაიჭროლეს ჩვენს წინ.

გენადი ხანგამომშვებით ჩასანგრებულ ნაწილებთან მიდის და კითხვა-კითხვით იკვლევს გზას არმიის შტაბისაკენ.

შუადღემდე ასე ვიარეთ.

გენადისთან საუბარში გავერთე, არჩილი და ჰილდა აღარც გამხსენებია. ისინი ხმამაშობდნენ მოგვდევენ. შვილის გამო თანაგრძნობა რომ გამოვეცხადე, გენადი უფრო მომენდო, გამიშინაურდა. კაზაკის მოღვმისა ყოფილა, მაგრამ ურალის ტყიან მთებში დაბადებულსა და გაზრდილს სულაც არ ეტყობა. რომ კაზაკია, წინაპართა მჩქეფარე სისხლი განელებია, ვერ შეატყობ, რა უხარია და რა წყინს.

უეცრად თვითმფრინავების შორეული გუგუნის შემომესმა. ჩვენგან კარგა მოშორებით ღრუბლიან ცას სამ-სამად გაწყობილი, ერთმანეთს დაშორებული ბომბდამშენები მიაჩრდებოდნენ. ორმოცდაათამდე თვითმფრინავის არმადას გარშემო რამდენიმე „მესერშმიდტი“ დასტრიალებს თავს. თვითმფრინავები თვალს მიეფარნენ თუ არა, ჰორიზონტიდან ასეთივე არმადა კიდევ გამოჩნდა და წინათა კვალს მიჰყვა.

ქერჩისაკენ მიფრინავენ წვეულები, შევ დღეს დააყრიან ახლა ისედაც გადაბუგულ ქერჩისო. თქვა გენადიმ და იქვე ატარა ბორცვთან ჩაქდა. შევის-

ვენით და ცოტა დავნაყრდეთო, მიგვიხმო თავისთან, ზურგჩანთა გადმორგდით ზურგიდან, გზად წამოვლებულსა და წამოვლილი სანოვაგე ამოალაგა.

დავნაყრდით.

მახორკაც გავაბოლეთ.

უცხად გენადი ფეხზე წამოიჭრა და შესძახა:

— ეი, ფრიც!

დაუღერია თავი ჰილდას და სადღაც მიდის, გენადის შეძახილზე შედგა, თავი მოაბრუნა, თუთუნის ბოლი ამოისუნთქა, გაიღიმა და ისევ განაგრძო გზა მიწაყრილისაკენ. როცა გენადიმ ფეხი წინ წადგა, ვწედი ფარაჯის კალთაზე, მოვქაჩე.

— გენადი, ზო დანახე, გაიღიმა, ანკი სად უნდა წავიდეს ამ ტრიალ მინდორზე, რაც არ უნდა იყოს, ქალია, საჭიროებისთვის მიდის ალბათ, — ავძახე თავს წამომდგარ გენადის და ფარაჯის კალთა ერთხელაც ჩამოვქაჩე.

ჰილდა მიწაყრილთან მივიდა და რომელიღაც თხრილში ჩახტა.

გენადიმ ეგრევე ფეხზე მდგარმა სიგარეტი მოქაჩა და მესამედ ჩამოვზიდე თუ არა ფარაჯის კალთა, იქვე ჩაქდა.

ცოტა ხანში ჰილდა დაბრუნდა, წამოვიშალენით და გზა განვაგრძეთ.

— რანაირი გოგო ყოფილა! — ჩამჩურჩულა გენადიმ, — ჩემი დედაკაცი, როგორადაც არ უნდა უჭირდეს, კაცები თუ ახლომახლო არიან, საპირფარეოში არ შევა.

— ომია, გენადი, შენ მაინც არ უნდა გაგიკვირდეს ეს.

— ომი როა, სინდის-ნამუსზე ხელი უნდა ავილოთ?!

— აბა, აქ ჩემმა ან მისთვის განკუთვნილი ადგილი არსად ჩანს, რა ქნას კაცმა?!

— ერთი ებრაელი ძმაკაცი მყავდა ოცეულში. ერთი თვის წინ დაიღუპა. შუახნის კაცი იყო, ტყვიისა არ ეშინოდა, არც ტყვია ეკარებოდა. გერმანელების დედის გინებაში იყო მუღამ. ჰამა უყვარდა, რასაც მისცემდნენ, ერთ-

ბაშად შექამდა, ნატეხ პურს არ მოიტოვებდა, სიკვდილს მშვიერი კაცი უყვარს, მამლარს აგრე იოლად ვერ მიეპარებო. არაფრისდიდებით სანგარში არ მოისაქმებდა, რა ღეთის რისხვაც არ უნდა დაგეტეხოდა თავს, თუ მოუნდებოდა, ახტებოდა მიწურიდან, გაიჭრებოდა და გვარიანად მოშორებით მოეფარებოდა ან ბუჩქებს, ან მიწაყრილებს. იმ დღეს ფალარათი აუტყდა, ჩვენი სანგარების წინ ხელისგულივით მოტყევილ ველზე ოციოდე მეტრით მოშორებულ წატრუსულ ბუჩქნარს ორჯერ მოეფარა. მესამედ რომ აიჭრა სანგარიდან, გერმანელებმა დალანდეს, სროლა აუტეხეს. თავტულმოგლეჩილი გარბოდა მაინც, როგორც იქნა მიეფარა ბუჩქნარს. ახლა გერმანელებმა ბუჩქნარს მიუშვირეს ტყვიამფრქვევი. რომ არ გამოჩნდა, ალბათ, იფიქრეს, გათვდაო და ცეცხლი შეწყვიტეს. კარგა ხანს არ ჩანდა, მერე უეცრად გამოყო თავი ბუჩქნარიდან და დაოთხილი გამოექანა. მაშინვე მოადევნეს გერმანელებმა ტყვიამფრქვევია გაბმული ცეცხლი, მიწას გაეკრა. მერე ისევ წამოიშართა და როცა სანგარს ხვნივით მოაღწია, სანგარის მიწაყრილზე პირქვე დაეცა, ორივე ხელი სანგარში ჩამოყარა, ცხვირ-პირით მიწაზე წამხობილმა თავი მიწურისაკენ გადმოჰკიდა და დააქვედა მიწაყრილს. მივეარდი, ჩამოვიდებული მკლავები ქვე ჩამოვზიდე, ზურგი შევეუშვირე და ფრთხილად მივაწვიინე სანგარის ფსკერზე. ბეჭები დაცხრილული ჰქონდა. ღამით ნაყვარევე ორმოში ჩავფალით. ამ ალიაქოთში, ძმარ, ადამიანურ წესჩვეულებას, სინდის-ნამუსს მსხვერპლად შეეწირა.

თვალწინ დამიდგა ებრაელი ჯარისკაცი, სანგარში ჩაკიდებული მისი უსიცოცხლო მკლავები. სამოელი გამახსენდა, ჩემი სტუდენტობის მეგობარი, სამხედრო სასწავლებელიც ერთად დავამთავრეთ და ქერჩშიც ერთად ჩამოვედით, მაგრამ მერე დაეშორდით, ის სხვა ნაწილში გაამწყესეს. ბიბლია იცოდა ზედმიწევნით კარგად. პირველად

იმან მათხოვა ბიბლია. წავიკითხე, მაგრამ ბევრი რამ ვერ გაგვიგინა. საჭიველი მოხსნიდა ჩემთვის გაუგებარად მდგომლებს. მეუბნებოდა, ამოუწურავი ცოდნა ამ წიგნში თავმოყრილი, უდიდესი წინაპრები გყავთ ქართველებს, მარტო ის რად ღირს, ეს წიგნი რომ გაქვთ თარგმნილი ადრევე, გულდასმითი შესწავლის ღირსია იგი, როგორც თარგმნითი ხელოვნების უბრწყინვალესი ნიმუში. მე გაოცებული ვიყავი ამ უძლიერესი ძველთაძველი ერის ზღაპრული თავგადასავლების ბიბლიისეული აღწერილობით.

აღთქმულ საწადელს ვერ მიაღწია, ისე დაიმსხვრა და დაქუტყდა ამ უძლიერესი ერის იმპერია კაცობრიობის კულტურის სათავეებთან.

— არჩილ, სად იქნება ახლა სამოელი?

— აბა, როგორ ვითხრა, სად იქნება. აქ, ამ ნახევარკუნძულზე რომა, ეს კი ნაღდად ვიცი.

— სულ საჭარო ბიბლიოთეკაში იქდა.

— მაშ არადა, შენსავით დღედაღამ რუსთაველის ჰადრებს მიეუტლებოდა ზურგი.

— ბიბლია ზეპირად იცოდა. ლექსებს წერდა. ერთხელ ლექსი წამიკითხა — „სამშობლო“. საქართველოა ჩემი სამშობლოო, აღტაცებული აქებ-ადიდებდა საქართველოს. მე ვუთხარი, კი. აქ დაიბადე და შენი სამშობლოც აქ არის-მეთქი, მაგრამ შენ შენი ერის ტრაგიკულ ბედზე რომ წერო ლექსები, იქნებ უფრო აჯობოს-მეთქი. შეიძლება მართალი ხარო, მოპასუხა სამოელმა, მაგრამ ეს ლექსი ჩემი სინდის-ნამუსის გამოძახილია. ჩვენ აღარა გვაქვს მშობლიური მიწა უხსოვარი დროიდან. მე და ჩემი აქაური თანამემამულეები უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით ვართ განწყობილი ამ მიწისა და თქვენს მიმართ. ჩემმა გაუბედურებულმა წინაპრებმა ფეხი დააღვეს რა თქვენს მიწას, მას შემდეგ მეგობრული სიყვარულის გარდა არა გვასხვებს რა. ჩვენი სინაგოგებიც გვაქვს, ჩვენს ზნე-ჩვეუ-

ლებებშიც ვიკავთ დაიწებით, მაგრამ თქვენს ყაიდაზე დავირქვით გვარები, თქვენს ენაზე ავლაპარაკდით. ჩვენი მშობლოური ენა მხოლოდ სინაგოგის კედლებს შორის სულდგმულობს ჭერ-ჭერობით. ეს ყველაფერი ბუნებრივად მოხდა, თქვენი მხრით ყოველგვარი ძალ-დატანების გარეშე. ჩემი დაქუცმაცე-ბული ერი, სანამ სული უდგას, მარად მადლიერი იქნება იმის გამო, რომ, როცა მსოფლიოში უდიდესი და უსასტიკესი ებრაული დარბევები მოხდა, ჭარ-თველი ხალხი თითქმის ერთადერთია, რომელიც არ ჩაბმულა ამ მოძრაობაში. თვინიერად ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ ერთად, მეზობლურად, მეგობრულად. ამ ლექსს რომ ვწერდი, მართლაც ასე მეგონა, ღვიძლ სამშობლოს ვეფერებოდით, — ასე მოთხრა სამოე-ლმა.

— კარგი ბიჭია სამოელი, — თქვა არჩილმა.

— გლახა ჩვენს შორისაც ბევრია და მაგათშიაც. სამოელი მართლა კი ბი-ჭია. ძლიერი ერის ნიშან-თვისებები ახ-ლაც ატყვიათ ებრაელებს. მე არ ვგუ-ლისხმობ მხოლოდ იმას, ლიტერატუ-რისა და ხელოვნების რა გასაოცარი შედეგები შესძინეს მათ მსოფლიო კულტურას. არ დავკვირვებიხარ, ჩვენში ისინი ყოველ კუთხე-კუნჭულში ერთად, მეტწილად ცენტრებში არიან დასახლე-ბულნი თავიანთი სინაგოგების ახლო-მახლო. ერთსულოვნად ცხოვრობენ, ძველთაძველ ზნე-ჩვეულებებს არ ივიწ-ყებენ, გაკირვების დროს ერთურთს ეხმარებიან, ბავშვებს აჩენენ ბა-რაჭიანად. მართალია, მიწის სა-ბუშაოებს ერიდებიან, მაგრამ ჩე-მი აზრით საქართველოში ებრაელე-ბმა უდიდესი დახმარება გაგვიწიეს ვა-ჭრობისა და აღებ-მიცემობის განვითა-რებაში. ჩვენ, ქართველები ხომ ამ მხრივ უმარცხათონი ვიყავით ყოველ-თვის, ანკი სად გვეცალა ამისთვის, გა-მუდმებით ხმალი და თოხი გვეპყრა ხელთ, არშინისა და სასწორისათვის ვერ მოვიცალეთ. კარგად მახსოვს, ჭერ

კიდევ ჩემ ბავშვობაში, იმერეთის მიუ-ვალ მთიან სოფლებში, როცა სოფლელ-ლი კაცი ქალაქამდე ურმით უნდა ჩა-სულიყო, ებრაელი მეწვრილმანე თავს დააღერდა და მთებზე დაქანებული ბი-ლიკებით სოფლელ დიასახლისებს კიშ-კართან მიუტანდა ძაფსა და ნემსს, ვისაც ნემსი და ძაფი სჭირდებოდა, ის ერთ დედალსა და რამდენიმე ცალ კვერცხს სიხარულით უცვლიდა მათში. გამყიდ-ველიცა და მყიდველიც კმაყოფილი იყვნენ. ხშირ შემთხვევაში ებრაელი ვა-ჭარი ნისიად აძლევდა საქონელს ახლო-მახლო მცხოვრებ ქართველებს. საოცა-რი ურთიერთ ნდობა ჩამოყალიბდა ნიჭიერი ხალხია. წაკითხული გექ-ნება, ალბათ, გერცელ ბააზოვის „ფეთხანი“. მე კარგად მახსოვს მი-სივე პიესა „მუნჯები ალაპარაკდ-ნენ“, რა დიდი ზარ-ზეიმით დაიდგა ქუთაისის თეატრში. არა მარტო ებრა-ელების, მთელი ქალაქის მოსახლეობის ზეიმი იყო ეს სპექტაკლი. აგერ, ჩვენი სამოელიც, მაგი თუ ამ ომს გადაურჩა, ფრიად საინტერესო მწერალი იქნება. არჩილ, თუ გეხმის კარგად, ასე სას-ტიკად რატომ ებრძვიან ებრაელებს გე-რმანელი ფაშისტები?!

— სწორე გითხრა, არ მეხმის.

— დაახლოებით წარმოიდგენია რა-სიული თეორიის არსი, უმაღლესი რა-სის პრეტენზიულობა, მაგრამ მსოფლიო მასშტაბით ებრაელთა ბავშვიან-მოხუ-ციან-ქალიან-კაციანად ფიზიკური მოს-პობა რომ აქვთ განზრახული გერმანელ ფაშისტებს, ეს ვერ გამოიგია გარკვევით, რატომ, რის გამო?! გახსოვს, ქერჩში რომ ჩამოვედით, მესამე დღეს ერთმა კაპიტანმა რომელიღაც მდინარესთან მიგვიყვანა, შემაზრუნეი სურათი გვა-ჩვენა — მდინარეში გულალმა გაჩაჩ-ხული, ფეხებ და მკლავებგადაშლილი, მუნდირიანი გერმანელი ჯარისკაცი ტივტივებდა, არ ვიცი, დამზრჩვალი იყო თუ მოკლული, ნაპირზე თო-კით მივბათ. ეს არის თქვენი უსას-ტიკესი მტერიო, ხმამალა შემოგ-

ვძახა კაპიტანმა. გასაგებია, ამ სასტუკ სურათს რომ აჩვენებენ ფრონტთან მომდგარ ჩვენს ჯარისკაცებს, — ცეცხლითა და მახვილით მოვიდა იგი აქამდე და შურისგება, რა თქმა უნდა, აუცილებელია. პირველად ვნახე მაშინ გერმანელი ჯარისკაცი, ისიც ასეთ შემაზრზენ მდგომარეობაში. სამოელმა კარგად იცოდა რას უქადდა განსაკუთრებით მის ერს ფაშისში, მაგრამ იცი, არჩილ, რა წამჩურჩულა, წყალში მოტივტივე გერმანელი რომ დაინახა, ეს საცოდავი ხომ მტერი აღარ არი, იგი ახლა ლეშია, იქნებ სულაც არ უნდოდა ომში წამოსვლა, რაღა საჭიროა მისი ამგვარი წამებო, მაშინვე გაცილდა ნაპირს.

არჩილთან საუბარში გართულმა უცებ ჩემს გვერდით, ოდნავ უკან მომავალ ჰილდას შევხედე. არჩილს ოდნავ ჩამოვშორდი, ჰილდას მივყევი მხარდამხარ და მივმართე:

— ჰილდა!

პირველად მივმართე სახელით. იგი შემომაჩერდა გაოცებული, არ ვიცი, ის ეამა, სახელი რომ დაეუძახე თუ მასთან გამოლაპარაკება რომ მოვინდომე. უხმოდ მოგვეყვებოდა, თავის ფიქრებში ჩაძირული, მის მდგომარეობაში ჩავარდნილ ჯარისკაცს, — ამას რა მიხვედრა უნდოდა, — საკმაოდ არასასიამოვნო საფიქრალი ჩაითრევს უთუოდ. მე და არჩილი ქართულად ვესაუბრებოდით ერთმანეთს, ჰილდა ახლოს მოგვეყვებოდა, ესმოდა ჩვენი საუბარი, შეიძლება დაინტერესდა კიდევ, ნეტა რა ენაზე ლაპარაკობენო. შეიძლება სულაც არ გასჩენია ეს სურვილი, რა თავში იხლიდა ახლა, რა ენაზე და რაზე ვლაპარაკობდით მე და არჩილი, ვანა არ ჰყოფნიდა თავისი სადარდელი?! მოულოდნელად თავისი სახელი რომ გაიგონა, ისეთი შუქი გამოუერთა თვალებიდან, ნასიამოვნებ კაცს რომ გაუბრწყინდება ხოლმე. არც მე ვიცი, რატომ მოვინდომე ჰილდასთან გამერკვია ის საკითხი, რაზედაც მე და არჩილი ვიმტკრევდით თავს, ანდა ასე შინაურულად რატომ მივმართე — „ჰილ-

და!“, თითქოს კაი ხნის ნაცნობი ყოფილიყო ჩემი.

— ხომ ვერ გამარკვევდით, გეთაყვა, — შემომხედა თუ არა, მაშინვე შევეკითხე ჰილდას, — აგრე გაწიწმატებულნი რატომ ებრძვით გერმანელები ებრაულ ნაციას, არა მარტო გერმანიაში, არამედ ყველგან, საცა კი ფეხი დაადგით?!

ამ შეკითხვას კი ნამდვილად არ ელოდა ჰილდა. რალანცაირი თბილი შუქი რომ გაუერთა თვალებში თავისი სახელის ხსენებაზე, უცებ გაუქრა ის შუქი, თვალები დახარა, მიწას დააჩერდა. რამდენიმე ნაბიჯი ისე გადავდგით, არაფერი უპასუხნია. მერე თითქოს მე კი არ მპასუხობდა, თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მე ბევრი კარგი ებრაელი მეგობარი მყავდა.

ვიგრძენი, ჩემს შეკითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემა გაუძნელდა ჰილდას, ნართულად მიპასუხა. ხომ შეიძლება ბევრი გერმანელი, შესაძლებელია ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილი გერმანელი ერისა მართლაც ვერ ეგუებოდეს ებრაელთა მიმართ ფაშისტების ამგვარ დამოკიდებულებას, ხომ შეიძლება ჰილდაც ერთი იმათაგანი იყოს?! „მე ბევრი კარგი ებრაელი მეგობარი მყავდაო“, ისეთი ქალური გულუბრყვილობით თქვა, სრულებით არ ჰგავდა თავისდასაძერენ პასუხს.

— ვერ გამოვიცა, ძუძუმწოვარა ბავშვების, ქალებისა და მოხუცების ასე ხოცვა-ჟლეტა, დაწვა და დახვრეტა. რა დანაშაული მიუძღვის ასეთი ამ უღიარო ხალხს?! პერსპექტივაში უსაშინელესი მტერი უნდა დაინახო, რომ დედის ძუძუსთან მიაკლა ახალდაბადებული ბავშვი. სხვაგვარად წარმოუდგენელია ცოცხალმა ადამიანმა როგორ უნდა ჩაიდინოს ამგვარი აქტი. მე ფილოსოფიურად არ შემიძლია გავიზრო ნაციზმის ამგვარი თეორია — საამისოდ საკმაო განსწავლა არა მაქვს. ისე, უბრალოდ, ადამიანურად ვმსჯელობ. ხანდახან, იცით, რა მგონია, გერმანელ ფაშისტებს ალბათ, ძველთაძველი უდი-

დესი კულტურის მქონე ებრაელი ერის პოტენციური ენერჯისა ეშინიათ, მოქიშპე ერად თუ ითვალისწინებენ მათ. ამიტომაც ახლავე მუსრს ავლებენ გახურჩევლად, შეუბრალებლად.

შევატყვე, ჰილდა აფორიაქდა, ხმისამოულებლად მისმინა, ერთხელაც არ გამოუხედავს ჩემსკენ, თავდახრილი მოწყვებოდა და მისმენდა. დავამთავრე თუ არა სიტყვა, მაშინვე თქვა:

— მამაჩემმა ერთი ებრაული მეგობარი შეიფარა ჩვენს ჰერტკეშ, ოჯახში ყველამ ვიცოდით ეს, საზღვარგარეთ გამარჯავიც წაეშველა მამაჩემი მეგობარს.

— მამათქვენი კომუნისტია? — ვკითხე ჰილდას.

— ვასაჰირში მყოფ მეგობარს რო წაეშველო, უქველად კომუნისტი უნდა იყო? — კითხვითვე მომიგო ჰილდამ.

— არა, მაგრე ნუ გამოგებთ, — ოდნავ დავიბენი მე.

— არა, კომუნისტი არ არის მამაჩემი, მაგრამ არც იმგვარი გერმანელია, თქვენ რომ დამიხატეთ წელან. ყველა გერმანელი არ არის ფაშისტი.

თუმცა თავიდანვე საუბარში პირდაპირი პასუხი არ გამცა ჰილდამ, მაგრამ ძუნწი მინიშნებებით მაინც გამოხატა თავისი აზრი ჩემთვის საინტერესო საკითხზე. არც ისე უქკუო გოგოა-მეთქი, გავიფიქრე. რაკი საუბარში ავიყოლიე, აღარ მოვეშვი.

— ჰაინეს წიგნებს მაინც რაღას ერჩით?!

ჰილდა შეჩერდა და თვალეებში შემომამჩერდა.

— თქვენ წაგიკითხავთ ჰაინე?!

— საქართველოში გერმანული კლასიკური ლიტერატურის თარგმნის კარგა ხნის ტრადიცია გვაქვს. ვოთეს „ფაუსტიც“ თარგმნილი: კარგულად. ერთმა ჩვენმა გამოჩენილმა მწერალმა, რომელმაც თავის დროზე ბერლინშიც მიიღო ფილოლოგიური და ფილოსოფიური განსწავლა, წიგნი დასწერა — „გოეთეს ცხოვრების რომანი“; მანვე

„ვერტერის ვნებანიც“ თარგმნა. ჰაინეს ლექსებიც გვაქვს თარგმნილი.

— მე მიყვარს ლიტერატურა, — თქვა ჰილდამ, — თქვენი ლიტერატურის შესახებ არაფერი ვიცი.

— იმას მოგახსენებდით, — მიყუყუი ჩემი აზრის მდინარეებს, — ჰაინე გერმანული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, იმის გამო, რომ პოეტი ებრაული წარმოშობისაა, ამიტომ წვავენ გერმანიაში მის წიგნებს? ბევრი ებრაული წარმოშობის მწერალი, რომლებმაც გერმანულ ენაზე შედევრები შექმნეს, გააძევეს, ან თვითონ გაიქცენენ ემიგრაციაში. ვანა ცივილიზებულ ევროპას, დიდი გოეთეს სამშობლოს, შეშვენის ამგვარი რამ?!

— თქვენ საკმაოდ რიგიანად გცოდნით გერმანული ლიტერატურა, — კვლავ ბანზე ამიგლო შეკითხვა ჰილდამ.

— არც ისე რიგიანად, მაგრამ ზოგი რამ ვიცი. ჩემს ასაკში შეუძლებელია სრულყოფილად ჩაწვდე „ფაუსტის“ კაცობრიული სიღრმეების არსს.

— „ფაუსტი“ ჯერ არ წაიკითხავს, — თქვა ჰილდამ.

— მე ლიტერატორი ვარ, უფრო სწორად, უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი. მერე რა, რო ჯერ „ფაუსტი“ არ წაგიკითხავთ. ჩვენცა გვაქვს მეთორმეტე საუკუნეში შექმნილი მსოფლიო შედევრი „ვეფხისტყაოსანი“. სამწუხაროდ, ჯერ მსოფლიო არ იცნობს მას. ჩვენშიაც შეიძლება იყვნენ ყმაწვილები, რომელთაც ჯერ არ წაუკითხავთ ეს პოემა. არა უშავს, ცოცხლები გადავრჩეთ და ბევრი რამის წაკითხვას მოვასწრებთ კიდევ. თქვენ რა სპეციალობისა ხართ?

— კავშირგაბმულობის ინსტიტუტში ვსწავლობდი. არ დამიმთავრებია ჯერ, ნ: სანე კურსიდან წამომიყვანეს ჯარში.

— ომის გზებს რომ გაივლით, უფრო შემზადებული იქნებით „ფაუსტის“ წასაკითხად.

— ისე ლაპარაკობთ, თითქოს იცოდეთ, სად მთავრდება ომის გზები.

— ყოველ შემთხვევაში, თქვენთვის მაინც დამთავრებულია, ჩვენში ტყვეებს არ ზოცავენ, ღრმა ზურგში გაგაგზავნიან და სიცოცხლე გარანტირებული გაქვთ. მოასწრებთ „ფაუსტის“ წაქითხვას.

— ვინ იცის, თქვენ საიდან ხართ?

— საქართველოდან.

— საქართველო სად არის?

— კავკასიონის მთებს შიღმა, სამხრეთით.

— რა ენაზე ლაპარაკობთ?

— ქართულად. ჩვენს ენაზე ვლაპარაკობთ უძველესი დროიდან, დამწერლობაც გვაქვს ჩვენი, ჩვენი ანბანი.

რაკი დაინტერესდა, ცოტა რამ ვუთხარი საქართველოს შესახებ. ჰილდა მისმენდა და მე გადამაეჩივდა, რომ ტყვე გოგონასთან ვლაპარაკობდი, ვსაუბრობდი. ალბათ, სამოელი რომ არ გამხსენებოდა და ებრაელების ბედზე არ დაეფიქრებელიყავი საერთოდ, ჰილდას ვერც გამოველაპარაკებოდი. ნეტავი სად არის ახლა სამოელი?!

თავადერილი ჰილდა ცას მიშტერებოდა.

სამსამად გაწყობილი ბომბდამშენების არმადა კვლავ მიარღვევდა ღრუბლებს ქერჩისაკენ. რალაც-რულაცების თქმას კიდევ ვაპირებდი ჰილდასთან, მაგრამ გენადიმ შესძახა, დაწეჭითო და მიწას გავეკარი.

თვითმფრინავების არმილისათვის თვალი არ მოუშორებია ჰილდას.

ორთაბრძოლა

უცებ არამადას ერთი „მესერშმიდტი“ მოსწყდა და თავქვე დაექანა. თვალი მივაღვენე. როგორც მიმინო მსხვერპლისაკენ, ისე დაექანა „მესერშმიდტი“. ჩვენგან მოშორებით, მინდორზე ქარისკაცი ორცხენიან დროგზე იჭდა, ალვირებზე ხელეზაჭიდებულს ნელა მიპყავდა დროგი. ალბათ, კი დაინახა არმადა, მაგრამ არ მიმალულა, ჩემთვის სად სცალიათ ახლა მავათო, თუ გაიფი-

ქრა და არხენად მიუყვებოდა თავის გზას.

„მესერშმიდტი“ ისე უცხად მოსწყდა არამადას და პიკირებით ისე სწრაფად დაექანა დროგისაკენ, მედროგე აზრზე ვერ მოვიდა. თვითმფრინავი დაუახლოვდა თუ არა, ტყვიამფრქვევის გაბმული ჭერით ზედ თავზე გადაუქროლა დროგს.

ცხენები დაფრთხნენ და აიწყვიტეს, ქარისკაცი ფეხზე წამოიჭრა და ალვირები მიუშვა ცხენებს. დაოთხილი გარბოდნენ ცხენები.

თვითმფრინავი კვლავ ცისკენ შეიმართა, მაღლა ირაო შეჭრა და ზურგიდან მოუარა დროგს, ტყვიამფრქვევის კაქანი თ ისევ თავზე გადაუფრინა დაფეთებულ ცხენებსა და ქარისკაცს... ახლა ცხენები განზე გაიჭრნენ, ქარისკაცი ალვირს აქანავებდა და ზურგზე უტყლაშუნებდა ცხენებს. ცხენებს თავგზა აებნათ, ხან განზე გაიჭრებოდნენ, ხან ერთ და ხან მეორე მხარეს მიაწყდებოდნენ, ეტყობა ქარისკაცი ალვირით ძლივსლა მართავდა გადარეულ ცხენებს.

თვითმფრინავი ისე დაეინებით ჩააცივდა დროგსა და მედროგეს, თითქოს საგანგებო დავალება ჰქონდა თავისი სარდლობისა, რადაც არ უნდა დაუქდეს, დროგი გაანადგუროს.

დროგისა და მედროგის მოთვალთვალე კაცი აგრე იფიქრებდა, მედროგეს მეტად მნიშვნელოვანი ბრძანების შესრულება აკისრია, რაკი ფეხზე მდგარი ქარისკაცი დროგიდან არ ვადმოხტა, დროგი და ცხენები არ მიატოვა, თავს არ უშველა. გენადიმ შეჰყვირა კიდევ, ხელი უშვი, შე ოხერო, მაგ ალვირს, თავს უშველეო. მაგრამ გენადის ძახილი როგორ მიწვედებოდა ამ ალიაქოთში ჩიუტ მედროგეს.

ცოტა ხანს კიდევ გაგრძელდა თვითმფრინავისა და დროგის დევნა-გაქცევა. ეტყობა ტყვიები მიზანს ვერ აღწევდა, ეს ახელეზდა, ალბათ, სისხლმოწყურებულ გერმანელ მფრინავს, ვერც ცხენები და მედროგე ვაეცალა

ოღრო-ხოლო მინდორზე ცაში მიმინოსავით მქროლავ თვითმფრინავს, ან კი სად გაექცეოდა, ბრუნავდა და ჯახირობდა დროგი თითქმის. ერთ ადგილას, ერთ ფართო წრეში მოკაღოებულნი და მდროგვეც დაიბნა ეგებ, ველარ მოეფიქრებინა ჯადმობტომა, სადმე ორმოში ან მიტოვებულ სანგარში თავის შეფარება.

მერე მფრინავმა თუ იფიქრა, ბომბდამშენების არმადას ძალუმად არ ჩამოეშორდეთ, ანდა — ხომ დაგაფეთე ანგლოზებო, — ციდან დამცინავად მიაძახა გაწამებულ მდროგეს, ერთხელ კიდევ წააფრინდა ზურგიდან, ტყვიამფრქვევის გაბმული ჭერი მიაყარა, ტყვიებმა ერთმანეთის მიყოლებით დროგის ახლო პატარ-პატარა მტერის ბოლქვები წამოშალა და თვითმფრინავი ქერჩისაკენ გაედევნა უკვე თვალს მიფარებულ ბომბდამშენების არმადას.

მდროგე ჭარისკაცმა აღვირები მოზიდა და გახელებული ცხენები ძლივს შეაჩერა, კოფოზე მოწყვეტით ჩაქდა, აღვირისათვის ხელი არ მოუცილებია, ისე ჩაქინდრა თავი.

უცებ არჩილი წამოიჭრა, არიჭა, მივეშველოთო, დიძახა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა დროგისკენ გაქანდა. ჩვენც წამოვიშალენით და არჩილს მივეყვით.

მდროგე ძლივს სუნთქავდა. ცხენებს სველ ზურგზე ოხშივარი ასლიოდათ, ისინიც თავჩაქინდრულნი იდგნენ და ჭშინავდნენ.

არჩილმა თავჩახრილი ჭარისკაცი წამოიკიდა და იქვე მიწაზე წააწვინა, გიმნასტურის ლილები ყელთან შეუხსნა, ტანზე დაუწყო ხელის ფათური. ამ დროს ჩვენც მივედით. მდროგე ჭარისკაცი ძლივს სუნთქავდა და ჭორფლიან სახეზე ოფლის ღვარი ვადასდიოდა. არსად ტყვია არ ჰქონდა მოხვედრილი, დაჭრილი არ იყო.

გენადიმ მათარით პირში წყალი ჩააწვეთა. ჭარისკაცმა წყალი ჩაყლაბა. გენადიმ კიდევ მიაშველა წყალი. მე ცხვირსახოცით სახეზე ოფლი ჩამოვხოცე. ჭარისკაცმა სული მოითქვა, თვალი

გაახილა, მარჯვენა ხელი ნელა წამოზიდა და თითი დროგს მიაშვეტა. მისხედითო, ამოღერლა.

დროგში ორი დაჭრილი ჭარისკაცი იწვა თივაზე. ერთს მუხლში წაგლეჯილი ფეხი დასისხლიანებული ბანდით ჰქონდა გადახვეული. მეორეს არცერთი ფეხი არ ჰქონდა და თითქმის მთლიანად ბანდით გადახვეული სისხლის ლაქებით მიმოსვრილ კუნძივით ეგდო თივაზე.

— ცოცხალი ხართ?! — ჩასძახა დაჭრილებს გენადიმ.

დაჭრილები კვენსოდნენ. მადლობა ღმერთს, ცოცხლები არიანო, ჩაილაპარაკა გენადიმ და კვლავ მდროგე ჭარისკაცს მიუბრუნდა, რომელიც უკვე გონს მოსულყო, წამოშდარიყო და მასთან ჩაყუნცულ არჩილს ეკითხებოდა:

— დაჭრილები ხომ არ დახოცილან?
— არა, ძმობილო, არ დახოცილან;
— უბასუხა თავს წამდგარმა გენადიმ,
— კვენსიან, საცოდავები: შენ რა არწივი ყოფილხარ, ძმობილო, ბარაქალა შენ, აი, თურმე რატომ არ ჩამოხტი დროგიდან!

— როგორ მიმეტოვებინა ეგ საცოდავები?

გენადიმ ისევ მათარა მიაწოდა, ერთხელ კიდევ ხეირიანად მოსვი წყალი, გულზე წანთებულ ლავას ჩაეციხრობსო. მდროგემ ბარაქიანად მოსვა, სახელოთი ტუჩები მოიმშრალა და ფეხზე წამოღგა. დროგთან მივიდა.

— ყოჩაღ, ბიჭებო, ცოცხლები რომ ხართ! ნუ გეშინიათ, ნუ გეშინიათ, ხომ ცოცხლები ხართ! — ჩასძახა დაჭრილებს. მერე გაწუწულ ცხენებთან მივიდა, ჭედზე და ზურგზე ხელი გადაუსვა ცხენებს, რომლებიც ჭერ კიდევ ჭშინავდნენ.

— ჩემო რაშებო! — მიესიყვარულა ცხენებს, — ხომ გააბითურეთ ის ჩათლაზი გერმანელი მფრინავი, ოქროს ნალების ლირსი ხართ, ჩემო რაშებო! — ეჩურჩულებოდა ჭარისკაცი ცხენებს, ზურგიდან და ფერდებიდან ოფლს

უწუროვდა ორივე ხელისგულთ, ოფლის წვეთები მიწას ეცემოდა.

არა, შიშის გამო არ გაუტბოდა ეს ჭორფლიანი ჭარისკაცი მტრის თვითმფრინავს, რომ შეშინებოდა, გადახტებოდა დროგიდან და სადმე თავს შეაფარებდა. იმიტომ არ მიატოვა დროკი, ფეხწაგლეჯილი საბრალო ჭარისკაცები გადაერჩინა როგორმე. ღირდა კი თავის განწირვა?! ეს დაჭრილები ხომ თითქმის მომაკვდავები არიან?! არავინ იცის, როდის დალევენ სულს. ლაზარეთამდე მიჰყვებათ კია ტანჯული სული?! ამგვარი რამეები არც კი გაუფიქრებია ჭორფლიან ჭარისკაცს. ამ კითხვებს ახლა მე თვითონ წავეტანე, მე, ბუღუ ბედია, რომელიც გაოგნებული შევცქერი შემაზრუნე და საოცარ სურათს, სურათს, რომლისნაირიც სიზმარშია კი არ მინახავს აქამდე, შევცქერი ჭორფლიან ჭარისკაცს, რომელმაც თავგზა აუბნია თვითმფრინავს, იქით-აქეთ მიაწყდა და მოაწყდა, ასე ააცდინა დროგს ტყვიამფრქვევის სამიზნე. ნერვების დაწყვეტად კი დაუჭდა ეს, ნერვები მაინც ნერვებია, მისდაუნებურად დაეძაბა და დაეკიმა ნერვები, თვითმფრინავი როცა გაშორდა. ამიტომაც გონწასული დაეგდო დროგის კოფოზე ნერვებდაგლეჯილი, დაჭრილების გადარჩენის ღინით სულაწეწილი.

რომელიმე სარდალს რომ დაენახა მისი თავგანწირული ლტოლვა დაჭრილების გადასარჩენად, ფეხზე მდგარმა როგორ დაიყოლია თავის ნებაზე გადარეული ცხენები, როგორის თავგანწირვით ჩაატარა მტრის თვითმფრინავთან უთანასწორო ორთაბრძოლა, უშეშვლად ეტყოდა, ყოჩაღ, ჭარისკაცო, კარგი ბიჭი ხარო.

ვინ იცის, სარდლების დაუნახავად, რამდენი ასეთი შემთხვევა ხდება ომში. ჩვენ რომ არ გადაყროდით, ჭორფლიან ჭარისკაცს ვინმე დაუჭერებდა ამას?

ცხენებმაც სული დაიშოშმინეს, ჭარისკაცი ხმელ თივაზე გაწოლილ დაჭ-

რილებს მიეხალისა, ნუ გეშინიათ, ბიჭებო, და ჩვენ მოგვმართა.

— თქვენ საით გაგიწევიათ, კაზაკებო?

— არმიის შტაბს ვეძებთ, — უპასუხა გენადიმ.

— აბა, იჩქარეთ, კაზაკებო, თორემ შტაბმა შეიძლება მოინაცვლოს თავისი ადგილსამყოფელი, — ჭორფლიანი ჭარისკაცი დროგზე შეხტა და აღვირი მოიმარჯვა, — გერმანელებმა ამ დილით ჩვენი ფრონტი გამოარღვიეს ფეოდოსისთან, ეს საცოდავები ძლივს გამოვათრიე ჭოჯოხეთური ცეცხლიდან. მაგრა შემოგვიტყის წყეულებმა. ჩვენი ჭარის ნაწილებმა უკან ადგილის გამონაცვლება დაიწყეს. იჩქარეთ, თორემ იქნებ თქვენმა შტაბმაც მოინაცვლოს ადგილი. წაეხრიგინდები ახლა მე, იქნება სული მივათრევიანო ამ საცოდავებს რომელიმე ჰოსპიტლამდე. კარგად იყავით, კაზაკებო!

ცხენებს შეუძახა და მინდვრიდან გზისკენ მიმართა დროგი. გასავათებული ცხენები თავჩაქინდრულნი გაუყვნენ გზას.

მე ისევ თვალწინ მედგა თვითმფრინავისა და დროგის წელიანდელი ორთაბრძოლა.

სასუბარი ძალღმინ

თვითმფრინავების გამოჩენისას საცა გაეწეკით, ჰილდა იქვე დარჩენილიყო.

როცა ჩვენ დროგისაკენ გავიქეციით, იმისთვის აღარც მიგვიქცევია ყურადღება. წამომქდარიყო და ჩვენ გველოდებოდა.

— ფრიც! ფრიც! — ბრაზნარევი ხმით შესძახა გენადიმ.

ჰილდა წამოდგა და ჩვენკენ გამოემართა.

მედროვე ჭარისკაცის ნათქვამისთვის — გერმანელებმა ჩვენი ფრონტის ხაზი გაარღვიესო — განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია. გზას რო დავადექით, ისე, სხვათაშორის ვკითხე გენადის, რას ნიშნავს-მეთქი ჭარისკაცის ნათქვამი.

— ომია, ხან მტერი გაარღვევს შენი ფრონტის ხაზს, ხან შენ გაარღვევ მტრის ფრონტის ხაზს. მოიგერიებენ ჩვენები და მორჩა. — მიპასუხა გენადიმ.

„ფრიც, ფრიცო“, ჰილდას მიაძახა თუ არა გენადიმ, ერთი მაგარი რუსული გინებაც მიაყოლა ჩუმად, ვიფიქრე, როგორც კი მოვა, ტყვეს რაღაც ფათერაკს გადაჰყარის-მეთქი, მაგრამ მოგვიახლოვდა ჰილდა და ხმა აღარ ამოუღია გენადის, დაალირა თავი და ჩვენც მივყვეით.

ვიცი ახლა, გული ბოლშითა აქვს გაღუსილი გენადის, — ერთ დროცს თვითმფრინავი მიაცხრა, რა გული ჰქონდა ნეტა იმ მფრინავს, რამ მოაწყურა ასე სისხლი, რომ ერთ კაცს, რომელიც მას არაფერს უშავებდა, თვითმფრინავით გამოეჩინა, — ამ ფიქრებით გულამღვრეულმა გენადიმ თავი მაინც შეიკავა, ტყვეს აღარაფერი აკადრა, გულშივე ჩაიკლა ბოლმა.

ფრონტის ხაზის გარღვევის შესახებაც ისე მიპასუხა, თითქოს მაინცდამაინც საგანგაშო არაფერი მომხდარიყო. აღარც მე ჩავძიებვიარ. მე ხომ ჭერ არაფერი გამეგებოდა ამგვარი რამისა. გენადი ფრონტის ცეცხლში საკმაოდ გაბრუებული კაცია, „მოიგერიებენ ჩვენები და მორჩაო“, ისე თქვა, თითქოს ეს მართლაც ასე მოხდებოდა.

ჩამოლამდა, როცა არმიის შტაბის ადგილსამყოფელს მივადექით. რამდენი ვეძებთ, ხან აღმა, ხან დაღმა, არაქათი გამოგველია, იმდენი ვიარეთ; ბოლოს მივაგენით და იქ აღარავინ დაგვხვდა. გენადი აქეთ ეცა, იქით ეცა, მოშორებით რამდენიმე ჭარისკაცს მოატანა თვალი, აქ დამელოდეთო, თქვა და მათკენ გაეშურა.

დაღონებული დაბრუნდა გენადი, შუადღისას გადაბარგებულა აქედან არმიის შტაბი, მალე აქ სხვა ნაწილებმა უნდა დაიკავეთ პოზიციას.

ისე ვიყავით გასაჯთებულნი, წასვლის თავი აღარ გვქონდა. თანაც გვარიანად ჩამოხნულდა და გზასაც ვერ გა-

ვიკვლევდით ხეირიანად. გენადიმ რომელიღაც მიწური მონახა და მგეწვევით. ბნელ მიწურში მივეყარნენ. გენადიმ ერთი კი ჩაიბურღლუნა, ეს რა ხლადორთს გადაამკიდეს, საღდა ვეძებო შტაბიო. ხმა არავის ამოგვიღია. მკვდრებით მიგვეძინა.

მოტორების გრუხუნ-გრუხუნმა და ხალხის ყრიაშულმა გამომაღვიძა, წამოვჩქეტი; გენადი უკვე ფეხზე იდგა და არჩილს ალეიძებდა. რა ამბავია-მეთქი, წამოვიძახე. მიწურში ბნელოდა, მაგრამ პატარა სარკმლიდან ოდნავ ეჩინავდა ღრუბლიანი დილის შუკი. გენადი და არჩილი მიწურის კართან მიიჭრნენ.

წამოდგომა რომ დავაპირე, ვხედავ, ჩემს გვერდით ახლოს გვერდულად ჰილდა წევს, ღრმად ძინავს და მარჯვენა ხელი იატაკზე აქვს გადმოგდებული ისე, თითქოს ჩემს ვასალეიძებლად გამოეშვიროს. ღრუბლისფერი ღამის ციავი უთრთის გაშლილ, თეთრ ხელისგულზე, თითები ერთმანეთზე მიტყუბებული აქვს და ხელისგული ისე გღია ძირს, თითქოს რომელიღაც ქანდაკებიდან იყოს ჩამოტეხილი.

ხელისგულზე შევეხე და გავაღვიძე, თვალების ფშვნეტით წამოდგა, მიწურიდან გავედით. მიწურის ზემოთ გენადი და არჩილი დგანან და ღამეში მოფუსფუსე ხალხს უთვალთვალებენ.

გენადიმ მიიკითხ-მოიკითხა, გამოირაკვა, რამდენიმე ასეული იკავებდა ამ ადგილას თავდაცვის პოზიციას. გენადიმ ისიც გაარკვია, რომ გერმანელებს ამ დილით მართლაც გაურღვევიათ ფეოდოსიასთან ჩვენი თავდაცვის ხაზი, გვარიანად წინ წამოწეულან და ქერჩისაკენ მიემართებიან ჭერჭერობით ზღვის ვასწვრივ. სასტიკი ბრძოლებია თურმე შეტევის უბანზე, ჩვენს ჭარებს ველარ გაუძლიათ მტრის მოჭარბებულ თვითმფრინავების, ტანკებისა და არტილერიის ჯოჯობეთური ცეცხლისათვის და ბრძოლებით უკან იხევენ.

ამასობაში შეთენდა კიდეც და გარკვევით გამოჩნდა, როგორ იკავებენ თავ-თავიანთ ადგილებს ასეულები.

ზოგნი გამზადებულ სანგრებში მიიმალნენ, სხვანი გაფაციცებით თხრიან სანგრებს, ისმის ყრამული, ბრძანებები, არტილერიისტები ქვეშეხებს მიათრევენ და პოზიციებს იკავენენ.

კარგა შემალღებული გორაკი რამდენიმე კილომეტრზე გრძელდება. გრძელი გორაკის უკან უფრო შემალღებულ ბორცვზე სასაფლაოს მოვკარი თვალი. რამდენიმე ზე ქანაობს სასაფლაოზე. ოდნავ ამობურცულ საფლავებზე წაფერდებული ხის ჭვრები ჩანს. „აღბათ სოფელია ახლოს“, — გავიფიქრე.

ერთი ჭარისკაცი შეჩერდა ჩვენთან. — ფრიცია? — იკითხა და ჰილდას მიაჩერდა.

— ჰო, ტყვეა, — უპასუხა გენადიმ. მალაღი, აწოწილი, მხრებში ოდნავ მოხრილი ჭარისკაცი მალლიდან დაგვყურებს. ჭარისკაცს გერმანელების მოლისფერი შინელი აცვია. ასე მალაღი კაცი იშვიათად მინახავს... შინელი გაღლეილი აქვს, წითელარმიელის ფორმა აცვია, წვივებზე შავი ტოლალეები ახვევია.

— ფრიც, კაპუტ! — მიამახა ჰილდას, უფრო ხუმრობის იერი გადაჰკრავდა ამ წამომახილს.

ჰილდამ ოდნავ გაიღიმა და ჭარისკაცს მალაღა აპხედა, თვალი თვალში გაუყარა. ჭარისკაცს გერმანული შინელი მაინცდამაინც კოხტად ვერ ჰქონდა მორგებული ტანზე, აწოწილი ჭარისკაცი ამგვარ ფორმაში ცოტა სასაცილოდ გამოიყურება.

— უყურე შენ, — ჩვენ გადმოგვხედა ჭარისკაცმა, — ამას გალიშებაც შეძლებია. რა აციენებს, ნეტავე?

— გერმანულ შინელში რომ გნახა გამოწყობილი, ამაზე თუ გაელიმა, — ვთქვი მე.

— ეგ შინელი, ძმაო, ისტორიაა მთელი, — თქვა ჭარისკაცმა, — ჩვენმა ზემდეგმა ვერცერთი შინელი ვერ მომარგო, ბოლოს გავეკვებე ერთში როგორც იქნა, მუხლამდე ძლივს მომწვდა, გაკრული ვიყავი შიგ.

— კალათბურთის გუნდისთვის იქნე-

ბოდი ზედგამოჭრილი, — ვცადე გახუმრება.

— ვთამაშობდი კიდეც... ერთი ალიაქოთი ამიტება ზემდეგმა, ამოდენა ყაზილარი რატომ წამოგიყვანეს ჭარშიო, არკი მოვეყვადით, მაგრამ გავჩიუტდი და მაინც წამოვედი-მეთქი, ჰოდა, ძალიან მიგიქარავსო, გემრიელად შემიკურთხა ზემდეგმა, სად ვეძებო მე შენი სარგო ტანისამოსიო... ჰოდა, იმას გეუბნებოდით, ვთამაშობდი კიდეც კალათბურთის გუნდში, არა გამეგებოდა რა კალათბურთისა, მაგრამ ჩვენი სოფლის ბიჭებმა მაინც მათამაშეს. ამას რა უნდაო, მითხრეს, ჩვენ რო ბურთს ჩავიგდებთ ხელში, შენ მაშინვე მოწინააღმდეგის ფართან გაჩნდი და იქ დადექი, ჩვენ ბურთს გადმოგიგდებთ, აბა, ვინ აგწვდება, ხელს ვინ შეგიშლის, დაიჭირე ბურთი და პირდაპირ კალათში ჩადევო. მეც აგრე მოვიქეცი, სულ ერთთავად ფართან ვიდექი, მესროდნენ ბურთს, დავიჭერდი, აბა, ჩემზე აღრე ბურთს ვინ მიწვდებოდა და არც შევხტებოდი, ჩავდებდი კალათში. საჭარისმოს რომ მასროლინებდნენ, კალათს კი არა, ფარსაც ვერ ვახვედრებდი ბურთს. ყველას ვუგებდით. ბოლოს აღარავინ ეთამაშებოდა ჩვენს გუნდს, — ეგ რა კალათბურთია, ეს აყლაყუდა დგას აქ და მაგას, აბა, ვინ მიწვდება, ხელს ვინ შეუშლის, სცადოს ერთი, შორიდან ესროლოს და ჩაავდოსო. დაღონდნენ ჩვენი ბიჭები და გულდაწყვეტილებმა განმიცხადეს, პეტკა, აღარავინ გვეჭიბრება შენ გამო, ჩვენ კი თამაში გვინდოდა აღარ მათამაშებდნენ. მეც ეგ მინდოდა... არ მეგონა ჩემი სიგრძე გერმანელი თუ იყო ამქვეყნად. შარშან, დეკემბერში დესანტებმა ქერჩის მიწას ფეხი დავადგით, გერმანელებს კუდით ქვა ვასროლინეთ, ფეხდაფეხ მივდევიდით და ერთგან იმ ალიაქოთში მიწაზე გათხლამულ ჩემი სიგრძე მკვდარ გერმანელს გადავაწყდი. წამით დავაჩერდი, ბიჭოს, ყოფილა გერმანიაში ჩემი სიგრძე გერმანელი და ისიც აქ გამოუგზავნიათ-მეთქი, გავიფიქრე. გაწამე-

ბული ვიყავი ჩემს შინელში გამოკვან-
ბული. არც ვაცევი, არც ვაცხევე, სადღა
მქონდა დაფიქრების დრო, მტერს მივ-
დევდიო ფეხდაფეხ, ამ ცოდვასაც მა-
პატიებს ლმერთი-მეთქი, გამიელვა თავ-
ში, ძლივს გამოკვდერი ჩემი შინელი-
დან, დაწვედი მკვდარს და შინელი გა-
ვხადე, მაშინვე მკლავები გავუყარე
სამკლავებში და, ლმერთო დიდებულო,
მოვითქვი სული, პირდაპირ ჩემს ტანზე
იყო შეეკრილი. მყისვე ჩემი შინელი გა-
დავაფარე მკვდარ გერმანელს, მკვდარს
რალს ვერჩოდი, ყაჩაღობაში ნუ ჩა-
მრმართმევე, შემინდე, მშობილო-მეთქი,
ჩავიწურაწულე და გავედევნე წინ გაჭრილ
ბიჭებს. ვადაირიგენ ბიჭები, ეს რა გი-
ქნიათ. შელაშქებისას, როცა ჩავსანგრ-
დით, ზემდეგმა შეიცხადა, ტრიბუნალს
გადაგვიმო. განსაკუთრებული განყო-
ფილების უფროსი, კაპიტანი, მომეარ-
და, მტრის შინელი როგორ ჩაიცივო,
რა მოხდა-მეთქი, წინ ავეტუზე კაპი-
ტანს, ჩვენ რომ არ გვექონდეს და
მტრის ტყვიამფრქვევი ხელთ ვიგდო,
არ შევებრუნო მისკენ, რაკი მისია, აღარ
გამოვიყენო, აღარ დავუშინო მისივე
ტყვიები?! რა მოხდა, მომერგო და ჩა-
ვიცივი. კაპიტანმა ვეღარაფერი მიპასუ-
ხა, გაბრუნდა და წავიდა, მიშოვოს ზემ-
დეგმა ჩემი სარგო შინელი და ამ ძონძს
მაშინვე გადავაგდებ-მეთქი, დავადევნე
კაპიტანს. მერე შეეჩვიენენ, აღარაფერს
მეუბნებიან, ზემდეგი კი გაფაციკე-
ბით ეძებს ჩემ სარგო შინელს, — ჯა-
რისკაცმა კვლავ პილდას გახედა და მე-
რე ჩვენ მოგვმართა, — კარგი ტყვე ჩა-
გიგდიათ ხელთ, ახლა რას უპირებთ?

— არმიის შტაბში მიგვყავს, — უპა-
სუხა გენადიმ.

— მაგრე თუა, იქარეთ, თორემ
დღეს შეიძლება აქ ისეთი ორომტრია-
ლი ატყდეს, ძალი პატრონს ვერ ცნო-
ბდეს.

ჯარისკაცი შებრუნდა და გრძელი ნა-
ბიჯებით თავის გზას გაჰყვა, ერთხელაც
შემობრუნდა და მოგვამბა:

— ბიჭებო, ჩემი თავი თუ დაგვირ-
დეთ, პეტკა-ფრიცი იკითხეთ და მაშინ-
S. „მნათობი“, № 4.

ვე მოგასწავლიან ჩემს ასავალ-დასა-
ვალს.

პილდამ რატომღაც ისევე გაიღიმა და
თვალი გააყოლა ჯარისკაცს.

გვარიანად ინათა, მაგრამ, როგორც
ქურისთავს გადაგლესილი ყვითელი
აყალო მიწა, ისე გადაეგლისა მთელ ზე-
ცას ნაცრისფერი ღრუბლები. აღრიანი
დღილს შვის სხივები ველარ ატანს სქე-
ლტ ღრუბლებიდან და გარემო ჭერ კი-
დევე მაინც დაბინდულია.

დაბლა დაცემული ვრცელი მინდვ-
რისკენ გადავიხედე. გორაკის არც ისე
დაქანებული ფერდობი იქ თავდება, სა-
დაც რამდენიმე, ერთი-ერთმანეთს და-
შორებული ხატა დგას. სახლებს შორის
ვიწრო გზა მიგრეხილ-მოგრეხილა და
პატარა სოფლიდან საღურმე შარა სო-
ფლის ორივე ბოლოდან სხვადასხვა
მხარეს თვალუწვდენელ მინდორზე მი-
ემართება.

ერთი ხატას კიშქართან მალა ასეე-
ტილმა ორმა ნაძვის ხემ გამაშტერა,
რალაც მენიშნა. ეზოში ოწინარშემარ-
თული ჭა დავინახე. ეზოებში სული-
ერთაგანი არავინ ჩანს. უცებ ოწინარ-
თან ძალი მივიდა. ჩემდაუნებურად
წამოვიყვირე:

— არჩილ, ობოლა!

არჩილი გაოცებული შემომამჩერდა,
მივეარდი და ხელი ცად შემართულ
ნაძვებისკენ გავიშვირე.

— ე, კაცო, ობოლა, ბებია ანას ნაძ-
ვები, ბებია ანას ხატა!

ლამით წავაწყდით ბებია ანას სახლს
და ლამითვე წამოვედით იქიდან ორჯერ,
ამიტომ ძნელი იყო გარემოს დამახსოვ-
რება, მაგრამ კიშქართან ორი ნაძვი
და ოწინარიანი ჭა შთამბეჭდავად ჩამ-
რჩა მეხსიერებაში. ძალი ძალსა
ჰგავს, ამოდენა მანძილიდან რას გამო-
იცნობ, ნაცნობია თუ უცნობი, მაგრამ
ჰასთან რომ დავინახე, გულმა მიგრძ-
ნო, ეს ნამდვილად ობოლაა-მეთქი.

არჩილი დაეინებით მიაჩერდა. არც
ის და არც მე არ ვფიქრობდით, თუ
კიდევ მივადგებოდით ბებია ანას სახლს.
ამიტომ ეს მოულოდნელი ზილვა სიზ-

მარივით მგონია. ჰასთან შევთავსაფრი-
ანი მოხუცი ქალი მივიდა, ოწინარზე
ჩამოყიდებული ხის ვედრო ჰაში ჩაუშ-
ვა, ოწინარი წეროს მაღალი ყელივით
ნელ-ნელა ჰისკენ დაიხარა. მოხუცმა
ვედრო წყლით აავსო და ხატას მიაშუ-
რა, ძალი ნელი ნაბიჯით უკან მიჰყვა.

— ბებია ანა! — ევლავ შევძახე და
არჩილს ხელი წავევლე.

გაოცებულმა გენადიმ მკითხა:

— ნაცნობია?

— ჰო, — ვუბასუხე გენადის, —
ეს ტყვე გოგო რომ დავიჭირეთ, იმ ლა-
მეს მაგასთან მივიყვანეთ.

როგორც კი ვუთხარი ეს გენადის,
მაშინვე ჩვენს ახლო-მახლო, ახლად ჩა-
სანგრებულ ასეულეებში რამდენიმე ად-
გილას ხმამაღლა შეჰყვირეს:

— თვითმფრინავები!

— ჰაერი!

— დაწეით!

და ერთ წუთში წაგრძელებულ გო-
რაკზე კაციშვილი აღარ ჩანდა, ყველანი
სანგრებში ჩაყლაბა. ჩვენ იქვე ღრმა
თხრილში ჩაეცვიდით. თვითმფრინავე-
ბის გუგუნი შემომესმა. გუგუნი თან-
დათან მოახლოვდა, გაძლიერდა. შორს
ღრუბლებგადაზინთულ ცაზე გამოჩნდა
ისევ სამ-სამად გაწყობილი ბომბდამ-
შენების არმადა. ხუთი სამეული გადაე-
თვალე. მათ გარშემო რამდენიმე გამა-
ნადგურებელი დასრიალებს. არმადა
ჩვენი ადგილსამყოფელიდან საკმაოდ
განზე მიემართებოდა, ვიფიქრე, ალბათ,
ახლაც ქერჩისაკენ მიეზიდება ბომბებს-
მეთქი, საკმაოდ გაშორდა კიდევ ჩვენს
გორაკს, მაგრამ უეცრად წინა სამი
თვითმფრინავი შემობრუნდა, სხვა სამე-
ულეებიც მათ გამოჰყვეს და ჩვენსკენ
აიღეს გეზი. სამკუთხად გაწყობილი
წინა სამეული უცებ დაიშალა, თვით-
მფრინავები ერთმანეთს დაშორდნენ და
თავქვე დაეშენენ, ზრიალ-ზრიალით გა-
დაუფრინეს გორაკს, ერთმანეთის მი-
ყოლებით გაისმა ბომბების გამაყრუე-
ბელი სკდომის ხმები. მიწა ადვანდგარ-
და, საზარლად გრძნობ ამას ღრმა თხრი-
ლის კედელს მიკრული. ციდან მიწას

მოახლოებული თვითმფრინავების გრი-
ალმა და ზედიზედ მიყრღობულმა აფე-
თქების ხმებმა გარემო აივლია. სად-
ღაც ახლოს გაგლეჯილი ბომბების მიერ
აყრილი მიწის ნაფხვენები ჩვენს თხრი-
ლში შვილ-შვილით ჩამოყარა და მბრე-
ბზე დაგვაცვივდა.

ჩვენ კი გადავურჩით ამ ჯოჯოხეთურ
გრივალს, მაგრამ, როცა გარშემო ეს
ორომბრიალი მიწყნარდა, ბომბების
სკდომა აღარ ისმოდა და თვითმფრინა-
ვების გუგუნი ნელ-ნელა გაშორდა
ჩვენს არემარეს, თავი ამოვეყვი თხრი-
ლიდან, დაცალცალეებული თვითმფრი-
ნავები კვლავ მაღლა მიიწევდნენ, ღრუბ-
ლებგადაგლეხილ ცაზე ისევ სამ-სამად
ლაგდებოდნენ და დაბინდულ ჰორიზონ-
ტისკენ მიემართებოდნენ.

სანგრებიდან ამოცვენილი ჯარისკა-
ციები გარბი-გამორბოდნენ, გაჰყვიროდ-
ნენ, ფაციფუცობდნენ. რა თქმა უნდა,
ბევრი დაშავდა, ალბათ, ვინმე შეიძ-
ლება დაგლიჯა კიდევ ბომბმა, აბა, ამ-
გვარი ქარ-ცეცხლი ჩვენს თავზე უკვა-
ლოდ არ ჩაივლიდა. ჩემთვის უჩვეულო
ამ ზრიალ-გრიალით გაოგნებულს უცებ
არჩილის ხმა შემომესმა:

— ბუღუ!

არჩილი გორაკიდან შევ კვამლში გახ-
ვეულ სოფელს დაჰყურებდა. შემომძახა
თუ არა, მყისვე თავქვე დაექანა. ბებია
ანას ხატა ბოლავდა. მივხვდი, ბებია
ანა გასაჭირში იყო და არჩილს გავე-
დევნე. გენადიმ რალაცა შემოგვძახა, მა-
გრამ მისთვის ყურადღება არ მიმიქცე-
ვია. გავრბივარ თავქუდმოგლეჯილი.
არჩილს ბებია ანას ჭიშკართან წამოვე-
წიე. არჩილი აქლოშინებული შევარდა
ეზოში. ბომბს სახლის გვერდითა კედ-
ლი შეუხგრევია, ცეცხლი წანთებია კე-
დლის დაგლეჯილ შორებს, ამღვრეუ-
ლი ბოლი უწესრიგოდ იფანტებოდა
სახურავის ზემოთ.

კარის წინ ეზოში ობოლა იდგა სახ-
ლისკენ პირშექცეული და ყმუოდა.
შეგვხედა თუ არა, მოგვაცხრა ყმული-
ყმულით, მაგრამ ჩვენ მისთვის აღარ
გვეცალა, არჩილმა კარი შეგლიჯა, კვა-

მლის ბოლქვები შემოეფანტა, შიგ შევარდა და მეც შევდოე.

ბებია ანა იატაკზე ეგდო გულალმა, კვამლი ეხვია, თითქოს ღრუბლებში ყოფილიყო გაწოლილი, ხროტინებდა. არჩილი ეცა და ორივე მკლავზე გადაიწვინა, მეორე მხრიდან მე შევაშველე ხელები.

კედლის დახლეჩილ მორებზე აბრიალებული ცეცხლის ნენები თანდათან მიიკლანებოდნენ ოთახის კუთხეში შერჩენილ, ბებია ანას მიერ გულდაგულ, ფაქიზად კიდევებშემოქარაგულ თეთრ ტილოებს შორის ჩამოკიდებულ ჭვარცმული იესო ქრისტეს ხატისაკენ.

კვამლით სულშებუთულებმა ძლივს გამოვიტაცეთ გარეთ ცოცხალ-მკვდარი ბებია ანა. თავალერღმა ობოლამ რამდენიმეჯერ შემოგვიბრინა გარშემო. არჩილმა შემომძახა, გამიშვი და მომყვიო. მკლავებზე გაწოლილი ბებია ანა ჭიშკრიდან გზაზე გაიყვანა. როცა გზიდან გორაკისკენ გადაუხვია და მის დაქანებულ ფერდს შეუღდა, ისევ გაისმა თვითმფრინავების გუგუნნი. ისევ რამდენიმე სამეულმა ზურგიდან შემოუარა გორაკს. გორაკიდან გენადის ყვირილი შემომესმა, დაწეკით, დაწეკითო, მაგრამ გორაკის შუა ფერდამდე მიტანებულ არჩილს ბებია ანა ატატებული ბავშვივით მიჰყავს და გენადის ყვირილი არც გაუგონია, ოღნავ წაბრილი მიუყვება აღმართს. მე თვითმფრინავებს მივაჩერდი და კვალდაკვალ მივდევ არჩილს. აი, პირველი სამეულის თვითმფრინავები ერთმანეთს დაშორდნენ, თავქვე დაექანნენ და დავინახე, შავ-შავი ყუმბარები როგორ ჩამოცვივდა თვითმფრინავებიდან. საშინელი სტვენა-სტვენით ჩამოექანნენ ყუმბარები და უცებ გამაყრუებელი ბათქით დაასკდნენ გორაკს. არჩილ დაწეკი-მეთქი, შევძახე, მაგრამ არჩილს აინუნშიც არ ჩაუგლია ჩემი ძახილი, ჩიუტად მიჰყვა გორაკის ახლა უფრო მეტად დამრეც ფერდობს. ინტიმარი არ გავიტეხე, ხო არ მივატოვებ, არ გავწეკი და მივყვები არჩილს ფეხდაფეხ. მესმის საშინელი

აფეთქების ხმები, ბომბები სკდება ხან სადღაც გორაკზე, ხან აქა-იქ გერგავს გრძელ ფერდობზე, იღბალზე ზეგნისა. ლომახლო არ ეცემა ბომბები, მაგრამ თვითმფრინავები ჰაერის ფხრეწა-ფხრეწით რომ გადაიფრენენ, ასე მგონია პირდაპირ ზედ ჩვენს თავზე გადაიშლივინეს. ერთჯან არჩილს ფეხი წაუცდა, ჩაიმუხლა და მაშინვე მივევარდი, მეორე მხრიდან მივაშველე ხელები. წამოდგა არჩილი და ახლა გვერდულად ავუყვავით ოღრო-ჩოღრო ფერდობს. ობოლა წამომედო ფეხებში. იგი მოუსვენრად დარბის გარშემო და ყმუის უცებ ბებია ანამ ამოთხრა. ძლივს შემომესმა მისი ოხვრა ამ ალიაქოთში. ცოცხალია-მეთქი, გავიფიქრე, გულდაგულ მიეყვები არჩილს. გორაკს რომ მივუახლოვდით, გენადი ამოიჭრა თხრილიდან, მოგვევარდა და წამოგვეშველა. სადღაც ახლოს ზმუილით დაეცა ბომბი, იმ დროს გასკდა, როცა ჩვენს თხრილთან წამოჩოქებულმა არჩილმა მკლავებზე გადაწვენილი ბებია ანა — უკვე თხრილში ჩამხტართ — მე და გენადის ჩამოგეაწოდა, მაშინვე თვითონაც ჩამოხტა და ბებია ანა თხრილის ფსკერზე მივაწვინეთ.

ბებია ანას კვლავ კენესა აღმოხდა. თხრილში ობოლამ ჩამოგვხედა, — კბილებით ბებია ანას შავი თავსაფარი ეკაევა. სად ჩამოუცურდა ბებია ანას თავსაფარი, არც შემომჩნევია, ობოლას დაუვლია პირი და თხრილზე გადმომდგარი თითქოს გვეუბნებოდა, აბა, თავსაფარით. გამოვართვით და იქვე გაწვა, თავი თხრილისაკენ გადმოჰკიდა.

არჩილმა ბებია ანას სისხლით გაზინთული კაბის გულისპირი შეუხსნა, მიმტკნარი ძუძუ ყუმბარის ნამსხვრევს დაეფლითა, სისხლი კვლავ ეონავდა ჭრილობიდან. გენადიმ პაკეტი გახსნა, არჩილს მიაწოდა, არჩილმა ბებია ანას ჭრილობაზე დაადო ქათქათა ბანდი და თავსაფარი დააფარა.

როგორც იქნა თვითმფრინავებმა გადაიქროლეს და ბომბების სკდომა შეწყდა. დადუმდა ვარემო. ბებია ანა სუნ-

თქვდა. გენადიმ მათართ მამდენიმე წვეთი წყალი დააწურა ბაგეზე. დანაოჭებული ტუჩები შეუთრთოლდა ბეზია ანას. პირი გააღო და ჰაერი ჩაისუნთქა, მაშინვე დაიკვნესა. ცოტა ხნის შემდეგ თვალები გაახილა ნელ-ნელა.

— ბეზია ანა, ჩვენ ვართ, მე და არჩილი, — ხმადაბლა ჩაუძახე ჩემდაუნებურად, გამიხარდა, თვალები რომ გაახილა.

თითქოს ჩემი ხმა ჩაესმო, მიბნედილი თვალები მოგვაშტერა იქვე ჩამუხლულ არჩილსა და მე, არ ვიცო, გვიცნო თუ არა, ერთხანს გვიცქირა, მერე უცებ თავი გვერდზე გადაუქანდა და სული დალია.

არჩილმა შუბლიდან გაშლილი ხელისგული ჩამოუცურა, თვალები დაუხუჭა.

ბეზია ანას ნეშტი ზემოთ ამოვასვენეთ, თხრილთან მომდგარი ჭარისკაცები წამოგვეშველნენ. აწრიალდა ობოლა, მიწაზე რომ დავდეთ ბეზია ანა, მივარდა, დაყნოსა, ჭალარა თმა აულოკა.

სასაფლაოს კიდესთან რამდენიმე მკვდარი ჭარისკაცი დაესვენებინათ და გულადმა მწოლიარეთათვის ფარაჩები გადაეფარებინათ. მოშორებით დაჭრილებს უყრიდნენ თავს, მედდები დაჭრილებს ჭრილობებს უხვევდნენ...

რომელიღაც კაპიტანი მოგვიახლოვდა, ყველანი გავიმართენით.

— ლეიტენანტო, — მიმართა მან არჩილს, — ასე უაზროდ თავის ზიფათში ჩადგება ვერაფერი შვილი გმირობაა.

არჩილს ხმა არ გაუღია.

— ომში გულადობა ყოველი ჩვენგანის ვალია, — განაგრძო კაპიტანმა, — მაგრამ უაზრო გულადობა დონკიხოტობაა.

— მე უაზროდ არ მოვექვეუღვარ, ვალდებული ვიყავი ვაღამერჩინა ბეზია ანა, — ხმა ამოიღო არჩილმა.

— უაზრობაა, როცა ამგვარი დაბომბვის დროს მიწას არ გაეკვრები, რამეს არ ამოეფარები. ერთს კიდევ ორნი უნდა მიმატებოდით?

— ასეც რომ მომხდარიყო, ეს ქალი ღირსი იყო ამისა.

— შეიძლება ღირსი იყო, მაგრამ...

— ჰოდა, მინდოდა ცოცხალი ამომეყვანა აქამდე, — კაპიტანს სიტყვა შეაწყვეტინა არჩილმა, — იქნებ გადაგვრჩინათ. თქვენ არ იცნობდით ბეზია ანას.

— რა თქმა უნდა, არ ვიცნობდი.

— იგი ამ ომში გაწამებული ქალია, — თქვა არჩილმა.

უსაყვედურა კაპიტანმა არჩილს, მაგრამ არ შეიძლება არ გაეფიქრა ეს რა ქაჩი ბიჭი ყოფილაო.

მართლაც ქაჩებივით უხორციონი და უსულონი ვყოფილვართ, თორემ იმ ცეცხლის ლაეაში ასე უფნებლად როგორ გამოვალწიეთ?! ბეზია ანას გასაჭირს, რა თქმა უნდა, ჩვენ გულგრილად ვერ ავუვლიდით გვერდს. მე შეიძლება შეემდრკალიყავი, გავწოლილიყავი რომელიმე ორმოსთან და დავლოდებოდი დაბომბვის ჩაცხრომას. ეგებ მართლა ისე იყო საჭირო, როგორც არჩილი მოიჭტა. მაინც ვერ ვუშველეთ ბეზია ანას, ამოვიყვანეთ თუ არა გორაკზე, სული დალია. რა იცოდა არჩილმა თუ საშველი აღარ იყო და ბეზია ანა სასიკვდილოდ იყო დაჭრილი. ეს მოხუცი ქალი არც დედა იყო მისი და არც ნათესავი. ბოლოსდაბოლოს, სულ ერთი ღამე ვიყავით მასთან. რა მნიშვნელობა აქვს, ერთი ღამე იყო თუ რამდენიმე?! არჩილისნაირ კაცს ერთ ღამეში წაიკიდებული სირცხვილ-ნამუსის ცეცხლი აღარასოდეს უჭრება. იმ ერთ ღამეში ბეზია ანას სულის ძაფებით ნაქსოვი ბეგთარი ზედ ტანზე მოერგო არჩილს. როცა ბეზია ანათი ხელში იმ საშინელ ქარ-ცეცხლს მიაპობდა, იმის იმედი ჰქონდა, ალბათ, ამ ბეგთარს ვერავითარი ქარიშხალი ვერ გაფხრეწდა და ვერავითარი ტყვია ვერ გაგლეჯდა, ადგილის დედის ვადარჩენა უნდოდა და ამიტომაც ვერ გაფხრეწდა და ვერ გაგლეჯდა. არჩილი ენაუთქმელი კაცია, გამიყვირდა კიდევ, კაპიტანთან რა თამამად ალაპარაკდა-მეთქი. ალაპარაკდა. კაპიტანს ის უნდა ესაყვე-

დურებიანა რაც უსაყვედურა, არჩილ-
მაც ის უპასუხა, რაც უნდა ეპასუხნა,
რაც სულმა და გულმა უკარანაზა.

თვალი გამექცა ბებია ანას ხატასკენ.
სულმთლად ჩაეყლაპა ცეცხლს ფიჭ-
ვის მორებით ნაგები ხატა, ცეცხლის
ენები ბობოქრობდნენ და ბოლი მალ-
ლა-მალლა მიემართებოდა. მომეჩვენა,
ბოლის ფარდაც თითქოს ცისკენ აპ-
ქონდა ბებია ანას ჭვარცმული იესოს
ხატი და ცეცხლის ალები მლოცველე-
ბის მკლავებით იყვნენ შემართულნი
მისკენ.

კაპიტანი არჩილს მიუახლოვდა, მხა-
რზე დააჩერდა.

— ლეიტენანტო, თქვენ დაჭრილი
ყოფილხართ.

არჩილს ფარაჯის მარცხენა სახელო
მხრიდან იდაყვამდე სისხლით გაელენ-
თოდა. ახალა შევაძინე ეს, მივეარდი,
შინელის სახელო ჩამოგვჩაე, გავხადე
შინელი. მედდასს უხმეს, მკლავის კუ-
ნთი აეგლიჯა აღმაცერად გაკრულ
ყუმბარის ნამსხვრევს. მედამ, სისხლს
რომ წმენდდა მკლავიდან, თქვა, ამ ტყის
კაცს, — (მკერდი შავი ბანჯგულით აქვს
დაფარული არჩილს), — ისე მაგარი
კუნთები ჰქონია, მიკვირს, ყუმბარის
ნამსხვრევმა როგორ აგლიჯათ. ღიმილ-
ღიმილ თქვა ეს მედამ და ისე გადა-
უხვია არჩილს ჭრილობა.

ობოლა ბებია ანას გვერდით გაწო-
ლილიყო, თავი წინა თათებზე დაედო
და თავის სადარდელოში ჩაძირულიყო.

მე და არჩილი სასაფლაოზე გავედით,
ეგებ პაშას საფლავისთვის მიგვეკვლია.
როგორც იქნა, მივაკვლიეთ, გადაფერ-
დებულ ხის ჭვარზე ძლივს ამოვიკითხეთ
წარწერა „ჩემი პაშა“. ეჭვი არ შეგვ-
არვია, ეს ბებია ანას მიწერილი იყო.
თავისი მეუღლისა და შვილის — პაშას
მამის — გვერდით დაესაფლავებია ბე-
ბია ანას შვილიშვილი. პაშას გვერდით
გავქერით სამარე, გენადიც წამოგვეშვე-
ლა, შიგ ჩავასვენეთ ბებია ანა და მიწა
მივაყარეთ. ხის ჭვარი გამოვჩორკნეთ.
ზედ წავაწერე „ბებია ანა“ და თავთან
ღრმად ჩავარქე მიწაში.

ობოლა წრიალებდა, ყმუოდა, ხანდა-
ხან ჩვენ შემოგვაჩერდებოდა, გვეკითხებოდა,
მე რალა მიწვევლებს აწიო.

ბებია ანას ახლად მიწამიყრილ, ამო-
ბურცულ საფლავთან ჩაცუცქდა უკანა
ფეხებზე, წინა ფეხებზე ზე შემართუ-
ლი, თავისი ძალღული სევდით ავსებუ-
ლი თვლებით შემოგვეკეროდა, როცა
გენადიმ გვითხრა, ახლა ჩვენს გზას და-
ვადგეთო და დავიძარიო.

თავზე ხელი გადავუსვი ობოლას და
ასე გამოვემშვიდობე.

დაეტოვეთ საბრალო ობოლა და გავ-
ყევით ჩვენს გზას. ენაჩავარდნილები
მივყვებით ერთმანეთს. ჰილდა სულ
გადაგვაიწყდა. არც იმ გორაკზე მი-
უქცევია მისთვის ყურადღება ვინმეს.
იყო თავისთვის ჩვენი ტყვე ორმოში
მიყუებული ბომბების სკდომის დროს;
განზე გამდგარი, დაბალ ბუჩქნართან
მიმჯდარი, როცა დაბომბვის შემდეგ ჩვენ
ჩვენი სატკივართ ვიყავით შეპყრო-
ბილნი. არც გენადის გახსენება ჰილდა
და არც ჩვენ. წამოსვლისას ბებია ანას
საფლავთან ჩაცუცქულ ობოლას წინ
ჩაყუნცდა, ობოლას მიეფერა, ბეჭიდან
ხელი ფეხზე ჩამოუცურა, თითქოს ხე-
ლი ჩამოართვაო.

რატომღაც ძალიან მომინდა ამ წუთს
ჰილდას გულში ჩახედვა, იმის გაგება,
ფიჭრით რას ეუბნებოდა საცოდავ ობო-
ლას. ნუთუ თანაუგრძობდა? ობოლა
ხომ მხოლოდ ძალღი არ იყო, ობოლა
ბებია ანას დიდი ოჯახის წარმომადგე-
ნელია, იმ დიდი ოჯახისა, რომელიც ავ-
რე სასტიკად გაანადგურეს ჰილდას თა-
ნამემამულეებმა, მისივე თვლის წინ,
ჰილდამ თვითონ ნახა, როგორ დაიბუ-
გა ბებია ანას მამაპაპეული ხატა, დაი-
ბუგა მისივე თანამომხმეების — გერმა-
ნელების ბომბებით. ახლა, როცა ობო-
ლას წინ ჩაყუნცულს მისი ფეხი ხელთ
უკავია, ნეტა გამაგებინა-მეთქი რას ფი-
ჭრობს ჰილდა? წამოდგა და უხმოდ
გამოგვეყვა.

მივდივართ ასე უხმოდ, ენაჩავარდნი-
ლები. გენადის კი წამოცდა ერთხელ,

სადა ვეძებო არმიის შტაბით და მერე არც იმას ამოვლია ხმა.

მე ობლად მიტოვებულ ობოლაზე ფიქრი ამეკვირბა და ვერ მოვიშორე ეს ფიქრი. ფიქრი კიარა, თითქოს თვითონ ობოლა მომდევდეს, ავე, გვერდით, თითქოს ადამიანური ენა ამოედგას და მე-ლაპარაკებოდეს. მართლა რომ შეეძლოს ლაპარაკი ობოლას, ჩვენს შორის დაახლოებით ამგვარი საუბარი გაიმართებოდა:

„რა მეშველება ახლა მე?!“

„რა ვიცი, ობოლა“.

„პაშა აღარ არის“.

„ჰო, აღარ არის“.

„ბეზია ანაც აღარ არის“.

„ბეზია ანაც აღარ არის“.

„ჩვენი ხატა დაიწვა“.

„ჰო, დაიწვა“.

„მთელ სოფელში აღარავინ დარჩა“.

„ნაძვეები ხო დარჩა, ობოლა?!“

„ნაძვეები კი დარჩა, მაგრამ ნაძვეები ხომ ადამიანები არ არიან“.

„ადამიანები არ არიან, მაგრამ დამთავრდება ომი და თქვენი სოფელი, ომში გაფანტული ბიჭები შორიდან თვალს მოკრავენ, იცნობენ და დაბრუნდებიან. ისევე მომრავლდებიან სოფელში ადამიანებიც და ძალებიც“.

„ეს როდის იქნება?! მანამდე რა მეშველება?!“

„იქნება, იქნება, აღრე თუ გვიან, იქნება. მანამდე კი გაძელი, ობოლა“.

„ჩემი ღვთაება, ბეზია ანა აღარ არის“.

„არც მთლად მაგრეა საქმე, ობოლა. ბეზია ანას მსგავსი ადამიანები არ კვდებიან. მერე რა, რომ მიწაში ჩავფალით.“

შენც ხშირ-ხშირად წარმოიდგინე, თითქოს შენთან არის, თითქოს შენსა გვერდით დადის“.

„მე ძალი ვარ, შე კაცო, თქვენსავით ოცნება ხო არ შემიძლია“.

„ძალიც არის და ძალიც. ოცნება არც ყველა კაცს შეუძლია. შენ სხვანაირი ძალი ხარ, არაადამიანური ჰირვარამი გადაგზნა თავს და რალაც ადამიანურიც გაგაჩნია. შენ შეგიძლია ბეზია ანას აგრე წარმოედგინა“.

„კაცთავანი ნაცნობი აღარავინ დამჩა თქვენს გარდა“.

„ჰო, ვიცი, გაგიჭირდება უჩვენოდ, მაგრამ რას იზამ, ომია. რო გამომდევნებიხარ და გვერდით მომყვები, სად წავიყვანო?! მე თვითონ არ ვიცი, სად მივდივარ. შინ რო მივდიოდე, თან წავიყვანდი. წინ კიდე მრავალ ორომტრიალს გადავეყრებით მე და არჩილი. შენი თავი არ გვექნება, ობოლა. გაბრუნდი, შე საცოდაო, თორემ მერე შეიძლება ველარც მიაგვო ბეზია ანას ნაძვებს“.

ამ ფიქრში ვიყავი, როცა უეცრად ქლოშინი შემომესმა. უკან მივიხედე, დაოთხილი მორბის ობოლა. გაოცებული შეეჩერდი. ამ წუთს მის ლანდს ვესაუბრებოდი, ლანდი გაქრა და თვითონ ობოლა მოიჭრა ჩემთან ქშენა-ქშენით, შეჩერდა და საწყალი თვალებით შემომჩერდა. არჩილი და გენადიც შეჩერდნენ. ჰილდამ ჩაიმუხლა ობოლასთან და გაოფლილ ზურგზე ხელი გადაუსვა. გაყუჩდა ობოლა. ახლა კი მართლა შემომესმა ობოლას მუდარა:

„კაცთავანი ნაცნობი თქვენს მერთ არავინ შემჩა, ბიჭებო, ნუ მიმატოვებთო“.

მიმართვა ფაუსტს

ცად ვარსკვლავები ქრება,
თალხი ეცემა სოფელს —
კვლავ გაუჩივდა ნებით
ფაუსტი მეფისტოფელს.

არა თავისას — ჩვენსას
სულს დაუნდობლად ყიდის.
გერგვინვა ჩამოსტყდა ზეცას,
თავზე გვემზობა ბინდი.

დედამიწაზე წვება
ამაოების ბნელი,

„ნეტარი წამიც“ ქრება,
წარმატებათა წელიც.

ჩაცხრა ღრეობა, შფოთი,
ვნებაც ჩამცხრაღა ძველი,
იწვის, ვით ხმელი ტოტი,
ქვეყნიერება მთელი.

ჰადესის კვამლი სევდად
თავს დასწოლია სოფელს...
...რა ესიზმრებათ ნეტავ,
ფაუსტს და მეფისტოფელს?...

სიტყვა — სიტყვეზა

მსურს გავუხსნა კარი სათქმელს,
მსურს გადიქცეს სიტყვა საქმედ!
ელჩია თუ
ხეპრე ვინმე,
ბრძენთა-ბრძენი,
მხნე თუ ქველი,
როცა იმათ სიტყვას ვისმენთ —
იყოს სიტყვა უზაკველი!
როს, ეთქვათ,
კეთილს —
ისმენს ყური,
მყის არ გაჩნდეს სიტყვა —
შური.
რომ დასტურის სიტყვამ

დიახ —
გაღწიოს
დროთა წყვედიადს.
რომ მომავლის ყველა ვარამს
წინ აღუდგეს სიტყვა —
არა!
რომ თამამად გაჰყვეს ხალხი
თავისუფალ ხვალეს ძახილს,
რომ ამ ქვეყნად ნაცვლად ბნელის
შუქი იყოს უფრო მეტი;
ენტოს ვით მზე ჩაუსვლელი
რწმენა,
ტრფობა
და იმედი!

ევერესტზე ამსვლელს



მეც მესიზმრა ევერესტი,
შემოვიდა სულში ელდად,
სახე ჩამომეწყრილ კლდეთა,
ცად აწვდილი თოვლის სვეტი.

მდინარება მყინვარების,
ალესილი წახნაგები
და ზიფათის ბასრ ტინებზე
ნისლი თეთრად დანაგები.

ხეობები ჩანაბინდი,
ჩალეწილი ზეავთა მხრები;
სად ბუნების უცხო ნებით
გზები მარტო ცაში მიდის.

მეც ვიხილე, მეც გავვოციდი
ამაღლებულ ლამაზ განცდით,
...მაგრამ მაღლა მყოფი კაცი
ველად აგებს ბინას ოდით.

ჩემს პოლკელ ალექსი ბროვკინს და საკუთარ თავს

როგორა ყარს ეს პენსია,
რა ძნელია ეს ჰადარა,
კმარა, სულო, პრეტენზია,
ეს წუწუნი, სულო, კმარა!

გაგივიდა უკვე ყავლი,
წყარო უკვე ამომშრალა,
შენი ცეცხლი ჩაინაგლა,
წამოჰყარე ცხენს ავშარა.

რაც დიდება გერგო წილად
ჭვეყნად მცირე არ ყოფილა...
ალვის ხეთა სწორამ მწყრივმა
უკვე ჩრდილი გადმოჰჭინა.

უკვე ღამის ბნელი მკერივობს,
ხენი უკვე ღანდაღ ჩანან...
აწ სხვა სიყრმემ გააკვირვოს
შეცდომებით ეს ჭვეყანა.

პაემანიდან დაბრუნება

ვხედავ, მარტოკა გამოჩნდა კლუბთან,
იქნებ მაშაა, ან იქნებ ლუბა.
პაემანიდან ბრუნდება ახლა,
უფრო ბედნიერს ვერავის ნახავ.
იკინის, ტირის, ბრწყინავს მაშხალად,
არც ცრემლს, არც ღიმილს არაფერს
მაღავს.

ცისფერი კაბა შეენის იმგვარად
ზაფხულის დღე რომ გამოიდარებს.
მოშარიშურობს სპეტაკი, სუფთა,
მედალიონი უელავს გულთან.
დაუხარჯველი ვნებების კვალი
ეტყობა ბავეს — ბაგვა ლალის.
წარბები თითქოს გაფრენას ცდილობს,

თვალეებს ახურავს წამწამთა გრილო,
ჰგავს შემოქმედის სრულყოფილ
ნახატს,

პაემანიდან ბრუნდება ახლა.
მოჰყვება ბილიკს შეუფერხებლად,
სველი ბალახი ფეხებს ეხვევა.
რტო იასამნის მისკენ იხრება,
ისე, თავისით, დაუფიქრებლად.
ვით სასწაული — მნახველს ახევებს:
მოხუცთ — აღიმებს, ჩველთ ახელებს.
პაემანიდან ბრუნდება ახლა —
უფრო მშვენიერს ვერაფერს ნახავ.
ის სიყვარულის მწვერვალზე მყოფი.
გვირგვინი არის ამ წუთისოფლის.

უღრანი ტყე

მაღალ უღრანში ციდან
ფერი მოჟონავს ლურჯი,
მოჟონავს რაღაც წმინდა,
აქ ვერ გაივლებ გულში.

ხეები ღმერთებს ჰკვანან,
მშვიდია მათი ჭიში,
მხდალი განგაშის გამო
არ კანკალებენ შიშით.

ციხე შესდგომიან თავანს
თავაწეული ხენი,
როგორ ღამაზად დგანან
ვერ გამოითქმის ენით!

როგორ იგრძნობა მძაფრად
სიმშვიდე, გულში რომ აქვთ...
ძალუძს ამ ბებერ ღამქარს
სიცოცხლეცა და კვდომაც.

შიტორ ასტაფივს

თავს გავტუდომივარ ახლა,
როცა ასწრაფდნენ დღენი —
მთას ძნელი იყო ასვლა,
დაშვება — უფრო ძნელი.

შორი ხეობა ჩანდა
გაბრწყინებული ნისლით,
მთა მეძახოდა მარად
მაღლა მაღალი მიწნით.

სულმა ვერ შეძლო ბევრი,
არ აქვს საშანი სურვილს,
მწვერვალი ელავს ზევით —
ძირს შავი მოჩანს ბური.

მესაუბრება ხშირად
ხსოვნა, განმსკელი ყოფნის —
სულის ამოსვლის პირად
მწარეც კი გატკბა სოფლის.

უცნობი ჯარისკაცის საფლავთან

დამნაშავე მე ვარ, ვიცი,
არა მტოვებს მწარე განცდა,
რომ უცნობი ჯარისკაცი
დარჩა უცნობ ჯარისკაცად.

სავსეს ჯავრით, სიმძიმით,
ლამის მუხლი მომეკეცა,
ვღგავარ მძიმედ თავდახრილი
შენს უწყალო სამარესთან.

აქ კვლავ ისმის ძველი კენესა,
ომის დღეთა ძველი ელდა,

კვლავ ჩურჩულებს სახელს შენსას
ჩამომხმარი დარდით დედა.

გმირთა ნამდვილ თავგანწირვით
სიცოცხლის ხე კვლავ მწვანდება,
ხვალის დღეებს ჯანლი ფარავს,
ხოლო ხსოვნა ფერმკრთალდება.

შრილებენ ვით იმედი,
ვერხვის ხენი მდგარნი სვეტად,
ხოლო ქარი დაეწყებინ
სამარეზე ფოთოლს ხეეტავს.

ნაირა გელაშვილი

გაზაფხულის ერთი ამბავი ა ნ უ როგორ გაბრაზდა მთვარე

ცხრა ნაწილიანი ზღაპარი დიდიხისა და კატარაჟინისათვის
ანუ დიდი და კატარა გაზაფხულისათვის

ნაწილი I

საგაზაფხულო ჩამოვლა

მთვარეს ბევრი საქმე აქვს. მისი დღის, უფრო სწორედ, „ღამის წესრიგი“ ასე გამოიყურება:

1. ღამიანი გზების განათება.
2. ვარსკვლავების მოვლა-პატრონობა (გაღვიძება, დაძინება)
3. ზღვების დარწმუნება და სხვა.

ეს ის, რაც ვიცით, მაგრამ რამდენ საიდუმლო საქმიანობას ეწევა მთვარე, რაც თავშიც კი არავის მოსდის. ასე მაგალითად: გაზაფხულზე მთვარეს უჩნდება უაღრესად ძნელი და სერიოზული საქმე — „გულდაგულ ჩამოვლა“, რაც მხოლოდ „საგულდაგულოს“ კი არ ნიშნავს, არამედ იგივეა, რაც „კარდაკარ“:

ტყის კანონის მიხედვით გაზაფხულზე მარტო დარჩენა არ შეიძლება. ამ დროს ყველა სულდგმული მეგობარს ეძებს და მეგობარს ნატრობს. და გაზაფხულის ფერად ღამეებში უამრავი მონატრებული თვალთ მთვარისკენ მიპყრობილი. ასეთ თვალებიან არსებებს მეოცნებენი ჰქვიათ. და გაზაფხულის ლურჯ ღამეებს ათასობით მეოცნებეთა ოხვრა და ცრემლი ავსებს. ისინი ოხრავენ, მთვარეს შესცქერიან და გულზე იკრავენ ხელებს, რაც იმის ნიშანია, რომ ოხვრა გულიდან მოედინება. გულის საქმეები კი მთვარეს აბარია.

სწორედ ამიტომ, ახალ გაზაფხულზე, ხშირი ოხვრების დროს, მთვარე მოიხურავს თავის ლურჯ მოსასხამს, აიღებს ხელში წიგნაკსა და ფანქარს და რამდენიმე თეთრქულაჯიანი ვარსკვლავის თანხლებით იწყებს საგაზაფხულო ჩამოვლას. წიგნაკს უდაზე აწერია: „საგაზაფხულო გულისდარდება“. ვარსკვლავებს მხარზე ვერცხლის სურები შეუდგამთ. სურები ნამის წვეთებით არის სავსე. ზოგ მათგანს კი მკლავზე ნისლის პატარა საფენები აქვს გადაფენილი. თუ შეუმჩნეველად ვარსკვლავების ამაღლაში გაერევით ან სადმე ბუჩქებში მიი-



მალეობით, მაშინ მოისმენთ ყოვლად საოცარ საუბრებს, რაც მთვარესა და გულდარდიან მეოცნებეებს შორის იმართება.

აი, მთვარე თავისი ამალით ნელა მიუახლოვდა სოკოზე გაწოლილ ჭიაყელს, რომელსაც ცისთვის მიუპყრია ცრემლიანი თვალები:

— თქვენი გულის დარდი, თუ შეიძლება, — ყურში ჩასჩურჩულა მთვარემ და წიგნაკი მოიმარჯვა.

— ააჰ! — აღმოხდა ჭიაყელსა და ისე გაიწია მთვარისკენ, რომ კინაღამ სოკოდან ჩამოვარდა. — მე ველოდები ჩემს მეგობარს, რომელიც მთვარიან ღამით დაშპირდა მოსვლას, ჩემი გული ვეღარ უძლებს ამდენ მოლოდინს! — ჭიაყელსა ცრემლები გადმოსცვივდა და უღონოდ ჩაჰკიდა თავი.

მთვარემ წიგნაკში ჩაინიშნა: „ხანგრძლივი ღრმა ოხვრა და ორი მსხვილი ცრემლი. მდგომარეობა სერიოზულია: გული ვეღარ უძლებს მოლოდინს. საქმის გადადება არ შეიძლება“. შემდეგ ვარსკვლავებს გადაულაპარაკა: „გაუზომეთ სიცხე“. ვარსკვლავები ჭიაყელს გულზე პაწაწინა თერმომეტრს ადებენ. ეს ჩვეულებრივი სიცხის საზომი არ გეგონოთ. ეს გულმზურვალეების საზომია. იგი წარმოადგენს ერთმანეთზე გადაგრებილ ვარსკვლავის, მთვარისა და მზის სამ სხივს. ვარსკვლავებმა სხივგრების დახედეს და წამოიძახეს: „ოჰ! გულმზურვალემა ძალზედ აწეულია „300 მზის სხივი“.

— მიეცეს ნამის სამი წვეთი და ნისლის გრილი საფენი საფეთქლებზე! — ბრძანა მთვარემ.

ვარსკვლავებმა ფაცა-ფუცით შეასრულეს მითითება. სურიდან ნამის წვეთები დააპკურეს ჭიაყელსა და ნისლის პატარა საფენები მიაკრეს შუბლზე. ჭიაყელა მოსულიერდა.

მთვარე ნელა მოშორდა ჭიაყელსა და ამაღლსთან ერთად ფეხაკრეფით მიუახლოვდა ოროვანდის მწვანე ფოთოლზე მისვენებულ ღამის პეპელას.

— თქვენი გულის დარდი, თუ შეიძლება, — ჩასჩურჩულა მთვარემ.

— ააჰ! — დაიკვნესა პეპელამ და ფრთები აასავსავა, — საღლა მაქვს გული! ჩემი გული მოლაღურს გაჰყვა, რომელიც წავიდა და აღარ დაბრუნდა“ — და პეპელამ იმდენი ცრემლი დააფრქვია ოროვანდის ფოთოლს, რომ პატარა ტბაში აღმოჩნდა ჩაწოლილი.

მთვარემ წიგნაკში აღნიშნა: „ორი წყვეტილი ოხვრა და ცრემლების ღვარი. გულის მდგომარეობა სერიოზულია: გულს ვეღარა გრძნობს. გულმზურვალემა — 400 მზის სხივი“. ვარსკვლავებს კი გადაულაპარაკა: „ნამის ოთხი წვეთი, გულის მიდამოების ფრთხილი შეზღვევა, სამწუთიანი ღამის სიო“. ვარსკვლავებმა სწრაფად აღასრულეს მთვარის ბრძანება. ღამის პეპელა მოსულიერდა. მერე კი ჩაიძინა.

მთვარის ამაღლა ნელა დაიძრა და შეუმჩნევლად მიუახლოვდა მაღალი მუხის ფულტროს, რომლის ფანჯარაშიც თვალმგაშტერებელი ციყვი გაქვავებულია.

— ერთი-ორი სიტყვა თქვენი გულის შესახებ, თუ შეიძლება. — ჩაუნჩურჩულა მთვარემ.

ციყვი არ შერბეულა. მთვარემ ჩაახველა. ციყვს არ გაუგია. მთვარემ მაჯისცემა და გულის სითბო გაუსინჯა: „გულმზურვალემა 500 მზის სხივი“ — ჩაიბუტბუტა მთვარემ და მერე ხმას აუწია:

— უკანასკნელად როდის აგიჩქროლდათ გული?

— წინა გაზაფხულზე. — ამოისლუქუნა ციყვმა.

— როდის იგრძენით მონატრების პირველი ნიშნები?

— ამ გაზაფხულზე, ენძელების ყვავილობის დროს.



— თქვენს სიზმრებზე თუ მეტყვით რამეს?
 — სიზმარშიაც გაზაფხულს ვხედავ და კიდევ იმას...
 — რა ჰქვია იმას, თქვენს საოცნებო არსებას?
 — ვარდკაპაჭა.
 — მდაა... — ამბობს მთვარე — ვიცნობ, მშვენიერი ყვავილია, რას გეუბნებთ?

— არაფერს! — წამოიძახა ციყმა და ფანჯრის რაფას დაემხო. მთვარემ წიგნაკში ჩაიწერა: „სიყვარულის სნეულების გავრცელებული ფორმა: ციყვი იტანჯება. ყვავილი არაფერს ამბობს: არც — ჰოს, არც — არას. ამის შედეგად გამოწვეული გარინდება ანუ გაშტერება. თვლების უკან, იგულისხმება გაქვავებული ცრემლები. საჭიროა სწრაფად შემოწმდეს ვარდკაპაჭას გულის ნაღები. საჭიროა სასწრაფო სიყვარული“.

— მიეცეს: ნამის თორმეტი წვეთი და ხუთწუთიანი გრილი ნიაგი. ბრძანა მთვარემ, თან ვარსკვლავები გააფრთხილა: — ხომ იცით, სიგრილე მეტი არ მოგივიდეთ! ჩვენი მიზანია გულების დროებითი დამშვიდება და არა მათი გაგრილება-გაცივება.

— ვიცით, ვიცით! — აწკრილდნენ ვარსკვლავები.

ამალა ფეხის წვერებზე მიუახლოვდა მოცვის აყვავებულ ბუჩქს, რომლის ტოტზეც ყავისფერზოლებიან თეთრ ნიჟარაში პატარა ლოკოკინა გატრუნულოყო.

— რას მეტყვით თქვენს გულზე? — ჩურჩულით ჰკითხა მთვარემ.

— აააპ! — აღმოხდა ლოკოკინას.

— რა უფრო გიმძიმთ, როცა გენატრებათ თუ, როცა არ გენატრებათ?

— ოოპ!

— უკანასკნელად როდის გიხაროდათ?

— ეეეპ!

— პირველად როდის შეგიყვარდათ?

— უუპ!

— რას ინატრებდით?

— სიხარულს!

— რა გაგეხარდებათ?

— სიყვარული!

— ესე იგი?

— მეგობარი! მეგობრობა! წასვლა! გაფრენა!....

— შეჩერდით, საემარისია!

— სიმღერა! მოლოდინი! გულის ამგერება! თვლების გაბრწყინება!

— შეჩერდით! შე ჩ ე რ დ ი თ ! ყველაფერი გასაგებია! — დაიყვირა

მთვარემ და სხივგრებილი შეუმჩნევლად მიაღო გულზე ლოკოკინას — ოპოპო-პო... გულმზურვალემა 700 მზის სხივი. შესაძლებელია გულმკერდის კედლებისა და ნიჟარის გაღნობა ანუ საგაზაფხულო ხანძარი. სწრაფად! ნისლის სველი საფენები გულმკერდის არეში! ათწუთიანი გრილი ნიაგქარი! ორმოცდაათი ნამის წვეთი!“

ვარსკვლავები ლოკოკინას შემოეხევივნენ. მთვარემ კი წიგნაკში ჩაინიშნა: „მონატრების მწვავე შემთხვევა. ენატრება უცნობი მეგობარი. უსიყვარულობით გამოწვეული უსიხარულობა. უსიხარულობით გამოწვეული გულის ციებცხელება. აღლევა ზღვარს არის მიღწეული. მეტყველება დარღვეულია: ხან ყვირის, ხან ჩურჩულებს. საჭიროა მეგობარი და გამაყანსალებელი საგაზაფხულო მოგზაურობა“.

ვარსკვლავებმა ვერცხლის სურები ისევ შეიდგეს მხარზე, ქულაწები გაი-
სწორეს, ნისლის საფენები გადათვალეს, სითბოს საზომი სხივგრებილებზე, გარეშული
მინდეს, ჭიბებში ჩაიწყეს და მთვარის ამაღა ნელა გაცურდა კვიპაროსის ქვეშ
წეროსაკენ, სადაც თვალეზანთებული მერცხალი განაბულიყო.

— ახ, მთვარე, მთვარე, ჩვენო იმედო! — შესძახა მერცხალმა და ორი-
ვე ფრთა მკერდზე მიიკრა.

— დამშვიდდით ძვირფასო, დამშვიდდით! — აბუტბუტდა მთვარე და
ვარსკვლავებს გადაულაპარაკა, — აქეთ, ეტყობა, ძლიერი ღელვის ზონაა.

— როდის დაგეწყით ეს აღლვება, გაზაფხულის წვიმების შემდეგ თუ
გაზაფხულის ქარების წინ?

— ოჰ! წვიმების დროს, მაშინ პირველად გავიფიქრე, ნეტავ მეგობარი
მყავდეს მეთქი.

— აჰა, ე. ი. წვიმების დროს, პირველად რა იგრძენით, გულის ბაგაბუგი
თუ თავბრუსხვევა?

— გულის გუგუნე! — დაიკენესა მერცხალმა და ცრემლები ჩამოსცვივდა.

— აჰა! გუგუნე! რას დაარქმევდით თქვენი გულის მდგომარეობას? გუ-
ლისნაღველს, გულდაწყვეტას, გულისფრიალს თუ გულდამშარებას?

— ყველაფერს! — აღმოხდა მერცხალს და გულწასული დაეცა კვიპარო-
სის ტოტზე.

— 60 წამის წვეთი! ოცწუთიანი ცივი ნიაჭქარი! სველი ნისლი საფეთქლე-
ბზე! — ბრძანა მთვარემ და წიგნაკში ჩაწერა: „ერთი ღრმა გულისწასვლა და
თქვესმეტი ცხარე ცრემლი. გულის სრული გადარევა. მოთმინება ამოწურუ-
ლია. მოლოდინის გაგრძელება — შეუძლებელი. მოსალოდნელია გულის ხში-
რი წასვლა-წამოსვლა. საჭიროა მეგობრის გამოჩენა“.

რიერაქი მოახლოვებული იყო, როცა „გულდაგულ ჩამოვლა“ დამთავრ-
და. მთვარის წიგნაკი ჩანაწერებით გადაჭრელდა. ხოლო ამ ღამით ამოფრქ-
ვეული ყველა ოხვრა და ცრემლი ბირკასავით აეკრა მთვარის ჭადონსურ მო-
სასხამს, მოსასხამი ისე დამთმინდა, რომ მთვარე ველარ მიათრევს და ვარსკვ-
ლავები უწევენ კალთებს. ნამით სავსე ვერცხლის სურები დაიკალა. ნისლის
საფენებიც ჩამორიგდა. თავისი ლურჯი კოშკის კარიბჭესთან მთვარე მადლო-
ბას უხდის ვარსკვლავებს, ეშვიდობება და კოშკში შედის.

აქ იწყება „საგაზაფხულო გულისდარდების“ მეორე ნაწილი. გადამწყვე-
ტი ნაწილი.

ნაწილი II

მთვარის კოშკი

სარკინიბინანი ლურჯი მარბაზი

ეს უცნაური ლურჯსარკეებიანი დარბაზი გულის საიდუმლოებისათვის
არის განკუთვნილი. აქ მთვარის მეტი ვერაფერია შევა. დარბაზის გასაღები მთვა-
რეს მუდამ ყელზე ჰკიდია. დარბაზის ჭერზე მიხატულია უზარმაზარი ვარდის-
ფერი გული, და რაკი იატაკიც სარკისაა, ეს გული ათასჯერ არის არეკლილი
მთელ დარბაზში. სარკეებზე მოსჩანს წარწერები: „უსიყვარულოდ მზე არ სუ-
ფევს ცის კამარზე“ — „ეს ბუნების კანონი...“, „გავუფრთხილდეთ სიყვა-
რულს“, „ყური მიუგდეთ გულს“.

მარჯვენა მხარეს სარკის სიღრმეში კიაფობს თეთრი წარწერა:
 „გულის გულზე გადაბმის საიდუმლო წესები“



1. სწრაფი გადაბმა,
2. გახანგრძლივებული გადაბმა.
3. ნაწილობრივი შეწებება,
4. ორი გულის სრული შეწებება,
5. მარადიული კვანძების საიდუმლო

მარცხენა მხარეს ციმციმებს ყვითელი წარწერა:

სიყვარულში ჩამორჩენილთა სია:

1. გულდახურულნი,
2. გულგაციებულნი,
3. გულმოდუნებულნი,
4. გულგაწყალწყალეებულნი,
5. გულმკვდარნი.

ამ ლურჯ დარბაზში ახლა მთვარე შეუდგება ყოვლად საიდუმლო საქმეა-ნობას: აი, მან მოიხსნა თავისი მოსასხამი და დაბერტყა: ათასობით ოხვრა და ცრემლი ჩაცვივდა ოქროს ტაშტში და ტაშტი აწყრაილდა. მთვარემ ჩაიმუხლა და დაიწყო ურთულესი ანგარიში, რაც მთვარის მეტს არავის შეუძლია: ეს გახლავთ ოხვრა-ცრემლების გადარჩევა-დახარისხება. „ცხრაასი მხურვალე ოხვრა, ათასორასი წყვეტილი ოხვრა. სამასი გადაბმული ოხვრა“, — ითვლის მთვარე, — ორიათასი გმინვა, მილიონი ცხარე ცრემლი, სამიათასი მუქისნი-სხო ცრემლი, ექვსასი გაქვავებული ცრემლი. ახლა კი ერთნაირი ოხვრები ერთ მძივად უნდა აისხას და მსგავსი ცრემლები ერთად შეგროვდეს. ასე მაგალითად: ლოკოკინასა და მერცხლის ოხვრების მხურვალეობა და ხანგრძლივობა ერთნაირია, მათი ცრემლების ზომა და ფერი ერთნაირი. მაშასადამე მათი ოხვრები ერთად აისხმება, მათი ცრემლები კი ერთმანეთს შეერევა. დანარჩენი ადვილი საქმეა: მთვარე აიღებს ორ ოქროსფერ სხივს, ერთს მერცხალს გამოაბამს გულზე, მეორეს კი ლოკოკინას. სხივების ბოლოებს ერთმანეთზე გადაგრებს, გადაგრებილი ადგილს ოხვრების მძივს გადაუჭერს და ერთმანეთში შერეულ ცრემლებს დაასხამს. მორჩა! ზვალ ან ზეგ ლოკოკინა და მერცხალი ერთმანეთს იპოვნია! ასევე გადააბა მოლაღურისა და ღამის პეპელას გულები, ჭიაყელას გული ჭიაშაიას გულს შეუერთა, ციყვი და ვარდჯაჭაჭა ერთმანეთს დაუკავშირა და კიდევ მრავალი, მრავალი სხვა. რადგანაც ყველა ამათი ცრემლი ერთი ფერისა იყო და მათი ოხვრები ერთნაირად ცხელი. მორჩა! ყველა მეოცნებეს გულზე მთვარის სხივი აქვს გამობმული და ამ სხივის ბოლოში მეორე მეოცნების გული ბაგაბუგობს. და მთვარის დარბაზში საათის ხმასავით ისმის გულის ძლიერი ფეთქვა. ეს ჭერზე მიხატული უზარმაზარი გული ძგერს. მისი ხმა თანდათან ძლიერდება, რადგან მას ახლა სხივებით გადაბმული გულების ფეთქვაც შეემატა: „ბაგ-ბუგ“, ისმის მთელ დარბაზში და დაღლილი და ბედნიერი მთვარე ღიღინებს: „გული გადაება გულს, ასე ვიწყებთ გაზაფხულს“. ზვალ ან ზეგ ყველანი ერთმანეთს იპოვნია. და დაიწყება გაზაფხულის ზეიმი. ყველა თავის მეგობართან ერთად დაესწრება ამ დღესასწაულს.

მაგრამ ჩუმად! არსად წამოგვდეთ გულების გადაბმის საიდუმლო. მთვარეს საშინლად ეწყინება. ხომ იცით, გულს რამდენი მტერი ყავს. კაცმა რომ თქვას, მთელი ქვეყანა გულს არ ემტერება?! რომ იცოდეთ რამდენი მავნე სუ-

ლი ეძებს ამ საიდუმლოს! როგორ უნდათ, რომ გული გულს არ შეხვდეს! რას აღარ აკეთებენ! ორ გულს შორის რომ ბილიკია, რაღას არ ყრიან იმ ბილიკზე გარონებს, ჭვა-ლორღს, ნაფცქვენებს, ნაჭუჭებს, ეგებ გულებს ფეხი დაუცდებოდა კისერი მოიტეხონო. მაგრამ ნურას უკაცრავად! მთვარის ლურჯ კოშკში გულების გადაბმა გრძელდება!

ნაწილი III

ლოკოკინა

პატარა ლოკოკინა, რომელსაც სახელად ლოკის ეძახდნენ, ობოლი იყო. ის მამიდამ გაზარდა. ლოკოკინების მთელი საგვარეულო მოცვის ბუჩქზე სახლობდა. ისინი თეთრი ნაყოფებივით ეკიდნენ მოცვის ბუჩქს.

ლოკოკინებს არ უყვართ სიმღერა, ცეკვა, სიჩქარე, სიახლე, აურზაური, სიცლქე, სირბილი. მათ უყვართ სიჩუმე, წესიერება, სიმშვიდე, ძილი, ფიჭრი, წელი ცოცვა და საშინლად კიცხავდნენ ყველას, ვინც კი გაბედავდა და მათ წესებს დაარღვევდა.

მოცვის ტოტები სულ დახაზული იყო ისრებით. ისრები უჩვენებდნენ დღის რომელ მონაკვეთში რომელ ტოტებზე უნდა ეცოცათ, საით შეიძლებოდა გახვევა და საით — არა. სად შეიძლებოდა გაჩერება და სად — არა. ამგე დროს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეკიდა აბრები შემდეგი წარწერებით:

„აქრძალულია ცმუკვა, ხტუნვა, ცელქობა!“ „გულის აჩქროლება — უზნეობა!“ „მონატრება სისულელეა. სისულელე დაუშვებელია.“ „აქრძალულია სიცილი, კისკისი, ხარხარი, თამაში“, „სიცლქე უზრდელობაა, უზრდელობა უხამსობაა, უხამსობა — დანაშაულია, დანაშაული სირცხვილია“. „აქრძალულია ყოველგვარი გადარევა“, „ვინც გადაირევა, ის გადავარდება“.

და პატარა ლოკოკინაც ისე გაზარდა ხნიერმა, სათვლიანმა მამიდამ, როგორც მისი დეიდაშვილ-მამიდაშვილ-ბიძაშვილები იზრდებოდნენ, მას შენიშვნების მეტი არაფერი გაუგია, „ნუ ჩქარობ!“ „ნუ ხტუნავ“, „თვლებს ფართოდ ნუ ახელ“, „ასე გახარება უხერხულია“, „ასე გაცინება არ შეიძლება“ და პატარა ლოკი ძალიან დარდობდა. მას სათუთი გული ჰქონდა, მეგობარი და თამაში ენატრებოდა. მაგრამ, აბა, ამას ხმამაღლა როგორ იტყოდა.

ლოკოკინამ ვერ ისწავლა თამაში, ხტუნვა, სიმღერა და გადარევა.

სამაგიეროდ კარგად ისწავლა უხერხულობა და წინ და უკან გახედვა. რასაც არ გააკეთებდა, ჯერ უკან გაიხედავდა, ხომ არავინ გაბრაზდებოდა და მერე წინ — ხომ არავინ გაბრაზდებოდა. ბოლო დროს გაფიქრებამაც კი ასე ემართებოდა. რაღაცას ვაიფიქრებდა და გული შეუხტებოდა, ხომ არავის ეწყინაო. მაგრამ გულში მისინე უგროვდებოდა თამაშისა და სიცლქის სურვილი. ზოგჯერ თავს ველარ შეიკავებდა და ერთს მალლა შეხტებოდა, მაგრამ რადგანაც თამაში არ იცოდა, უხერხულად გამოსდიოდა, ტოტიდან ძირს ბრავჯანს მოადენდა, გვერდებს დაიეკავდა და ცხვირპირსაც ამოისეროდა ხოლმე. მერე კი ვაი-ვაგლახით აფოფხდებოდა ისევ მოცვის ბუჩქზე, როდის-როდის მიადწევდა თავის ტოტს დარცხენილი. აქ კი, მამიდამისის მეთაურობით, მთელი საგვარეულო ჩამწკრივებული ელოდებოდა. ყველას წკებლა ეჭირა და წკებლებით ანიშნებდნენ აბრებზე, სადაც ლოკოკინების ცხოვრების წესები ეწერა.

დარცხენილი და შეშინებული ლოკი გაცოცდებოდა თავის პატარა ტოტზე, ცრემლიან თვალებს ცას მიაპყრობდა და ყველას ჭიბრზე, რაც ძალი და

ლონე ჰქონდა, ოცნებობდა და ოცნებობდა. მან ისეთი ლამაზი ოცნება ისწავლა, ისე დაოსტატდა ოცნებაში, რომ იმ ტყეში ბადალი არ მოტეპოვებოდა.

მთვარე ხომ ყველას ოცნებებს იწერს წიგნში, რომელსაც „ტყის ოცნებები“ ჰქვია. ჰოდა, ამ წიგნს რომ გადაფურცლავდა, ლოკის ოცნებები ყველაზე ლამაზი და ფერადი იყო, მაგრამ მთვარემ იცოდა: ოცნება ოცნებაა! გაზაფხული კი გაზაფხულია! გაზაფხულს ოცნებების ასრულება უყვარს.

ნაწილი IV

მ მ რ ც ხ ა ლ ი

მერცხალი კი მერცხლებმა გაზარდეს. მერცხლების წელიწადი მხოლოდ გაზაფხულისა და ზაფხულისაგან შედგება. ისინი ძილსა და სიცივეს გაურბიან და შემოდგომა ვერასდროს ეწყევა მათ.

სამერცხლეთში აბრები არ არის. არც ისრებით არის დახაზული ჰაერი. მერცხლების მთავარი საქმიანობა გახარებაა. ისწავლიან თუ არა ფრენას, მაშინვე იწყებენ გახარებას. მათ აუცილებლად ვინმე უნდა გაახარონ. ვინც უფრო ბევრს გაახარებს დღეში, მას სალამოს ყვავილების გვირგვინს ადგამენ.

ყველა კარგი ამბავი მერცხლებს მიაქვთ ტყის ბინადრებთან. მართალია, ისინი აღამიანებთან ცხოვრობენ, სახლის თბილ კედლებზე, მაგრამ ტყეშიც ხშირად დაფრენენ. ყველას ამხიარულებენ და ეთამაშებიან. ეგებ ბავშვებისაგან ისწავლეს თამაში? შეიძლება. მერცხლები ამბობენ: „მთავარია თამაში. მთავარია გახარება“. მერცხლები ელვისისწრაფით დაფრენენ, რათა ბევრი კარგი ამბავი მოაგროვონ. მერე ჩაიჭროლებენ ფანჯრების, ფულუროებისა და ბუნაგების წინ, გადაუფრენენ ყვავილებსა და სოროებს და კარგ ამბებს ქვეყანას მოსდებენ.

იმ მერცხალს ნისლისა ერქვა. რადგანაც ნისლისას ყველასთან კარგი ამბები მიჰქონდა, ცუდს კი თავისთვის იტოვებდა, თვალები სევდისაგან თანდათან გაუნისლისფერდა. მაგრამ ნისლისა არასოდეს ჩიოდა. ის საოცრად სწრაფად დაფრენდა და ეღურტულებდა. ერთ რამეს ნატრობდა მხოლოდ პატარა მერცხალი — მეგობარი ჰყოლოდა. და მან ჩაიფიქრა: როდესაც ას ვინმეს გაახარებ, მეგობარიც გამოჩნდებაო.

ზოგს ფულუროსთან ყვავილი დაახვედრა, შავ ფრთებზე წვიმის წვეთებს იგროვებდა და თავებთან მიჰქონდა, სევდიან ღრუბლებს ამხიარულებდა, ტოტებს არწევდა და შძინარე ბარტყებს უნანავებდა. ასე დაგროვდა „ასი გახარება“. მესამე კი ერთი ბრმა როჭო იყო, რომელსაც ნისლისამ ფრთებზე თოკი მოაბა და ასე გამოათრია ძველი ფულუროდან, სადაც როჭო რაღაცნაირად ჩაქედლიყო.

„ახლა გამოჩნდება მეგობარი“, ფიქრობდა ნისლისა და კვიპაროსის კენწეროზე თვალმოუხუჭავად ათენებდა მთვარიან ღამეებს. ეს კვიპაროსიცი იმიტომ ამოიჩემა, რომ მეგობარს ადვილად ეპოვა. კენწეროდან მთელი ქვეყანა მოსჩანდა, მეგობარი კი არსად იყო.

კვიპაროსის კენჭირო

მთვარემ რომ ლოკისა და ნისლისას გულები გადააბა, მეორე დღესვე ნისლისამ ლოკის ბუჩქთან ჩაიფრინა.

— შეჩერდი! — შესძახა ლოკიმ, რომელსაც ისე მოეწონა მერცხლის ნისლისფერი თვალები, რომ ყველა აბრა გადააფიწყდა. ნისლისა შეჩერდა და ტოტზე ჩამოჯდა.

— დავმეგობრდეთ, მე ისე მარტო ვარ. — დაიხურჩულა ლოკიმ.

— დავმეგობრდეთ! — დაიქდურტულა გაბრწყინებულმა ნისლისამ.

— ჩვენი გაზაფხული დადგა, — აღმოხდა ლოკის.

— წამოდი ჩემთან, მე შენ აგოყვან მალლა, სულ მალლა, ავფრინდეთ მწვანე კვიპაროსის კენჭიროზე, იქ ცა ახლოა. — ლოკოკინამ მაშინვე ისკუბა ნიყარიდან, მხრებზე მოცვის ლაშქარი, ცოლი მოისხა და მერცხალმა ის თავის კვიპაროსზე ააფრინა.

კვიპაროსის კენჭიროს ქარი არხვედა. ცა სულ ახლოს იყო, და ორივენი ცაში, როგორც სარკეში ისე იხედებოდნენ. ძირს კი მწვანე ტყე შრიალბდა და კამკამა ლურჯი ტბა მოსჩანდა. მთვარე გორაკების თავზე მიიჩრწოდა და ჩუმ-ჩუმად ილიმებოდა. „ჩემი ჭადოქრობა სრულდება“, — ფიქრობდა მთვარე და ლოკიმ თქვა: „საოცარი ყოფილა გაზაფხული“.

მათ სამი ბედნიერი დღე და დამე გაატარეს კვიპაროსის კენჭიროზე. ეს-მოდათ ქარის გუგუნნი. უყურებდნენ შშის ჩასვლას, ერთმანეთს უყვებოდნენ თავიანთ ბავშვობას. მათი გულები ერთნაირად ძგერდა და ეს ხნიერ კვიპაროსს ძალიან უხაროდა. თანაც ლოკი და ნისლისა სიხარულისაგან ისე გალამაზდნენ, რომ ერთმანეთზე ლამაზი არავინ ეგონათ.

მესამე დღეს კი ნისლისამ თქვა: მე ახლა შორს ვავფრინდები. იცი, რა კარგია, სახლისაკენ რომ მოფრინავ და შინ მეგობარი გელოდება! და ნისლისა ააფრინდა. მან გაზაფხულის მინდორს გადაუქროლა და ყვავილების შეგროვებას დაიწყო თავისი მეგობრისათვის.

მაგრამ მარტოდ დარჩენილ ლოკის თავბრუ დაეხვა. ისე შეეშინდა სიმბლისა და ქარის ზუზუნის, რომ თვალები დახუჭა. მერე, როგორც იქნა, გაახილა და ძირს ჩამოიხედა: ქვემოთ მოცვის ბუჩქი და აბრები გამოჩნდა. გაარჩია კიდევ წარწერა: „ვინც გადაირევა, ის გადავარდება“. თვალწინ დაუდგა ბიძაშვილ-მამიდაშვილიშვილებისა და დეიდაშვილ-პაპიდაშვილების სახეები. მათი ბუზღუნიც შემოესმა და ლოკის საშინლად შეეშინდა. მერე თავის ნიყარასაც მოკრა თვალი, თავის ყავისფერბოლებიან თეთრ ნიყარას, სადაც ახლა ჭიამაიები დასკუბებულიყვენ და ყვავილებით მოერთოთ. მას ძალიან ლამაზი მოეჩვენა თავისი ნიყარა და მოენატრა. „ამ კენჭიროს რბევისაგან გვერდები სულ დამეყევა“. ჩაიბუზღუნა ლოკიმ და ჩამოცოცება დაიწყო. მოცოცავდა და მოცოცავდა. თან თავისთავს არწმუნებდა: „ნისლისას მაინც არაფერში ვჭირდები. ის სხვასთანაც გაატარებს გაზაფხულს. იპოვის ვინმეს, ვინც მასთან ერთად იფრენს აღმა-დაღმა. სულ ერთია, მაინც მიმატოვებდა. ის ხომ ერთ ადგილას ვერ ჩერდება. თანაც კენჭირო საშიშია. ჩემი ნიყარა კი მყუდროა“.

საღამო ხანს, როგორც იქნა ჩააღწია ძირს. მერე კი მოცვის ბუჩქს მიადგა და ახლა იმაზე დააქოცოცება.



გ ა წ უ მ ე ტ ი ლ ი ს ხ ი ვ ი

ლოკი დარცხვენილი მიუახლოვდა ჩამწყრივებულ ლოკოკინებს, რომლებსაც ხელში წყებლები ეჭირათ და აბრებზე მიაწინებდნენ. მათ თურმე თავიდან ვერც შეამჩნიეს ლოკის დაკარგვა. მაგრამ ერთხელ მამიდა ლოკის ნიჟარას მიაღდა (სურდა ზრდილობის წესები გამოეკითხა) და ნიჟარა რომ ცარიელი დაუხვდა, სათვალე მოიხსნა და იმით ატეხა კაკუნი. ატყდა ერთი ამბავი. ლოკოკინებს გაეხარდათ კიდევ გასაბრაზებელი მიზეზი რომ მიეცათ.

ლოკი ჩუმად შეძვრა ნიჟარაში, თავი ჩაჰკიდა და მიეცა მოგონებებს.

ნისლისას რაღა დაემართა? ნისლისა მინდვრიდან შინ მოფრინდა და შორიდანვე დაიწყო ჰიკჰიკი. ყელზე მინდვრის ყვავილების თაიგული ეკიდა. მიუახლოვდა კვიპაროსს, თვალეები დახოჭა, თაიგული მოიხსნა და მალლიდანვე დაეყარა ყვავილები კენწეროს. ეგონა, ლოკის ყვავილები ფარავდნენ და მხიარულად გადაფანტა თეთრი იეები, მაგრამ რა უსაზღვრო იყო ნისლისას გაოცება, როცა ლოკი იქ არ დაუხვდა. ლოკის ნაცვლად იპოვა ბარათი, სადაც ეწერა: „ჩვენი გაზაფხული დამთავრდა“.

— „რატომ?“ — იკითხა ნისლისამ. „რატომ?“ — ვაიმეორა ქარმა. ნისლისა უღონოდ ჩაიკეცა კვიპაროსის კენწეროზე და ცრემლები წასკდა. მეორე დღეს კი მთელ ტყეს შემოუარა. ყველგან დაკარგულ მეგობარს ეძებდა. მაგრამ როდესაც მოცივის ბუჩქი შეათვალღერა, მან ლოკი ველარ იცნო. მეგობარს ის განათებულ თვალეებზე ცნობდა, ლოკის კი თვალეები უკვე ჩაქრობოდა. ნისლისა გაფრინდა.

ლოკი განაგრძობდა მოგონებებს. ის სულ კვიპაროსზე ფიქრობდა. იმდენი იგონა, იმდენი იგონა, რომ კვიპაროსის მზიანი კენწერო სულ გაცვდა და გაიცრიცა ამდენი მოგონებით და ლოკის ის თანდათან გადაავიწყდა. ვარსკვლავის ორმა პატარა სხივმა ლოკის მოგონებები ნეკერჩხლის ვარდისფერ ფოთლებზე ჩაიწერა და მთელ ტყეში მოფინა. ეს იყო ძალზე ლამაზი მოგონებები და მალე ტყეში ყველამ შეპირად იცოდა.

თვითონ ლოკის კი მალე ყველაფერი გადაავიწყდა, ოცნებებიც და მოგონებებიც. რადგან ამასობაში გაიზარდა და თავის დეიდაშვილ-მამიდაშვილ-ბიძაშვილებს დაემსგავსა.

ხოლო ნისლისამ მთელი გაზაფხული მის ძებნაში გაატარა:

— პატარა, თვალეგაბრწყინებული ლოკოკინა ხომ არსად გინახავთ? — ეკითხებოდა ყველას. თქვენ წარმოიდგინეთ, ერთხელ თვალეჩამქრალ ლოკისაც კი ჰკითხა:

— თვალეგაბრწყინებულ პატარა ლოკოკინას ხომ არ იცნობთ?

— არა! — უპასუხა ლოკიმ.

ასე გაბრაზდა მთვარე

მთვარემ რომ კოშკის ფანჯრიდან გადმოიხედა და გაწყვეტილი სხივი დაინახა, შეპყვირა. მერე იმასაც მოჰკრა თვალი, ლოკის გული რომ ალთას იყო და ნისლისასი — ბალთას — და საშინლად განრისხდა. მთელ ცას ესმოდა, როგორ სცემდა ბოლთას დარბაზში და როგორ ყვიროდა:

„სადა მაქვს მე გასაწყვეტი სხივები? იმიტომ დავხარჯე ჩემი ულამაზესი ვერცხლის მოციხე სხივი?! ამით გულების გადაბმა ხუმრობა გონივრულია თუ არ იციან, რომ ამაზე დიდი საქმე არ არსებობს! მე რომ გულებს ერთმანეთზე არ ვაბამდე და ყველაფერს ერთმანეთს არ ვაყვარებდე, ძალი პატრონს ველარ იცნობდა! ეს ქვეყანა კი არა, დომხალი იქნებოდა! რამდენი მარადიული სხივი მაქვს გაბმული, მარადიული კვანძი, რომელსაც დრო ვერაფერს აკლებს. თუნდაც პატარა ვარსკვლავი და გვირილა, ვარდი და ბუღბუღი და კიდევ ვინ მოსთვლის. ვილაც ქარაფშუტებმა ასე უნდა აიგონ თავი! ასე გაგლიჯონ ჩემი ულამაზესი სხივი? ასეთი მარცხი ჩემს სიცოცხლეში არ მომსვლია! ახალ გაზაფხულზე, ახალთახალ გაზაფხულზე, ხშირი ოხვრების დროს გადაბმულმა გულებმა სამ დღესაც ვერ გაძლეს! ეს რა დრო დადგა! რა დრო! ვაი, სირცხვილო“.

— ეს ყველაფერი მათუსალას ოინებია. — დაასკვნა მთვარემ, — მაგრამ მათუსალა მარტო ხომ ვერაფერს გახდებოდა?! და მთვარემ ისევ გადაიხედა ფანჯრიდან. გადაიხედა და მოცივის ბუჩქზე თავჩაქინდრულ ლოკის მოპკრა თვალი, რომელმაც მისგან პირი იბრუნა და ნიჟარაზე ფოთოლი ჩამოიფარა. მან თვალი აარიდა მთვარეს და მთვარე მიხვდა, რომ ლოკიმ პირველმა დასტოვა კენწერო.

მთვარემ აიღო „გაზაფხულის კანონთა და დანაშაულთა წიგნი“ და ჩაწერა „გაზაფხულის კანონის ძალით გამოცხადოს სასტიკი საყვედური ლოკოკინა ლოკის, იმის გამო, რომ ის არ ყოფილა მზად მეგობრობისთვის და მოატყუა მთვარე, ვარსკვლავები და ცხადია, მერცხალი ნისლიც.“

მოხსენდეს ლოკოკინა ლოკის (თუ არ მოეხსენება), რომ გაზაფხულისა და გადაბმული გულების კანონზე დიდი კანონი ამ ქვეყნად არ არსებობს. რომ ამ კანონის თანახმად, დანაშაულია იმ არსებების ერთად ყოფნა, რომელთა გულებიც მთვარის სხივით არ არის გადაბმული, რადგანაც ეს უკანონობაა.

ს ა ს ჟ ე ლ ი :

ლოკოკინა ლოკის აღარ შეხედეს მეგობარი იქამდე, ვიდრე არ დაძლევს წიშს და არ გაყოჩაღდება. მისეაჭოს მარტოობის გაზაფხულები და ჩამოერთვის ოხერის უფლება.

64წილი VIII

მ ა თ უ ს ა ლ ა

მთვარემ ხომ თქვა, ეს მათუსალას ოინები იქნებაო. თქვა და სწორიც იყო. არ იცით, ვინ არის მათუსალა? მათუსალა ტყეში ფეხშიშველი დარბის და ძალიან ჭუჭყიანი ხელ-პირი აქვს. თვლების ადგილას ყვითელი კენჭები უზის, თავზე ხმელი თივა აქვს დატყუებულო, კისერზე კი უზარმაზარი შავი მაკრატელი ჰკიდია, რომელიც ბებიაძისმა მათუსალამ აჩუქა.

მათუსალას პატარაობისას არაეინ ეთამაშებოდა, არადა ძალიან ცელქი და მოძრავი იყო. ვართობა უყვარდა და სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, მთვარის სხივების გადაჭრა დაიწყო. იმ სხივებისა, რომლებითაც გულები იყო გადაბმული, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ ასე პირდაპირ მათუსალას მაკრატელს სხივის გადაჭრა არ შეეძლო. მას სხივი ჭერ უნდა გაეთხლებინა. ამისათვის კი მათუსალას ათასი ოინი და ხრიკი ჰქონდა მოფიქრებული. აი როგორ დააბნია ლოკი:

როდესაც ლოკი მარტო დარჩა, მათუსალამ განგებ ისე გადასწია კვიპაროსის ტოტები, რომ ქვემოთ მოცვის ბუჩქი გამოჩენილიყო. შერეულ ლოკოკინების აბრებს ფანარი მიანათა. მერე ლოკოკინების ხმები გააძლიერა, რომ ლოკის კარგად დაენახა წარწერები, კარგად გაეგონა ლოკოკინების ბუზღუნნი და შეშინებოდა. გარდა ამისა, იქვე ლოკის გვერდით ორი ჭორიკანა ჩიტი დაასკუბა. აქედან ერთ ჩიტს აღრე ნისლისასთან უნდოდა მეგობრობა, მაგრამ ნისლისამ არ მოისურვა, რადგანაც ამ ჩიტს უთავბოლო და უაზრო ჭიკჭიკი უყვარდა. დასკუბდნენ ჩიტები და ასეთი ჭიკჭიკი გააბეს ლოკის გასაგონად: „ამ საწყალს გონია, ნისლისა დაბრუნდება. მას უკვე მოსწყინდა და გაფრინდა ალბათ. ის ხომ ახალ-ახალ მეგობრებს ირჩევს. ამას წინათ არ იყო, ბრმა როქოს რომ თავს ევლებოდა? წავა და ეს საცოდავი სულ დაავიწყდება“. ასე ჭიკჭიკებდნენ ჩიტები, როცა ნისლისა ყვავილებს აგროვებდა ლოკისათვის და ახალ-ახალ სიმღერებს იგონებდა.

სხივი უკვე გათხელებული იყო და მათუსალამ გადაჭრა კიდევ: ისეთი ტყაცუნნი გაისმა, რომ ტყეში მძინარე ბარტყები დააფეთა. გაწყვეტილი სხივის ბოლოები რომ აფართხალდნენ, მათუსალა მხიარულებისაგან გორაობას მოკყვა. „ესეც ასეე“, — იმახდა და სულ ყირაზე გადადიოდა.

ნაწილი IX

ამის შემდეგ, როცა მთვარე „საგაზაფხულო ჩამოვლას“ იწყებს, ყველა მეოცნებეს ჭერ ამას ეკითხება: „ხომ არ გეშინიათ? ხომ იცით, შიშით მეგობრობის დაწყება არ ღირს“. თუ მეოცნებეს არ ეშინია, მხოლოდ მაშინ იწერს მთვარე მის ჩივილებს „საგაზაფხულო გულისდარდების“ წიგნში. ხოლო თუ მერყეობას შეატყობს, მაშინ ეუბნება: „ცოტაც“ დაეცადოთ, გაძლიერდეს თქვენი მონატრება“.

ნეკერჩხლის ფოთლები კი, სადაც ლოკის ლამაზი მოგონებები წერია, მთელ ტყეში დაფრინავს და ის ბევრმა, ძალიან ბევრმა ზეპირად იცის.

სიყვარული უგონოა, ქალბატონო...

სიყვარული უგონოა, ქალბატონო...
 ის ძველ მელოდიასავით გვეუფლება
 და დეკემბრის ბალებში დაგვატარებს,
 სადაც ყველაფერი ნაცნობია,
 ყოველი ნაბიჯი მიახლოებაა
 იმ მელოდიასთან —
 ჩვენს ფიქრებში რომ აყდრებს
 უცხო მუსიკოსი,
 რომლის თითების შეხებისგან
 ისევე ცოცხლდება ძველი რიტმი...
 ხედავთ მთვარის სხეულს
 ტოტებს შორის რომ კიაფობს,
 როგორც გახსენება შორეული
 ბგერების...

სიყვარული უგონოა,
 და ჩვენ მაინც ვეძებთ,
 ზოგჯერ კარს ღიად ვტოვებთ
 მის მოლოდინში... ის კი.

მოულოდნელი სტუმარივით
 სწორედ მაშინ შემოგვირბენს,
 როცა შინ არა ვართ...
 ისიც ჩვენსავით დახეტილობს,
 მასაც საით არ დაატარებს
 დღეების ხეივანი —
 ქარის ორკესტრით თუ
 წვიმის ეტლებით.
 ის არასოდეს კვდება, ქალბატონო.

თქვენი სიყვარულიც
 ცისფერი ქოლგით დასეირნობს
 დეკემბრის ბალებში;
 ხელს გიწვდით ჩაბნელებული
 ფანჯრებიდან,

რომ დაინახოთ,
 ერთხელ მაინც დაინახოთ,
 როგორც მოწყვეტილი ვარსკვლავი
 შემოდგომის ცაზე...

შენ წახვალ...

შენ წახვალ ისე,
 როგორც სხვები წასულან ადრე...
 ან უფრო მალე —
 ჩემს სულში ჩამდგარ
 ზღვას შეერთებენ,
 რომ სიღრმისაყენ,
 შუაგულისკენ გაგიტაცოს
 ტალღის ხვეულმა.

შენ წახვალ ისე,
 სიზმრები რომ გეტოვებენ დილით:
 ულაპარაკოდ, უსიტყვოდ, უხმოდ,
 გამოთხოვების, ცრემლის გარეშე...
 და უკვე მძულან
 ის, სხვა დღეები,
 შენ რომ დასტოვებ...

შენ წახვალ ისე,
რომ აღარავის მოაგონდება,
აქ თუ იყავი;
ან მე რა მსურდა შენი ხსენებით;
რა სიმაღლეზე ამოვყავდი
ყრუ ბგერებისგან მოქსოვილ სიტყვას,
რომელიც ხშირად
ბაგეებს მწვავდა...

შენ წახვალ ისე,
თითქოსდა სოფლის
გვალვისგან დამსკდარ,
გამომშრალ მიწას

წყალი მოჰგვარე.
ზღაპრის გმირივით —
გველესაზი რომ დაამარცხა
და გზას გაუდგა
და უკან აღარც მოუხედავს.

შენ წახვალ ისე,
როგორც მრავალი წასულა აღმათ,
ათასჯერ აღრეც
სხვისგან, სხვის კარად...
და სხვის ფანჯრებში
ჩამდგარ სინათლეს შეჰმატებია.

მაგრამ შენ წახვალ,
შენ წახვალ მერე,
როცა სიმშვიდით ჩემს თვალებში
ლამე გაწვება;
და სიხარულიც ჩააქრობს სანთელს,
და გაიხურავს უკანასკნელად
უცნობი კარებს;
როცა სარკმელთან
მთვარეს აღარ დაეუწყებ ლოდინს...
შენ წახვალ მერე...

ნარილი

შემთხვევით გამახსენდი
სამყურა ბალახო,
შემთხვევით გამოგხედე ფიქრებიდან,
სადაც შენს გარდა ყველა შემოდის
დაუპატიებლად, როცა მოესურვებათ,
ხან კენტად, ხანაც ერთად,
ერთბაშად აწყდებიან კარებს და
ფანჯრებს...

ვიცოდე მაინც რა უნდათ,
რისთვის მოდიან...
თავს რომ მომამბურებენ
და აღარ ვიცი რით მოვიგერიო —
მუსიკას ვუსმენ...
განა რა,
აი, მაშინ უნდა ნახო,
როგორ ივსება სახლი
მათი თვალებით, ხმით და სიცილით;
როგორ მოიწევენ ჩემსკენ,
რომ შორით გამოიტყუონ.
სადაც აღარავინაა.

სადაც მხოლოდ ჭარია და
ცივი, შიშველი ქვები...
სწორედ იქ დაგინახე პირველად
მერე კი დაგივიწყე, დაგივიწყე...
მაგრამ ახლა, როგორღაც
ფრთხილად გამომხედე ფიქრებიდან,
გაუბედავად,
თითქოს გინდოდა გეთქვა...
ან რა უნდა გეთქვა
იმაზე მეტი,
რაც შენი გახსენებით მითხარი...

ნეტავ რა უნდა გეთქვა
სამყურა ბალახო?

...მაპატიე, ისევ სამყურაზე
რომ გიყვები,
რატომღაც გამახსენდა წუხელ,
სწორედ მაშინ,
როცა შენ გწერდი წერილს...

რკალიდან: „უხსოვრობიდან მახსოვრობაში“

ქანთაცვალოვა

1.

ქანთაცვლის ქარში უხმაუროდ ათოვდა ხსოვნას,
ათოვდა ხსოვნას და მახსოვრობას.

ახლაც მათოვს...

ქარი ზმუნის დაკარგული ხსოვნის ფუძეზე
და გამჭვირვალე ზეციური უფსკრულებიდან
კვლავ უბრუნებს მახსოვრობას თავის დილეგებს...

მდუმარე საგნებს ეუფლება კვდომა და ძილი

და ზე-სოფლიურ დიად დუმილში

ვიკარგები და ვმეორდები. ვმეორდები

და ვილაც მიხმობს,

ვილაც „სხვა“ მიხმობს მღვრიე ფსკერიდან —

გადაკარგული და გარდუცვლელი...

ვკარგავ სიცხადეს, ამოვდივარ უცხო ტანიდან

და ის უცვლელი მეუფლება, რასაც „სხვა“ ჰქვია,

რაც ვიყავი და რაც მარად ვარ:

ქანთაცვლის ქარში — უხმაუროდ დავიწყებული.

ვდგავარ მორჩილი

შელამების ღვთიურ სარკმელთან.

სისხლიან წრეებს ვითვლი დუმილით

და ვიმახსოვრებ ხელმეორე აღმოცენებას...

2.

მახსოვს: მაშინაც მარტო ვიდექი,

მარტო ვიდექი

შელამების ღვთიურ სარკმელთან,

ისევ მათოვდა ქანთაცვლის ქარში

და დუმილით კვლავ ვითვლიდი

სისხლიან წრეებს...



იდგა პირველი საუკუნე გზადარბეული
და მოიწვედა ისევ პირველი —
უფლის ცრემლიდან ამონთებული...
დნებოდა ქამი მოძრაობის დიად ფუძეზე
და ველოდი მომავალ პირველს,
როგორც ახლა — ამომავალ ოცდამეერთეს.
ველოდი პირველს, რომ შევერთოდი:
როგორც დრო დროს და სივრცე სივრცეს...
მაგრამ ამოდ.

იგი იდგა სოფლიური ხვედრით ჭვარცმული,
გარდამოხსნილი და ბჭედანშული.
„ვერ შემოაღწევ ჩემს ბჭეებში..
ვერ შემოაღწევ ვერც მაგ არსით,
ვერც სამოსელით.
გარდიცვალე და შეგიერთებ,
როგორც დრო დროს და სივრცე სივრცეს!“
„მე დიადი ვარ, სიძლიერის მადგას გვირგვინი!
მე ხელთ მიპყრია კვერთხიც და შუბიც!
მე დავანგრეე ზე-მზიური კარიბჭეები,
დავამხე კერპთა საკურთხეველები!
მოვდივარ ახლა, დახსენი ბჭენი!
დახსენი ბჭენი

კვლავ დიდების და ძლიერების!..“
„ვერ შემოაღწევ ჩემს წილში,
ვერ შემოაღწევ —
ვერც მაგ კვერთხით, ვერც ძლიერებით,
ვერც გასისხლულ შუბთა ტრიალით.
შენ ცოდვილი ხარ ბრწყინვალეებით —
უნდა დაღამდე,
უნდა უარყო სიდიადის შესამოსელი,
უნდა დაემხო
და უპოვარი შემოხვიდე ჩემს კარიბჭეში!“
და დავანგრეე... დავანგრეე ძველი ყოველი,
ხელთ ვიპყარი ზე-მზიური ძელი ცხოველი
და განწმენდილი შევეურთდი მაცხოვრის ხვედრს:
როგორც დრო დროს და სივრცე სივრცეს.

3.

და ვდგავარ ახლა კვლავ მორჩილი —
ლვითურ სარკმელთან,
კვლავ ზმუის ქარი დახშულ ბჭეთა
უტყვე ნაპრალებში
და ათოვს ხსოვნას,
ათოვს ხსოვნას და მახსოვრობას —
უხსოვრობიდან გარდამოცვლილს და გაღვიძებულს.
და ვიხსენებ:
თითქო მომხდარს, თითქო არმომხდარს,

უკვე გავლილს თუ გასავლელს,
ყოფილს, არყოფილს, რაღაც ნისლოვანს,
რაღაც უცხადს, რაღაც ცხადიერს...
ეს არც ხილვაა, არც სიზმარი, არც მოგონება...
ეს დაღუპილი ბგერებია, ის „სხვაა“ ჩემში,
რაც გამუდმებით მომელტვოდა და დამეძებდა,
ეს ის „სხვაა“, მეც რომ ველოდი —
გადაკარგულს და გარდაუცვლელს,
საგანთა ძილში გადახვეწილს
და კვლავ მოვლენილს...
და ველი ახლაც ამომავალ ოცდამეერთეს,
როგორც ველოდი — მომავალ პირველს:
ქამთაცვლის ქარში
უხმაუროდ გარდაცვალებულს...

და კვლავ ამოდ:

„თოვს და ღამეა, თოვს და ღამეა,
თოვს და ღამეა შენს არსებაში!..
ვერ შემოაღწევ ჩემს წიაღში, ჩემს სიწმინდეში,
ვერ შემოაღწევ მაგ სიცივით და სიწყვდიადით,
ვერ შემოაღწევ ემაგ ცოდვით და სიდიადით...
სად არის ის ყრმა, რომ გიბოძე და ჩაგაბარე?!
რად შეიძარცვე უცოდველის შესამოსელი?!
სად არის წმინდა საიდუმლო, რად გააცხადე?!
რად უარყავი ქამთაცვლაში არსი უცვლელი?!
ვერ შემოაღწევ ჩემს სიმწვინდეში!..
მე მარადი ვარ მარადიულ გარდაცვალებით,
შენ — წარმავალი წარმავლობით და ცვალებადი.
მე ეამგრძელი ვარ — სივრცეებში მოხეტიალე,
შენ კი ხანმოკლე — ტალახებში მოიზღაზნები.
მე კარიბჭე ვარ ზე-მზიური სუფევისაკენ,
შენ — მიწად მსრბოლი სისხლიანი ნერონის ეტლი.
შენ ცოდვილი ხარ სიდიადით — უნდა დამდაბლდე,
უნდა დაემხო, რომ ამაღლდე და შემოაღწევ!
შენ ცოდვილი ხარ ბრწყინვალეობით — უნდა დაღამდე,
უნდა დაღამდე, რომ გათენდე და შემოაღწევ!
ფერფელში და მტვერში უნდა აღდგე და აღორძინდე,
აღორძინდე და შეგიერთებ:
როგორც დრო დროს და სივრცე სივრცეს!..“

ხსოვნას კი ათოვს ქამთაცვლის ქარში,
უხმაუროდ ათოვს და ათოვს.

ორი ნოველა

შპაპეზი

შუაშამთარია.

შზე ეს-ესაა თვალს მოეფარა და ხვამლის წვერზე ცა მეწამულად შეიღება. მნათობის ჩასვენებით ქვეყანას სითბოს მხრივ არაფერი დაკლებია, მთელი დღე აგზავნიდა აღმაცერ სხივებს, მაგრამ ყინვას ვერა მოუხერხა. ეგ არის, შზე რომ ანათებს ცაზე, მაინც რალაც იმედია, თორემ სხვა მხრივ რა უნდა გააწყოს მალლაკის უსაშველო ქართან და უღმერთო ყინვასთან, ბატსაც რომ ფეხის აპკებს წააყინავს.

ტყისპირა ქალაში, ძეძვსა და ქაცვს თაგვისფრად რომ მოუტამია, ჯვარივით აღმართულ გამხმარ თხმელაზე ორი ყვავი მოჩანს. ყვავებს ზამთარში ერთად ყოფნა უყვართ, მაგრამ ამჟერად ახლომახლო სხვა ყვავები არ ჩანან. რაშია საქმე, ვერ გეტყვით.

ამ დალოცვილ ბუნებაში ტყუბი ყვავებიც არ ჰკვანან ზუსტად ერთმანეთს. ეს ყვავები კი, არც მეტი არც ნაკლები, ცოლ-ქმარი გახლავან. კარგად რომ დააკვირდებით, მამა ყვავი გაცილებით უფრო დიდია დედაზე. ლონიერი ფრთები კურტანივით მოუჩანს ზურგზე და ნეკა ჰკვანავს ორით მეტი ნაჭდევი აქვს, ვიდრე სოფლის დედაბერივით გალუულ დედა ყვავს, ქარის ყოველ დაქროლებზე ნაცრისფერი

ბოლო მალლა რომ აეწევა და ტოტზე თავს ძლივს იკავებს.

დღე ისე მიილია, რომ ყოველდღიური საზრუნავით გართულ ყვავებს ერთმანეთისათვის სიტყვაც არ უთქვამთ. რა უნდა ეთქვათ? რომელი ახალყოილნი ესენი მყვანან, ორას ორმოცდათერთმეტი წელი ახლახანს, რვა ენკენისთვეს შესრულდა, რაც დაქორწინდნენ. ბარემ აქვე გავამხელ, რომ მამა ყვავისათვის ეს მესამე ქორწინება გახლდათ. პირველი ორი მეუღლე მეთვრამეტე საუუენის პირველსავე დეკადაში დაეხოცა სახადით. ისტორიის მცოდნე მკითხველს ეცოდინება ოსმალების მიერ დაპყრობილ ქუთაისში შავი ჭირი რომ გაჩნდა. ეამმა მაშინ ოსმალთა (შავი ჭირის შემომტანთა) გარდა უდანაშაულო ქართველიც ბევრი იმსხვერპლა და პოლიტიკისაგან სრულიად თავისუფალ ყვავებსაც დარია ხელი.

ყვავები ახლაც ჩუმად იქნებოდნენ, მამა ყვავს, ფრთას რომ იქეჭავდა, ასიოდე მეტრზე მათეენ მიმავალი კაცი რომ არ შეემჩნია. კაცს თხის ტყავისაგან შეკერილი ჯუბა ეცვა, თავშიშველი იყო და, რაც მამა ყვავს ყველაზე მეტად არ ესიამოვნა, ხელში თოფი ეჭირა. ქაცვებს ხელით სწევდა, წელში მოხრილი, კატის ნაბიჯით მოდიოდა და გუ-

ლით ცდილობდა ყვაეებისაგან შეუმჩნეველი დარჩენილიყო.

— მითხარი ერთი, თუ ქალი ხარ, ჰკუთნა აქვს ახლა იმას?

მამა ყვავს მონადირისთვის თვალი არ მოუტყულებია.

— ვის? — დედა ყვაევმა ჯერ მეუღლეს შეხედა და მერე იჭით გაიხედა, საითყენაც თანამეცხედრის კეხიანი, ქარწვიმისაგან ფერგადასული ნისკარტი იყო მიმართული.

— ესლა გვაკლდა.

— მიკვირს და გამკვირვებია: ხორცი არ იქმევა ჩვენი და ძვალი. ეგ თუ მონადირეა, არ უნდა იცოდეს, რას სდის? — აღშფოთებას ვერ მალავდა მამა ყვაევი.

— მონადირე აბა! მონადირე ამ გახრეკილ ჰალაში დაიღლის თავს. ვილაყის სტუმარი იქნება, თოფს სტაცა, ალბათ, ხელი და თავს იწონებს.

— ჩვენგან რა უნდა? ყვაევის მოკვლა რა ბიჭობაში ჩათვლება.

— იქნებ ცოდვას ჩავდივართ, შაშვზე მონადირეა და ჩვენთან საქმე არა აქვს? — დედა ყვაევი ხავსს ჩაებლაუტა.

— რა გულუბრყვილო ხარ, შე ქალო. გესვრის ის კაცი და მერე დაიწყებს თავში ცემას: შემშლია, ყვაევი აღმორნდაო. შეხედე ერთი, ნახე, როგორ გვითვალთვალებს და რა დიდი ამბით იმალება.

— კი, კი, ჩვენ გვეპარება ნამდვილად. ეგ ისეთი ცხვირ-პირის პატრონი ჩანს, რომ სულერთია, რას ესვრის.

— მამა უცხოხნდა. ერთ ბუმბულს ვერ წაიღებს. გუშინდელი ღლაპის წერა თუ გავხდი, წინ ყოფილა ჩემი საქმე. მაგან ახლა გაახილა თვალი და მე თითქმის სამასი წელია ამ ქვეყანას ვუმშერა.

— არ გაფრინდეთ? თოფი არ გამართოს, ღმერთი არ გაუწყრეს. — შიშით იკითხა დედა ყვაევმა.

— ნუ გეშინია. ორლულაიანი „ტულა“ უჭირავს ხელში. სამოც ნაბიჯზე, რომც მოგხედეს, ბუმბულსაც ვერ აგიტრუსავს.

— რატომ იცი ასე შეთამაშება. თოფისწამლის სუნი არ გეზარტყავს? მე ჩემი მემართება ქუხილს რომ გავიგონებ. რამდენ კალიბრიათი თოფი აქვს, თუ იცი?

— ვერ ვარჩევ. თვალს დამაკლდა. ბავშვი კი აღარა ვარ, — სინანულით მიუთვო მეუღლემ.

ისინი, თითქოს ნიშანი მისცესო, ერთდროულად აფრინდნენ. წინ მამა ყვაევი მიფრინავდა, წაგრძელებული, ფრთებს ჩანდახან ისე გაატყაპუნებდა, თითქოს ძელსა ჰკრესო. უეცრად მოწყდა და ძეწნის შიშველ ტოტზე დაეშვა. ინერციით წინ წასულმა დედა ყვაევმა, კამარა შექკრა და მეუღლეს გვერდით მოუსკუპდა.

— შენ გგონია ვერ დაგვინახა? — დედა ყვაევი დღეს რატომღაც კამათის გუნებაზე იყო, თორემ სხვა დროს თავისი ნაცადი ქმრის გადაწყვეტილებას განსჯის ქურაში არ ატარებდა.

— რომ გვხედავს, მეც იმიტომ შევიჩერდი, ნუ მეწეებები თუ ქალი ხარ, — ოჯახის უფროსმა გულგრილად გამოხედა თვალებჩაცვენილ მეუღლეს და ძეწნის ტოტს ბოლოში მოექცა.

დედა ყვაევს არაფერი უთქვამს. მან მშვენივრად იცოდა, რომ ორსაუკუნე-ნახევრის განმავლობაში ერთი და იგივე ყვაევის კი არა, შეიძლება ფარშევანგის ყურებაც მოგწყინდეს.

კარგა ხანს ჩუმად იყვნენ და ჩირგვებში წახრილ, მათკენ მიმავალ მონადირეს გახედავდნენ ხოლმე.

— ნუ იცი ხოლმე ბავშვივით ამჩატება. ამ ღლაპს უყადრებ თავს? გაფფრინდეთ ეგერ წყალგაღმა და რომ წაშავდება, მივბრუნდეთ მერე. — წუწუნებდა დედა ყვაევი.

— არა. ასე უნდა ვაწვავო მთელი საღამო, უნდა მოვშალო ნერვებზე და მუხლები გადავატყავებინო ქაცვებზე ბლოტიალით, — დაიქაღნა მამამ.

— რაი მერე?

— რაი და მიხვდება ერთხელ და სამუდამოდ რომ ყვაევს ასე იოლად ვერ მიეპარები. ჰკუთნას ისწავლის.

— შენ უფრო ირთობ თავს, ვიდრე ეს მონადირე. რა გეზარება, შე კაცო, ტანის აწვევა. გადავფრინდეთ იმ ნაპირზე. გალმა რომ დაგვიგულებს, ხელს ჩაიჭნევს და წავა.

— შე აქ დავიბადე. არსადაც არ მივფრინავ. მაგნიარი ახალგაზომცხვარი მონადირეებისათვის ამიბნევიდა თავ-გზა? — შტაკიცე გადაწყვეტილებით თქვა მამა ყვავმა.

ამასობაში მონადირის ხუჭუჭა თავი თხმელისჭვართან გაილანდა. ყვავები აფრინდნენ და იქვე, ასიოდე მეტრის დაშორებით ჩაეშვენენ ეკალ-ბარდებში.

თოფიან კაცს სიბრახისაგან ტუჩები გაულურჯდა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა, ეკლისაგან სისხლდადენილ მარჯვენა ხელისზურგზე ცხვირისახოცი დაიხვია და წელანდელზე უფრო ჩამჯდარი გაცოცდა ყვავებისაკენ.

ბებრები შვინდის გამხმარ ტოტზე აიწონა-დაიწონას მოთამაშებებით ირწეოდნენ.

— ფრენის დროს პირი რატომ გაქვს ღია? — სიჩუმე დედა ყვავმა დაარღვია.

— არ ვიცი, არ დავკვირვებებივარ, — მამალმა იცრუა. ამ ბოლო დროს ფრენისას კი არა, ხეზეც ზეზეულად რომ ჩათვლემს ზოგჯერ, ქვედა ნისკარტი ჩამოუვარდება, სხვა ყვავებმაც შენიშნეს. იქნებ ასაკის ბრალიც იყოს.

— ერთს ვიტყვი მე... — დედა ყვავ-

მა კისერი დაიმოკლა და თავი ბუმბულში თითქმის ჩამალა. მამა ყვავს არაფერი უთქვამს, რადგანაც თავისი მეუღლისაგან დიდად ჰკვიანურს არას ელოდა.

— საქმე ის იქნება, მაგ ჩვენს მონადირესაც თუ ეპარება ახლა ვინმე. მაგასაც თუ აქვს ზურგში დამიზნებული სხვისი თვალები.

— რას ფილოსოფოსობ? — მამა ყვავმა ლამის ხოხვით მომავალ მონადირეს გახედა.

— არც ეგ იქნება, ნუ გეშინია, გაშვებული თავის ნებახე. მაგათაც თავისი კონტროლი და დამკერი ჰყავთ. ადვილი შესაძლებელია, უთვალთვალბდეს ახლა ვინმე, ამ წუთში.

— ადე, ადე ავფრინდეთ, თორემ სანამ მაგას ჩამოართმევდნენ თოფს და ყურში ხელს მოკიდებდნენ, ორივეს დაგვცვამს ნიშანზე და უყარე მერე კაკალი.

ყვავები ზანტად აფრინდნენ და ისევ თხმელის შავ ჯვარს მიაშურეს.

მონადირე გულს არ იტეხდა. წელში მოკაცეული, ტალახში ამოსვრილი, ხელებდაკაპიწებული, თვალბანთებული ეპარებოდა ყვავებს. ზანდახან ქაცვს ამოეფარებოდა და სულს მოითქვამდა. დარწმუნებული იყო, რომ ბიბლიური ფრინველები ვერ ამჩნევდნენ და მით უფრო უყვირდა: რაღა სწორედ მაშინ აფრინდებიან, სასროლ მანძილზე რომ მიგუახლოვდებიო.

ბოლო

— გესმის?!

კაცს ზოლებიანი ფლანელის კვართი აცვია, შუბლზე, სათვალემდე, ჩაჩი ჩამოუფხატავს, ფეხები ცხვირგადაჭრილ ფოსტლებში წაუყვია, აივნის მოაჯირს ფრთხილად ეყრდნობა და ჩასძახის:

— გესმის!

პასუხს არავინ აძლევს. სალამოსპირია. ცხელა.

ქუჩაში კაციშვილი არ ჰკვანებს.

სამარისებური სიჩუმე იქნებოდა, ტრიფოლიატის ლობეს შერჩენილი ერთადერთი ჰრიჭინობელა რომ არ უკრავდეს დაუზარებლად.

— კატუშა, არ გესმის შეენ?

სამზადიდან თავი გამოყო ჩითისხალათმოსხმულმა მოხუცმა ქალმა, ფან-

ქარა ბოლომდე გამოალო და მალა აიხედა.

— რა იყო?

— ამოდი ერთი, ამოდი, ნუ გადაყვი მაგას მთელი დღე.

— მაცადე, შე კაცო, დაუოხრებიათ თავგებს აქაურობა.

— ამოდი, ამოდი, ვერ ვარ რალაცა კარგად.

ქალმა ქირურგის ხელთათმანები წაიძრო, ფანჯარა მიხურა და დიდხანს ხენვით ამოდიოდა კიბეზე.

— მაჩვენე მაჭა.

ისინი აივანზე ისხდნენ და ქიშკართან საცოდავად გაფარჩხულ, გამხმარ ბალს შეტყუებდნენ.

— ცოტა აჩქარებული გაქვს. არაფერია. წნევის წამალს მოგცემ.

— არ მინდა. იჩქეი აქ ცოტა ხანს.

— მაინც რა მშიშარა გახდი, პარმენ. შეიძლება ასე?

— შიში რა შუაშია, შე ქალო, მთელი დღე ბუჯური გამიგონია? ერთ საათს მაინც დაჯვლები, ხმას გავილებ, ადამიანი ვარ. გამოვყრუვდი კაცი. ასე უნაირო იცი ყველაფერი.

— ჩადი და ნახე. ამოუტრიალებიათ თავგებს ყველაფერი. გადაირევა ის გოგო.

— ნუ გეშინია. თავის დაქცეული ოჯახი ვერ არ მინახავს. თავს მისი წილი მიაქვს.

— ასეთი ყოვლად გლახა, ჩვენი კატა რომაა, თუ ეყოლება ნეტავი ვინმეს. ორჯერ დავამწყვდიე სამზადში. კარს მოაწყდებოდა მაშინვე და კნავილს იწყებ. მე მგონი თვითონ ეშინია თავგების. ვაი, — ქალბატონმა კატუშამ გულზე ხელი მიიღო — შენ რა გიჭირს, პარმენ, გული ჩამოვარდნაზე მაქვს. ისე ამიჩქარდა შენ რომ დამიძახე, კიბეზე თუ ამოვასწრებდი, არ მეგონა.

— თავგების ბარე არ ეშინია, მაგრამ რატომ შეიწყულებს თავს. გამზადებული ურჩევნია მაგასაც. თავს მაინც სდევნა უნდა, ჩასაფრება, დაიჭერ-არ დაიჭერ, ღმერთმა იცის. შენ მოუღებ კატას ჰელაში? — პარმენმა კატაზე გადაიტა-

ნა სიტყვა და თან ცოლს სახელოს აკაპიწებაში შევლოდა.

კატუშა დიდხანს აფათურებდა ხელს წნევის აპარატში. საბერველს რომ ააქშეტუნებდა, ხრახნს ნელა მოუშვებდა და ცალ ხელს ყურებთან მიიჭერდა, ფონენდოსკოპი რომ არ გამოვარდნოდა.

— რამდენია? — კაცს სახელო ეკირა და ილიმებოდა, — წასული ვარ ღმერთთან?

— მაცალე, შე კაცო, ვერ გავიგონე. აღარ ვარგა, დამველდა ეს ოხერი, გამოსაცვლელია.

— ეგ კი არა, ჩვენ დავძველდით, ჩემო კატუშა, თორემ სათვალისანი გოგო რომაა ჩვენი პოლიკლინიკის ექიმში, მივალ თუ არა, ერთს ჩაბერავს და მეტი არ უნდა, თვალისწამას ზომავს წნევას.

— მაცალე კაცო, არ მეყურება, რა ლაპარაკად გადაიქეცი. ბევრი იცის იმ შენმა ექიმმა. ხომ გახსოვს, შარშან, ფილტვები ვერ მოგისმინა წესიერად და ანთებიანი კაცი კინალამ გაგისტუმრა იმ ქვეყანას; მე რომ არ დამეწყუო, ჩემით პენიცილინის კეთება.

— რამდენია?

— მომატებელია ცოტა.

— მაინც.

— ასორმოცი გაქვს ოთხმოცდაათზე. პაპაზოლს მოგცემ და წამოწევი ცოტახანს — კატუშამ იცრუა. სინამდვილეში ვერცხლის სვეტი ასსამოცზე იწყებდა კაცუნს და ასზე წყლებოდა.

პარმენს მალალი წნევა ამ ბოლო დროს იშვიათად როდი აქვს, მაგრამ მეუღლე უმალავს ხოლმე. აფორიაქდება, ინერვიულებს, უფრო ცუდად გახდება, არიქა ექიმით; ვკვდებით, საწერ-კალამი მომიტანეთ, ანდერძი უნდა დავწეროთ. ასე უკეთესია, რომ არ იცის, უფრო მშვიდად არის. პაპაზოლი დააღვინა და მუთაქა თავით დაუდო. დღეს რალატო აუწია ნეტავ? წუხელის რომ კარგად ეძინა, შეიძლება ამინდის ბრალიც იყოს.

— კატუშა, — პარმენი დივანზე პი-

რადმა წევს, კერს შესცქერის. მეულ-
ლე ფერხითი უზის.

— ბატონო.

— ხომ ჩავრინხინდით ბოლომდე მა-
ინც, კატუშა?

— რა ბოლომდე?

— სიბერემდე.

— რა დროს სიბერეა, აწი მინდა გა-
ხარება ჩემს შვილებში და შვილიშვი-
ლებში. ქებულაძის ვაიანე ოთხმოცდა-
ექვსი წლისაა და იმ დღეს ბაზრიდან
ბათმან სიმინდს მოათრევდა. რა ასაკი
ჩვენ გვაქვს ჯერ, სამოცდათორმეტის
ხდები ახლა, ოცდაერთ ენკენისთვის.

— სამოცდათორმეტის კი?

— აბა. იანგარიშე, ათში ხარ დაბა-
დებული.

— შენ?

— სამი წლით შენზე უმცროსი რომ
ვარ დაგვიწყდა?

— აბა შენ ბავშვი ყოფილხარ მთლად,

— კატუშამ გაიღიმა და ფეხზე ნაზად
დაუსვა ხელი.

ქიშკართან ღრიალით ჩაიჭროლა „ჩი-
გულიმ“.

— რას შოულობს ამდენს ეს სანდუ-
ხაძის სიძე, იმის ტურად გადამაქცია და
არ მინდა არაფერი.

— რაო?

— ახალი მანქანა უყიდა, გუშინ-
წინ.

— ის ძველი რა უყო?

— გაყიდდა, ალბათ, რა ვიცი.

— ღმერთმა მისცეს.

— ღმერთმა მისცეს, კი მართალია
მარა, შეიძლება ისე ჩქარა მიადრიალე-
ბდე მანქანას ამ ვიწრო შუკაში? კაი,
და ვთქვათ, ბავშვი გამოვარდა, სად მი-
დის მერე?

— ძუკუს საქმე ძუკუმ იცის.

— ძუკუმ იცის, აბა, მაგანიარებს მოს-
ვლიათ ავარია. გაგიარა?

— ჩასვლა გინდა თავგებთან ხომ?

— რა უნაირო ლაპარაკი იცი. მივა-
ტოვო შუა გზაში საქმე?

— მაინც, რაღა არ შეგიძლია ადამი-
ანთან ლაპარაკი, შე მამაცხოვნიებული.
ეგება რა მაქვს სათქმელი.

— კარგი ა, ბატონო, ვიქნები მთელი
დღე ასე, — კატუშამ ხელში შეკრ-
თან ჩაიშყყვინა და გაბუტულივით გან-
ზე გაიხედა.

ერთხანს ჩუმად იყვნენ.

— კატუშა.

— ბატონო.

— ხომ ხედავ ბოლოს მაინც მართო
რომ დავრჩით?

— რა არეულად ლაპარაკობ, ვინაა
მართო. სამი შვილი გავხარდეთ და
რვა შვილიშვილი გვყავს. ღმერთო, კაი
ყურით გაიგონე, ყველა წალმართ გზას
აღვას და სალსალამათია, მართო ყოფ-
ნა სხვების იკითხე.

— მაინც... რა ვიცი... ახლა, ამ წუთას,
არცერთი შვილი არ უნდა იყოს სახლ-
ში?

— შენ თვითონ არ უთხარი ლევანს,
წადით ცოტა ხანს დაისვენეთ და მეც
დამასვენეთ პატარაო?

— ვუთხარი, მარა ცოლ-შვილს გავ-
გზავნიდი და წნევიან კაცს არ დავტო-
ვებდი მართო.

— ჩამოვა სამ დღეში, ნუ იცი გადა-
რევა, არაფერი გვიჭირს საგანგაშო.

— მოკლედ, ჩვენ თუ ერთმანეთს არ
ვეყოლებთ, გლახათ წავა, თურმე ჩვენი
საქმე.

— ეს ასეა, არ იცი? ღმერთმა კარ-
გად მიმყოფოს და შვილ-რძალს ყველას
თავისი საქმე, თავისი ცხოვრება აქვს.

— ასე ყოფილა კი.

ისევ სიჩუმე.

— კატუშა.

— ბატონო.

— გულზე ხელი დაიდე და მითხარი,
კმაყოფილი ხარ?

— რითი?

— საერთოდ... ისე... როგორი ქმარი
ვიყავი?

— ცოტა გადარეული ბრძანდებოდი,
თორემ ისე არა გიშავდა.

— რა გადარეული?

— უკეთესი შეგეძლო ყოფილიყავი
და იმაზე მწყიდება გული.

— არ შემეძლო, ალბათ, რაც ვიყა-
ვი, ეს ვიყავი.



— რა არ შეგეძლო, პარმენ? გათახსირებულ ქუეყნას რომ არ გამოჰყიდებოდი, არ შეგეძლო?

— დააყენე ის ქალი მიწაში.

— მკვდრის გინება აუგია, მარა ჩემმა ცოდვამ უწია. სამი ბავშვის მამას რომ უქუეყნებდა თვალებს, რას ფიქრობდა?

— მარტოხელა ქალი იყო, შევეუყვარდა რა მოხდა მერე. სიყვარული ბრმაა.

— ბრმა შენ იყავი, შე გლახა, თორემ ქუეყნამ ქე იცოდა, რას აკეთებდა, ხვადი კატასავით გაგიტყუა სახლიდან და გათამაშა ოთხი თვე მის ქკუაზე.

— მერე, ხომ დაებრუნდი ისევ?

— სად ჯანდაბაში წაბვიდოდი, აბა, სამი შეილის მამა. ვინ გირჩენდა ბლარტებს. მე მომჭერი საქვეყნოდ თავი და მერე დაბრუნდი კი.

— არაფერი თავი არ მომიჭრია. ასეთი ამბავი ყოველ მეორე კაცს გადახდომია, მარა არავის მოუკლავს თავი კიდევ?

— რა კიდევ?

— სხვა რა ნაკლს მატყობ?

კატუშამ მკლავზე ბუზს აუქნია ხელი, თავსაფარი ფრთხილად მოიხსნა; კოხტად გაკეცა და ისევ წაიკრა შუბლზე.

— ჩავედი ახლა, კარვად ხარ უკვე.

— მოიცა ცოტა ხანს, კიდევ მითხარი რამე და წადი, რა გიყო ახლა.

— „კიდევ“, ხომ გითხარი, სხვა მხრივ

არა გიშავდა, მაგრამ ძალიან ცუდი სიმთვრალე იცოდი.

— მაინც?

— რა მაინც, არ იცი, რა გადარევა იცოდი სიმთვრალეში? ჭკუას რომ კარგავდი და ღობე-ყორეს ედებოდი? რა ნერვები მიძლებდა მაინც შენს შემყურეს. არა, არა, მგელივით ქალი ვიყავი, მარა შენ გატეხე ჩემი ჯანმრთელობა, შენ მომიღე ბოლო.

— მაგ ღვინიდან მაინც დამასვენა გამჩენმა.

— ჰო, აბა, ზოგი ჭირი მარგებელია, რომ არ ეთქვათ, წნევა გაქვსო, სმას თავს არ გაანებებდი. ჩაველ ახლა, გამაცდინე ამ უსაქმო ლაილაით.

— კარგი, წადი და მალე მორჩი, თუ ქალი ხარ. თვითონ ჩამოვა და დაალაგებს, შენი დალაგებული მაინც არ მოწონს, ხომ ხედავ.

ქალბატონი კატუშა მოაჯირზე დაყრდნობით, ნელა, სვენებ-სვენებით ჩავიდა კიბეზე.

...რას ეტყოდა ჭმარს, როგორ მოიჭეოდა კატუშა ნეტავ, რომ სცოდნოდა — ეს მათი უკანასკნელი დიალოგი იყო. დაალაგებდა სამზადს, გამართავდა სათაგურს, ამოვიდოდა აივანზე და პარმენი აღარ დახვდებოდა ცოცხალი.

კიდევ კარგი რომ აღამიანებიც ჩიტებივით ჩუმად, უხმაუროდ ქრებიან, თორემ ქვეყანას სიკვდილის საშინელი ხარი წალეკავდა.



გრიგოლ ბრეხაძე

ლენინური პროვლული პოლიტიკის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა

თანამედროვე ეპოქის, რომლის მიჯვარი და მახასიათებელი ნიშნულიცემაა კაპიტალიზმიდან სოციალიზმსა და კომუნისმზე გადასვლა, ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემათა შორის დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეროვნულ ურთიერთობას. რევოლუციური სოციალიზმის ისტორიულმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ამ მეტად რთულ პრობლემის ერთადერთი სამართლიანი და სრული გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანამშვიდობით განხორციელებას გზით. ამიტომ ამ პოლიტიკის შენახვაზე და საერთაშორისო, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მარქსისტულ-ლენინური გაშუქება განსაკუთრებით აქტუალური საკითხია საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

საკმაკტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა მოხსენებაში — „სსრ კავშირის სამოცო წელი“ შეაქაშა საბჭოთა ეპოქის მიღწევები და აღნიშნა: „ისტორიას არ ახსოვს ესოდენ სწრაფი აღმავრტენა ჩამორჩენილობის, უხეიდურებისა და გამარტახების მდგომარეობიდან თანამედროვე მძღავრ, დიად საბელშვიფოშიდ, რომელსაც აქვს კულტურის უმაღლესი დონე და რომლის ხალხის კეთილდღეობა ნიადაგ უმჭობსდება“ (გვ. 8).

ამ მსოფლიო-ისტორიულ გამარტახებაში ერთ-ერთი უველაზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეროვნული საკითხის ლენინურმა გადაწყვეტამ. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე მსოფლიოში პირველი ახალი ტაიის მარქსისტული, ბოლშევიკების პარტიის შექმნა და მისი ეროვნული პროგრამის შემუშავება ვ. ი. ლენინის უდიდესი დამახატრება არა მარტო ჩვენი უღარესად მრავალეროვანი ქვეყნის, არამედ მთელა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის წინაშე.

ვ. ი. ლენინმა ყოველმხრივ განავითარა, ახალი დებულებებით გააღვივრა მარქსიზმი, მცინიერულად დაასახუტა კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის განხორციელებას, ერთა და ეროვნებათა სოციალისტური გარდამქმნის,

მათი აყვავებისა და ურთიერთდაახლოების გზები.

დიდი ლენინის პარტია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარტახებისთანავე შეუდგა თავისი ეროვნული პროგრამის, ტრეშნარტად ინტერნაციონალური პოლიტიკის განხორციელებას. საბჭოთა ხელსუფლების პირველი საკანონმდებლო აქტებით, პარტიის VIII, X და XII ურილობების ისტორიული გადაწყვეტილებებით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნახეი წინაი ჩაგრული ერებისა და ეროვნებების სრული თავისუფლების, მათი იურიდიული და ფაქტობრივი თანასწორობის უზარუნველყოფის მიწინაი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნამ დასაბამი მისცა თვისებრივად ახალ ეტაპს ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა ურთიერთობაში. იუ მანამდე საბჭოთა რესპუბლიკები ერთი მიწინაი, მაგრამ მინც ცალ-ცალკე მოქმედებდნენ და თავიანთი არტობისათვის ზრუნავდნენ, სსრ კავშირის ჩამოყალიბების შემდეგ მათი განცალკევებულობის პერიოდი დამთავრდა და ერთიანმა საბჭოთა საბელშვიფოში გააღვივდა ბრძოლა იმისათვის, რომ განვითარებულყო უდიდეს საერთაშორისო ძალად, რომელსაც შეეძლებოდა შეგავლენა მოეტბინა როგორც ჩვენი ქვეყნის საშინაო, ისე საერთაშორისო მდგომარეობაზე. შეიცვალა იგი მთელი მსოფლიოში მშრომელთა ინტერტებსასახარებლოდ. ახეც მოხდა, კაცობრიობის ისტორიამ არ იციის მეორე ისეთი სახელმწიფო, რომელსაც იმდენი გავლენებისა ერთა და ეროვნებათა თავისუფლებისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის, რამდენიც გააყეთა სსრ კავშირმა.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის წარმატებით განხორციელების შედეგად, ქრ კიდევ პირველ საბჭოთა ბუიწლიდებში ისე დაწინაურდნენ წინაი ჩამორჩენილი ხალხები, რომ ძარბთადად მივადწიეთ ერთა ფაქტობრივ თანასწორობას. ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური გამარტახებამ, რაც კანონმდებლობით წესით განამტკიცა სსრ კავშირის 1986 წლის კონსტიტუციამ, ძირითად შეცვალა საბჭოთა საზოგადო-



ების სოციალური სტრუქტურა, ეროვნული ურთიერთობა და მთელი საბჭოთა ხალხის შინაგანი ზრუნვა. ექსპლიატატორული კლასების, მათი ინტერესების გამოხატველი ბურჟუაზიული-ნაციონალისტური პარტიების, ტროცკისტული, ბუხარინული, ნაყოინა-დელბონისტური და ყოველგვარი ანტილენინური ქვეყნების ლეკვადაცობა და სოციალიზმის აზნების საფუძველზე ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და ინტელიგენციის უველი ერთისა და ერთგვანად რევოლუციური, სოციალისტური გარდაქმნის შედეგად, ჩამოვადებთ და თვისებრივად ახალ საფუძველზე განვითარებ სსრ კავშირის ხალხთა ლენინური მემკვიდრეობა, საბჭოთა საზოგადოების ერთ-ერთი მძლავრი მამოძრავებელი ძალა. ამიტომ 1938 წელს სკკ (ბ) XVIII უჩილობაზე ზუსტად აღინიშნა, რომ სოციალიზმის გამარჯვების საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში გააშალა ისეთი მამოძრავებელი ძალები, როგორც არის საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიკაში, რომლებიც უკველმზრად განამტკიცებენ, უძღვევდნენ ზღაპრულ მრავალრიცხოვან სოციალისტურ საბელშჩიკოს, ლენინური ეროვნული პოლიტიკის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას, ხალხთა მეგობრობის ურდვევი ძალა და ძლიერება მთელი სიყბადით დადასტურა სსრ კავშირის დიდმა სამაშელო ომმა, რომელიც სოციალისტური საზოგადოების სიმტკიცისა და მისი უბრობები მტრების წინააღმდეგ საბჭოთა აღმართა ბრძოლისუნარიანობის უველაზე შეცრა შემოქმედა იყო.

დად სამაშელო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებამ ცხადყო, რომ გერმანელი ფაშისტებისა და იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ სამკვედრო-სახიცოცხლო ომში გამარჯობილი, სისხლით გამტკიცებული, ლენინური ეროვნული პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას შედეგად მიღწეული ხალხთა მეგობრობა უდევდა ძალა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 17 თებერვლის მიმართავი უველი ამომჩიგებისაგან სსრ კავშირის უმადლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით ზუსტად აღნიშნა, რომ დიდი სამაშელო ომის პერაოდში ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა უკველმზრად განმტკიცდა და გამაწირობა. პარტიის მომავალში კიდევ უფრო განავითარებს ხალხთა მეგობრობას, ვინაიდან, სინამდვილე არსებობს ჩვენი ქვეყნის ხალხები ივნებთან თავიუფალი და უძღვევლი, არავითარი მტერი არა ჩვენთვის საშიშო, სინამდვილე მეგობრობა ცოცხლობს და მტკიცდება.

ომისშემდეგმ პერიოდში არანაკლებ სიმნიშვნელობის წინაშე აღმჩინდა სსრ კავშირი, ცნობილია, რომ ფრონტზე და ფაშისტურ მონობაში დაიღუპა 20 მილიონზე მეტი ადამიანი, დამპყრობლებმა დაანგრიეს და გაძარცვეს 1710

ქალაქი, 70 ათასზე მეტი სოფელი, 57 ათასამდე სამარჯველო საწარმო და რკინიგზის სადგურები, 103 ათასი კოლშეურნიკი, 100 ათასი მწიფე მხარეთა ხალხის მატერიალური დასაცობის 2600 მილიარდაშდე მანეთს შეადგენდა (ომამდელი ფასებით). მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ განუცდია ასეთი ზარალი.

ასეთ უდიდეს სიმწიფეებში ჩავარდნილი უკველი კაპიტალისტური საბელშჩიკო უცილობლად უფრო ძლიერ საბელშჩიკოზე დამოკიდებული გახდებოდა. მაგრამ სსრ კავშირის ეს არ მოხვლია, სოციალიზმის უპირატესობამ, საბჭოთა აღმართების გამრდამ, შრომამ, ხალხთა ურდვევმა ლენინური მემკვიდრეობა და მშრმა ურთიერთდაშარლამ უჩრუნველო სახალხო მეთურების სწრაფი აღდგენა და შემდგომი განვითარება, მოწიფებული სოციალისტური საზოგადოების აზნება, სსრ კავშირის მთელ მსოფლიოში უველაზე მძლავრ და უძღვევლ საბელშჩიკოზე გადაქცევა.

ამაშად სსრ კავშირი აერთიანებს 13 მოკავშირე რესპუბლიკას და მათი მეშვეობით 20 ავტონომიურ რესპუბლიკას, 5 ავტონომიურ ოლქს, 10 ავტონომიურ ოკრუგს და ქვეშარითად ლენინურად უჩრუნველოებს უველი სოციალისტური ერთისა და ერთგვანად სრულ თანაწირობისუნარიანობას, მათა ეკონომიკისა და კულტურის განუხრდა აუჯავების, მთელ საბჭოთა საბელშჩიკოს ინტერნაციონალური და ეროვნული ინტერესების მარშონიული ერთიანობის უჩრუნველოების გზით.

საბჭოთა ხალხთა აღმართა უბრალე კავშირი როდია, ეს არის ურდვევა ერთობა ექსპლიატაციისაგან განთავისუფლებული მუშათა კლასის, კოლშეურნე გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის, ახალი, სოციალისტური ერებისა და ეროვნებებისა. რომლებიც თავიანთი მონოლთური ერთიანობით პრინციპულად, ძირფსვიანად განსხვავდებიან ძველი, კაპიტალისტური ერებისაგან.

ამიტომ გადაუკარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხალხი სოციალისტური ერებისა და ეროვნებების ისეთი ინტერაციონალური, ქვეშარითად ლენინური მეგობრობისა და მშობის განსაზიერებაა, რომლის მსგავსი ისტორიის არ იყის.

ხალხთა ლენინური მეგობრობა დიდი ხანია გასცდა სსრ კავშირის ფარგლებს, მოიცავს სოციალისტურ და სოციალისტურ-აროიერაციის ქვეყნებს, მშეადობისმოყვარე რევოლუციურ ხალხებს და უდადებს საერთაშორისო ძალა მესამე მსოფლიო ომის თავიდან აცილებისა და კომუნისმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის უდიდესი

წარმატებით განხორციელების შედეგად. სსრ კავშირა გახდა სანიმუშო მაგალითი უკვე ქვეყნის ხალხებისათვის მათ ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო ამპერალიზმის კოლონური პოლიტიკა. ასევე შეტემა კოლონიურმა და დამოკიდებულმა ქვეყანამ მოიპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ახრძების ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, აკუმობობის უსაფრთხი მიღწევა მსოფლიო სოციალისტური ხელისუფლების განმუხლებლა და განვითარება, სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა შენდება თვისებრივად ახალ საფეხველზე — ნაშველი თანასწორობის, ძმური ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის პირობებში.

ლენინური ეროვნული პოლიტიკისა და ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის საკითხით სარგებლობენ არა მარტო სსრ კავშირის, არამედ სოციალისტური თანამეგობრობისა და სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნები, მთელ მსოფლიოს მწიფდობისმოყვარე ხალხები. ამ მეგობრობის კეთილმოყვარული იდეების ფართოდ გავრცელებას საუკეთესო გამოხატულება ასეთი ინტერნაციონალური გაერთიანებების წარმოშობა და განვითარება, როგორც არის: ნათობხაღენი „მეგობრობა“, გახსაღენი „კავშირი“, სავთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ხანა და ორგანიზაცია „ინტერლიონი“, ერთიანი ენერგოსისტემა „მწიფდობა“, „ინტერკოსმოსი“ და სხვები, რომლებიც დადავ აღქარბენ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიკური და კულტურული განვითარების ტემპს. 1950-1952 წლებში სარქველო წარმოება გააზარდა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მ.შ.ჭერ, ხოლო ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში — 12.2-ჯერ, თუ როგორ აზრდება სოციალიზმი მსოფლიო მასშტაბით, ეს ნათლად ჩანს შემდეგი მონაცემებით: 1922 წელს სოციალიზმის წილი მსოფლიო სარქველო პროდუქციის წარმოებაში იყო 1%, 1927 წელს — 10%, 1955 წელს — 20%, 1952 — 40%.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე სსრ კავშირის ძმური დახმარებით სოციალისტურ ქვეყნებში აშენდა 2500-ზე მეტი საწარმო და აშენდაც შენდება ათასობით ახალი ობიექტი, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების ზრდისათვის.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის შედეგად, რომლებიც ეკონომიკური თანამეგობრობის წესით განამტკიცა 1977 წელს მიღებულმა სსრ კავშირის კონსტიტუციამ, უდადეს ზემოქმედებას ახდენს საერთა-

შორისო ვითარებაზე. იმპერიალიზმის წინააღმდეგ მწიფდობისმოყვარე ხალხთა ბრძოლაზე, მთელი რევოლუციური პროცესის ძალზე განვითარებაზე.

სსრ კავშირში ეროვნული საკითხის ღრინური ვადამწვეტის ისტორიული გამოცდილება ხალხში დიდ ინტერესს იჩენენ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნები, რომლებიც აღიერებენ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ სატული ეროვნული განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამ ქვეყნების წინაშე ეროვნული საკითხი დგას ასე: ან ძველი, კაპიტალიზმის გზით, მისთვის დამახასიათებელი ეროვნული ჩაჯვრითა და მშრომელთა უღმობელი ექსპლოატაციით, ან ახალი, სოციალისტური განვითარებას, ხალხთა სოციალური და ეროვნული ჩაჯვრისგან განთავისუფლების იმ მაგისტრალით, რომელიც დაიწყო დიდმა ოქტომბერმა და სანიმუშოდ განახორციელა რეალურმა სოციალიზმმა, სადაც უზრუნველყოფილია ხალხთა ძმური მეგობრობა, ლიკვიდირებულია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და ხალხთა ეროვნული ჩაჯვრა.

შინც რას აქლევს მსოფლიოს ხალხებს ღრინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისათვის ბრძოლაში შეძენილი საბჭოთა ვაიმედილება?

როგორც, ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა მოხსენებაში — სსრ კავშირის საშოცო წლისთავზე, მთლიანად დადასტურდა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სისწრე, რომ ეროვნული საკითხის ვადამწვეტა შესაძლებელია მხოლოდ კლასობრივ საფუძველზე, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. სწორედ ღრინური პარტიის მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკის განხორციელების შედეგად გაქრა ჩამორჩენილი ეროვნული განაიარა მხარეები, სადაც ხშირად კარბობდა ფეოდალურ-პატრიარქალური და ვვარცნული ურთიერთობაც კი. უკვე საბჭოთა რესპუბლიკის დინამიკური საერთო-სახელმწიფო გეგმით წარმართული ეკონომიკური ზრდის პაზზე შეიქმნა ერთიანი სსახელბო-სამეურნეო კომპლექსი. სოციალიზმის ეპოქაში თვისებრივად შეიცვალა საბჭოთა რესპუბლიკების სოციალური სტრუქტურა; თითოეულ მთავარი გააზარდა მოწინავე მუშათა კლასი, ახლებური, საკლმურნეო გზით მიდის კომუნიზმისკენ გლუხობა, ასრეობს საკუთარი ინტელიგენცია, აღზრდილია კვალიფიკური კადრები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების უკვე დაღრმში. პროგრესული ტრადიციების განვითარებას, ხელური სიმდიერეთი ინტენსიური ურთიერთგაზიარების საფუძველზე აუვადა სოციალისტური მრავალეროვნული კულტურა. სსრ კავშირში ჩამოუალიბდნენ და



განვითარდნენ სოციალისტური ერები და ეროვნებანი, რომლებიც შეადგენენ ახალ ისტორიულ, სოციალურ და ინტერნაციონალურ ფრთველ ერთობას — საბჭოთა ხალხს, რომელიც ამჟამად თავის საბრძოლო ამოცანად თვლის განვითარებული სოციალიზმის უწყველმზარე სრულყოფას და კომუნისმის მატერიული-ტექნიკური ბაზის შექმნას, ახალი აღმავლის აღზრდას.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის უდიდებო მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა კიდევ უფრო ნათელი გადგება თუ მას დავუბრუნდებით ამპერიალიზმის ანტიბალბურ მოქმედებას, რასაც თან სდევს გამაღებელი შეიარაღება და მონოპოლისტთა თავზებუდაღებული აგრესიები.

კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიების პოლიტიკური პროგრამების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია თავიანთი სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებული ეროვნული მოთხოვნები, ეველა ქვეყნის კომუნისტების მოქმედების საბელმედანებლა ლენინური იდეებია, ეროვნული საკითხის გადაწყვეტისათვის ბრძოლას დაკავშირება კლასობრივ პრობლემასთან, ბრძოლა მონოპოლისტების წინააღმდეგ კაპიტალის უღელისკვან მშრომელთა განთავისუფლებისათვის, ჭირვეული დემოკრატიული გარდაქმნებისა და სოციალური პროგრესისათვის.

თავისებურებების გათვალისწინებით ეროვნული საკითხის გადაწყვეტის გზების შიგვას ეველა ქვეყნისათვის საუცემოეს ორიენტარი და ზამედელ დასაყრდენია სსრ კავშირის, რეალური სოციალიზმის საბელმწიფოთა ახტორიული გამოცდაღება, რომელაც მოიცავს რევოლუციების, სოციალიზმის საფუძვლებს, განვითარებული სოციალისტური ბაზუგადღების აწენებისა და კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, კომუნისტური სარეგადღებრივი ურთიერთობისა და ახალი აღმავლის ჩამოყალიბებისათვის ბრძოლის მთელ ახტორის, ამასთან ჩენეა პარტია არავის არ ახვევს თავზე საბჭოთა გამოცდილებას, იძლევა მზლლად მოქმედების საბელმედანებლა ნიშნუებს, რომლებიც თითოეულ ქვეყნას და მის მარქსისტულ-ლენინურ პარტიას შეუძლია გამოიყენოს კონკრეტულ-ისტორიული პარობების, აფილისა და დროის მიხედვით, უწყველ ერსა და ქვეყნას შეუზღუდავი უფლება აქვს მიიღოს და გამოაყენოს ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების მდიდარა და უწყველმზარე შემოქმებული გამოცდილებადან ის, რასაც თავისთვის საჭიროდ და სასარგებლოდ მიიჩნევენ.

ამასთან, განსაკუთრებით დამნიშნელოვანია ის, რომ საბჭოთა აღმავლებს არ გუჯვევია მიღწეული დაკმაყოფილება და მიკვანჩია, რომ ეროვნული ურთიერთობა, როგორც უ-

ველი განვითარებადი მოვლენა, უწყველთვის ახალ პრობლემებს, საბრძოლო ექსპერსიმენტს აუენებს და მუდამ მზად უნდა ვეძებოდეთ მათი დასაწყვეტად მთელი სსრ კავშირის, თითოეული მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქისა და ოკრუგების ინტერესების შესახამისად.

„სკკ XXVI ურალიბაზე ბაზუგამით აღინიშნა: „საბჭოთა ერების ერთიანობა არასოდეს არ უყოფილა ისე მტკიცე, როგორც დღეს არის. ის, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, თითქმის ეროვნული ურთიერთობის ხფეროს ეველა საკითხი უყვე გადაწყვეტილია იყოს. ჩვენნარი დიდი მრავალეროვანი საბელმწიფოს განვითარების დანახვაზე ბევრ ისეთ პრობლემას შობს, რომლებიც პარტიის ფულიხმნიერ უფრადღებან მოითხოვს... პარტიის წმიდათაქმნიდა ეველა აღზარდოს მშრომელები საბჭოთა პარტიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, აზ ამავე გრძნობის ზღლისკვეთებით, რომ ერთიანი დიდი საბჭოთა საშობლოს შეიღებოთ არიან“ (სკკ XXVI ურალიბის, მკ. საღები, გვ. 87-88).

უფრო მაღალ მხედველურზე აუყვანია. ლექსის—
„ავტორფილის ამოღება“ — წარუმატებლობა
განაპირობა არასწორმა პოეზიამ, რომელიც
თავისთავად სწორია“ (148) მაგრამ გ. ნოდია
ამით არ კმაყოფილდება და ავტობეჭებს: „კრი-
ტიკოსი აშკარად ეწინააღმდეგება თავის თვის,
რ. ი. მსჯელობაში რაღაც შეცდომა ვაჩიპრა.
ჩემი აზრით, ეს შეცდომა იმ თვისშია, თით-
ქოს ვერლიბრა გულისხმობდეს პოეზიის და-
ხლოებას პროზასთან, (III) რომ თავისუფალი
ლექსი თავისი არსით ნაქლებ „პოეტურია“, ვი-
დრე რითიანი (III). ეს გარეგნული, წედამირულ
შთაბეჭდილებაა და ვასაყურია, როგორც
ენდო მის კაცო, რომელიც ასე კარგად უფიქლა
გარკვეული ლექსის თეორიაში“ (148). გ. ნო-
დიას ამ მსჯელობას ალოგიკობას ვერ დას-
წამებთ და ის კვლევითად იქნებოდა, მყარ
შეფასებულზე რომ იყო აგებული. მაგრამ სა-
ჭუნე ის ვახლავთ, რომ ოპონენტი, ნებისთუ
უნებლიად, ჩვენ რამდენიმე არამართებულ აზრს

მოგვეჩინებს (ყოველ შემთხვევაში ისეთს, როგ-
ორც ჩვენ არ გავითქვამს).

ჩემი ერთი, ვერლიბრა რომ შემიჩვენა, ვაძუ-
რადლობის და „გაპროზაულობის“ ტენდენცია—
ეს საჭიროებდაო და აღიარებულ კვლევითებად
და ამაზე აღარ დავიგებ. ასე, რომ, ყოველად
არამართებულა ოპონენტის მტყუება, თით-
ქოს ვერლიბრა არ გულისხმობს პოეზიის და-
ხლოებას პროზასთან, ამაზე ძალზე ბევრი და-
წერა ჩვენში და დასაქველთშიც, ამიტომ აქ
აღარ შევჩერდებით.

მეორეც, ჩვენ როდი ვართ ლექსის „ვაგებრა-
ლოების“ ტენდენციის წინააღმდეგი. პირაქით,
უპირატესობას ვანიჭებთ უბრალოებას, რი-
გორც მხატვრულ დირებულებას და ამას არა-
ერთგონის ხაზს ვუსვამთ. მაგრამ ჩვენ მოხრე
ვართ ზომიერებას და ვერამყოთ „მაქსიმა-
ლიზმს“. ერთი სიტყვით, ვაღიარებთ იმ უბრა-
ლო და საყოველთაო კვლევითებას, რომ პო-
ეზია პოეზიად უნდა დარჩეს. აი, რას ვჭერთ
ჩვენ, „პოეზია პოეზიად უნდა დარჩეს და უნი-
კო პროზამდე არ უნდა დაეშვას. პოეზიანა და
პროზას შორის არსებული საზღვრის მოშლა
არავითარი საჭიროებით არ არის განპირობებუ-
ლი და, ჩვენი ფიქრით, ამას არც რამე პერს-
პექტივა აქვს“. (148).

შესაშევ, გ. ნოდია ვაგებრალბებს, თითქოს ჩვენ
ვამტყუებოდა, რომ „თავისუფალი ლექსი თავისი
არსით ნაქლები პოეტურია, ვიდრე რითიანი“.
გვაბრალებს და შერე თავად უყვირს, ასეთ გა-
რეგნულ, წედამირულ შთაბეჭდილებას როგორ
ენდო კაცო, რომელიც ლექსის თეორიაში ასე
კარგად არის გარკვეული, მაგრამ, ვინც ჩვენს
წერალებს გულდასმით წაიკითხავს, აღმოაჩენს,
რომ ასეთი რამ ჩვენ არსად გავითქვამს და ვერც
ვიტყუდით. ვინც ლექსმოცდენობაში მეტ-ნაკ-
ლებად ერკვევა, მისთვის აშკარაა, რომ „პოე-
ტური“ საქაულებიდან განმარტვა არ ნიშნავს
პოეტურობაზე ხელის აღებას. მაგრამ ჩვენ მხო-
ლოდ იმას აღვნიშნავდით, რომ რთული ორგა-
ნიზებული პოეტურია სტრუქტურით, რომელ-
შიც სხვადასხვა დონეზე მოქმედებს მარკირ-
ებული ელემენტები: რიტმი, რითმა, ტრაპის
სახეები და სხვ. წემოქმედების მოხდენა, ეს-
თეტაქური ველის შექმნა უფრო ოლიოა, ვიდრე
ამ ელემენტებისაგან და ცდილი, განმარტ-
ებული სტრუქტურით. ეს ერთი და მეორეც
ჩვენი ღრმა რწმენით, ლექსის სტრუქტურაში
ყველა მარკირებული ელემენტი ექსტრაქტე-
ტულ მიმართებაში სრული დატვირთვით ფუნ-
ქციონირებს და ქმნის სიგნალთა მთელ სის-
ტემას, რომელიც ემოციას აღძრავს რეკიო-
ენტში. ბოლო თავსუფალი ლექსის ავტორი ცდი-
ლობს მინიმუმამდე დაიყვანოს ეს მარკირებუ-
ლი ელემენტები. ამიტომაც გვერინია, რომ ამ
ურაცულები ელემენტების ნაცვლად, სხვა სი-
დიდებით უნდა შემოგვთავაზოს თავისუფალი
ლექსის ავტორმა, ჩვენ ვჭერთ: „... პოეზია რომ



პოეზიად დარჩეს და კუმარბირი ბელოვანებას სახედრებს მიღმა არ აღმოჩნდეს, ამისათვის საჭიროა პოეტმა ამ იგნორირებული ელემენტების ნაცვლად, რომლებიც, როგორც ვთქვით, თავისი მარკირებული ხანაითი დიდ სემანტიკურ და ემოციურ ფუნქციას ასრულებენ. რადაც გარკვეული ხერხებით, თუ გნებავთ, მინუს ხერხები და სხვა პოეტურიად პოეტური ღირებულების მქონე სიდიდეები შემოგვთავაზოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბელოვანებასთან კი არ გვექნება საქმი, არამედ მის იმიტაციას. თან (131). აი, ამ ელემენტარულ კუმარბირების ვაშლობის ჩვენ და არა იმას, თითქმის ვერ, ლიბრი ნაკლებ პოეტური იყოს, ვიდრე ტრადიციული ლექსი, რაც თავისთავად ანომალია.

შეოთხე, მე ბესიკ ხარანაულს არხად არ ვსაყვედურებ, რატომ განუდგე ტრადიციულ პოეზიას-მეოტი. თუმცა ვიწუნებ მის „მაქსიმალიზმს“, როცა ის თავის ლექსს უსაფრთხად „აპროზულეს“. მაგრამ ეს ირი სხვადასხვა ცნებაა: ტრადიციული ლექსიდან გადახვევა, ანუ ვერლიბრით წერა სავსებით არ ნიშნავს იმას, რომ ლექსი მაქსიმალურად (ვიმორბიტ მაქსიმალურად) დოკუმენტურად პროზას. ამასთან დეკლარირებით უფრედგვარა ორპროვინების გარეშე ვწერ; „რა თქმა უნდა, ჩვენ პოეტს იმას კი არ ვსაყვედურებთ, რატომ ტრადიციული ლექსითავე სპეციალური ელემენტები (შედარება, ეპითეტი, მეტაფორა და სხვ.) არ გამოიყენაო, ეს დაახლოებით ის იქნებოდა, რომ მხატვარს, რომელმაც ცხენი დახატა, უსაყვედურო ვირს რატომ არ ჰგავსო... არა, ჩვენ იმას აღვნიშნავთ, რომ ეს ლექსი კუმარბირი პოეზიის სიმაღლეზე ვერ აღას. პოემაში თუ სხვა ლექსებში ბესიკ ხარანაული საოცარი პოეტური ხილვებით და აზრობრივი სიღრმით აღწევს მხატვრულობის ზღვარს და სასურველ მაწანს და მდიდარ ემოციურ ინფორმაციას აწვდის მკითხველს, ამჭერად ანუ არ ხდება, ამ ნაწარმოებში არც რიტმული კონსტრუქცია იპყრობს მკითხველს უცნაურობას, არც პოეტური ხილვები და, რაც მთავარია, არც აზროვნებისა და განსჯის სიღრმე“ (134) აი, ამ და კიდევ სხვა მიზეზების გამო, რომლებსაც წერაშია განიხილავ, ვფიქრობ, ეს ნაწარმოებები ბესიკ ხარანაულის ნიჭის საკადრისი არ არის. ვინც ჩვენს წერაზე გულდასმით წაკითხავს, ასეთ აზრს გამოიტანს: ვერლიბრისაც არსებობის ისეთივე უფლება აქვს როგორც — ტრადიციულ ლექსს, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რას წერ, მთავარია, როგორ წერ. ამიტომაც ჩვენ გვხიზლავს ბესიკ ხარანაულის ვერლიბრი საერთოდ, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში უკიდურესობისა და „მაქსიმალიზმის“ გამო, უფრო სხვაანაირად რომ ვთქვათ, იმის გამო, რომ საანალიზო ლექსი თითქმის პროზამდე ეშვება, არ მოგვწონს. სად არის აქ წინააღმდეგობა, რომელსაც შევანებუ-

ლად მოგვანერს გ. ნოდია? ვფიქრობთ — არსად!

ახლა ვნახოთ, რას გვთავაზობს გ. ნოდია თავისი წერილის პოეტურ ნაწილში, რომელიც სულ რაღაცნაირად შედგება, მაგრამ ამდენად სადღაც დებულებებს შეიცავს. ის წერს: „პოეზიას პოეზიად აქცევს პოეტური ხილვა, პოეტური აზროვნება. პოეტური აზროვნება — რაღაც მოუხედავებელი, რომელიც შეიძლება ჩიხვის რითშიაში. შეიძლება — არა... ერთი რაგის პოეტურია — ხედა რითთან ლექსს მოითხოვს, მეორისა — არა. ვერ დავინიშნებ იმას ცოდნის, კერძოდ, პოეტური აზროვნების რა ტიპი რა ლექსს მოითხოვს, მაგრამ, რომც ვიცოდეთ, აქ ამას გარკვევის დრო და ადგილი და, რაც მთავარია, საჭიროება არ არის“. (134).

ქერ ერთი, პოეზიას პოეზიად რომ აქცევს პოეტური ხილვა, პოეტური აზროვნება, პოეტური ინტონაცია, ეს ჩვენ ვთქვით, როცა ბ. ხარანაულის ლექსის „უღირსობაზე“ ვსაუბრობდით (იხ. 134). მეორედ, ეს ცნებები არ განეუფლებია რაღაც „მოუხედავებელი“ კატეგორიას, არამედ ლექსის სტრუქტურაში მატერიალურად არსებული და ხელშეხებაზეა წარმოდგენილი. მაგრამ მთავარი ეს არ არის, გ. ნოდიას აზრით, არსებობს პოეტური აზროვნების ორი ტიპი. თუმცა რაგი პოეტური ხედავა რითთან ლექსს მოითხოვს, რაგი — არა. ასეთი რამ კი, მართალი გითხროთ, ვერ არ მხეწონია. ლიტერატურათმცოდნეობაში არავის მოუცია ასეთი დეფინიცია, რადგანაც არც პოეტური აზროვნება იყოფა ორ ტიპად და არც პოეტური ხედავა, რომლებიც შესაბამისად მოთხოვნიდან რითთან თუ ურთიბობას, ონტოლოგიურად არსებული მოვლენები ასე ვერ დაიყოფა, სხვა საქმეა, თუ ვიტყვით, რომ ამან პოეტები, რომელთაც თავისი სუბიექტური ხედვის გამო უფრო ხელეწიფებთ რითთანა ლექსების წერა, ვიდრე ურთიბობის, ანდა — პირუფ.

გ. ნოდიას უნდა მოეხებებოდეს, რომ რითმა ლექსის სტრუქტურის და ფორმის ერთ-ერთი ელემენტია და ის ვერ გამოდგება ამ ცნებად, რომელიც პოეტურ აზროვნებას „ტიპებად“ და „ხედავად“ გამოიწვევს.

გ. ნოდია ამ შეიწინარა, ხედა აზრით, ან უფრო კუმარბირებდა, რომ ტრადიციულ ლექსში სიუჟეტად და უნიკობა მაშინვე იჩენს თავს, ხოლო თავისუფალ ლექსში უნიკობის შენაღვის მეტი საშუალებაა: მას „საქმის კუმარბირ ვითარება ზუსტად საპირისპირო“ მკონია. ვგონებ, ამაზე დავა არ ღირს, რადგან, ამჭერად, ამას საუბრით მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ ეს მაინც უნდა ვთქვა: ქერ ერთი, ქართული მკითხველი ძალზე კარგად აცნობს ტრადიციულ ლექსს და შესახებობარცხული აქვს ისიც რომ, „ვერსიფიკაციული ტექნიკის (Sic!) ცოდნით“ მას ვერ გააცურებს: ან მაშინვე აღმოჩენს სიუჟეტს. მეორედ, „ვერსიფიკაციული



ტქნია" ლექსოწყობის, მეტრიკის ტქნია და მისი ცოდნა, რომელსაც თავისთავად ვუღლის-მობს როგორც ტრადიციულა ლექსი, ასევე ვერ-ლიზობრივ. ამავე დროს, როცა ჩვენ ტრადიცი-ულ ლექსის დაწერის ხანგრძლივ უდასარა-კობთ, ვგულისხმობთ მის მდიდარ ტრადიცი-ებს, ისეთი ბუმბერაზების, როგორც იყვნენ: შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ნი-კოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა ფშაველა, ილია ჭავ-ჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვალაკტიონ ტაბიძე-გორჯი ლეონიძე და სხვათა ხაუფლოში ძნე-ლია სიტყვის თქმა. დაბოლოს, ვერაბრის რომ უნიჭო პოეტები (ვიზორებ უნიჭო პოეტები) აფარებენ თავს, ეს სახეებით არ ნიშნავს „ვერ-ლიზობის პრეტენციის ამაღლებას“, როგორც ამას ფიქრისებ გ. ნოდია. ანე რომ იყოს, მაშინ ნიჭი-ერების სარბიელი უფრო იქნებოდა. ვაძრე უნი-ჭობა.

მაგრამ მთავარი სათქმელი ჩვენს ოპონენტს ქვემოთ აქვს და ჩვენს მკაცრეთ მის აზრო-მსვლელობას.

ოპონენტის საუბედროს, უპირველეს ყოვლი-სა, იმითმ ვიშასურებთ, რომ გ. დოჩანაშვი-ლის ზრმა მიშასძველობას ობიექტი შეტად გა-ურტყვევლა ჩანს. „ესა XI საუკუნის შთელი დანავლური მოდერნიზტილი ლიტერატურა“ (148) მაგრამ, ქვე ერლი, ჩვენ მიზნად არ დავ-ვისახავს ჩავიხიბოლით კონერტულად ამ წუა-რობებს, რომლითაც საზრდობდა შვერალი-თავისი მოთხრობას წერის დროს. ისე, კაცმა რომ თქვას, არც ეს არის ძნელი საქმე. მაგრამ ამერად, ეს პრობლემა ჩვენი მსჭელობის ფა-ქტულის სილღებია. მეორეს, სპეკულატი-კვლევის გარეშეც, აშკარაა, რომ გ. დოჩანაშ-ვილის სხენებული მოთხრობა ერთი შვერალი-შემოქმედების (მაგ. ბრეტის) გავლენით არ აფარტლება. თუ კარგად ჩავუკირდებით ან მოთხრობის სტრუქტურას, მასზე სხვადასხვა დონეზე მოჩანს სხვა შვერლების გავლენაც, რაზეც ჩვენ წერაღში მავანაშნეთ. მესამეც, ჩვენ ვფიქრობთ, გ. დოჩანაშვილის პოლიტიკო-ინდელ შემოქმედებაში. შეიშნევა „ახსურდის-ტების“ მსტერული ფერწერის კვალიც, რაც, აგრეთვე, ნაზგაბული გვაქვს სტატიაში ამ აზ-რის სისწორეში უფრო დავრწმუნდით, როცა მის პიუხას — „ხოროში ქართული ცეცია“ და მოთხრობას — „განსმდგომი შუაკაცი“ გვე-ცნით (ეს — ცალკე მსჭელობის თემა). დაბო-ლოს, ჩვენ XX საუკუნის დასავლეთის ზოგეა-რთი მიმართულება და მათი ესთეტიკური სის-ტემა ძალზე მოკლედ და ზოგადად იმითმ ში-მოვიხილეთ, რომ, როგორც შემოთაც აღწინა-შნეთ, მას ფონზე უფრო ნათლად აგვეხსნა შვე-რლის „წერის მანერის ზოგერთი“ თავისებუ-რება და არა კონკრეტულად გამოგვეყვეთა მისი „მიშასძვის ობიექტი“.

შემდგომ კრიტიკისი გვედაეება ტერმინების — „გაუცხოების“ და „ახსურდის“ გავებას:

და ხმარებაში. ის შორიდან იწყებს და აღწე-ნავს, რომ „გაუცხოებით“ ხაერთოდ არ ქრ-ლიად სხვადასხვა ცნებას გამოხატავთ, რომე-ლთაგან პირველი ზოგადად მოსოფლიოში, მე-ორე კი გარკვეულ მხატვრულ ხერხზე მიანა-წებს. იმ ენებში, საიდანაც ეს ცნებები ჩვენთან შემოვიდა, ისინი სხვადასხვა ტერმინებით გა-მოიხატებიან. კერძოდ, გერმანულ ენაში მათ შეესაბამება სიტყვები „Entfremdung“ და „Verfremdung“, რუსულში „отчуждение“ და „остранение“. შემდეგ მოჰყვება კრიტიკოსის ვრცელი მსჭელობა ამ ტერმინების შესახებ. სა-ბოლოოდ კი წერილის ავტორი ასეთ წინდადე-ბას გვთავაზობს: „გაუგებრობის თავიდან ასაცი-ლებლად, კარგი იქნებოდა ქართულში ამ ორ-ცნებისთვის სხვადასხვა ტერმინზე შემგვეთარ-დებინა, კერძოდ, ბრეტისეული „verfrem- dung“ და შკლოვსკისეული „остранение“ გვეთარგმნა „გაუცხოებად“ (ეს ხერხი ხომ საყნაურს ეხრძვის ხელღვენებაში), ან თუნდაც „გაურტყვევლობად“, „განსხვანარებად“ [შეიძ-ლება უტყუდის სიტყვაც მოიძებნოს], მაგრამ არა „გაუცხოებად“ (144).

თუ კაცს ობიექტურობის გრძნობა გაგაჩნია, არ შეიძლება გ. ნოდის ამ მსჭელობაში ვეშმა-რიტების მარცხალი არ დანაშო. საერთოდ, ქა-რთულ ფილოსოფიურ თუ სოციოლოგურ აზრო-ვნებაში ამ მხრად დღეი სამუშაოა სასატარბუ-ლი, მრავალი ტერმინი დაწესტებაა და დეფი-ნიციის მოიხროც. ძალზე ზშირია ერთი და იგი-ვე ტერმინის სხვადასხვა აზრით გამოყენება. შორს რომ არ წვადით, ამის სარწმუნოდ ტერ-მინების — ნულის და ვინის — მომბობა საყ-მარისია. მაგრამ, მოგვეხსენებათ, ეს რომ გაეთ-დეს, ერთი თაობის გარჯა ანაა საყმარისი. ასევე სასურველი იყო ზემოთ სხენებული ტერმინება ქართულში სხვადასხვა ლექსობრივ ელემენტე-ბით რომ დამკვიდრებულყო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. დღემდე არსებულ სამყნაერო ლიტე-რატურაში ყველგან ნახარია ტერმინი „გაუც-ხოება“ ორივე გერმანულა ტერმინის შინაარ-სით. მაშ, რას გვსაუბედრობს ოპონენტი — ქერ არარბედულ ტერმინებს რომ არ ეხმარობთ? არა, რა თქმა უნდა! ის ასეთი გულღერტყვილო არ გახლავთ. მაგრამ, თორმე ჩვენ დავაწევი ბაბილონის გოდოლის აშენება და ყველაფერი თავდაყირა დავაყენებთ. გ. ნოდია წერს: „ხო-ლო რა უწესტობამდე და გაუგებრობამდე შე-ინდლება უწესტყანოს ტერმინოლოგიაშია აღრ-ვაჰ, ამის ნაშუში თონდაც ე. ქაველიძის სტა-ტიაა. მას „ტქნიკური გაუცხოება“ და ბრეტის-ეული მხატვრული „გაუცხოება“ ერთი გაუც-ხოების ორი საზე ჰგონია. ამის გამო მას მოს-დის ლოგიაკური შეცდომა, რომელიც პარალი-გიზმის (ტერმინის გაორება) სახელიც არის ცნობილი... ქერ ერთი, ეთანხმება „კრიტიკაში გამოთქმულ აზრს“ (კერძოდ, ღ. ბრეტისის აზრს, რომელსაც ეს არ ახახელებს), რომ

გ. ლორთქიფანიძის მოთხოვნა ბრეჰტისებრი „გაუცხოების ესთეტიკის“ კანონებით არის დაწერილი. მეორე მხრივ, იგი ამოღებს იმ თავის-თავად სამართლიანი დებულებებიდან რომ მოდერნიზმის სახელად გაერთიანებული დახვედრი ხელკლებებს სხვადასხვა მიმდინარეობებს ერთობაწესს ერთი რამ: ყველა ისინი ამა თუ იმ ხერხით (მათ შორის, შესაძლებელია „გაუცხოების ესთეტიკის“ ბერხოთაყ) გამოხატავენ სამყაროში ადამიანის ტოტალური გაუცხოების სიტუაციას... ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ლაპარაკი, ბუნებრივი, ფილოსოფიურ „გაუცხოებაზე“, მაგრამ ე. წ. კაველიძე მიანც ასკენის; რასან გ. ლორთქიფანიძე „გაუცხოების ესთეტიკის“ ხერხებს აყენებს, მაშასადამე ის ცდილობს ადამიანის აბსურდულობა დაგვანახოს... (III) (145). ამან მოჰყვება გ. ნოდიას მხედლობა ჩვენი დასკვნითი ხაზილის შესახებ, მაგრამ ამაზე აქ აღარ შევხერხდები, რადგანაც ისედაც დიდი ციტატის მოხმობა მოგვხდება.

გ. ნოდიას გაუმართლებლად მიაჩნია, ბრეჰტის, მარკესის, ბუეტის და სხვათა ერთ კონტექსტში მოხსენიება, სადა მშრალი განწყობა — ბრეჰტი და სადა ადამიანის მისტიკურ ხედვითა შაბიბული — პიადეგერი! სადა თურმე ეგზისტენციალიზმის ტრაგიკული პათოსი და სადა აბსურდის თეატრის ცინიკამდე მისული სედესისი; სადა მარკესის სიცოცხლის სავე პერსონაჟები და სადა ბუეტის უსახო კაც-სქემები? გაკვირვებით კითხულობს გ. ნოდია და დასძენს: „ჩა თქმა უნდა, ყველა ეს XX საუკუნის დასავლური კულტურის ფენომენებია და მათ რაღაც ნებროსოფილური ვიწროვან ვუპოვო — მაგრამ ამან მეტად ღრმა ანალიზი უკრძება და არა ყველა სკოლისა და ტენდენციის ერთმანეთში აღრევა და ერთმანეთზე დაყვანა“ (145). ასეთი მისზე განაჩენის მოსვენა, მართლაც რომ, ძნელია, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვაპხადებ, რომ მე არაფერი ამიჯრ-დამიარევი. ჩვენი ოპონენტი კი, არ ვიცი ვულვანსით არ კახულობს ჩვენს წერაილს, არ ვიცი — შეგნებულად (ვგონებ, უფრო შეგნებულად), ისეთ სურათს ქმნის, რომ ლამის მეც დამახინდა. ამიტომაც დაწერილებით შევხვები გ. ნოდიას „განმეკებას“.

ჭერ ერთი, ვინც ჩვენს წერაილს ვულისურობით წაკითხავს, ვერ დაასკენის, რომ მე „ბრეჰტის გაუცხოება“ და ბრეჰტისებრი მხატვრული „გაუცხოება“ ერთი გაუცხოების ორი სახე მეგონა, როგორც ეს „უცილობლად“ ეწვევება გ. ნოდიას. გაუცხოების თავიდან ახსოვლებლად უკვე ნათქვამის და დაბეჭდილის მოკლე ანოტაციის გადმოკვება მოგვხდება; ჩვენი საუკუნის დამდეგს ბრეჰტის არაჩვეულებრივი ჩქარა ტემპით განვითარებდა გამოაწვია ბრეჰტის კულტი. რომელიც დაუმარხისბარდა მისივე შემქმნელ ადამიანს. დაწყო კ. წ. „ბრეჰტის გაუცხოების“ ეპოქა. ადამიანი მისე-

ლი უფრადლება გადაიტანა გარემო სამყაროს და ბრეჰტის გაუცხოებაზე განსაკუთრებით წინატარებისტური მხოფლმედეველი ბრეჰტისეული ადამიანის სიცოცხლეს პასუხობსა უკადდა. მან გამოაწვია უფრადეკცია. ნატურფილოსოფია დაუპირისპირდა სიცოცხლას ფილოსოფია (ნიცშე, ბერტონი, დილტონი და სხვ.), რომელიც ცდილობდა „დაეძლია ფტა-შიში გარე სამყაროსი“. ამიტომ ის ადამიანის ნებას უსწავდრო თავისუფლებას ანუკებას. ამ მიმდინარეობის წარმომადგენელი გრომდენ გონებას და წინ წამოწვედენ ირაციონალურ და ქვეცნობიერ იმულებს. ადამიანის შემოქმედების საფუძვლად გამოცხადდა ინტუიცია, ხილი მისი ახსვის ობიექტად — ირაციონალურ მკვლევები. ადამიანის ხედვა, რომელიც მის რთული იყო გარე სამყაროსტენ, მილანან ბრუნდება შინაგანობისკენ, ამან გამოიწვია რეალიზმის პრინციპების უფრადეველოფა. წარმოიშვა ახალი მიმართულება „მოდერნიზმი“, რომელიც წამოაყენა ახალი ესთეტიკური და შემოქმედებითი პრინციპები. ეს პრინციპები, რომლებიც უარყოფდენ რეალურს, „გონებას თვლით“ დანახულს და წინ წამოწვედენ აბსტრაქტულს, ფეფორმირებულს და ინტუიცურ, ქვეცნობიერ დონეებს, დამკვიდრდა შემდგომ ლიტერატურაში და ერთგვარი განწოგადებული სახე მიიღო. შემდგომ მოკლედ განვიხილავთ იმ ძირითად ნიშნებს, რომლებიც ახასიათებს ამ ახალ მიმართულებას, და დაქვინო: „ერთი სიტყვით, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ რეალურობა და კონკრეტულობის განცდას იღწეა დაღვეული აქნას და მხოლოდ აბსტრაქტულ სიმბოლურ მოხდეს მოკლედნის ასის განწოგადება და აღქმა. ამავე დროს, შეიშინება ამ მიმართულებისათვის დამახასიათებელი მოდელების, ესთეტიკური მოდელების დამკვიდრება და კანონიზაცია, რაც იღებს საუკუფლოთი და შედგენილი მოკლედნის ზოგადი კონონის ფორმას. ე. ი. აქწნება ახალი ესთეტიკური სისტემა. მიმართულება, რომელსაც შეაქლება პარობითად ვეწოდოთ „გაუცხოების ესთეტიკა“ (147). მაშასადამე, ჩვენ, ყველაფერი ირაციონების გარეშე, ფეფირობთ, რომ „ბრეჰტის გაუცხოებას“ მოჰყვა ახალი ესთეტიკური სისტემა, რომელსაც პარობითად ვეწოდებთ „გაუცხოების ესთეტიკას“. და ეს ახალი ესთეტიკური სისტემა, ჩვენი აზრით, თვისებრივად განსხვავდება დღემდე ცნობილი ორი ტიპს — „იგავიობის“ და „ადამიანისპირების“ ესთეტიკებისგან და ამკვარად, ახალ სისტემატურ სხეობად წარმოდგება. ჩვენ ძალზე კარგად ვცხვების, რომ ეს მეტად რთული საკითხია და მის სრულყოფილ გაშუქებას, ერთი სტატია კი არა, რადენიმე მოწოდგათა არ ეყოფა. არც გვაქვს ამ პარობის მის საბოლოო გადამწვევების პრეტენზია. მაგრამ სხვა არის არ განიარაღო ეს თუ ის შეხედულება და სხვა — შეგნებულად ადამიანი მის-

ში შეესაბამება. ახლა, თუ მივიღებთ იმ აზრს, რომ XX საუკუნეში ახალი ტიპის ესთეტიკური მოძღვრება დამკვიდრდა, მაშინ თავისთავად უნდა დავუშვათ, რომ მასში მოქმედებს ზოგადი მხატვრული კანონი, რომელიც გარკვეული ნიშნებით აერთიანებს თანამედროვე ხელოვნებას და ლიტერატურას. ასე რომ, როდესაც ჩვენ „გაუცხოების ესთეტიკის“ არაღალი ვაქცევთ ბრემტს და იონესკოს, მარკეს და ბეკეტს, რომელთა შემოქმედებაც, ბუნებრივია, რიგი სპეციფიკური ნიშნებით განსხვავდება ურთიერთისაგან, ეს სახეებით არ უნდა ეუცხოვოს ადამიანს, რომელიც ეტყვევა ესთეტიკურ მოძღვრებაში. პირველი, „გაუცხოების ესთეტიკის“ შეიქმნა თანამედროვეობის მრავალი მუსიკის, მხატვარი თუ რეჟისორი მივყავართ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „იკავიების ესთეტიკას“ განეკუთვნებოდნენ იაკობ ზუცევი, გიორგი მერჩულე, შოთა რუსთაველი, დიანტე ალიგერი, ნიჟაძე, ალიშერ ნავიო და სხვა მრავალი შემოქმედი, რომელ კვათიმოყვდებს მოუფა აზრად იქვას, რომ რადგან ზემოხსენებული მწერლები „იკავიების ესთეტიკის“ წარმომადგენლები არიან, მათი მსოფლმხედველობრივი სისტემები და მხატვრული აზროვნების მანერა იდენტურია. ახლა მე ვკითხვობ: სად შეშანიკა და სად ნესტანი, სად გრიგოლ ხანძთელი და სად ტარიელი, სად შოთა რუსთაველია მსოფლმხედველობა და სად ნიჟაძისა და ალიშერ ნავიოს მსოფლმხედველობრივი სისტემები? მაგრამ, მოუხედავად მათ შორის არსებული დიდი განსხვავებისა, ზემოხსენებულ მწერალთა მხატვრულ სისტემაში მოქმედებს ზოგადი კანონი, რომელიც მათ ერთი ტიპის ესთეტიკას განეკუთვნებს. დავანებთ თავი ახლა „იკავიების ესთეტიკას“. ვამბობთ რომანტიკოსებით და ნამოკვთებით: შატბრინია, ბერლიოზი, ვაგნერი, პოგანინი, ნოვალისი, ტიკი, ა. და ვ. შლევკელიც, ა. შ. ლენინგი, ფუტე, ბაირონი, შედლი, პოუგორცხი, ბერნე, მაკკეაინი, მუტუი, გუტიერესი, ტუკოსკი, ლერმონტოვი, ბარათაშვილი და, თუ გ. ნოვას დავუჭერებთ, ასე განსაჯეთ, გ. დონიანოვილი. განა შეიძლება ზემოხსენებულ შემოქმედთა მხატვრული სამართლის იდენტურობაზე ვისუბროთ? სასაკიერელია, არა! სხვას არ ვიცი, მაგრამ კაცს, რომელსაც ფილოსოფიური განაილება აქვს მიღებული, ჩვენი ზემოთ გამოთქმული თვალსაზრისი არ უნდა ვაპირებოდეთ. თუმცა გ. ნოვია გვეთანხმება ამაში, რომ „მოდერნიზმი“ სახელით გაერთიანებული დასავლური ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებას აერთიანებს ერთი რამ: ყველა ისინი ამა თუ იმ ხერხით გამოხატავენ ადამიანის ტოტალური გაუცხოების სიტუაციას, მას, რადა აქვს ზემოთ სადგომი? აი, თურმე რა: „როცა ლ. ბრეგაძე ამბობს — წერს აგი. — გ. დონიანოვილი „გაუცხოების ესთეტიკას“ მისდევს, ის კონკრეტულად ბრემტის თეორიის 9. „მნათობი“, 16 4.

პრინციპებიდან ამოდის. ე. წავლიძისთვის კი „გაუცხოების ესთეტიკა“ გაიყვანა. უფრო ფართოდ ცნება და მასში, ბრემტის გარდა, კაცს, კანონი, მარკესი, ბეკეტის, იონესკოს, დონიანოვის, შატბრინის, რიხისა და სხვა ხელოვნათა ესთეტიკური კონცეფცია იგულისხმება“. (146).

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, ჭრტ ერთი, ლ. ბრეგაძე თავის წერილში არ ხმარობს ტერმინს „გაუცხოების ესთეტიკა“ და შეხებაშია დვერც იტყვად, რომ გ. დონიანოვილი „გაუცხოების ესთეტიკას“ მისდევს, რადგანაც ეს ტერმინი ჩვენ ვიხმარეთ პირველად (ჩვენი წერილი კი უფრო გვიან დაიბეჭდა, ვიდრე ლ. ბრეგაძის) და ის ნახშირია ერთადერთი მნიშვნელობით, რომელზედაც ზემოთ უკვე მოგახსენეთ. მეორედ, ვინაც ფილოსოფიური ტერმინების უხსტი დეფინიციის პრეტენზია აქვს, ისიც უნდა მოეხსენებოდეს, რომ „მხატვრული გაუცხოება“, „გაუცხოების პრინციპი“ „გაუცხოების ბერნი“ და „გაუცხოების ესთეტიკა“ სხვადასხვა ცნებების გადმოშვება ტერმინებია. მწერალი შეიძლება „გაუცხოების ბერნი“ იყენებდეს (მაგ. რუსთაველი, ნიჟაძე, მაგრამ „გაუცხოების ესთეტიკის“ წარმომადგენელი არ იყოს და, პირველი, შეიძლება ამ ხერხებს ნაკლებად იყენებდეს (ან სულაც არ იყენებდეს), მაგრამ ამ მიმდინარეობას ეკუთვნოდეს. გვახსენებთ, მართალია, ბრემტა „მხატვრული გაუცხოებით“ შექმნა დრამატურგიაში საყოთარო მხატვრული მეთოდი. შეიძლება გარკვეული სისტემა, მაგრამ განა „მხატვრული გაუცხოების“ ამ მეთოდს მხოლოდ ბრემტი იყენებს? განა ადამიანი და იონესკო, სხვაზე მათ აღიარებულ ექვთათ, არ მიმართავენ მას? ბრემტის და იონესკოს შემოქმედებითი მეთოდი ბევრით მკავს ერთმანეთს. მათი ძირითადი თემა ადამიანის „გაუცხოება“. ორივე შეგნებულად უარყოფს წარმოსახულებს ემოციურ თანაგანცდას, მოითხოვს ანტიდროის კრიტიკულ, აქტიურ დასაკრებულდებს წამოტრიალი პრობლემებისადმი. ამიტომაც ორივე მიმართავს მრავალ „გაუცხოების ბერნი“. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ მათ მხატვრულ სამართლის შორის არ არის სხვაობა, არა, და საკმაოდ დიდია! ამაზე უკვე ბევრი დააწერა სამეცნიერო ლიტერატურაში და აქ აღარ შევჩერდები. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ, თუ ბრემტი ყოველთვის ზომიერებას იცავს, იონესკო უკიდურესობაში ვარდება. სწორედ ამიტომაც ჩვენ ვიმოქმედებთ ლ. ბრეგაძის აზრს, რომელიც აღნიშნავს, რომ გ. დონიანოვილი გაუცხოების პრინციპებს იყენებს, მაგრამ იქვე ამ თეზას ვაწესებთ, უფრო სხვაგვარად რომ ვთქვათ, განვაზოვადებთ გ. დონიანოვილის წერის მანერას და აღვნიშნავთ: „უფრო სწორედ, ის მიმართავს იმ შემოქმედებით მეთოდს და ხერხებს, რომლებითაც, შეიძლება ითქვას, ჩვენი დროის უდიდესი ხელოვანი (კაფკა, კამიუ, მარკესი, ბრემტი, ბეკეტი, იონესკო და სხვ.)

მეტწილად გულმოდგინებითა და საკუთარი მიდგომით სარგებლობდნენ. ერთი სიტყვით, ზერელობაში არ ჩამოგვერთმევა, თუ ვიტყვით, გ. დონაშვილი ზოგადად ევრდინობა „გაუცხოების ესთეტიკას“. (148).

არ ვციც, რა არის აქ გაუგებარი და აღრეული. თუ ზედმეტად სიხარულს დაახინა კრიტიკოსი? აქვე გ. ნოდია „ამჩნევს“ ერთ „უზუსტობას“, რომელსაც თურმე ჩვენ ვუწყებთ: აღნიშნავთ, რომ „გაუცხოების ესთეტიკა“ აღმოცენდა ექსისტენციური ფილოსოფიური მოძღვრებაზე და იქვე ფრანგულში მოგვეყვას ზოგადი მწერლის სახელი: (ქოხი, კაჟა, ეან-პოლ სარტრი, ალბერ კამუ, მარკეზი, ბრეტა, ბეკეტ, იონესკო). მაგრამ გ. ნოდია შენიშნით „ზოგიერთი დასაბუთებული მწერლის შემოქმედება წინ უსწრებს ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიის ჩამოყალიბებას“. არ ვციც; ზუსტად როგორ მწერალთა შემოქმედებას გულისხმობს, (ალბათ, კაჟას და ქოხის) მაგრამ, ვინც თანამედროვე დასავლეთის ფილოსოფიური მოძღვრებებს და ლიტერატურას კარგად აცნობს, ის ვერ აღმოაჩენს ჩვენს მსჯელობაში უზუსტობას, თუ კი ელემენტარულ კუთხიანობებს გაიხსენებს: ჭრ ერთი, კაჟა და ქოხი რომ თანამედროვე დასავლური ლიტერატურის მშენებლებად არაა აღიარებული, ეს საკუთრად ცნობილია და დავას არ უნდა იწვედეს. მეორედ, დასავლეთის თანამედროვე ლიტერატურული მიმართულებანი პარადად რომ ექსისტენციური ფილოსოფიური მოძღვრებით სარდობენ, ესეც არ უნდა აიოს სადავო. მესამედ, გ. ნოდია რომ კარგად იცის, რომ ექსისტენციური ფილოსოფია ცარიელ ადგილზე ვერ აღმოცენდებოდა. „ექსისტენციურა სიზისი“ გაყოლებით ადრე დაიწყო; რომ მის დაქვევას ცდილობდნენ „ბიოცენტრის ფილოსოფიის“ წარმომადგენელნი (ნიცშე, ბერგსონი, დილთაი). ბოლო ამ კრიზისის დაქვევას რადიკალური ცდა მოცემულია ედმუნდ ჰუსერლის ფენომენოლოგიაში. პოდგვერი კი, ჰუსერლის მოწაფე და ასისტენტი იყო. განა ვინმეს სადავოდ გაუბღია, რომ ექსისტენციური მოძღვრება სარდლობს ს. კირეგორის, დობტოევსკის, ნიცშეს ფილოსოფიური შეხედულებებით, რომ ის უზუთად აღმოცენდა სიცილიური ფილოსოფიასა და ჰუსერლის ფენომენოლოგიაზე? ვფიქრობთ. არა! მაგრამ გ. ნოდია განუყოფავე გვედავება, განმეიქებალის როდენა შეიჭრა და ახლა ტერმინი „ახსურდის“ გამო გვეამათება. აქაც იგი მსჯელობას შორიდან იწყებს. კამით „ახსურდის ფილოსოფიას“ და ბეკეტებს (იონესკოს და სხვათა „ახსურდის თეატრის“ შესახებ ვცნობებ. აღნიშნავს, რომ „ახსურდის“ ცნების რელიგიური სხვადასხვა საარტიკული ხასტიში სხვადასხვაგვარია. მას უხვას კამით, ბეკეტის და იონესკოს მსოფლმხედველობრივი და მხატვრული განსხეულების სხვადასხვაობას და ა. შ. უმე-

ტესწილად, კრიტიკოსის მსჯელობა აქ მართებულია (ზოგიერთ ფორმულურულ კვანძურ ვაზიარებთ. მაგრამ ამაზე აქ უნდა შევჩერდეთ). მაგრამ რა მიმართებაშია ეს საკითხი ჩვენს წერალთან, ჩვენ ხომ კამით და ახსურდის თეატრის წარმომადგენლების მსოფლმხედველობრივ მსჯელებას-არმსჯელებასზე არსად ვსაუბრობთ. ამას თავად გ. ნოდია გრძნობს და ასე გადმოცდის „ჩვენზე“. „ახლა ვნახოთ, რა მიმართება აქვს უკველივე ამას მისთან, რაც ე. ჯაველიძის ცნობას „ახსურდის“. პირველი, რაც თავად გვეცნობ, ისაა, რომ იგი ახსურდის ფანტასტიკისთან აკვირებს“. (148). ეს არის მტნარი სიცრუე, რომელსაც გ. ნოდია მოგვაწერს ჩვენ. მაგრამ კრიტიკოსი ამას არ სჯერდება და კიდევ უფრო დიდ უაზრობას გვაბრალებს; ჩვენს ვაგებობ, თითქოს „რეალურობის დეფორმაცია“ იგავით, რაც „უკველივეს ახსურდის“ ჩვენება. ის წერს: „უფრო ადრე, როცა საზოგადოდ XX საუკუნის დასავლური ლიტერატურის თავიანთებულებზე ლაპარაკობს, კრიტიკოსი წერს, რომ ეს ლიტერატურა ფართოდ იყენებს მითს, რადგან ის „უწყვეტს რეალურობის დეფორმაციის უკველივეს შესაძლებლობას“. მართალია, იმ კონტექსტში იგი „გაუცხოების ესთეტიკის“ საომას ხსენდა, მაგრამ სტატიის წაკითხვის შემდეგ ვგებულობთ(!) რომ „რეალურობის დეფორმაცია“ იგავით, რაც „უკველივეს ახსურდის“ ჩვენება“. (146). შემდეგ ამას მოჰყვება გ. ნოდია მსჯელობა იმის შესახებ, რომ ფანტასტიკურის და მითის მოდელი განსხვავდება ახსურდისაგან და საბოლოოდ მრავალნიშვნელოვანად დასკვნის: „თუ კრიტიკოსი (ე. ი. ჩვენ) უნდა გ. დონაშვილის მუხტის (პოლოზი“, კერძოდ, აფრდერკის მუხტის მოქმედებაში, ახსურდის ელემენტები მოეხება, მას კი არ უნდა ეთქვას: „ეს ფანტასტიკაა, მანსადამე, ახსურდია“, არამედ: „ეს ფანტასტიკა კი არა, ახსურდია“. და დავსაბუთებინა ეს. მაგრამ იგი ამ გზით არ წახელდა“. (147).

კი მაგრამ, ხომ აქვს ვველაფერს საზღვარი, ქადაღი ვველაფერს იტანს და ვველაფერი შეიძლება მიაწერო კაცს. აქამდე ჩვენ ვცებომა, გ. ნოდია გულდასმით არ წაკითხა წერალი. ახლა კი დავრწმუნდით, რომ შეგვეხებულა ამანერების ჩვენს მსჯელობას. რათა თავისი „ლოგაური“ მსჯელობა შემოგვთავაზოს, დავაბრალდოს ის, რაც არ გვითქვამს და მერე კამით დავგვიწყოს, ეს ასე არ არისო, ეს ხომ გაუგებარი მკერებლობა.

ჭრ ერთი, ვინც ბელოენებს მეტწილად იცნობს, მისთვის ცხადია, რომ ფანტასტიკურ საშუაროს, მითისა და ახსურდის ცნებებს შორის არსებობს დიდი სხვაობა. ფანტასტიკური და მითის მოდელი, თუმცა „რეალურობის“ დეფორმაციაა, მაგრამ მას მხატვრული პირობითობის დონეზე გააჩნია მკაცრი ლოგიკური ხასტიერი, რომელიც გვემართება საშუაროს და უოფირე-



ბის განზოგადებული კანონების. მისი არხის უფრო დრმა ჩაწვდომასა და გააზრებაში. მაშინ, როცა ახსურდისტების მიერ დახატული — „ახსურდულბა“, მოკლებულია როგორც უოფიის, ასევე, გარკვეული თვალსაზრისით, „მხატვრულ ლოკიას“. ისინი ამტკიცებენ, რომ სამყარო ახსურდია და მისი შექმნევა თავის-თავად ახსურდია. ამიტომაც ისინი ზატყვენ ახსურდულ სიტუაციებს და მიმართავენ ფორმის „ელემენტების — დეზინტეგრაციის“ მათთან დრო უდროთა, სივრცე — უსივრცო, პირი — უპირი, პერსონაჟი — უპიროქონო. მოქმედება — უმოქმედო, ენა — უენო, ძველბუთალოს ნიაშანა — უნაშანო. (იხ. ამის შესახებ შიპა ნათაქის ძალზე ზანტერესო წერილი „საუწყე“, 1952, № 1, გვ. 207-214). მაგარამ მთავარი ის არის, რომ ისინი თავის „ალოგიურობით“ არა მხოლოდ ქვეყნის ახსურდულბას აღნიშნავენ, არამედ სხუთ რეპობიქტში აღძრან ახსურდის განსუბა. ასე რომ, ექსტრატექტულ მიმართებებშიც „ალოგიურობა“ ფუნქციონირებს და ამდენად მხატვრულ სისტემაში მოქმედი ელემენტობა ახლა ვნახოთ, რას ვწერთ ზვენ და რას ვვარაზლებს გ. ნოღია.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ „ავტორი ავრედერიკ-მეს სახელით ენაუბრება კარმენს და ამ გზით „მოთხრობის სტრუქტურაში შემოქაქვს, ავტორისავე სიტყვებით რომ ვთვაროთ. „ფანტასტიკური ელემენტა“, უწინდელ მარტინაბულად რჩენიშვიტში, აბსურდული ძალის მქონეა. მისი მიზანი ციტატადან აშკარაა, რომ ჩვენ შორიდებით, მაგრამ შინდ ზაზვასხით „უუსწორებთ“ ავტორი და აღვნიშნავთ, რომ ეს ფანტასტიკური ელემენტები კი არ არის, არამედ ახსურდის ელემენტები წინ წამოწევა და შემდგომ კი ემპექლობთ, თუ რატომ მაგეანია ეს „ლირიკული წილანბა“ იმ მხატვრულ ელემენტად, რომელსაც ახსურდის თეატრის მიმდევრები იუენებენ. 1) ალოგიურობა და უაზრობის ელემენტი შემოქმდს მოთხრობის მთლიან კომპოზიციას. 2) ის ჩართულია მხატვრული სტრუქტურის ეოველგვარი ლოკიის გარეშე. 3) წარმოდგენს მხატვრული პარობითობის ისეთ დონეს, სადაც იგნორირებულია დროის, სივრცის, რაციონალური აზროვნებისა და მიზეზშედგომობის მიმართობა ეოველგვარი ელემენტი. 4) ამ ელემენტის ძირითადი მიზანია ვვარდობისონის, რომ ზელოვნება და, საერთოდ, ცხოვრება, ახსურდია და შეტი არაფერი. 5) ახსურდის თეატრში ასეთი ზერხი ძალზე ბუნებრივია და გარკვეული აზრისა და განწყობის შემაქმნელად არის მიმართული.

ბომ ველოფერი ცხადზე ცხადია, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს ფანტასტიკა კი არა, ახსურდია ამის და ამის გამო, გ. ნოღია კი ციუტად იმეორებს: ე. ქავალიძეს უნდა დამტკიცებინა, რომ „ეს ფანტასტიკა კი არა, ახსურდია“

და დაესაბუთებინა ეს, მაგრამ იგი ამ გზით არ წახელაო“.

ახლა ჩვენ ვამბობთ, თუ გ. ნოღია „ლირიკული წილანბა“ დამტკიცებინა, რომ ეს „ლირიკული წილანბა“ არაა „ახსურდისტებისათვის“ დამახასიათებელი მხატვრული ელემენტი, მას უნდა უვლდებოდეს, ვეო ის არაუჭერებო, რომლებიც ჩვენ ჩამოვთვალეთ, მაგრამ ის ამას ვერ შეტლებდა. და ამიტომაც, მისავე სიტყვებო რომ ვაივიუროთ, „იგი ამ გზით არ წახელა“.

მეორეც, ვინც ჩვენს „გონების თვალბით“ წაითხავს, ის ვერ გამოიტანს იმ დასკვნას, რომ „რეალრობას დეფორმაცია“ იგივეა, რაც „ეოველივეს ახსურდის ჩვენება“. როგორ ამერბებს ამის „გაგებას“ გ. ნოღია, ამაზე ვერას მოგახსენებთ. მაგრამ ჩამდენად ტანდუციურია ის თავის მხელბაში ადვილად მიხედება კაცი, როცა ამ საკითხის გარშემო მის მხელბობას წაეთხავს. როცა ჩვენ საზოგადოდ XX საუკუნის დასავლური ლიტერატურის თავისებურებაზე ვლამარკობთ, აღვნიშნავთ, რომ ის ფართოდ იუენებს მისს, „რაღვან „უშეუბნის რეალრობის დეფორმაციის ეოველგვარი შემაქმნლობას“. ამ აზრს ექსპონატებაში არც გ. ნოღიას ემარება ევეო. ის ამასაც აღნიშნავს, რომ ამას ჩვენ იმ კონტექტში ვხსნით, როცა, გულბობის ებთეციის“ რაობს ვარკვევთ. მაგრამ, „სტატის წაითხავს შემდგომ ვებულობს, თურმე რეალრობის დეფორმაცია ეოველივეს ახსურდის ჩვენება“. მაგრამ საიდან გა-მოქმდს ასეთი დასკვნა, ამის შესახებ არას ამბობს. აი, როგორ აგებს ის თავის მხელბობას: ერთი კონტექტბადან ამოღევილ აზრს მეორე კონტექტში ათავსებს, მეორე ისეთ რამეს მოგვაწერს, კაცს აზრად რომ არ მოუვა და შემდგომ დასკვნა გამოაქვს, უფთესი „ობიექტური“ მხელბობა არ შეიძლება ანატროს კაცში ეოველგვარი სინამდვილის დეფორმაცია, რომ ახსურდად გამოაცხადო, საერთოდ ზელოვნებაზე ხელი უნდა აღო, რადგან ელემენტარული ექსპონატებაა, რომ ზელოვნება ვულბსწობს პირობობას, ზოლო მხატვრული პირობითობა — უვეო ობიექტური სინამდვილის სტრუქტურის დარღვევაა.

სინამდვილეში მსგავსი აზრი არ გამოვავითქვამს. ამის ვერც ვიტყოდი, ჩვენ ვწერთ: „ეს შემოქმედი (ივლიბსმებიან ახსურდის თეატრის მიმდევრები) ზაზს უსვამდნენ სამყაროს ქაოტურობას, აღმინის სიცილებლეს უაზრობას. ისინი წარმოდგენდნენ აბსურდბმედ დამპბანულ დეფორმირბულ სინამდვილას, რომელიც ირეალურისა და რეალურის ზღვარზე იკვეთებოდა და ეოშნარული ზმანებებით იყო აღბაზე“ (138).

მაგრამ გ. ნოღია ამით არ ეთოუილდება. ის კიდევ მოგვაწერს, თითქოს, ჩემი აზრით გ. დონასაშვილ „ახსურდის“ ქართულ ენას, ახლნად იუდებს მას. ამ უკანასკნელ ფრანზს რა-

მედენტრზე დახეივებით იმეორებს. მაგრამ მსგავსი რამ არსად გვითქვამს. მართალია, ჩვენ ვწერთ, რომ გ. დოჩანაშვილი „ამხერვეს“ ქართულ ენას, მაგრამ ის ამას აეთებს შეგნებულად, რათა მას გარკვეული ფუნქციონალი დაეკისროს. ჩვენ არსად ვამბობთ, რომ იგი ამხერვეს იმდენად ქართულს. პირიქით, გარკვევით ვწერთ: „რადა თქმა უნდა, ავტორი ამას შეგნებულად აეთებს. მას სურს ენის დეფორმაციით შექმნას გარკვეული მხატვრული ელემენტი, რომელიც მწერლის ქვეტექსტური აზროვნების ახსნას ხელს შეუწყობს. ვფიქრობთ, გ. დოჩანაშვილი იმდენად არ გააღვივებდა, რომ საერთოდ ამხერვეს ავტორის ქართული ენა და მისი გრაფიკული ნორმების დაცვა“. (145). ეს ადგილი ჩვენ იმიტომ მოვიხმეთ, რომ კიდევ ერთხელ დავაზრდოთ წითელი მკითხველი იმაში, თუ როგორ ენის გ. დოჩანას ჩვენს.

ჩვენ გ. დოჩანაშვილს ვსაუბრობთ, რომ მისი მოთხოვნა დაწერა იხე, რომ გავიტყურობოთ ალიკვით, სად მთავრდება პროზა და ხე იწყება ლექსი და დავძენთ. რომ ავტორი აეთებს ამას იმიტომ, რომ „უგულუბნელოდ მოთხოვნის დაწერის ტრადიციულ მანერას“. ე. ი. ხდება მოთხოვნის ენარბის გაუცხოება, და აი, ამ ფაქტს ვსწავნი დასავლელი მწერლების მიხედვით. გ. ნოდია კი ვგვიამბობდა, ვერცერთი თანამედროვე დასავლელი მწერალი ვერ გაუცხოვდა, რომელიც ასეთი მანერით წერდა. „განსაკუთრებით ძნელია — ასეთი რამ დავაზრადოთ „ამხერვეს ლიტერატურას“. პროზულ ნაწარმოებში თერთი ლექსის ჩართვა რომანტიკულ-ამაღლებული სტილის შემოკრას ნიშნავს, ამხერვეს ლიტერატურა კი რეალურობის მაქსიმალურ დამდაბლებაზე ზრუნავს მხოლოდ“.

ჭერ ერთი, ჩვენ არსად ვვითქვამს, რომ თითქოს გ. დოჩანაშვილი პროზაში ლექსს დასავლელი მწერლების მიხედვით უბრუნავს და კონკრეტულად არც დავისახებულება მწერალი, რომელიც ამას აეთებს. მხოლოდ აღვნიშნეთ, რომ ეს ხდება ენარბის გაუცხოების გამო, რაც დასავლური ლიტერატურის გავლენით ხდება. მეოქვ. ეს კი უცილობელი კეშმარტობაა. მეორე, გ. ნოდია ცდება, როცა ფიქრობს, რომ ამხერვეს თეატრისათვის არაა დამახასიათებელი ამაღლებული, რომ თითქოს ის რეალურობის მაქსიმალურ „დამდაბლებაზე“ ზრუნავს მხოლოდ და იმიტომ არ შეიძლება მას ეს (ენარბის გაუცხოება) დავაზრადოთ. საქმის ნამდვილი ვითარება კი საყვებოთ საპირისპიროა: ჩვენ, როდესაც ენარბის გაუცხოებასა და დასავლეთის გავლენაზე ვწერთ, ვგულისხმობით სწორედ „ამხერვეს ლიტერატურას“. აი, რას ამბობს მისი შეხებებ. მ. ნათაძე, რომელიც, როგორც ჩანს, სპეციალურად აცვლებს ამ საკითხებს: „უფრო დაზუსტებით: პრინციპულად უნდა ამხერვეს ნაწარმოებებში ის,

რომ დრამატული ან ეპიკური ტერმინით მხარის ნაწარმოებში ახსნისთვის უნდა იქნას დამახასიათებელი ლირიკის მხარისთვის დამახასიათებელი კონკრეტული, ახლანდის მხარის. თუ შეიძლება ასე ითქვას, მაშინვე უნდა — დრამის დამახასიათებელი ლირიკის მხარისთვის (კრიტიკულ-ინტონაციური სტრუქტურის განსხვავება: პროზა-ეპიკაში, ამ შემთხვევაში არაპირდაპირ რელიეფურად გამოიხატოს)“ (გვ. 309) (შეხება ჩვენია — ე. წ.).

საერთოდ, წესით განხილულ წერაში გ. ნოდია მრავალ უმართებლო აზრს გამოთქვამს. მაგრამ, რადგანაც სიტყვა ძალზე გაგვიკვირდა, ჩვენ ზოგიერთ მათგანზე შევჩერდებით. ამავე დროს მკითხველისთვის უფრო ადვილად აღსაქმელი რომ გახდეს, გ. ნოდიას აზრებს თუ შეხებებს სახით წარმოვაგებთ და აქვე დავურთავთ ჩვენს კომენტარებს.

1. გ. ნოდიას აზრით, ამხერვეს თეატრის წარმომადგენლები ამხერვენ „რეალობის დეფორმაციას“, მაგრამ საყვებოთ არ მიმართავენ ამისთვის არც ფანტასტიკას და არც მითს. პირიქით, გამოიყენებენ მათ, როგორც ასეთს. რაც მისი გაგებით, ამბობებს ამხერვეს თეატრის ერთდანიანობას, (147). ეს აზრი არ გახლავთ მართებული. ჭერ ერთი, ამხერვეს თეატრში ყოფილი და შეხუნებრივი, რეალური და არეალური ისეა ურთიერთგადახლართული, რომ ზოგჯერ კერძო მითი გამოიყვანება. ამიტომაც ის ძალზე ხშირად მიმართავს ფანტასტიკურ ელემენტებს თუ მითს. მაგრამ ის ცდილობს მითის სტრუქტურის დეინტეგრაციას და ალოგიკურ რომს ელემენტარულ შეჯახს მასში. ამავე დროს ის ამ „გამოკონილ მითში“ ავითარებს თავის სუბიექტურ შეხედულებას სამყაროზე და არ ცდილობს მისი საშუალებით ახსნას იგი. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით. მ. მიხევია, რომელმაც სპეციალური მონოგრაფია შეიმუშავა ამხერვეს თეატრის შესწავლას: „ავტორი (იონესკე. ე. წ.) ქმნის მითს, ასახავს, სინამდვილეში არა სინამდვილეს, არამედ თავის ხედვას მასზე, თავის ხედვას სინამდვილისა. ამიტომაც მისი გმირები განსაკუთრებულ, მანტიციკურულ სამყაროს ექვემდებარებიან“ (185) მეორე, ამხერვესთვის ქმნილებები არ არის ერთდანიანი, როგორც ამას ფიქრობს გ. ნოდია, პირიქით, მათ მიერ დამატული სიტუაციები იმდენად შეტყუარულ ხასიათს ატარებს, იმდენად შრავალდანიანი, რომ ზოგჯერ ვერც კი ხერხდება მათი ახსნა „ლოგიკური ენით“. მისი შესახებაც არის ნათქვამი: (იხ. დასხ. ნაწრ. 87).

2. გ. ნოდიას აზრით, „ამხერვეს ლიტერატურას“ ენა ყოველად ჩვეულებრივი, მაქსიმალურად გამარტივებული და სტილურად ნეიტრალური კი გამოდინარობს თეატრის სათეატროს ძირითად პრინციპთან — ამხერვეს თეატრის პერსონაჟს ხშირ ცდილობს თა-



ვი მოვაჩვენოს ჩვეულებრივ. ნორმალურ ადამიანად". ამ მდებარე, უმართებულო თეზისზე აგებს შერე ის თავის მსჯელობას და ახყენს: „გ. დოჩანაშვილის და ახსურდის თეატრის ენას შორის პარადღობის გავლენა სწორი არაა, მათი შედარება მხოლოდ კონტრასტის პრინციპით შეიძლება" (148). შერე ამას მოჰყვება გ. ნოდის მსჯელობა. თურმე ჩვენ ძალზე გაგვაღიზიანა შერეის ენამ და იმის წაყვლად, რომ გვეოქვა — ეს ხომ ახდაუბდააო, ვახშარეთ ნატიფი ღაბაშვილი სიტყვა „ახსურდა“. „შერეამ, თუ ამის შემდეგ „ახსურდა“ სავანებულ სიტყვად კი არ ვინმისა — დანძინდს გ. ნოდია — არამედ ლიტერატურათმცოდნეობით ტერმინად, შედეგა სავალალო გვექმნება". (148). პარადღობის ვასილიკაა. როგორ კადნიერადება გ. ნოდია და იმას, რის დამტკიცებასაც ნახევარი წერაილი დავთომბე, შემთხვევაობის და დაუფერებლობის მთაწერს.

თეზისა, რომ „ახსურდის ლიტერატურის ენა უოვლად ჩვეულებრივია, მაქსიმალურად გამართივებული და სტილურად ზეიტრალურია“, სრულ გავგებობას წარმოადგენს. უმართებულს უყოლისა. ის უნდა აღენიშნოს, რომ, როცა ახსურდის თეატრის კრედიტის ახსიათებენ, სამ რირითად ნიშანს წამოწევენ წინ: 1) თავად ადამიანს არჩებობა განიხილება როგორც ახსურდი, 2) ადამიანი ვლინდება მხოლოდ თავის მოქმედებებში, რომელიც არ ექვემდებარება არავითარ ლოგიკას. ამიტომ ეს არჩებობის სიტუაციაში, 3) ენა კვდება, იქცევა შიშველ შტამპებად, დაზღვას სცემს გონებას, რის შედეგადაც შეუძლებელია ადამიანთა შორის ურთიერთობა. ამიტომაც ახსურდისტების გაცებით — „სიტყვა კარგავს უოვლგვარ აზრს. ენა კარგავს თავის მნიშვნელობას". ის ვეღარ გაღო მოკცეშს სათქმელს. ამასთან დაკავშირებით იონესკო წერდა: „თეატრის ენა არ არის იდეათა ენა, რადგან ის მხოლოდ ვულგარულს ზღის და აუბრალოებს მათ". ამიტომაც ახსურდის თეატრის მამამთავარი მოიხიბოდა ენის დაზღვას: „ენა უნდა აფეთქდეს, ანდა დაიშალოს, თავისი შეუძლებლობით გამოხატოს რაიმე აზარი". ხაზოლოდ, მისთვის სიტყვა იქცა „შოკის ერთ-ერთი საშუალებად". „სიტყვა არის მხოლოდ ერთი ელემენტო თეატრალური შოკისა" — წერს იგი, ხოლო ამას ის აღწევდა სხვადასხვა საშუალებებით, აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ა. მიხევეა, რომელმაც ეს საკითხი სპეციალურად შეისწავლა: „ემა უკვე აღარ ეშხაბურება მოქმედების განვითარებას, პერსონაჟთა ურთიერთობას. იგი ვახან „არაკომუნიაკაბელური". ამ „არაკომუნიაკაბელურ" ენას წარმოადგენს იონესკო თავის პიესებში" (89). შემდეგ მკვლევარი ნამოვიგოვლის იონესკოს ამ „ენობრივ ფანდებს", რომლითაც ის აღწევს „ლინგვისტიკური ახსურდობის ტრაუმის"; 1. იონესკო იკონებს გროტესკულ კაღამებრებს,

რომლებიც წარმოადგენდა სრულ უაზრობას. 2. იკონებს ახსურდულ, არაფრისაგან შემდგომ სიტყვებს. 3. აღგენს ფრაზებს, 24-მეტრი და 33-სახრულიც ეწინააღმდეგება დასაწიხის ანდა, ახსოვლურად იდენტურს. 4. იკონებს სიტყვებს, რომლებიც ექონავით ედერან 3. გვიანვარობს ფრაზებს, რომლებიც წარმოადგენენ მხოლოდ სიტყვათა უაზრო კამს და სხვ. (იხ. ამასთან დაკავშირებით მოხმობალი მკვლევარები ფრანგულ ენაზე (88-91). მკვლევარი ამ საკითხს არაერთგვარს უბრუნდება (იხ. გვ. 22, 30, 38, 46-68, 89-90, 94-95, 98, 104 და სხვ.) და საბოლოოდ დასძენს: „გრაზმატიკული დეფორმაცია, სიტყვათა თამაში, ენის ავტომატურობა, შოკის მომგვრელი შეუსაბამობა ენის ფორმებისა — ევლადურთი ეს — იონესკოს პიესებში ახდენს განმაცვიფრებულ და ამავე დროს სასაცილო შთაბეჭდილებას" (93). ამასვე აღნიშნავენ დახვედრის თეატრმცოდნეები: გი ლერკარკის აზრით, იონესკო „საერთოდ მასხრად იკდებს ენას და ამას აკეთებს დუმილიანთავს". ხოლო კენეთ ტაენი წერდა, რომ იონესკოს პიესებში „სიტყვებით, რომლებიც დიდებულად აღმოჩენა ადამიანთა მოდგმას, ვანდევნილი არიან, როგორც უსარგებლო და ეაღბი". ვკონებ, ზემოთმოხმობილად საკმარისია იმისათვის, რომ მათა ახსურდის თეატრის მიმდევართა ენის „ჩვეულებრივობის", „სიმარტივის" და სტილისტიკურად „ნეიტრალურობის" შესახებ გაიფანტოს. ახე რომ, ვინც გ. დოჩანაშვილის ენას „შინაგან კანონებს" დააკვირდება, დიდ მსგავსებას აღმოაჩენს მის ენასა და „ახსურდისტების" (და არა მხოლოდ ახსურდისტების) ენას შორის.

რადა თქმა უნდა, ახსურდის თეატრის მიმდევრებთან, როგორც ჩვენს წერბულ არაერთგვარს აღნიშნეთ. ეს ენის „მსხვერვა" ექსტრატესტულ მინარტებებში ფუნქციონირებდა და გარკვეული მსოფლმხედველობის გამოხატველი იყო, ხოლო გ. დოჩანაშვილის მხატვრულ სისტემაში იგი ამ ფუნქციას ვეღარ ასრულებს. აი, რას წერდა ამის შესახებ თანამედროვე დასავლური ფალოსოფიის და ზელოვნების საუკეთესო მცოდნე ზურაბ კაკაბაძე: „ახსურდის დრამატურგი" ხშირად არღვევს აგრეთვე ენის ხმარების ჩვეულ ნორმებს და წესებს, ხშირად „ამტრეცვს" ენას და ამ თავისებური ხერხითაღ ცდობლობს გარჩაზული ელექტის მღწევის — ცხოვრების ფუნდამენტური წინააღმდეგობრიობის, ახსურდულობის გამოხედვანების და ნათელყოფას". („სკოლა და ცხოვრება". № 2, გვ. 78).

3. ვეულაზე შერე გ. ნოდია ენის შესახებ მსჯელობს. იგი „ძალზე პრინციპულად აფერებს საკითხს და სურს, გააკვივოს — თუ რას მჭვია ენისადმი პატივისცემა და რას — ენის ახუნად აგდება" (Sic!), რადგანაც გ. ნოდია აქ სხვადასხვა თვალსაზრისებს გამოთქვამს, ჩვენ გა-



დაწვავით კავებენ ქვეყნის წარმომადგენელი

ა) შვიდრი ენობრივი კონტაქტები იწვევს უცხო კონსტრუქციების შეშორებას, რაც საბარლოდ დასაძინებელი, როგორც ენის დანაგვიანება, ეს კი იწვევს უარუარებას — ენის ვაცხადებთ „ხელშეუხებელ“ „წმინდა“ რამდენ ენა ცხადდება „საყრდელად“. როგორც კი სავსებით უარყოფს მის განვითარებას (148).

ბ) მაგრამ ენა — ფილოსოფიის ოქმით — უფროს სახლია, რომელსაც სასუფეველშიც ცხოვრობს ადამიანი. „ენა სახლია, სადაც ცხოვრობს და არა რამის სადაც ცხოვრობს ენობრივი სალოცვად დაეფიქროს... სახლი უფროსი უნდა იყოს — სალოცვად ადგილიც, სტუმრის მიხედვით, სამუშაო ოთახიც, საძირიც, სამზარეულოც, საპირფარეოც. უნდა იყოს სხვათა შორის, სათამაშო ოთახიც“ (149).

გ) ენობრივი პერიოდი ქმნის საფუძვლებს, რომ ქართული სალიტერატურო ენა მართლაც, ლიტერატურის ენად იქცეს. „შეურყვანელ“ სალიტერატურო ენაზე დაპირდაპირი პირდაპირად შეუძლებელი იქნება ბევრი წერს შეურყვანელი კარგული და დაპირდაპირი სხვა ენით. ხდება სალიტერატურო და სასაუბრო ენის გათიხვა. ამ „წვევების ფენომენს“ (Sic!) შეიძლება ვუწოდოთ გაუცხოება.

დ) თუ რომელიმე სიტყვა შეგობართა საუბარში ბუნებრივი არ იქნება, ეს სიტყვა მკვდარია და მისი გაყოფების მცდელობა თვითონ ამ სიტყვისთვისაა შეურაცხველი. (სიტყვა „გაიხს“, რომელსაც ჩვენ ვხმარობთ წერაში — მკვდარია).

ე) ენა აქვს თავისი სიღრმისეული კანონები, რომელთაც ვერავითარი გრამატიკული წესებზე არ აღწევს. ამიტომ მწერალი უნდა შეეჭრას ენის ქვე გაუცხოებრებელ წიაღში და აქედან ენის განუბრკივებელი შესაძლებლობა აზრობდეს, ვინც ენის შინაგან კანონებს გრამატიკის წესებში ურევს, მისთვის ენობრივი შემოქმედება შეიძლება მკრებელობად და ენის კანონების ახრად ავადებად გამოჩნდეს (!!!). (149).

ვ) გ. დიხანაშვილის ენა თავიდან ბოლომდე სტილიზებულია. „ავტორი სულ თამაშებსა მკითხველს, „თვალს უჯრავს“ მას, ცდილობს, თავისკენ გადმოიზიაროს“. სათამაშოდ კი ენის ფორმები იქცევა“. — წერს გ. ნოდია და დასძენს — მაგრამ თამაში არც ახსურდელი რამ არის და არც რამეს მიმართ უპატივცემულობას გამოხატავს. წელან, როცა ენაზე, როგორც „უფროს სახლზე“ ვლადიმერს იტყვი, რომ ამ სახლში „სათამაშო ოთახიც“ უნდა იყოს მეთქი (!!!) თამაში მოკლელი კაცის უმასხობისგებლი საქმინაობა როგორცაა. მხოლოდ თამაში თავისუფლებაცაა, ენით თამაში მხოლოდ მას შეუძლია, ვინც ენა მარისმართად იცის, გრძნობს მის სულს, ენობრივ „თანაშენს“ მანადე რე-

დაწვება შესაძლებლობები ვლადიმერს(!!) თუ ენით არ თამაშე, ის გაქვადმეორდება „საქმინაში“ აღარ იქნება“ (151).

როგორც ვხედავთ, გ. ნოდია ძალზე „პირდაპირული“ საკითხები წამოჭრა, ამასთან დაკავშირებით ჩვენ შევეცდებით როგორცაა შენიშვნა და თვალსაზრისი გამოვქვათ.

ა) უცველი ენა არსებობს, ცოცხლობს და ვითარდება, ვიდრე არსებობენ ამ ენაზე შეტყვევებული ადამიანები, ენა ვითარდება, თავისივე წიაღში მოქმედებელ პოტენციურ, ჯერ არარეალიზებულ შესაძლებლობებზე დაუბნობს. მართალია, ენის განვითარებაზე გარკვეულად მოქმედებს სხვა ფაქტორები კონტაქტები, იტრება უცხო ენებიცა და კონსტრუქციები, მაგრამ, ჯერ ერთი, ამეთი გზა ენის განვითარებისა არ არის არსებითი, მეორეც, ის დასაშვებია მაშინ, როცა ენას ენის არ გამოიხსნა საუბარო შესაძლებლობა ან თუ იმ ცნების გამოხატვისა და უცვლად მიუღებელია, როცა საუბარო და არსებული სიტყვის ან ფრაზის სასაყველად უცხო სიტყვა ან კონსტრუქცია შევიდრება. შესაძლებელია კალენდრად დამკვიდრდეს ენაში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ენამ აგრეთაივისა და შეინახოს.

ბ) როდესაც ფილოსოფიის ამბობდა, ენა უფროს, (უფროსების სახლია) იგი როდესაც გულისხმობდა, რომ ენა „არის კაცის საცხოვრებელი სახლი, არამედ მას, რომ ენა ადამიანის არსებობის საფუძველია. მისი არსაა, ენა თავად ადამიანის სიცოცხლეა. „უცველი ცდა ადამიანის არსათი დასახსილებისა ენის გარეშე წარუმატებელია. — წერს გ. დიხანაშვილი — რადგან ენა განუყოფელია იმ პირობათაგან, რომელსაც ადამიანის არსებობის საფუძველს ქმნის“. მასთანადავ, ენა სახლი კი არ არის, სადაც ცხოვრობს ადამიანი, არამედ უფრო მეტი — ენა თავად მისი არსებობა, სიცოცხლე, რადგანაც ადამიანი ცოცხლობს, ვიდრე აზროვნებს, ხლო აზროვნება ენის გარეშე წარმოუდგენელია.

გ) სამწუხაროდ, ჩვენი სამეცნიერო ენა დღეს შერყვნილია, შერყვნილია ჩვენი დაუდევრობისა და უკონტროლობის გამო. ჩვენ უფრო სწორად ვწერს, ვიდრე ვმეცნიერებთ. ამას აქვს თავისი განსამართლებელი მიზეზები საფუძველები, წერის დროს უფრო მეტი დრო ვაკავს ფიქრისა, სიტყვის შერჩევისა და წინადადების გამართვისა, ვიდრე შეპირებულებებისა. მაგრამ ეს სავსებით არ ნიშნავს, რომ სალიტერატურო ენაზე შევარყვანთ. ეს გაუგონარი მარტობა იქნებოდა ჩვენ უნდა ვუყოლოთ ავამაღლო შეტყვევების კულტურა და არა დაეამაღლო წერის კულტურა, როგორც ამას გ. ნოდია გვთავაზობს.

დ) ხშირად ჩვენ მეგობრულ წერეში ახვ ვსჯევით, და ახვ სიტყვებს ვხმარობთ, რომ ფართე საზოგადოებაში ანალიტიკური სჯევა და

სახეზე უზრდელობად გამოგვეჩვენა. როდესაც შეგობარს მივმართავთ, ერთ ნაცნობ და ახლობელ კაცს ვესაუბრებთ, როდესაც ვწერთ, მთელ საზოგადოებას და ეს მივმართავთ. ამიტომაც მეტა კონტროლი და ზომიერება გვმართებს. შეგობართან შეიძლება შევიკნოთ კაცმა და გადაუფრთხოთ კიდევ. თუბრძნი ამის ვერ იხმ. ამიტომ თავისთავად ანომალია ამის გაფაქრებას კი, რომ არ შეიძლება და შეკვარია წერის დროს ისეთი ხატვის ხმარება, რომელიც შეგობართან საუბარში ბუნებრივი არ იქნება. (ერთი მაინტერესებს, ვინ ხმარობს შეგობრებთან საუბრის დროს: სამშენისი, წვევების ფენომენი, ზღვრული და სხვ.

ე) რამდენადღე შე ვიცო, ენა და გრამატიკა ურთიერთსამართლისადა და გათიშული ცნებები არ არის. მართალია, ენას გააჩნია „სიღრმისეული კანონები“, მაგრამ ისინი „ანტიგრამატიკული“ როლი არიან. პირაქით, ენის შინაგანი, ქრესტ „არ აღმოჩენილი“ მოვლენები თავის თავში მოიცავს ამ იმპეტურ სტრუქტურას და კანონზომიერებას, რომლებიც ზოგადად ახსიათებს ამა თუ იმ ენას. ამ „მოვლენების“ აღმოჩენა და შეხედვით გრამატიკულ კანონად ჩამოალიბება გრამატიკის საქმეა. გრამატიკის ძირითადი დანიშნულება წვრილად ის არის, რომ ენის ბუნება, მისი სპეციფიკობა, მისი აღწერბული თუ აღწერბული თვისებები განსჯადობულ სიბრტევე მოიხაროს, კონკრეტული ფაქტის შესწავლით მოვლენის არსი გაანალიზოს და ახსნას, გრამატიკის ამ იმპეტურ თვისებებს აღნიშნავს უკვდავ, ამიტომაც არის, რომ მას გეომეტრიას აღარვხებთ. მართალია, მწერალს აქვს უფლება, თუკი ამის უნარი შესწევს, შეიკრას ენის წიაღში და იქიდან მანამდე უყნობი ელემენტები ამოწიოს, მაგრამ ეს „ახალი“ მის მიერ „აღმოჩენილი“ „ანტიგრამატიკული“ მოვლენა როდი იქნება?! ქვე დედამიწის ზურგზე არაფერს ბუნება, მწერლის სახელი, რომლის ენაც საერთოდ „ანტიგრამატიკული“ იქნებოდა, არავის შესწევს უნარი, თუნდაც ერთი ახალი სიტყვა შექმნას, „რადგან უკველი ახალი ენაში უკვე არსებულს გულისხმობს“. ასე რომ, ენობრივი შემოქმედება, უპირველეს უკვლისა, მშობლიური ენის დრმა ცოდნაზეა დაფუძნებული, ეს კი თავისთავად გულისხმობს მისი გრამატიკის (რა თქმა უნდა, არა სასკოლო გრამატიკის წესების) ცოდნასაც.

ვ) როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენა ადამიანის „არსობის“ განუყოფელი ფენომენია, მისი ინდივიდუალობის, „შეიბის“ თვითგამომხატვის საშუალება და აზროვნების იარაღია, მაგრამ ენა მხოლოდ ანდავიდის კუთვნილება როდია? ის თავის ნაშედად ბუნებას და „ქალმოსაღებებს“ საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმოაჩენს. ადამიანს არ ეკადრება დავიწყოს, რომ მისი ენა მისი მშობლების, შეიღების, შეგობრების და, ბოლოს, მისი ხალხის ენაა, ენა,

უპირველეს უკვლისა, ერის ნიშანწყობა. ვიდრე ქართული ქართულად ლაპარაკობს, არ ქარაველია, ვიდრე ქვეყნად ქართული იხმის, ხაქართველი არსებობს. ეს კვშიარტება, და ვთხოვთ, ენადახმენილ, ცრუ პატრიოტებად ნუ გამომართებთ. ამიტომაც ენა სწორედ ის ტაძარია, სადაც მთელი ერის უკვდავარყოფინის საცობა წყდება და არა საცხოვრებელი სახლი, სადაც მარტო კაცა საშინაურული დასუნსულება ან საპირფარეოში დადის. უკველი ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს ის, ვადღებდეთ თავის ხალხს, საზოგადოებას, მრევლს ანგარიში გაუწიოს. მით უმეტეს ეს მოცილობება მწერალს, ენა რომ მწერლის უპირველესი იარაღია, ამაზე ვერ კიდევ რუსთაველი წერდა. ამიტომაც, ჭეჭიკობა, თუკი მწერალი რამეს სერიოზულად უნდა მოეიდოს, ეს უპირველეს უკვლისა, მშობლიური ენაა. ვისაც თამაში ძალზე უყვარს, მას შეუძლია თამაშის რაც უნდა, რამდენიც უნდა, როგორც უნდა და რითაც უნდა იღონდაც, ვერჩევ, ენით თამაშს თავი დაანდობს, რადგანაც ამ თამაშში ისიც წააგებს და ჩვენც.

ზემოთაც ვთქვით, და ახლაც ვამეორებთ, მწერალს უფლება აქვს, გათამაშოს და „თავადი ჩაუტრას“ მკითხველს. მაგრამ ამ თამაშში და „თავადი ჩაუტრას“ რაღაც აზრი უნდა იყოს ჩადებული. თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს თვალის ჩაუტრა კი არა, უბრალოდ თვალის პაქუნი იქნება.

ზ) გ. ნოდარს აზრით, საანალიზო მოთხრობაში „გმირის რომანტიკული ამაღლების მომენტებს შეესაბამება თეთრ ლექსზე გადსვლა. მარტივი დაკვირვება გვიჩვენებს — წერს იგი — რომ გ. დოჩანაშვილის უკველი თეთრლექსური პასუხი დაკვირვებულთა იმგვარი თემის დამუშავებაშიან, რასაც ყველაწი უწოდებს...“ (151).

მაგრამ გ. ნოდარის ეს „მარტივი დაკვირვება“ ასევე მარტივად ბათილდება. საქმარისია ტექსტში ჩაიხედო, მანამდე დარწმუნდები, რომ კრიტიკოსი ცდება. ასე, მაგალითად, აღსაზრდელებს რაღაც „ქურდმულში“ ჩაუტრას და შედეგობებს და თავებს აუჩიან. გადმოცემულია მათი საშინელი ტანჯვა და წვალება. ეკონებს, აქ „ამაღლებულს“ სხვებით რადიკალურად საწინააღმდეგო ვითარებაა დახატული, მაგრამ მწერალი თეთრ ლექსს მიმართავს. (იხ. გვ. 41).

თ) გ. ნოდარს გ. დოჩანაშვილის მწერლტობა პოეზიის, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ „რუსნაურ ფორმულირებას“ გვთავაზობს. კრიტიკოსმა მას ახსიათებს, როგორც „მორცხვი რომანტიზმი“. ახლა ჩვენ არ შეუდევებით ამის დადგენას, თუ რამდენად შეიძლება გ. დოჩანაშვილის შემოქმედება შეესაბამებ სერიოზულ როგორც „რომანტიკულს“. ეს ცალკე მკვლელობის საკითხია, აღვნიშნავთ მხოლოდ. რომ ისედაც ამ „სწავლ“ რომანტიკოსებს არამართებულად

ნათლავნ სხვადასხვა სახელით: პესიმისტო, ოპტიმისტო, რეაქციონერი და სხვ. ახლა კადევ ზ. ნოდიაშვილ არ დანდო ახანი და ახალი ცნება შემოიტანა, რომელსაც დღემდე ლატერატურათმცოდნეობა არ იცნობდა. ზ. ნოდიაშვილმორთებს თუ მივიღებთ, მანან უნდა და ვუწვავთ, რომ რომანტიკოსები კიდევ უფროაან „მორცხვებად“ და „ურცხვებად“; რადგანაც, თუ არსებობს ცნება „მორცხვი რომანტიკოსი“, იქვე უნდა აუღოს თავზედი ან „ურცხვი რომანტიკოსი“. აქვე იმასაც ვავიშორებთ, რომ ზ. დოჩინაშვილის ზე მოთბრობა თავიდან ზოდომდე მძაფრ ტრავმა-კომპიურ ფერებშია დაწერილი და წარმოადგენს გროტესკს ამ საზოგადოებრივ ფორმაციაზე, რომელსაც ძალმობარება და უსამართლობა ბატონობს. ზემო აზრობ, ამ ნაწარმოების ვერცერთ გმირს და მათ შორის, „გაუცხოვებულ ატორს“ — ფრედერიკ მეს რომანტიკოსობას ვერ დავაბრალდებთ.

თუ ზ. ნოდიაშვილ წერტილი კაცს საფიქრალს, ასე თუ ისე, მანაც აღუტრავს, ლ. ბრეგაძის სტატია ამ თვალსაზრისით მწარია. მას მონად დაუბანავს, რადგან არ უნდა დაუქდეს, „გაგაშტეტუნოს“ ზვენ და „გამართლოს“ ზ. დოჩინაშვილი და ზ. ხარანაული. მაგრამ „სამახაურს“ მათ ისე უწევს, რომ თავად ამცირებს ხუნებულ მწერლების ღირსებას, თუმცა ამას ვერც კი ხედებს.

აქვე უნდა დავძინოთ ისიც, რომ ეს წერილი ლოკურად არ არის შეტრული და უსისტემო ხასიათს ატარებს. ამიტომაც ჩვენს კომენტარებში უნდა დავხატოთ „უსისტემოდ“ წარმართის, რა ზღადა წინასწარვე ბოდიშს ვუბლით მკითხველს.

უპირველეს უყოფიან, კრიტიკის არ ახარებს ჩვენს შეხედულებას საანალიზო მოთბრობის ენის თაობაზე. მართლაც ზვენ გაკერიო შეეხებოთ ამ მოთბრობის ენას და აღვნიშნეთ მისი რაღე თავისებურებანი, უფრო მართებულად, „უცნაურობანი“, (იხ. 143-148).

მაგრამ თქვენ დარწმუნდებით, ბ. ივანე, რომ ჩემი შეცდომის გამართლება ნაწილობრივ მაინც ჩემი ნაბეჭდი დედნის მდგომარეობით შეიძლება. რამდენჯერ ნამიკითხავს და არ შემომჩნევია ის გაუგებარე, საეჭვო, ან პირდაპირ ცდომილებიანი ადგილები. რომლებიც ეხლა აღმოჩნდა. საზოგადოდ, ხშირად ვარ გაურკვეველ მდგომარეობაში, მაგრამ ფოსტის საშუალებით თქვენი აზრის შეტყობა ყოველ ცალკე შემთხვევაში, რა თქმა უნდა შეუძლებელია. მაგ. IV და V სს-ის იბერიის მეფეთა გვარდნობითი შტო არას გზით ტექსტში არ მოთავსდა, შესტამბები ჯოტობენ, ცალკე ტაბულად უნდა ნაივდესო და ვშიშობ, რომ ეს თქვენ არ მოგვჩონებთ. და სხვ. მრავალი. პირველ სტამბაში საქმე გააქიანურეს, მე მეგონა, ამ კვირაში გათავდებოდა, მაგრამ არ ხერხდება. დღეს ვნახე ს. ყაუზჩიშვილი, რამდენიმე დღის წინათ ჩამოსულა და ხვალ მიდის ისევ უკან, მაგრამ 25-ისათვის (აბა თვისა) დამპირდა რომ საბოლოოდ დაბრუნდება ტფილისში, ასე რომ შემდეგ ის იკისრებს და, რასაკვირველია, უფრო ნუსიერად გაუძღვება.

მე იმ კვირა ალბათ გავალ ტფილისიდან, ან აურამში, ან ქობულეთში. თუ ზღვაზე ნამოვდები, მაშინ რა თქმა უნდა, პირადად მოგახსენებთ ყველაფერს.

ბ. გიორგიმ ამას წინათ დაგვიძახა თავისთან, პროფ. იაკოველინი? ჩამოვიდა მასთან. ამბობს, რომ კონტაქტს დაჭერა უნდა ჩვენთან, რომ მოსკოველები გამოიწვლინ არიან პეტერბურგელებისაგან და სხვ. მოხდა შეთანხმება, რომ შემდგომით ეგა და ეირკოვი¹⁸ ჩამოვლენ ტფილისში და ნაიკითხვენ მთელ რიგს მოხსენებებისა ჩვენს საერთაშორისო საზოგადოებაში. დანერვილებით — პირადად.

გთხოვთ ღრმა პატივისცემით მომიკითხოთ ქბ. ანასტასია და ბავშვები.

მარად თქვენი ერთგული ს. ჯანაშვილი.

მინანერი:

ჩვენი შესტამბეები. — რაც არ უნდა ეცადონ. მაინც იმ სიხარულს ვერ გააფუჭებენ, რომ ჩვენს ღარიბს მწერლობას სულ მალე ასეთი დიდი წიგნი შეეძინება (თუმცა, ჩვენი



წყალობით, დამხინჯებული), — შემდეგ ბევრი სხვაც, ოღონდ თქვენ კარგად ბრძანდებოდეთ!

უფრო გვიანდელი მინანური:

ბ. ივანე, ეხლა შევიტყვე მხოლოდ, რომ განსვენებული დავითის შვილები წასულან ტფილისიდან, ასე რომ წერილი უნდა გამოგზავნოთ უნ-ტის კანცელარიაში ქბ. ელ. შექანარის სახელზე გადასაცემად. ს. ჯ.

1927. 16. VIII. ციხისძირითაჲს.

ძვირფასო ბ—ნო სიმონ!

დღეს თქვენი მესამე წერილი მომივიდა. დიდ მადლობას მოგახსენებთ, ყველა ცნობებისათვის. II ნიგნში შეპარული შეცდომების ფიქრი ნუ გაქვთ და მოსამადიდებელიც არაფერი გაქვთ. მე კარგად ვიცი, რამდენად ძნელია ჩვენ მესტამბელებთან საქმის მოწყობა და რა აუტანელი ტანჯვაა კორექტურების გასწორება, როდესაც ერთი შეცდომის გასწორების მაგიერ ასოთამწყობი კიდევ რამდენიმეს უმატებს ხოლმე. ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთი შრომა დაგანათ ჩემი ნიგნის გამო. იმ ფურცლის გადაბეჭდვა შეიძლება და ჩაკერება. დიპლომატიკაშიც ერთ ფურცელზე სომხური ტექსტი ისე დამახინჯებინათ, რომ მისი ხელმწიფრედ გადაბეჭდვა აუცილებელი გახდა და ისე ჩაკერდა, რომ არაფერი ეტყობა. ნინანდელთან შედარებით ეხლა უკეთა ვარ. მუშაობაც განვაახლე და დღემდე 4 საათს ვწერ ხოლმე. გულის სუსტი მუშაობა მხოლოდ დროგანმოსვებით არის ხოლმე ხანმოკლე დროის განმავლობაში საგრძნობი. თქვენ თუ ქობულეთში მოახერხებთ და გუნახავთ, ძალიან მოხარული ვიქნებით. ეს არის რომ ამ წვიმებმა გააწყალეს გული და ვაითუ აუდარმა თქვენ დაგიშალოთ მოსვენება. უნდა მაინც უეჭვლად დანსვენოთ და მოკეთდეთ. რაჟი ს. ყაუხჩიშვილი 28-ისათვის ჩამოვა ტფილისში, იმ დროისათვის II ნიგნის მთელ დედას საბოლოოდ გადაშინჯულს დავახვედრებ და ეგების ეს ნიგნიც დამთავრდეს. ამ თვის დამლევს უნდა „საქ—ლოს და კაკასიის საისტ. გეოგრ. და ეთნოგრაფიისა“ და „ს—ოს ეკონ. ისტორიის“ I ნიგნის ახალი გამოცემის დამზადებას შევეუდგე. ბევრი საფურცელიც საკითხებზე მინდა ბაასი თქვენთან, მაგრამ წერილში აბა რას დასწერს ადამიანი. ივანეთ კარგად და ბედნიერად. ჩვენები ყველანი გულითად საღამს გითვლიან. თქვენი მერაბ მოსიყვარული

ივ. ჯავახიშვილი.

ტფილისი, ანაკლიისკენ 19, 1927.

ღრმად პატივცემულო ბ—ნო ივანე!

დიდად ვწუხვარ. რომ ნამოსვლისას ვერ გინახულეთ (მე უკვე ერთი კვირაა, რაც ტფილისში ვარ): ვცადე, მაგრამ უგზოობის გამო ვერ მოვახერხე. გავიგე ისიც, როგორც გაჭირვების განცდით უპურობის გამო. სამწუხაროდ, ქობულეთშიც ისეთივე ამბავი იყო. პური რომ მემოვა თქვენთვის, მაშინ ფეხითაც ამოვიდოდი. ეხლა, იმედი გვაქვს, ეს უსიამოვნო გარემოება მოხსნილი იქნება; როგორც ამბობენ გზა გაიხსნა. ხომ არ უმოქმედნია ამ შემთხვეულებებს თქვენს გუნებაზე ან ჯანმრთელობაზე?

აქ ჩვეულებრივი მდგომარეობა გახლავთ: გამოცდები, როგორც საკურსო, ისე შესასვლელი. აუარებელი ხალხი მოაწყდა უნივერსიტეტს, მაგრამ მომზადება უფრო ნაკლები ვიდრე შარშან, ამბობენ. თქვენს საგნებში ქბ. თამარში და მე ვიბარებთ, ამან არ დაგაფიქროსთ, ეს ხდება ისეთივე წესით, როგორც წინა სემესტრებში.

საზოგადოება ჯერ არ ამოქმედებულია, თუმცა მოხსენებები უკვე შემოდის. მეტისმეტად მწვევად დგას საკითხი თავმჯდომარის ამხანაგის შესახებ: ვინ? მე სრულებით ვერაფერი ვერ მომისახარებია ამ საგნის შესახებ. ამას გარდა, მომავალი თვის (ოქტომბრის) 3-ს, საზ-ბას უსრულდება 20 წელი არსებობისა. ეს თარიღი, რატიქა უნდა, აღნიშნულ უნდა იქმნას, მაგრამ როგორ? სასურველია, ამბობენ. იმავე დღეს, მაგრამ უთქვენობა გვაბრკოლებს, — და ამისთვის რომ ჩამობრძანდეთ ტფილისში ეს სრულებით არ

გვინდა: თქვენ უნდა ოტტომბერეც მინდ გაატაროთ. იქნებ აინაზღაუროთ ეს საზღვარი-
დღეები (ვეჯლისხმობ ნეიმას). გადავდეთ?

გამოცემების შესახებ გწერდით ბ. სიმონი. უთუოდ უპასუხეთ უკვე. მეც ვფიქრობ,
რომ საქმის დასაჩქარებლად აჯობებდა „სამართლის“ მეორე ნიგნის დაბეჭდილი ნაწილი
გამოსულიყო ცალკე ნაკვეთად, მაგრამ თქვენ უკეთ მოგვხსენებთ.

ჩვენი გამოცემების მიჯნა გადატანილია 10/X-ამდის. არა მგონია მანამ ლექციები
დაიწყოს. ასე რომ, კიდევ რომ ორი კვირა დაიგვიანოთ, არაფერი დაშავდება.

გთხოვთ ღრმა პატივისცემით მომიკითხოთ ქბ. ანასტასია.

მარად თქვენი მორჩილი და ერთგული ს. ჯანაშია.

მანგლისი, მარიამოზისძის 7, 1928.

ღრმად პატივცემულო ძვირფასო ბ—ნო ივანე!

გავიგე, რომ თქვენ ისევ ტფილისში ბრძანდებით და დედად შეენუხდი. როგორ უძ-
ლებთ მაც სიცხეს? რუთო შეუძლებელი იყო ქალაქ გარეთ წასვლა, თუ ზღვაზე არა, სხვა-
გან მაინც? შარშან ისე კარგად მოგახდათ ციხისძირში ყოფნა. ეხლა უთუოდ მაინც
თქვენს ჩვეულებას არა პლალატობთ და ისევ ისე ბევრს ჰმუშაობთ. ქბ. დედათქვენი და
ქბ. ანასტასია ხომ კარგად ბრძანდებიან? ქბ. ანასტასია ბოლო ხანებში ძლიერ სწიოდა
და მათთვისაც ხომ აუცილებელი იყო პაერის გამოცემა. ეს ყველაფერი ძალიან არა სა-
სიამოვნო ამბავია. იქნებ კიდევ მოხერხდეს სადმე წასვლა? სასტამბო საქმეებისათვის
დაბრკოლება ან დაყოვნება ყოველ შემთხვევაში არ უნდა არსებობდეს. ბ. სიმონი მანდ
არის, მე სექტემბრის პირველ რიცხვებში ჩამოვალ, ჩვენ მოუვლით. სექტემბერი ზღვაზე
ძლიერ კარგი იქნება. იმ დროისათვის პურის საკითხიც, იმედი ვიქონიოთ, უფრო მოგ-
ვარებული იქნება. მე ვიცი, რამდენ რამესთან არის ეს დაკავშირებული თქვენთვის, მაგ-
რამ ეგებთ მაინც მოაწყობთ გამგზავრება!

მე არა მიშავს რა. საკმაოდ კარგად ვმუშაობ. მანგლისი ძალიან მომწონს. ჩემის აზ-
რით, როგორც დასასვენებელი ადგილი, ყველა ქართულ კურორტს სჯობს. როგორი ვრცე-
ლი ადგილი უჭირავს! საუცხოოა ალგეთის ხეობა და საზოგადოდ მთელი გარემო მეტად
ღამაზია. ტიპური ქართლის პეიზაჟია, ნახი, კეთილშობილი და თან ოდნავ სუფიანი.
მგონი ყოფილხართ აქ? ვნახე აქაური ტაძარი. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ნაჯიგჯ-
ნია ძველი და ახალი მოყვარეების მიერ, მაინც თავისი სიღამაზე შერჩენილი აქვს. ოღონდ
ეს არის, მოსახლეობა არ არის მთლად სასიამოვნო. მუდამ ლოთობა, ღრიალი და ეს
ყველაფერი უშნო. სანოვაცის შოვნად ჭირს, განსაკუთრებით პურისა: გათენებამდის დგე-
ბიან რიგში, და ზოგჯერ საქმაოს ვერა ჰშოულობენ. არ ვიცი, დიდხანს გაგრძელდება ასე
თუ არა.

მინდა გუდარები და სამშვილდე ვნახო, აგრეთვე კლდეკარი, თეძამის ხეობით გადა-
ვიდე გორის ხეობაში (რკონიც ხომ ამ გზაზეა). არ ვიცი. შევასრულებ თუ არა ჩემს გან-
ზრახვას. სხვას არაფერს შეუშინდები, თუ დრო გავიმეტე. პირველს ან ორს იმ თვისას
უკვე ტფილისში ვიქნები.

თავს აღარ შეგანყენთ. იმედი მაქვს, რომ ცოტა ხნით მაინც ნაბრძანდებით ტფილი-
სიდან და ზამთარში ისევ კარგად იქნებით, როგორც ნარსულ ზამთარს იყავით.

ღრმა პატივისცემით გთხოვთ მომიკითხოთ ქბ. ანასტასია და ყველა თქვენები. გული-
თად საღამოს მოგახსენებენ ბ. ივანეჟი და მისი ოჯახი. ვისურვებთ უპირობო და ხანგრძ-
ლივ ჯანმრთელობას! თქვენი კარგად ყოფნა ჩვენი უდიდესი სურვილია.

მუდამ თქვენი ერთგული ს. ჯანაშია.

ტფილისს, 1929. 22. III.

ძვირფასო ბ—ნო სიმონ!

ჩვენი სახლი ნამდვილ სააგადმყოფოდ იქცა: ყველანი გრიბით არიან ავად, გუშინ
მოსამსახურეც — კი ჩანდა ლოგინში. ერთად-ერთი მე ვუძალიანდები და ფეხზე მყოფი

ვიტან ამ საზიზღარ ავადმყოფობას. ყველაზე სუბუქად მე ვარ გრიპით შეპყრობილი. დღეს საზოგადოების კრებას ამ მიზეზის გამო ვერ დავესწრები და ჩემ მაგნიტ (თავმჯექი) დომარეობა ბ—ნ აკაკისა სთხოვეთ დღევანდელ სხდომაზე, ან თუ ის, ვითარცა მრმმსენებელი, ამას არ მოისურვებს, ს. ყაუხჩიშვილს.

თქვენი მოსიყვარულე იმ. ჯანაშიაშვილი.

ტფილისი, 1. VIII. 1929.

ღრმად პატივცემულო ბ—ნო ივანი!

ენუხეარ, რომ უკანასკნელად ვერ გეახელით. ისეთი საქმეები მქონდა, რომ ვერ მოვახერხე შემოსვლა. ამ დღეებში მივდივარ ყაბარდოში. ცოტაოდენი ფული მიიღო საენათმეცნიერო საზ—ბამ და მიიღა ეს აგვისტო მოგზაურობას მოვანდომო. მსურს ორი კვირა ყაბარდოლებთან გავატარო, დანარჩენი — ბათალ-ბაშინსკის რაიონში და ქისტეთში. თუ მოვახერხებ, განზრახვა მაქვს დაღისტნისაკენაც გავიარო, ზოგიერთი სპეციალური საკითხების დასამუშავებლად. (ხუნძურზე სამუშაოდ მიდის არნ. ჩიქობავა). არ ვიცი, როგორ მოენყობა ეს მოგზაურობა. მე იქ არსად არც ერთი ნაცნობი არა მყავს. ტფილისში უკანასკნელ ხანებში მეტად ცხელოდა და ერთ კვირაზე მეტი იქნება, რაც საკმაოდ ცუდად ეგრძნობ თავს. მუშაობაც შემიფერხბდა.

თქვენ როგორ—ღა ბრძანდებით? გადმომცეს, თითქოს მანდაური პირობები არ მოგნონთ. ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ამ ზაფხულს კარგად ვერ დაისვენებთ.

გთხოვთ ღრმა პატივისცემით მომიკითხოთ ქბ. ანსტასია, და საღამო გადასცეთ ქბ. ნათელას, კახას, ლალის.²²

დედაჩემიც დიდი პატივისცემით მოგიკითხავთ მუდამ თქვენი ერთგული ს. ჯანაშია.

P. S. მბატივთ კადნიერებისათვის, იქნებ შემთხვევით დ. გულიამ შემოიაროს, — მე სამწუხაროდ მისი მისამართი არა მაქვს, — მისი ვაჟის საქმე, მე მგონი მოგვარებულია. ბ. გიორგი ელაპარაკა კანდედას²³ და პირობა მიიღო, რომ მოაწყობენ.

ს.ჯ.

პროკოპიძისგან, 1929. 12. VIII.

ძვირფასო ბ—ნო სიმონ!

თქვენმა წერილმა ძალიან გამახარა, მეტადრე რაკი თქვენი ყაბარდოში გამგზავრება მოხერხდა. სამეცნიერო მიზნითაც კარგია და ყაბარდოს დედაქალაქი იმდენად მაღლობ და ლამაზ ადგილად არის ცნობილი, რომ ეგონებ სააგარაკოდაც გამოდგება. ამის წყალობით ფიზიკურადაც, იმედია, დაისვენებთ, სუფთა ჰაერსაც ჩაჰყლაპავთ და ტფილისის პაპანაქებასაც თავს დააღწევთ. სამწუხაროა, რომ ასე ცოტა ფული გრგვბიათ. ამიტომ სჯობია ჯერჯერობით მარტო ყაბარდოთი დაკმაყოფილდეთ. დროც ცოტა—ღა დაგრჩათ და ფულის სიმციროს გამოც აჩქარება მოგიხდებათ. უხლა, მგზავრობის ხარჯები საგრძნობლად შეამცირებენ თქვენ ქონებრივ სახსარს და ეს გარემოებაც თქვენი მუშაობის დროს უნებლიეთ შემოკლებს. ორკვირულ დაკვირვებაზე დამყარება ახალ ენოვანი მასალის შესწავლისა და კვლევა—ძიების დროს არც სასურველია და სახიფათოდ გახლავთ. ასეთი აჩქარებული მუშაობითგან შევიდრი არაფერი გამოდის და ჩვენ ამ გზას ვერ ავყვებით: ჩვენი მუშაობა საფუძვლიანსა და საკმაოდ ხანგრძლივ შესწავლის პრინციპზე უნდა იყოს დამყარებული. უნდა ეცადოთ, რომ ყაბარდოულის ძირითადი აგებულება შესაძლებელი სიღრმით შესწავლოთ. ყაბარდოულის წარსულში განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, მის შესწავლას მეთი ყურადღებაც უნდა მიექცეს. ამ სამოსწავლო წლის განმავლობაში მიიღა ფაკულტეტში წინადადება შევიტანო, რომ აბხაზურის გარდა ჩვენ ფ—ტზე ჩერქეზულთა და ყაბარდოულის ენისა და ეთნოლოგრაფიის კურსი შემოღებული ყოფილიყო. ეს საგანი შემდეგში თანდათანობით გაფართოვდება და აბხაზ-

ჩერქეზულ შედარებით გრამატიკადა და ეთნოლოგიადა იქცევა. ამით განხორციელებული იქმნება იმ მიზნისა და მეცნიერული მოვალეობის ერთი ნაწილთაგანი, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტს დაარსებითგანვე დასახული აქვს, რომ კავკასიისმცოდნეობის ცენტრად იქცეს. ამ საგნის გაძლიერება ბუნებრივად თქვენ უნდა მოგენდოთ. ამიტომ ხანგრძლივი, გაღრმავებული შესწავლა ემზობინება და მეტ შედეგსაც მოგვეცემს. ჩემ ნატურასაც მოგახსენებდით: სასურველია თანამედროვე ცოცხალი ენის შემსწავლელმა და მკვლევარმა ენა იმდენად შეითვისოს, რომ ამ ენაზე საუბარი შეეძლოს და უთარჯიმნოდ ანარმოსს კვლევა-ძიება. უცხო ენის დახმარებით ნაწარმოები დაკვირვება, რა თქმა უნდა, უშუალო დაკვირვებას ვერას დროსა და ვერას გზით ვერ შეედრება. ასეთი მუშაობის დროს ბევრი რამ შეუძენველი რჩება, ხშირად ამ ენისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი და თავისუბური. დედაენაზე მოსაუბრე მკვლევარს მეტი ნდობაც ექმნება ყოველთვის დამახსურებელი და მუშაობაშიც, რასაკვირველია, უფრო ხელშემწყობი პირობები ექმნება. ესაა, თქვენ იცით, როგორც გადასწყვეტთ ამ საკითხს. — პირადად მე ამგაზად უკეთ ვარ. 3 დღის დასვენების შემდგომ წინანდებურად სამეცნიერო მუშაობას შევუდექი და „საქართ. ეკონომიურ ისტორია“-ს ვაქსებ და ვამზადებ დასაბუქდად. ბექა და ძალიან ნელა მიმდინარეობს: მხოლოდ ერთი თაბახია ჯერ დაბეჭდილი, ერთიც უნდა დაებეჭდათ, შესამე თაბახი, ვგონებ, აწყობილი უნდა პქონდეთ, მაგრამ ჯერ არ გამოუგზავნიათ ჩემთვის. მარტო წყაროების შესახებ ჯერ კიდევ 3-4 თაბახია ასანწყობი და საქმე გვიანდება. სტამბამ შენაკვეთი ხელში ჩაიგდო და აღარ ეჩქარება. ნოემბრის დამლევისათვის — კი ნიგნი უნდა გამოვიდეს: ასეთი პირობაა სტამბის მიერ ხელმოწერილი. აღმათ ბოლოს მომყარებან პანტასავით აწყობილ ტექსტს.

ამ წერილს ტფილისში გიგზავნით იმ იმედით, რომ იქითგან ყაბარდოში მიიღებთ. იყავით ჯანმრთელად და ბედნიერად.

თქვენი დავალება ავასრულე და დ. გულიას სასიხარულო ამბავი ვაცნობე. ხვალ ტფილისში მიდის და მე ვატან წერილს ნ. მუსხელიშვილთან. აბა თქვენ იცით როგორც თქვენი კვლევა-ძიებით გაგვახარებთ, მარად თქვენი ბედნიერების მონატრული

ივ. ჯავახიშვილი.

არაპი გორაკოში, შრომის ძ. 12, არს. ივ. ჯავახიშვილი.

ტფილისი, 16. IX. 1930.

ძვირფასო ბ—ნი ივანე!

ღრმა სიყვარულით და პატივისცემით მოგვიკითხავთ და გისურვებთ ჯანმრთელობას, — თქვენი ჯანმრთელობა არა მარტო ჩვენის საერთო საქმის წარმატების, არამედ პირადად ჩვენის მხნეობის საწინდარია.

გუშინვე ვიყავი უნ-ტში. საქმეთა ვითარება გარეგნულად არ გამოცვლილა. არც არსებითად უნდა გამოცვლილიყოს რამე იმასთან შედარებით, რაც ორი კვირის წინათ ენახე აქ. ვასაუბრე ჩვენს დეკანს, რომელმაც მითხრა, რომ ჩვენის კათედრის თანამშრომელთა ის შემადგენლობა, მე რომ მოგახსენებდით, ისევე რჩება და ახალს ლექტორს თითქოს არა მარტო ეკონომიურს, არამედ ჩვენს განხრახედაც ექნება კურსები. ხელები კარგად უფათურებია და თავისი ჩვეულებრივი ინტრიგაც უწარმოებიაო, სწორედ ამ ლექსით მოგახსენათ. ბ—ნი გიორგი²⁴ კი ისევე ოპტიმისტურ გუნებაზეა. არ ეცივ მისი გარნობა გამართლდება თუ არა. მე ძალიან შეძნელება სხვა პირებთან საუბარი ამ საქმეების გამო, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით არავისთვის არ მიმიმართავს. სიმონ ყაუხჩიშვილი ტფილისში არ არის, არც გ. ახვლედიანი, ქბ. თამარი და ნიკო ბერძენიშვილი უკვე ჩამოვიდნენ თუ არა, ჯერ ვერ გავიგე (ძლით ვწერ, იქნებ დღეს კიდევ ვისმე შევხვდე). ლექციები, როგორც ჩანს, პირველამდის არ დაიწყება, შეიძლება უფრო გვიანაც ერთის სიტყვით, სასიამოვნო არც თუ ისე ბევრია. თქვენი გამოცდები, უთუოდ უკვე იცით, პირველამდის გადაუდვიათ. შეიძნელებაში დღეს დაიწყო მეცადინეობა, მაღალ საფეხურის სკოლაში კი (ტექნიკუმები და სხვ.) მდგომარეობა ისეთივე ყოფილა როგორც უმაღლ. სასწავლებლებში, არ იციან როდის შეუდგებიან მუშაობას.

გთხოვთ განსაკუთრებულს პატივისცემით მოგვიკითხოთ ქბ. ანატასია, ქბ. დედა მათი, ნათელა, თამარი²⁵ კახა, ლალი — ჩვენებისა და ჩემის სახელით. თქვენმა ჩვენთვის მუდამ ძვირფასმა ოჯახმა იმდენი ყურადღება და სიბოლო გამოიჩინა ჩვენდამი ამ

ზაფხულს (ისე როგორც მუდამ წინათაც), რომ ჩვეულებრივ მადლობის სიტყვებით მონათვა გვეუხერხებულა კიდევაც.²⁶

თქვენი ღრმად პატივისმცემელი და მარად ერთგული ს. ჯანაშია.

P. S. გთხოვთ სულგრძელად მაპატიოთ ამ ბარათის გარეგნობისათვის. საჩქაროდ ვერდი და გადაწერასაც ვერ ვასწრებ.

ეხლა დაბრუნდა სკოლიდან ჩვენი ბავშვი (შვიდწლედშია).²⁷ უთქვამთ, რომ 21-მდის სწავლა არ იქნებო, და შეიძლება მაშინაც არ დაიწყოს.

ერთმა ჩემმა მოყვარემ, რომელიც განათლების განყოფილებაში მსახურობს, მითხრა, რომ ტენიკულებშიც ალბათ პირველ ოქტომბრამდის არ დაიწყებო. ასე რომ კახას, მე მგონი, ვერ ასაჩქარებელი არაფერი აქვს. აქ ისეთი სიგრილე დაგვხვდა, რომ ვგონებ ბორჯომშიც არ ეგრილება ეხლა ეგრე. დღეს წვიმს კიდევაც და ისეთი დღეა, თითქოს შემოდგომის მიწურული იყოს. თუ დაუშვამტებთ, რომ სურსათ-სანოვანის მხრივაც აქ სახარბიელო არაფერია, დაგვეთანხმებით, რომ ამ თვის ბოლომდის ტფილისში ჩამოსვლა არ ღირს. თუ მაინცდამაინც საჭიროდ დაინახოთ, კათედრის საქმეების გამო, შეიძლება ერთის დღით ჩამობრძანდეთ. ჩვენი სასწავლო ნაწილის გამგე უკვე დაბრუნებულია, როგორც ბ. გიორგიმ მითხრა.

22. IX. 1930.

ძვირფასო ბ—ნო ივანე!

ამ წერილს საჩქაროდ გწერთ უნ-ტში. დღეს შვილედ უწყება (და პირადადც მაცნობეს), რომ კათედრამ უნდა წარადგინოს ცნობები დღეებისა, საათებისა და საჭირო სახელმძღვანელოთა შესახებ 26-მდის. ამასთანავე მომხდარა კურსების ერთგვარი გადაჯგუფებაც (კერძოდ, ისტ. დარგზე კურსი საქ. ისტორიისა მე-XVII-XVIII სს. შეუერთებით წინა კურსისათვის, ასე რომ რჩება ძველი დაყოფა). საჭიროა მონვეულ იქმნას კათედრის სხდომა, რომელიც, ფიქრობ, უთქვენოდ ვერ შედგება. ამიტომ, თუმცა ძალიან გვეძნელება თქვენი შეწუხება, მაგრამ საქმის გულისათვის ვებედავ თქვენთვის ამ ამბის შეტყობინებას: თუ 25-ს საღამოს, ან 26-ს დღით ჩამობრძანდებით, სხდომას სახელდახელოდ მოვიწვევთ (ქბ. თამარი და ნიკო აქ არიან).

კახას ავადმყოფობა გავიგეთ და ძალიან შეგვაწუხა. იმედი გვაქვს, რომ ეხლა უკეთ არის.

უგულითადესი საღამო თქვენ ღრმად პატივცემულ ოჯახს.

მაპატიეთ, რომ ასეთ ქაღალდის ნაკლეჯზე გწერთ.

მუდამ თქვენი ერთგული ს. ჯანაშია.

ბორჯომი, 1930. 30. IX.

ჩემო ძვირფასო ბ—ნო სიმონ!

თქვენმა წერილმა ყველანი გაგვახარა, რომ მშვიდობით მისულხართ ტფილისში. მხოლოდ ამოდენა მადლობისათვის თქვენცა და თქვენი მეუღლე, ქ-ნი მართა, ტყუილად სწუხდებოდით. ეხლანდელ დროში ადამიანს რა ყურადღების გამოჩენა შეუძლიან, რომე სურდეს, რომ სალაპარაკოდ ღირდეს. ჩვენთვის სრულებით ბუნებრივია, რომ მახლობელსა და ძვირფასს ყურადღებით მოგვეყროთ. ამიტომ ამაზე საუბარს თავი დავანებოთ და საზოგადო ჩვენს საქმეებზე ვიმსჯელოთ, თუმცა წერილში ამაზე ლაპარაკს პირისპირ საუბარი სჯობია. რამდენიმე დღის შემდგომ ჩვენც ეიყრებით აქეთგან და ტფილისში მოვიდეთ: მაშინ მოვილაპარაკებთ დაწერილებით ახალი ლექტორისა და ახალი დანესტრულების შესახებ. უკანასკნელ დროს ძილი გამოიტყდა: ფიქრები მოსვენებას არ მძღვეს. ერთი აზრი მომივიდა, რომელსაც ჩამოსვლისთანავე გაგიზიარებთ. მე ვერ კიდევ საქმის კეთილად მოგვარების იმედი არ დამიკარგავს. ფიზიკურად თანდათან ცოტოტა უკეთობა მეტყობა, მუშაობაც განვაახლე და ამ დღეებში ერთი ძირითადი პრობლემის, გვონებ, საბოლოოდ გამოორკვევა შეეძლება: „ქ—ლი ერის ისტორიის“ შესავალი წიგნის უმნი-

შენილოვანსი საკითხთაგანია. მაგრამ უკვე გამომგზავრების სამზადისი დაგვეწყო და განახლებული მუშაობის ისევ შეწყვეტა მიხდება. მალე გნახავთ და მოსალაპარაკებულ ბლომად გვექმნება. ესლა თქვენი ფესხაცმლისა და პალტოს მტერი ჩარლიც უკვე ვარაი აშია ექსორია ქმნილი და ეს შიშიც თავითგან მოცილებული გვექმნება ყველას. დედა თქვენს, თუ ჩამობრძანდა, თქვენ შეუღლეს ქ-ნ მართას და თქვენ ყველა ჩვენებისგან გულითადი სალამი მარად თქვენი მოსიყვარულე

ივ. ჯავახიშვილი.

P. S. ორი დღეა, რაც ნეიმს და ატალახებულა, აქამდის მშვენიერი დარი იყო.

ივ. ჯ.

დოც. ს. ჯანაშიას

რაიკ დღევანდელ სხდომაზე დასწრება არ შემოძლიან, ვთხოვთ საქ. ისტ. კათედრის სხდომას თავმჯდომარეობა ჩემ მადიერ იყისროთ.

საქ. ისტ. კათედრის გამგე პროფ. ივ. ჯავახიშვილი.

1931. 6. 12. IV.

1937 19. VI.

დ—დ პატივცემულო ბ—ნო სიმონ!

ვაბრუნებ ხელმოწერილს ყველა ქაღალდებს, მაგრამ უნდა მოგახსენიოთ, რომ ჩემი რწმენით ზოგიერთი რამე შესაცვლელი იყო როგორც ჩემს შესახებ დანერილს მოხსენებაში, ისევე აკ. შანიძის ავტობიოგრაფიაში, მაგრამ, რომ არ დაგვიანდეს, ალარაფერს გწერთ ამაზე. სჯობდა — კი რომ უამადგილებოდ ნასულიყო ქაღალდები.

თქვენი ივ. ჯავახიშვილი.

მოსკოვს 1938. 24. IX.

დ—დ პატივცემულო

ბ—ნო სიმონ!

მშვიდობით ჩამოვიდით მოსკოვში და კარგად ვიმგზავრეთ. კიდევ კარგია, რომ მან-დეთგან მონერილობის წყალობით და დეპუტატის მონრობის დახმარებით, საქ. წარმომა-დგენლობის მოხელე დაგვიხვდა სადგურზე ავტომობილით და სასტ. „მოსკოვ“-ში ოთახი ძალიან კარგი, მოგვეცა. თორემ აქ უამისოდ მონყობა მეტად ძნელი ყოფილა. ნამოსე-ლის წინა დღეებში ფეცა-ფეცში ვერ შევამჩნიე, რომ ჩემ წიგნში კიდევ ყოფილა უსიამოვ-ნო შეცდომები, რომელთა გასწორებაა აუცილებლად საჭირო. ამიტომ ვთხოვთ ჩემ ჩა-მოსვლამდე წიგნს ნულა დაურკივებთ, საბჭ. კავშირში თუ უცხოეთში ვერ ნუ გაგზავნით და გასაყიდადაც ნუ გამოუშვებთ. ამ დღეებში ვეცდები მთელი წიგნის გადამინჯვას და გასასწორებელ ადგილებს აღვნიშნავ. დღეს დასვენების დღეა და ტყუილად დამეპარგება დრო: ვერავის ვნახავ და ვერას გავიგებ. 2 ოქტომბერს ნამოსვლას ვაპირებთ უქვევლად, თუ განსაკუთრებულმა გარემოებამ არ დამაყოვნა. ჩემისთანა ავადმყოფისათვის ძნელი ყოფილა მგზავრობაც და უცხო ქალაქშიც ყოფნა: ჩვენს სწრაფ მატარებელს არც რესტორანი და არც ბუფეტი არ უქონდა. ამიტომ უნდა იმ მარაგით დავამყოფილებულიყავ, რაც ტფილისითგან წამოვიღეთ. აქ, ამ მშვენიერსა და საუცხოვოდ მონყობილს სასტუმროში ცოცხ საუზმე კი არის (რომელთაგან უმრავლესობა არ მექმნება), სასადილო კი არაა და ამის გამო სამკურნალო კვების სასადილოში გვიხდება სიარული, რომელიც საკმაოდ მო-შორებულია და თანაც იმდენად პატარაა, რომ ხალხი შიგნითაც და გარეთ ქუჩაშიც რი-გში დგას. ჩვენც 1 1/2 ს. დაგვეკარგა გარეთ და შიგნით ვერში დგომაში. თურმე შინაც იძლევიან ამ სადილებს და უნდა იქით მოვატანიოთ. სადილები კარგია და ძვირი არ არის. ვგონებ ნერილის გათავების დროა, კარგად ბრძანდებოდათ. დიდ მადლობას მოგახსენებთ ყოველგვარი მზრუნველობისათვის. გულითადი მოკითხვა თქვენებს, ვ. მაჭავარიანს, 28

ინსტ. საბჭოს წევრებს და დიდი მადლობა ეუკუყვ. 29 მარად თქვენი მოსიყვარულე იმ ჯანაშიაში.

სამწუხაროდ, ელექტ. მშრალი ელემენტი ჯერ ვერც აქ ვიშოვეთ. ზიზლირთქსა

დიდად პატივცემულო

ბ—ნო ივანე!

გთხოვთ მაპატიოთ ამ კადნიერებისათვის, რომ მინდა თქვენი საშუალებით [გადავცე] კბ მარიამ ვახტანგის ასულსა! ეს [წიგნი]⁵² სარედაქციოდ (თვითონ ასე გვიბრძანა ტილე) ფონით. ვერავინ ამ ჩუბინაშე[ილის] ტექსტს ვერ მოერია.

გთხოვთ სულგრძელად გვაპატიოთ!

ამ შენუხებისათვის.

მუდამ თქვენი პატივისცემელი!

ს. ჯანაშია.

15. III. 1939.

ბ—ნო სიმონ!

უგმაჯურიძემ³⁴ მომიტანა ისეთივე მონეროლობა, როგორც თქვენ მოგსვლიათ, მაგრამ რაკი უზღა ორივეს გვაქვს ცალცალკე მონეროლობა, ამიტომ ან უნდა ერთად შევიკრიბნეთ გამოსადედად, ანდა, რაკი მას თქვენთან აქვს კურსი მოსმენილი, იმ პროგრამით, რომელიც მაშინ იყო და რომელიც ჩემთვის უცნობია, სჯობია თქვენ გამოსცადოთ და თქვენს ფურცელს მეც მოეანერ ხელს.

თქვენი ივანე ჯანაშიაში.

შენიშვნები:

1. ალბათ, დავით კარიჭაშვილს.
2. ამ დროს (1925-1933 წწ.) ს. ჯანაშია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სწავლული მდივანი იყო და ამიტომ ატყობინებდა თავის გადაწყვეტილებას იქ ჩავახიშვილი...!
3. თეოდორე ყიფნე — ფოტოგრაფი, საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების საფოტოგრაფიო მხარის გამგებელი.
4. როგორც ჩანს, იგულისხმება მასალების გამზადება ივ. ჯავახიშვილის „ქართული პალეოგრაფიისათვის“, რომელიც 1926 წ. დაიბეჭდა.
5. აქ ლაპარაკია საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების წესდებაზე.
6. წერტილი შემონახულია ს. ჯანაშიას არქივში. ცხადი არაა, იგი რაიმე მიზეზით არ გავგზავნა ადრესატს (აკი ავტორი წერს, ავტრუ კაცი ვიშოვე, რომ გამოგვგზავნა“-ო), თუ შავია წერტილია, რომელიც გავგზავნა ივ. ჯავახიშვილს, მაგრამ მი, არქივში არ შემოინახა. ს. ჯანაშიას უკვლეა სხვა წერტილი ინახება ხელნ. ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის ფონდში № 2778—2787. ||
7. იასონ ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო ბანკის მმართველი, აღნიშნული საზოგადოების სატვიზიო კომისიის წევრი.
8. აკაკი შანიძე.
9. იროდიონ სონდუღაშვილი, საქართველოს სიძველეთმცოდნე, იმ ხანად საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების მუზეუმის გამგის თანაშემწე და საზოგადოების მოღარე.

10. ჩანს, ლაპარაკია ივ. ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველ წიგნზე.
11. აქ, ეტყობა, იგულისხმება „ქართული სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნი.
12. ალბათ გიორგი ახვლედიანი იგულისხმება.
13. გ. ათანელიშვილი — გამომცემლობის თანამშრომელი.
14. უთუოდ სიმონ ყაუხჩიშვილი.
15. ივანე ჯავახიშვილის მეუღლე.
16. არილდ ჩიქობავა.
- 17.-18. ნ. ფ. იაკოვლევი და ლ. ი. ჟიაკოვი, რუსი ენათმეცნიერები, იბერიულ-კავკასიურ ენებზე მომუშავენი.
- 19 ჩანს, იგულისხმება ივ. ჯავახიშვილის წიგნი „ქართული დიპლომატიკა“.
20. თამარ ლომოური, ისტორიკოსი და ნუმისმატი, ნიკო ლომოურის შვილი.
21. ივანე თიქანაძე, ცნობილი ექიმი, პროფესორი, ს. ჯანაშიას ახლო ნათესავი. იმ წელს ს. ჯანაშია მის ოჯახში ისვენებდა მანგლისში.
22. ივანე ჯავახიშვილის შვილები.
23. ალბათ დ. კანდელაკი, მაშინდელი სახალხო განათლების კომისარია.
24. ალბათ გიორგი ჩიტაია.
25. თამარიკო — თამარ კიტას ასული აბაშიძე, ივ. ჯავახიშვილის მეუღლის დისწული.
26. 1930 წელს, ზაფხულში ს. ჯანაშიამ შეირთო ცოლი და ორი კვირით ბორჯომში წავიდა. იქ ამ დროს ისვენებდა ივ. ჯავახიშვილი ოჯახით, რომელიც გულითადად შეხვდა თავის მოწაფეს.
27. ალბათ ს. ჯანაშიას ბიძაშვილი ნინო, რომელიც იმ დროს სკოლის მოწაფე იყო.
28. ელადიმერ შაჰავარიანი, ცნობილი ჟურნალისტი, იმ ხანად ნ. შარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიშკი-ს) სწავლული მდივანი.
29. გრ. გ. ფეკოვი, ენიშკის სამეურნეო ნაწილის გამგე.
30. წერილი ორად ყოფილა გადაკეცილი. გადაწვევა მარჯვენა მხარე მოხვეია და დაკარგულა. აღდგენილია ჩვენს მიერ.
31. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაყერ-ორბელიანი, ცნობილი ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე, ივ. ჯავახიშვილის მეუღლის აღმზრდელი შამიდა.
32. საფიქრებელია, იგულისხმება გ. ჩუბინაშვილის წიგნი.
33. წერილს თარიღი არა აქვს. ხელის მიხედვით 30-იანი წლების დასაწყისისაა.
34. როგორც ტექსტიდან ჩანს, უქმარყოფი იქნა ყოფილიყო სტუდენტა, რომელსაც ჩასაბარებელი ჰქონია საგანი.

3578 კიხნაძე

საქართველოს ისტორიის ევროპული ფეოდალიზმი

ამ წერილში გვინდა განვიხილოთ საქართველოს ისტორიის XIV საუკუნის რამდენიმე უძველესი ევროპული წყარო.

პირველ რიგში უნდა შევეხოთ გიორგი V ბრწყინვალის (1288-1298) წერილს საფრანგეთის მეფის ფილიპე VI ვალუასადმი (1288-1298). ეს წერილი ფრანცისკანელთა არქივის პუბლიკაციისას დაბეჭდა ქ. ვოლუბოვიჩმა 1906-1927 წ. წ. ჩვენ კი, როგორც აღვნიშნავთ, აღნიშნული წერილის ვიწრომხედობით ფრანგი ავტორის ეს ჩივილის შრომის მიხედვით, ამჟამად უშუალოდ გავიცანით პირველწყაროს, ე. ი. ქ. ვოლუბოვიჩის (კარდინალ იერონიმეს) პუბლიკაციას. ეს წყარო მეტად საუფრადღებო აღმოჩნდა და ბევრ დამატებით, მნიშვნელოვან დეტალს შეეძა. ამის გამო, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია მთლიანად მოვიყვანოთ წიგნის ის ადგილი, რომელიც ამ უაღრესად საინტერესო წერილს და მისი დაწერის ვითარებას შეეხება:

„1282-88 — საფრანგეთი, სპარსეთი და საქართველო.

ფილიპე VI ვალუა თავრის ფრანცისკანელებს უშაქვლად აგზავნის სპარსეთის იმპერატორთან და საქართველოს მეფესთან სარკინოთა წინააღმდეგ ომში მოსაწყევად.

მე აღვნიშნავ მოლაპარაკებებს, რომელიც მეფე ფილიპე VI ვალუა დაიწყო 1281-88 წ. წ. ევროპის მოაზრებთან და საგანგებოდ ვენეციასთან, რათა შედეგადად წარსინდოთ ლაშქრობის პროექტი ეგვიპტის სულთანს წინააღმდეგ. აქამდე წარსინდული ლაშქრობის შემართანა უკუღმებულად წინააღმდეგ მეტად ღირებული (ამ მოკვლევების) თანადროულ ფრანგულ წყაროებს, როგორცაც წარმოადგენს პირადად ფილიპე მეფის ძვირფასი, წერილი-

ბი. თავრის ფრანცისკანელთა შრომების საშუალებით ჩვენ ვაკლევთ მის (ფილიპე VI) მოლაპარაკებებს, სპარსეთის იმპერატორთან და საქართველოს ქრისტან მეფესთან, რომლის მიზანი იყო დაეთანხმებინა ისინი, კავშირი შეეტანათ სპარსეთ მტრის, ეგვიპტის სულთანს წინააღმდეგ.

ამრიგად, ერთი ფრანგი მისიონერის (რომლის სახითაც შეიძლება რიკარდო მერჩერი ვიგულისხმობთ) საშუალებით, რომელიც გაემგზავრა სპარსეთში და აქ ჩავიდა 1282-88 წლებში, მეფე ფილიპე გზავნის თავის წერილს ფრანცისკანელთა პრიორთან (მთავართან, ვ. კ.) და ლათინთა მთავარ ვაჭრებთან თავრისში. მათ ევალდებოდათ დანიშნულ ადგილას იგი თვითონ გაეგზავნათ საჩუქრებითა და წერილით (იგი უნდა მიხუდოდა, ვ. კ.) სპარსეთის იმპერატორ ახუსიდ ბანთან და საქართველოს მეფესთან წინააღმდეგობით, რომ ეს მოაზრებები, თავის მხრივ, საშუალებას ეცავებოდა წინააღმდეგ მოახლოებულ ომში.

ფრანცისკანელთა პრიორმა და მთავარმა ვაჭრებმა მოიწყვეთ თათბირი, რათა საფრანგეთის მეფის სურვილები უფრო მოხერხებულად აღესრულებინათ. (მათ) გადაწყვიტეს, რომ არ იყო გონივრული ეს ყველაფერი შეეტყობინებინათ იმპერატორ ახუსიდ ბანისთვის და მიეწვიათ იგი, რადგან მათ (მონღოლებმა, ვ. კ.) ამას წინათ კავშირი ადგეს ეგვიპტის სულთანთან, ამიტომ, რომ ერთი და მეორეც აღმათ საფრთხეში იყო მეზობელი მტრებისაგან — თურქებისა და უზბეკებისა. პირიქით, (თავრის თათბირზე, ვ. კ.), გადაწყვიტეს, წერილი გაეგზავნათ საქართველოს ქრისტან მეფესთან — გიორგი V-სთან რომელსაც ბრწყინვალეს უწოდებდნენ (1282-



46). მისი რეზიდენცია იყო თბილისში და იგი დაშორებული იყო სპარსეთის მონღოლებს. საგან, იგი ძალიან კეთილგანწყობილი იყო საქართველოში მყოფი სპარსეთის ფრანცისკანელი და დონიკანელი მისიონერების მიმართ. ამრიგად, თავრიზის თახჩიზმა არჩია ორი ფრანცისკანელი — რიჟარდ მერჩერი (მერხი?) და ალექსანდრე ინგლისელი, რომელნიც გაგზავნეს ფილიპე მეფის წერილის წასადაგენად საქართველოს სამეფო კარზე. გიორგი V-მ ფრანცისკანელები თბილისში პატავით მიიღო ორი თვის მანძილზე და ღრმა გულმის. მერჩერი მოგვრდა საფრანგეთის მეფის წერილის დასაწყის ნაწილს. მაგრამ კეთილგანწყობილმა პასუხმა, რომელიც საქართველოს მეფემ გაატანა ლეგატებს, არასაბრძენი მიზნების გამო, საფრანგეთის მეფის კარამდე ვერ მიაღწია.

შემდეგ, ჯ. გოლუბოვიჩის მოკვს გიორგი V-ის წერილის ატლარია თარგმანი. ბოლოს კი ნათქვამია: „ახეთია მონაპირობი იმ ელჩისა, რომელმაც ვადაცა ეს (უველაფერი) მის თანამედროვე ფრანკ ავტორს, კორნიკონ 24, ვენერალოუსის (Ch ronicon 24 Generalium) შემდეგწილს“. ამას ერთვას ზემოთქმულის ძალიან მოკლედ გადმოცემი ლათინური ტექსტი გიორგი V-ის წერილითურთ.

ერთხელ კიდევ ვაჯიხნით ეს წერილი, თარგმანის ზოგიერთ მცირე დაზუსტებასთან ერთად:

„საფრანგეთის ლეთებრავი ხელმწიფენი სხინად აღძრავენ აღმოსავლეთის მეფეებს სარკონოზთა წინააღმდეგ (საბრძოლველად), მაგრამ (საქმე იმისა, რომ) შემდეგ იმის აღარ მოიხან, სტოვიტან რა (იორტვენ რა, მათ ც. ა. აღმოსავლეთის მეფეებს, ვ. კ.) ამ მტანყველ იმში (მართლდ).

ამგვარად, (გაბოვთ) თქვენ დაადგინით (გადაწყვიტოთ), როგორ და როდის ვადმოლაზავთ ზღვას და შეიხვე მეც (იქ) მიხალავთ, თქვენე კეთილი ნების შესაბამისად, 80 თახი ქარისკოთი“.

ამ პუბლიკაციის ბელოში ერთვის ავტორისებელი რამდენიმე შენიშვნა, რომელთაგან უველაზე მნიშვნელოვანია შემდეგია: „მემატიანე გადმოგვეცხს ამ ფაქტს, წერის გოლუბოვიჩი, დაბოლოებით 1882-83 წ.წ., ფილიპე VI ვალუას მეფობისას, გამოდის რა იმავე კორნიკონის 506 გვიის 7-ა პარაგრაფიდან და 508 გვერდის 8-ა პარაგრაფიდან. „კორნიკონის“ სხვა გამოქვეყნებებს კი, იგი არასწორად (514 გვერდის 9) გადააქვე ფილიპე III ესპანოვი (1270-1285 წ.წ.)... ამ შენიშვნიდან ვგებულობთ, რომ XIV ს. უცნობი ფრანგი ავტორის აღწერილი ეს ამბები გოლუბოვიჩამდეც გამოუცხათ; ჩანს, ჯ. გოლუბოვიჩი იცნობს როგორც ამ პუბლიკაციას, ასევე უშუალოდ პირველწა-

როს (ასახლებებს მის გვერდებს და პარაგრაფებს) და კარგად ერკვევა, აგრეთვე (იხილეთ) ოდის საერთო ხიტუაციაში. ასევე მნიშვნელოვანია ბოვიჩის მოწმობას დიდ მნიშვნელობა ენიჭება. მის აზრს უყოყმანოდ იზიარებს თანამედროვე ფრანგი ავტორი ეან რიჟიეს (1877 წ.) საერთოდ, ჯ. გოლუბოვიჩის კვლევის მნიშვნელობისა და სანდოობის შესახებ, საინტერესოდაა ნათქვამი მისი ხიტოკომანა შრომის — „მინდა და მიწისა და ფრანცისკანელი აღმოსავლეთის ბიო-ბიბლიოგრაფიული ბიბლიოთეკის“ II წიგნის წინასიტყვაობაში. იქ აღნიშნულია: „სამეცნიერო სახეობა, აღფრთოვანებით შევხება ამ შრომის I ტომს, რომელმაც კაშკაშა ხინათლით ვაასივოსნა ფრანცისკანელთა ისტორიის საუკუნე, აქამდე თითქმის უცნობი... აღფრთოვანებული ვარ (გოლუბოვიჩის, ვ. კ.) ფართო ერთდგილით, განსაზღვრული საგნის შესახებ მისი ღრმა ერთდგილითა და სწორი მსჯელობებით, ძვირფასი შენიშვნებით, იმ ზოგიერთი შრომის გააზრებული კრიტიკით, რომლებიც ფანტაზიებით სცოდნებენ და, აგრეთვე, პირველწაარსებაში ობიექტური მიდგომით. სწორედ ამ თვისებებით ბრწყინავს ეს შრომა“ და ამკენის წინასიტყვაობის ავტორი.

ჯ. გოლუბოვიჩის შრომის ჩვენ მიერ მოუვანილ მონაცემთა, აღნიშნული არ არის ჩანს ნათქვამს „კორნიკონი 24“ და საიდან იანგარიშება 1382/83 წ.წ. მაგრამ ამას ახსნა, ვუფრობთ. შესაძლებელია სრული დამაჩერებლობით.

როგორც უცნობლია, საფრანგეთის მისხანე მეფის ფილიპე IV დამაზის (1285-1314) კონფლიქტი რომის პაპთან—ღრმად მოხუცებულ ბონიფაციუს VIII-სთან (1284-1308 (ერისკაცობისას „ბენედიქტო გაეტანი) ფილიპე IV-ის სრული გამოჩრქვებით დამთავრდა. ფილიპე IV-ის დავალებით, მისმა ხალხმა, ნოვარენა და კოლონას მეთაურობით, ბონიფაციუსი ფიზიურად შეურაცხუო (კოლონამ მას რკინის ხელთათმანინი ხელი შემოარტვა სახეში), ამის მერე, პაპი მალე გარდაიცვალა. შემდეგ პაპი, ბენედიქტე XI (ნიკოლო პოკასინი) ხელ მცირე ხანს აყო რომის პაპის ტახტზე, 1304 წ. კი, ფილიპე IV-ის უშუალო ზეგავლენით, ჯ. ლიონში არჩეულ იქნა წარმოსობით ფრანგი — ბერტრან დე ვა, კლემენტ V, რომელმაც 1308/9 წლებში, რომის პაპების რეზიდენცია რომიდან, ჯ. ავინიონში გადაიტანა. ეს ქალაქი, რომელიც პარიზიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთით, 687 კილომეტრზე მდებარეობს, 1877 წლამდე არცხობდა პაპების რეზიდენციად. აქ, რომის პაპები საფრანგეთის მეფეთა აწარა გავლენაში იმყოფებოდნენ და ამიტომ ამ პერიოდს „ავინიონის ტყვეობა“ შერქვეა. ჩანს, ჩვენს სახუთის — კორნიკონი 24 ვენერალოუსის შემდეგწილი, XIV ს. ფრანგი მემატიანე თავის თხზულებაში ათვლის წერტილად იღებს

სწორედ რომის პაპთა რეზიდენციის ავინიონში გადატანის მომენტს. მაგრამ, რადგან თვით ეს წელი სხვადასხვა წყაროში ერთი წლის სხვაობით იხსენიება (1305-9), ამიტომაც ვიღებთ გოლუბოვიჩის მიერ დასახელებულ 1332/33 წ.წ. (1365/9 + 24 = 1382/83).

როგორც გოლუბოვიჩის პუბლიკაციიდან ჩანს, საქართველო-ეკრაიის ურთიერთობაში შუამავლების როლს ასრულებდნენ ფრანცისკანელები და დომინიკანელები. ეს კათოლიკური მიმდინარეობანი XIII საუკუნის დასაწყისში დააარსეს ფრანცისკანოელმა (ჩრდ. იტალია) და დომინიკანოელმა (ესპანეთი). სამონაწერო ორდენებად კი, ხსინი ცოტა მოგვიანებით ჩამოყალიბდნენ. ორივე ეს ორდენი თავის თავს „გლახაკთა და უპოვართა“ მიმდინარეობად მიიჩნევდა. 1284 წლისათვის ევროპაში, სულ ცოტა, 1100 ფრანცისკანული მონასტერი აღსრულებდა. ამ დროს ორდენს უკვე სრულიად დასრულებული იერარქიული სახე ჰქონდა და კარგად ჩანდა მისი წევრების ქონებრივი დიფერენციაცია. ორდენს სათავეში ედგა გენერალური მინისტრი, რომელსაც ემორჩილებოდნენ პროვინციის მინისტრები, რამდენიმე მონასტრის მეთაურები — კუბტორდინი და ბილის ცელკეული მონასტრის მეთაურები — გუარდიანები.

საქართველოში სამონასტროდ კისინი, დიდი რაოდენობით მოდგან XIV საუკუნეში, ჭერ 1307 წელს, შემდეგ კი 1318 წ. 7 სანტერესოა, რომ 1321 წელს ერთერთი ფრანცისკანული ტომით ქართველი — დემეტრე თხილიძელი, მონასტრული მოღვაწეობისათვის უწყალებით კიდევ ინდოეთში.⁶

დავებრუნდეთ იხვე ზემოთ მოყვანილ საბუთს. პირველ რიგში, საზვასმითაა აღსანიშნავი ის გარემოება, რომ ქ. გოლუბოვიჩი უწყალოდ და ვარკვევით აცხადებს, რომ 1332/33 წ.წ. გიორგი V ბრწყინვალე, მონაღვრებთანაა დადამოუკიდებელი იყო. ამ შემთხვევაში სანტერესო ის არის, რომ ქ. გოლუბოვიჩი 1910 წელს (მისი ნაშრომის III ტომის გამოცემის დროისთვის) ამ დაკვანამდე ვერ მივიღოდა ქართველ მკვლევართა გავლენით, რადგან იგი არ იცნობდა, შეიძლება ითქვას, არც ერთ ქართველ ავტორს. გამოკვლევისა მხოლოდ მ. თაბარაშვილის „ისტორიის“ ფრანგული ვარიანტი (გამოცემული რომში (1910 წ.), მაგრამ იქ მსკელობა სრულიად სხვა რიგის საკითხებზეა, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო საქართველო-მონღოლეთის ურთიერთობასთან. ამრიგად, გოლუბოვიჩი დასკვნებს დამოუკიდებლად აკეთებს, მხოლოდ მის მიერ დამოწმებული წყაროებიდან გამომდინარე. მის მიერ დამოწმებული წყარო კი, მართლაც, სრულიად გამოარცხავს სხვაგვარ აზრს. განა საფრანგეთის მეფე „წმინდა გიორგი“ ვახალაშქრებლად, ცალკე მიიწვევდა გიორგი V-ს, თუკი ის ანუხაიდ-ყაენის ვახალი იყო? ან-

და, გიორგი V მონღოლთა თანხმობის გარეშე შესძლებდა ასეთი დამოუკიდებელი ექტორის საგარეო პოლიტიკის წარმოებას? ექტორის შეიძლება ითქვას. ფილიპე VI-ისადმი ვაგუანოდ პასუხში (რომელიც, როგორც ჩანს, ეწილს ზეპირად დაცეპიან დახსოვნებულად, რადგან, წერილის დაცეპიანს მიუხედავად, ელჩმა სიტყვა-სიტყვით ჩაატანა საფრანგეთში გიორგი V-ის დანახარები) გიორგი V თავისუფალი ქარის რაოდენობის სრულიად კონკრეტულ ციფრსაც ახსენებს. თავისუფალს იმტორად აღწეწწავთ, რომ ასეთი შორებითაა ლაშქრობის დროს, ვაუანოდ ქარზე ერთობად მეტა მაინც უნდა დარჩენილიყო თვით საქართველოში.

ძალაან სანტერესოა ის ცნობაც, რომ თავარის თათბირზე არჩეული ელჩები — რაკარდო მერჩერი (მერსიე) და ალექსანდრე ინგლისელი გიორგი V-ის ორი თვის მანძილზე მიუღია პატივით თხილიძეში.

ამგვარად, ქ. გოლუბოვიჩის პუბლიკაცია, საქართველოს ისტორიისათვის საყურადღებო, ახალი პირველწყაროს მნიშვნელობას იქნის. აქვე დავძენთ, რომ ქ. გოლუბოვიჩის ზუთტომიან ნაშრომში, კიდევ არა ერთი სანტერესო და მნიშვნელოვანი ცნობის ამოკლება შეიძლება საქართველოს ისტორიის უფრო ადრეული და უფრო მოკვიანო პერიოდებისათვის. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია უშუალოდ ამ ფრანცისკანული არქივების გაცნობა და შესწავლა, რომლებსაც ქ. გოლუბოვიჩი ეყრდნობა.

შემდეგი ვათიარე დოკუმენტი 1335 წელს საქართველოს იტება. ეს, იტალიელი მოგზაურის იაკობ დე ვერონის ჩანაწერია; მან XIV ს. 20-იან წლებში მიმოიხილა იერუსალიმი და იქაური მონასტრები, მათ შორის ქართულიც.

მისი ჩანაწერი სანტერესოა ეთნოგრაფიული (ქართველთა ჩაცმულობის) თვალსაზრისითაც და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გიორგი V-ის ძლიერების ვერონაბული შეფასება. იგი, საქართველოს მეფის შესახებ ამბობს არა „ძლიერს“ არამედ „უძლიერესს“ (potentissimus). ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ თვითონ მოგზაური საქართველოში არ ყოფილა, მაგრამ, როგორც ჩანს, ხმა საქართველოს მეფის ძლიერების შესახებ მის საზღვრებს გარეთაც „განხდა“.

ამ რას წერდა იგი:

„ნუბილთა ეკლესიის მახლობლად (ქრისტის) საფლავთან, არის ქართველთა ეკლესიაც. ქართველებს სარკინოვნებათი აცვიათ, განსხვავება თავსაბურავშია, რადგან სარკინოვნებათიარ ქუდს ატარებენ, ე. ი. თეთრი ქსოვილი დიდი რაოდენობით მრავლად აქვთ შემოკრეფული, ქართველები კი, თავის მხრივ, შეე ქუდს იხურავენ. (იხინი) ბერძნულ ღვთისმახურებას ასრულებენ (ე. ი. მართლმადიდებლები არიან. ვ. კ.).“

საქართველო სათათრეთის მახლობლად მდებარე ქვეყანა, მათ ჰყოფ შედგ. მამაცი ვაჟაკები და ერთგული ქრისტიანები არიან...

პირველ უკვლახს, უნდა ვიყო დეო, რომ მოვლს ასურეთში, პალესტინაში, ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე, ბევრი ქრისტიანი სულთნის მძლავრობის ქვეშ იმყოფება. (ისინი) სულთნის სასარგებლოდ უკველმდიოდრად მრავალ და მრავალ ათას ზარკს იხდიან...

ქართველები ეწოდებოთ იმათ, ვინც საქართველოს ქვეყანაში ცხოვრობენ... (ეს ქვეყანა) სათათრეთის მომიჯნავეა, მათი მეფე უძლიერესია. ისინი ერთგული ქრისტიანები არიან, მაგრამ არ აწინიშობენ ზიარებას უსაფუფრო პურათ, ახვევი არც ქრისტეს სხეულით ზიარონებებს, არამედ (ღვთისმშობურებაში) ბერძნულ წესს მისდევენ...¹¹

მართალია, ქართველთა ჩამოშლდობის აღწერილობა საქმად ზოგადია, მაგრამ ზუსტად არის განსაზღვრული რიგი დეტალი, მავალიად, საკინოვთა თავსაბურავის აღწერილობა. გაუგებარა რატომ მიანია ავტორს, რომ ქართველები არ აწინიშობდნენ ზიარებას და მირონებებს, ერთადერთი ახსნა ის შეიძლება იყოს, რომ მართლმორწმუნე კათოლიკე პილიგნობი არ სცნობს მართლმადიდებელურ წესებს.

საუბრადადებოა ისიც, რომ სულთნისათვის ზარკის გადასახდელ ქვეყნებს შორის საქართველო დასახელებული არ არის.

განვიხილოთ კიდევ ერთი ლათინური სახუთი, რომელიც უცნობაა ქართული ისტორიოგრაფიისათვის. ეს არის მარინო სანუტო უფროსის პირალი. ფაქტობრივად, საქმე ვაჟებს ორ წერილთან — 1880 წ. 10 აპრილისა და 1884 წ. 13 ოქტომბრის, მაგრამ ცნობა საქართველოს შესახებ ორივეგან თითქმის სატყუარსიტყვით შეორდება. პირველი მათგანი მიმართულია ოსტონისა და ველეტრის¹⁰ ეპისკოპოსის ბერტრანისადმი, მეორე კი საერაწვეთის მეთის ფილიპე VI-დმი.

სანამ უშუალოდ ამ სახუთებს შევხებოდეთ, რამდენიმე სიტყვით ვავეცნოთ მათი ავტორის ვინაობასა და ბიოგრაფიას. საერთოდ, სანუტო უფროსის შესახებ ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი და ისიც ძირითადად მისი საქუთარი წიგნიდან და წერტილებიდან.

მარინო სანუტო, საპატიო ზედწოდებით — ტრინელი, დაიბადა დაამლოებოთ 1840-81 წ. ვენეციაში, გავლენიანი და შექმლებული სენატორის მარკო სანუტოს ოჯახში. თავისი აღარეული მოღვაწეობა მან დაიწყო კარდინალ რიჩარდ ფონ სენეზომან, რომელთანაც იურადიფულ მეცნიერებას უნდა დაუფლებოდა. ეს კარდინალი ახლო იყო კლიმენტ V და ბონიფაციუს VIII-სთან. მარინო სანუტოს კარგა ხანს უნდა ეცხოვრა რომში.

მარინო სანუტო თავისი დროის დიდი მოკვანური იყო. მას კარგა ხანს უცხოებინ (სანუტოწმინდა) ში (მორავზე ანუ პელაგონესტინეში) მრავალწლიანი მთელი მახლობელი აღმოსავლეთი, უოფილა აღმქსანდრიაში, კ. კვიაროსზე, მცირე ხომხეთში (კალიკაში), კონსტანტინოპოლისზე, საერანგეთში, ფლავიაში, თაერანში, ტრაპიზონში, ბაღდადას, ქაიროში და ა. შ. მისი გარდაცვალების წელი არ არის ცნობილი, მხოლოდ ის ვიცით, რომ 1884 წ. იგი კიდევ ცოცხალია, რადგან ამ წლით თარიღდება მისი უცანასკნელი პირალი წერილი.¹¹

ამგვარად, მ. სანუტოს ნაწახი აქვს ბევრი ქვეყანა. იქ კი. სადაც თვითონ არ უოფილა, მათ შორის, როგორც ჩანს საქართველოზეც, ცნობებს ავტოვებს მისიონერებისაგან, ვაჟრებისა და გემის მემპატრონეებისაგან, იყენებს მათ, ავრეთვე, წერილებს მიმოტანისათვის. საინტერესოა, რომ სანუტოს გვარის ორ წარმომადგენელს თაერანში ეძლეოდა ვენეციელი ვაჟრებისაგან ავრეთილი თანხის გარკვეული ნაწილი.¹² ასევე, ტრაპიზონში, იქაურთა ვენეციურთა ფაქტობის მეთაური (ბაილი) 1820-22 წლებში ვინმე კო. ვანი სანუტოა,¹³ შესაძლოა იგი მარინოს ერთერთი ძმაა, მისი ხუთი ძმიდან. უკველ შემიხვევა. ში, ჩანს, რომ მ. სანუტოს ინფორმაცორთა დიდობა იქნება შეუას და მათ შორის ახლო ნათესავებიც უნდა ვთვარადოთ.

მ. სანუტო საქართველოს შესახებ, თავის ვრცელ. მამოხილვით ეპისტოლეში (1880 წ.) წერს: „არის იქ (იგულისხმება ტრაპიზონი, ვ. კ.), ავრეთვე, ქართველთა ორი სამეფო, რომელთაც იყარები (იბერები) ეწოდებოთ (1884 წ. წერილი: „ახლო სხვებს ვიხები (ზახები)“¹⁴ ისინი, თავს უწოდებენ დავითისგან მომდინარეებს. ისინი ეროგვარად მორჩილებენ სათათრეთს, (მაგრამ) მეორე მხრივ, ფაქტობრივად არც (ემორჩილებიან მას). ისინი არიან კარგი აღამიანები, უმამაციო მემორები, უშიზარნი. (ისინი) მრავალიცხოვანი არიან და (ღვთისმშობურებაში) მისდევენ ბერძნულ წესს“.¹⁵

შემდეგ მ. სანუტო ასევე მოკლედ აღწერს სხვა ქვეყნებს. რადგანაც ამ ცნობების შედარება საქართველოს დასახილვებისთან საქმად საინტერესოა, ისევე როგორც თვით მ. სანუტოს გეოგრაფიულ-პოლიტიკური ცოდნის მასშტაბები, მოვიყვანო მისი წერილის ამ ნაწილს, რომელიც საქართველოს ჩრდილოეთის შეიხება: „გაზარიაში (გაღვარიაში) და თათრების დაქვემდებარებულ სხვა ადგილებში... სხვადასხვა ხალხი ცხოვრობს. მათ შორის: გოთები, აღამიანები და მრავალი სხვა ტომი; რომლებიც ბერძენთა კვალს მისდევენ (ე. ი. რომელმადიდებლები არიან, ვ. კ.). შემდეგ, რუსეთის ორი სამთავროა, რომლებიც თათრებს ემორჩილებიან, მათ დიდი მიწა-წყალი უყავით და ხალხიც ბევრია რომლებიც ბერძენთა კვალს მისდევენ. აქიდან (მათი) ტრედი და მრავალიცხოვანი (ტალები)

11. „მნათობი“, № 4.

მეგობრობიან საფრანგეთს, გერმანიასა და იტალიას, ე. ი. არის ორი რუსეთი: დიდი და მცირე (ე. ი. Велико и Мало-Россия ვ. კ.) დიდ რუსეთს... დასავლეთიდან ლივონია ესაზღვრება, სადაც წყაროსანი ძმები დიდძალ მებრძოლ ფლოტს: აღმოსავლეთიდან კი სკოთია და უზბეკის თათრების მიწა (ე. ი. ოქროს ურდო, ვ. კ.) აქედან სამხრეთით მდებარეობს მცირე რუსეთი, რომელსაც დასავლეთიდან პოლონეთი საზღვრავს. აქედან (ე. ი. ასევე) სამხრეთით უზბეკეთი¹⁷ და ა. შ. (1884 წ.).

როგორც ვხედავთ, მარინო სანუტოს წერალი მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს. საუფრადდებოა, რომ ამ წერალში საქართველოს ორი სამეფოა დასახელებული. ვახუშტი ბაგრატიონის და ქართლის ცხოვრებას ერთი ჩანარა-შენიშვნის მიხედვით კი, ჩვენ ვიცით, რომ სწორედ ამ ხანებში, ანტრ-ანტრი ვაერთიანდა. ამგვარად, აქ თითქმის წინააღმდეგობას ვაწუდებთ. სინამდვილეში, ვფიქრობთ, აქ საქმე შემოდგენიანად ახსენება. ვერ ერთა, შ. ხანუტა, 1880 წელს (1884 წ.). წერალი, პირველის სიტყვათხვევით გამოირჩება), ერთხანად ვერ შეიტყობდა საქართველოს გაერთიანებას, მათ უფრო, თუ საქართველოში თითონ არც კი უკვდილა. მეორეც, აქ ხანტო უნდა ვუღიანებოდეს საქართველოს ტრადიციულ, გეოგრაფიულ და არა პოლიტიკურ დაყოფას. ამას მოწმობს მის მიერ ნახშირა ფრაზა, რომლის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს იბერია ეწოდება, დასავლეთს კი — ჩიქუთი (აფხაზეთი). ფრიად მნიშვნელოვანია ის ვარაუდიც, რომ სხვადასხვა ქვეყნების ასეთი მოკლე დახასიათების მიუხედავად (შდრ., მაგალითად, რას ამბობს იგი რუსეთზე, აღწებზე, უკრაინაზე და ა. შ.), ხანტო საგანგებოდ ჩერდება საქართველო-მონღოლების ურთიერთობაზე და ამბობს, რომ ქართველები სინამდვილეში არ ემორჩილებიანო მათ. დაუცხვრებებელი პირის ეს ცნობა, ისევე როგორც წვეთი მოყვანილი სხვა მსგავსე სახუთებო, ერთობლიობაში გვიქმნიან საქართველოსა და მონღოლ-ილხანთა ურთიერთობის საუფრადდებო სურათს. ეს ცნობები ავსებენ ამავე პერიოდის აღმოსავლურ წყაროებს და, ამავე დროს, მათ მნიშვნელოვან კორექტირებას ახდენენ. ეს მეტად საკარგოა, რადგან აღმოსავლური წყაროები, ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი შეფასებით, ფაქტურად „მტრისაგან დაწერილ“ წყაროებს წარმოადგენენ. ამდენად, მათი უყუყუანოდ მიღება, ცხადია პრინციპულიად გაუპირობებელია (რასაც მაგალითად ადგილი აქვს დ. ლანგის შრომებში). ამ ხმარობაში ისიც საუფრადდებოა, რომ რუსეთის შესახებ, ხანტო უყუყუანოდ აცხადებს, რომ ისინი თათრებს ემორჩილებიან (როგორც ვიცით, ამ პერიოდში ეს მართლაც ასეა). საქართველოს შესახებ კი, იგი სხვა საგულისხმო დასკვნას აკეთებს.

დასასრულ. ჩამდენიმე ბატყვა უნდა მოქვას მ. თამარაშვილის მიერ გამოქვეყნებული ოთაწე XII (დაე დე-ოსა 1816-1823) საქართველოში გამოგზავნილი წერილების შესახებ. ეს წერილები, რომლებიც განკუთვნილია 1821 წ. 13 ოქტომბერს, 1826 წ. 9 აგვისტოს, 1829 წ. 8 თებერვალს, 7 თებერვალს, 14 ნოემბერს (მ. თამარაშვილთან შედეგობით 7 თებერვალი 2-ქერ მერადება), არსებობს იმავე წლის კიდევ ორი წერილი (თვის და რიცხვის მიხედვით-ლაე),¹⁸ საკმაოდ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. მაგრამ, როგორც ჩანს, შესაძლებელია ამ წყაროს შევსება. ვერ ერთი, წერილების ზოგა ნაწილი (უმეტესად შესავალი ნაწილები), რომლებიც არ დასრულებულან შ. თამარაშვილს, მოყვანილია ი. რაინაძის შრომაში (ც. XV).¹⁹ ამის ვარდა, იოანე XII-ს ამ ხანებში გამოგზავნილი საქართველოში კიდევ რამდენიმე წერილი, რომლებსაც მ. თამარაშვილი ხატოთად არ ახსენებს. არ არის იქ ნახსენები, ვერეთად, ამათი სახელები, ვინც წერილები საქართველოში მოიტანა. მაგალითად, 1821 წ. პაპე იოანე XII-ის წერილი საქართველოში მოუტანათ ფრანცისკანელებს, აღმოსავლეთის ვიკაროსს²⁰ პიერ (ქეტრე) დე ტურს და თაეროს მონასტრების მეთაურს (კუსტოლს) — დაე დაამერიონს. მათ ევალებოდათ მისიონერობა საქართველოში და სომხებში. 1821 და 1829 წ. წ. პაპე წერილები გაუგზავნა არა მარტო გიორგი მეფესა და თბილისის ახლადდაარსებული კათოლიკური კათედრალის დომინიკანელი მეთაურის იოანე ფლორენციელისაჟმი (1829), არამედ ამირსარგის თბილისელისა და ვინმე სოლადა-საღმა.²¹

იოანე XII-ის წერილის ანტრ-ანტრ-ანტრ-ანტრის თბილისელი (მას ე. ჩიხარა „თბილისის პატრონსაც“ უწოდებს), ჩანს, რომ მართლაც ამდროინდელი თბილისის ამირა, ანუ ქალაქის თავია. ეს კი სრულიად უცნობი ფაქტია ვფიქრობთ, მას შესაძლოა კავშირი აქვს იერუსალიმის ქვირი მონასტრის აღაბებში მოხსენიებულ ხ. რგისთან. ეს უკანასკნელი, თავის დედა ხათთანა და მეუღლემ თამართან ერთად, იხსენიება XIV ს. პირველ ნახევარში დაწერილ აღაშ.²² ქვირის მონასტრის აღაბის ხარგისსა და XIV საუკუნის თბილისის ამირა-ხარგისის ვასილივებულად ზოგიერთი დამარხვრებელი ვარაუდებლად არსებობს (მაგალითად, ე. წ. „უბანის ქვათა განგებოს“ ერთი მინაწერი, რომელიც თითქმის XII ს. 60-იანა წლებით თარიღდება).²³ მაგრამ თვით ის ფაქტო, რომ XIV ს. პირველ ნახევარში ყოფიდა ასეთი სახელის მქონე იბტორაული პირი, კიდევ ერთი ვარაუდებია, რომელიც ამაგრებს აღაბის XIV ს. დასაწყისით დათარიღების სისწორეს.

საინტერესოა, რომ ზოგიერთი ცნობის მიხედვით (მაგალითად, დიტრის დე ნიემი), იოანე

XXII ამავე ჰანებში, სეპსიკოპოსო რეზიდენცია დაუარსებია ახალციხეშიც. ე. რიშარის აზრით, ეს XIV ს. დასაწყისში არ უნდა მომხდარიყო. მისი სიტყვით, ახალციხეში რეზიდენცია ამავე საუკუნის ბოლოსათვის ან XV ს. დასაწყისში უნდა დაარსებულიყო, ყოველ შემთხვევაში, ახალციხე ფრანკისკანელთა (მინორიტთა) ორდენთან კავშირში ნახსენებია 1878 წ. და 1880 წ. 24

აქვე აღვნიშნავთ, რომ 1818 წლის შემდგომ, სხვადასხვა ვადით, თბილისის, სენაბტოპოლის (ცხუმის) და მოგვიანებით ახალციხის კათოლიკური კათედრები ქ. სულთანის საარქივისკოპოსოს ემორჩილებოდნენ.

შემდგომ ხანაში, 1870 წ., საქართველოში მცირე ხნით ჩამოსულა სალონიკის არქივისკოპოსი (ჩანს ფრანკისკანელი ანტონი) 25 სხვა ფრანკისკანელ ძმასთან ერთად, კათოლიკური

სარწმუნოების საქადაგებლად. 25 1882 წელს კი პაპმა კლემენტ VII (რობერ დე ტენიქსტრე 1894) ნება დაართო „მოქადაგებლებს“ საქართველოში რაი რეზიდენცია მიეღოთ. ერთი საქართველოს შეფისაგან ქ. ახალციხეში და მცირე, წარჩინებული პარისაგან — ვინმე „ასილადინ“ თბილისელისაგან, 26 ამ უკანასკნელის ვინაობის გარკვევა, ქრტიტობით ვიხს.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, არსებობს XIV საუკუნის, საქართველოს ისტორიისათვის საყურადღებო ანა ერთი მნიშვნელოვანი ევროპული წყარო. მომავალში, ვფიქრობთ, კიდევ უფრო გაიზრდება რიცხვი ჩვენთვის ცნობილი უცხოური წყაროებისა, რომელთაც ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის აღსადაგებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

შენიშვნები

1. ქურნალი „მნათობი“. 1982 № 9, გვ. 158.
2. ო. რანალდი „საეკლესიო ანალები“ (ტ. XV, რომი, 1691 წ. ლათინურ ენაზე), გვ. 427, 469, 470.
3. აბუ-საიდ ყაენსა (1317-1335) და ეგვიპტის სულთან ალ-მალქ ან ნასერს (1292-1340, წყვეტილად), შორის მეტად დამაბული ურთიერთობა არსებობდა. მაგრამ 1323 წ., აბუ-საიდმა ეგვიპტის ზავი შესთავაზა, რაც მიღებულ იქნა კიდევ.
- (В. Тизенгаузен, Сборник материалов, относящихся к истории Золотой орды, т. 1, С/ПБ, 1884, გვ. 525).
4. უზბეკი, ოქროს ურდოს ყაენი (1312-1342). იგი ილხანებისათვის მართლაც დიდ საშიშროებას წარმოადგენდა. ისინი ხშირად აინაგებდნენ ერთმანეთის ტერიტორიებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქ. გოლუბოგიჩი აბუ-საიდს, ევროპულ ყაიდაზე, ყაენის ნაცვლად „იმპერატორს“ უწოდებენ.
5. ქ. გოლუბოგიჩი, წმინდა მიწისა და ფრანკისკანელი აღმოსავლეთის ბიზანტიოლოგრაფიული ბიბლიოთეკა, ტ. III. გუარაჩი (ფლორენციის მახლობლად). 1919, გვ. 414-415. იტალიურ ენაზე).
6. ქ. გოლუბოგიჩი, დასახელებული ნაშრომი, ტ. II, გუარაჩი, 1913, გვ. III-IV.
7. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ. 1902, გვ. 28.
8. მ. თამარაშვილის მიერ დამოწმებულ წყაროში პირდაპირაა ნათქვამი, რომ დიმიტრი „ტომით ქართველია“ (იქვე, გვ. 28-29).
9. იაკობ და ვერონას მოგზაურობათა წიგნი, „ახალი რამუსიო“, ტ. I (ვილარის გამოცემა), რომი, 1950, გვ. 33 და 59 (იტალიურ ენაზე) ეს ცნობა, სამეცნიერო ბრუნვაში, ლათინურიდან თარგმნის გარეშე, პირველად შემოიტანა დ. ლანგმა.
10. ოსტია და ველეტრი — პატარა ქალაქების სახელებია, რომლებიც რომის მახლობლად მდებარეობდნენ.
11. ფრ. კუნსტმანი — მარინო სანტუო უფროსის შესწავლისათვის (ბეგარიის სამეფო მეცნიერებათა აკადემიის ისტორიული განზრის თხ., ტ. VII, მიუნხენი, 1855, (გერმანულ ენაზე) გვ. 697-704.
12. ვ. პეიდი, აღმოსავლეთთან ვაჭრობის ისტორია, ტ. II. ლეიპციგი. 1939 წ. (ფრანგულ ენაზე), გვ. 129.
13. С. П. Карпов, Трапезундская империя и западноевропейские государства в XIII—XV вв., М., 1981, გვ. 170.
14. ზიხები, ე. ი. ქიქები, ჩრდილო კავკასიური (აფხაზთა მონათესავე) ტომი იყო. ამ შემთხვევაში იგულისხმება დასავლეთ საქართველო.
15. ფრ. კუნსტმანის დასახ. ნაშრომი, დანართი, გვ. 777 და 801.
16. გაზარია, გოთები, ალანები. გაზარია ან

დროის ლათინურ წყაროებში უიროს ეწოდება. გოთებს—უიროშია მცხოვრებ ერთ-ერთ ტომს ეწოდებდნენ; ალანები — ხალხი იყო ჩრდილო კავკასიაში.

17. ფრ. კუნსტმანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 801.
18. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29-38.

19. ო. რაინალდი, დასახ. ნაშრომი, გვ. 213—214 (1321 № 8—10). 396—307 (1329 № 94).

20. ვიკარიუსი ეწოდება ეპისკოპოსს, რომელსაც არა აქვს თავისი ეპარქია. ამ შემთხვევაში,

უმაღლესი კათოლიკური ხელისუფლებას წარმოადგენელი აღმოსავლეთში.

21. ვ. რიშარის, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

22. ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ. 1961. გვ. 125.

23. იქვე.

24. ვ. რიშარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 183—186 (ავტორი ეყრდნობა ჟ. გოლუბოვიჩის შრომას — II და V ტ.).

25. იქვე.

26. იქვე, შენიშვნა 60.



«ესთეტიკურ კანონზომიერებებთან მიახლოება»

„ასებობს ესთეტიკის უმნიშვნელოვანესი წილი: ვისაც მშვენიერება არ უყვარს, ვერც იგებს მას. ხოლო მშვენიერების ტრფობა ყოველგვარ ცოდნას აღემატება. ეს ნიშნავს: გვიყვარდეს, რათა გავიგოთ. სიყვარულს კი სიახლოვე სჭირდება. ამ საუბრების მიზანიც ის იყო, რომ ჩვენთან მოეახლოვებინა ესთეტიკის ცნობილი თუ უცნობი სამყარო.

ეფიქრობთ, როდესმე კვლავ განვაგრძობთ ეს საუბარო“.

ამ წიგნის სულ უკანასკნელი სიტყვები იყოს ამ პატარა რეცენზიის დასაწყისი, რადგან ესთეტიკა ისევეა ამოუწურავი, როგორც მისი საგანი — ხელოვნება. აკუმბობის განვითარების შორეულ, რომელიღაც „შეხებულ ცის“ სამანზე უნდა ვივარაუდოთ ამ უძნელესი მკვნიერების სრულყოფა, როდესაც აღამიანი ესთეტიკისათვის მართლაცდა საოცნებო — მამთვარეული სიზუსტით გაითავისებს „პოპო საიენსის“ რთულ ფენომენს; შეიძლება ავტორი სწორედ ამას გულისხმობდა ზემოთ მოყვანილ სიტყვებში.

ნამდვილად, ესთეტიკაზე საუბარს არ შეიძლება ჰქონდეს დასასრული,

დღევანდელი მხატვრული ლიტერატურის მკვლევარებს (ესთეტიკური ფენომენის კვლევისას უპირველესი მნიშვნელობა სწორედ მხატვრულ ლიტერატურას აქვს; „ლიტერატურული სხვის პრობლემა გაკლებით რთულია, ვიდრე სხვაგვარ ხელოვნებაში“ — იხ. „მოკლე ლიტერატურული ვნისლოპედია“, ტ. 4, გვ. 223, უკანასკნელი რუსული გამოცემა), უკვე ხელთ აქვთ შემოქმედება ისეთი მოცებებისა და პირობაიკებისა, როგორც არიან ვდგარ პო, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თ. დოსტოვესკი, ლ. ტოლსტოი, ვეკა-ფშაველა, უ. ფოლსნერი, გალაკტიონი. ცხადია, ამ და ამდაგვარ შემოქმედთა მხატვრული ქმნილებები ესთეტიკური აზრისათვის უდიდესი წინსვლის მაუწყებელია. ნათელია, რომ ხსენებულ შემოქმედთა ნაწარმოებები ძალზე მნიშვნელოვანი მასალაა ეს-

თეტიკისათვის, ხოლო თავად ესთეტიკას რაც შეეხება, აქ ბევრი რამაა გასარკვევი, ბევრი რამაა უარსაყოფელი, ბევრი რამაა დასადგენ-დასაზუსტებელი.

თუმცა ამ შრომის საგანი უფრო მოკრძალებულია, რადგან „ეს წიგნი ახალგაზრდობისთვის დაიწერა, მისი მიზანია, ახალგაზრდობა შეახვიოს თეორიულ მსჯელობას ესთეტიკის საკითხებზე“.

ქართულ კულტურას, როგორც ვიცი, დიდი წვლილი შეუტანია მსოფლიო ესთეტიკური აზრის განვითარებაში, მით უფრო საცნაური ზდება ეს აზრი, როდესაც ვიკითხ: „დღევანდელი ესთეტიკა ისტორიის გარეშე ვერ იქნება...“

მთელი ეს წიგნი ამ დებულების მტაცებაა.

„მდიდარი ქართული ესთეტიკური მემკვიდრეობა ყურადღებას იმსახურებს ჩვენშიც და უცხოეთშიც“ — ნათქვამია ავტორისეულ წინათქმევაში.

„ქართული ესთეტიკის სათავეებთან“ — ასე იწყება ეს მებრალ საყურადღებო შრომა.

როგორია ეს სათავეები?

მკითხველი დიდი ინტერესით ეცნობა მას. „წარმატებული ღმერთები მხატვრული“ სახეები. მათ დიდი ხანია დაკარგეს ღვთაებრივი ძალა, მაგრამ დიანარბუნეს ძალა ესთეტიკური ზემოქმედებისა, — მართლაც, ეს ღმერთები და ღვთისშვილები მითოსში გადმოვიდნენ და აღამიანის სახე მიიღეს. ეს მაშინ მოხდა, როდესაც ქართველი ვრი მრავალღმერთიანობიდან ერთღმერთიანობაზე გადავიდა. ასე დამკვიდრდნენ მითოსურ პანთეონში ქალღმერთები — დალი, ხელსამძივარი, პირამზე, მშექალი; ღვთაებრივი გმირები—ამირანი, ზოგაინ მინდია. მზის შარავანდედითაა მოსილი მათი დიდებული სახეები, რადგან „უველაფერში, ასე თუ ისე, უნდა დანახულიყო მზე“.

ჩვენმა წინაპრებმა იმთავითვე სწორედ ეს მნათობი ამოიკრეს გულში, მზე გაიხადეს სათავეანოდ, ხოლო კერპები უცხო ძალით ყოფილან ჩამოთესილნი — „არმაში ქართველთა ღმერთი არ იყო, ქართველთა ღმერთი იყო მზე“.

რევაზ ხირაძე, „სახისმეტყველება“, (საუბარი ქართულ ესთეტიკაზე), გამოცემლობა „ნაკადული“, თბ., 1982.



ქართულ ეკის ამ დიდებულ მნათობის თვისებები თავის შეილებზე გადმოქონდა. ასე იხადებოდნენ იმ ხანად საქართველოში მშვეპბეტი, მშეპალა, კვლიამზე, მშვეინაიო. მზის მშვენიერებას დაისადგერა ქართულ ოჯახში, რადგან „მზე სიკაცხლეა, სიკეთით აღესილი სიკაცხლე“.

თითქოსდა ცხადლევ, თვალნათლევ, ვხედავთ ქართული სულის სათავეებს, ძირისძირს, რამელმაც ისტორიულ ქართველებს გაუძლია და დღევანდლამდე დარჩა ხელუყოფელი. მზე არა მარტო სილამაზეა, რამაზი შეიძლება ევრპიე იყოს, მზე სინათლეა, სინათლე კი სიკეთის საფუძველია. რადგან დანახვია სიკეთე-ქართული ეკის რწმენა ძველად ასეთი იყო, კარგადა ნახვენები ეს ამ ქვეთაში — „მზე“.

მზის აღმერთების შემდეგ ქართული ესთეტიკური აზრი განსაკუთრებული გზით წავიდა: „მცენარეთაგან მზისთვის ყველაზე ახლობლად ვაზი მიუჩნენიათ, იმიტომ რომ ვაზი ყველაზე მეტად შეიწოვსო მზის ძალას“.

მაგრამ, ცხადია, ქართული ესთეტიკისა და კვალად მზემაც და ვაზმაც შრავალი მნიშვნელობა შეიძინა, ერთმაც და მეორემაც შითოსში ჰპოვა განვითარება — „თვალის მზეა აღამიანში...“

შითოსის ხანა უმნიშვნელოვანესია ეკობრიობის ისტორიაში, სწორედ მაშინ ჩაისახა იღუმალების ესთეტიკა, რიცხვთა ესთეტიკა, სულის ესთეტიკა, დროის ესთეტიკა.

„ხელოვნებისა და ესთეტიკისათვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო მოძღვრება აღამიანზე“ — წიგნის მეორე თავში ენახათ ამ სიტყვებს, ამ თავის სათაური — „შუა საუკუნეების ესთეტიკისათვის“.

მართლაც, შუა საუკუნეების ესთეტიკამ ასეთი კითხვაც დასვა — „რატომაა განტვირთული სხეულისაგან აღამიანის ტანი?“

პასუხის გაეცმა ამ კითხვაზე, როგორც ჩანს, თანამედროვე ესთეტიკის კვალმაზე შეიძლება.

აღამიანის სული ასეთი ბერუსითაა მოკუთვნილი, რომ მეცნიერები ფიქლტრნი არიან ხოლმე ახსნან მისი სიღრმელება. როგორ უნდა აიხსნას ის, რაც არ ჩანს, რაც ჭერ კიდევ წარმოჩენილი არ არის!

აღამიანის სულის სრულად წარმოჩენა კი რას შეუძლია?

დიდ შემოქმედებას, მხატვრული შემოქმედებას ხომ აღამიანის სულის უღრმესი და უნიჭიან მურგის იქნულებების წარმოჩენაა, რომლის შემდეგ იცნევეს ესთეტიკური მეცნიერების საქვანი ხდება. ხოლო თუ რამდენადაა შესაძლებელი ამოიხსნას გარკვეული მსჯელობით მხატვრული ნაწარმოები, ეს უკვე სხვა საკითხია. ჩვენთვის აქ ისაა საინტერესო, რომ შუა საუკუნეებიდან დაწყებული ესთეტიკური აზრის განვითარების პროცესი დღესაც არ ჩანს დასრულებული, და ამ გარემოებისა ეკვალად

სწორი უნდა იყოს ავტორის ის სიტყვები, წერილის დასაწყისში რომ მოყოლებულა: „...“

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული მსჯელობა თელია, რომ „ხორციელი ბუნება აღამიანის სხეული, მისი გარეგნობა ვერ აელენს მისსავე სულიერი ბუნებას“. თუმცა ჭერ კიდევ მაინც „ხელები და თვალები მაინდა სულის გამომატველად“.

ელგარ პოს ერთი პასაჟი გვახსენდება აქ, ირონიულად წერს იგი იმაზე, ვისაც ჰგონია, ეკის თვალები ჩემი სულის სარკეაო. აღამიანის სულიერი ბუნების ესთეტიკური აზრის ცენტრში მოქცევის, ცხადია, შედეგად სათანადო მოკვებობა და უკვე „შუა საუკუნეებში უმაღლეს ამქვეყნიურ ბედნიერებად ითვლებოდა საკუდარი აღამიანური ნაკლისა და კონფათა შეგნება, სინანული საყოთა ნაკლებანებათა გამო“. ისიცაა ცხადი, რომ ეს „მორალურ ამაღლებას გულისმობდა“, და ა. შ. და ა. შ. როგორც ვხედავთ, უკვე პროვლოზენ ის მოტივები, რომელიც ასე აქტიურაა დღევანდელი ესთეტიკისათვის — აღამიანის შეგნობა და მეტე ამ შეგნობის. აღამიანის ბუნების კონდისა უკვალად ამაღლება მნიშვნელოვანი ნაბიჯია ზოგადსაეკობრიო პროცესის გზაზე.

შუა საუკუნეების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მონამოგარი ჩანს და კიდევ ერთი ქვაკუთხედი გამოიშვეურდება თანამედროვე ესთეტიკისა მაგრამ სანამ ამ ქვაკუთხედის რაობას აღვნიშნავდეთ, ჭერ ავტორის მოკუთხედით: „ყველაზე დიდ აღამიანურ სიკეთედ გამოცხადდა აღამიანის მიერ აღამიანის სუვიარული, სხვისი სიხარულით ვახარება. კარგია, როცა აღამიანი სხვის მწუხარებაში თანაუგრძნობს და სურს როგორმე სხვის ჭირი შეუმსუბუქოს. ეს აღამიანური ვალია და ამას ყველა უნდა აღასრულებდეს. მაგრამ ვიცლებით მალა, სულიერი უნარია, ეკცმა ვახარობს სხვისი ბედნიერებით; სხვისი სიკეთით. ესაა აღამიანის სულიერი მშვენების ყველაზე დიდი ნიშანი“.

დღეს უკვე ცნობილია, რომ მეტადრე მხატვრული ნაწარმოების შემწა სხვისი სიხარულით ვახარება. ერთი სიტყვით, სხვისი დანახვა, სხვისი ვაგება, საბოლოოდ კი აღამიანის სულის წარმოჩენაა, თანამობისათვის რომ აღძრავს ეკის: სწორედ ასეთი იყო, ხსენებული მონაპოვარი, ოღონდ, რალა თქმა უნდა, ამას იგუბიტური საფუძველი უნდა გამოეცალათ — როდესაც არ თუ იშვიათად ბოროტებას იგრატიული პრინციპის მოშველებით მკირე სიკეთეს შეარქმევდნენ ხოლმე.

როგორც ამ წიგნიდან ჩანს, კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფენომენის ახსნა ჩაეყვა საფუძველი შუა საუკუნეებში — „უმაღლესი ქეშმარტება, ანუ უმაღლესი მშვენიერება, ასეთი შორეულია და იღუმალი, მას ვანებით ვერავენ ვიცებს, მას აღამიანი გუმანიით უნდა

მიხედვს. რაოდენ რთული და ბუნდოვანიც არ უნდა იყოს ეს მოძღვრება, მასში იყო ერთი საინტერესო რამ. ასეთი მსჯელობა ადამიანს არწმუნებდა, რომ, რაც უნდა ბევრი რამ გაიგოს კაცმა ბუნების შესახებ, მის მიღმა კვლავ რჩება ბევრი ამოუცნობელი კანონზომიერება. ჩვენ დღეს ამას ბუნების დიდ საიდუმლოს ვეძიებთ და ვამბობთ: არასდროს ამოიწურება ბუნების კანონზომიერებათა შესწავლა. მაშინაც ესმოდათ ეს, მაგრამ თავისებურად.

თ. დოსტოევსკის სიტყვები და, რაღა თქმა უნდა, ამის კვალობაზე თანამედროვეობასთან წილნაყარი შეხედულება უნდა გავისვენოთ. თ. დოსტოევსკი წერდა, ადამიანის ყოფიერება ამოუწერავია, მისი ამოწურვა ადამიანის განადგურებას ნიშნავსო.

შუა საუკუნეებში შენიშნეს, აგრეთვე, ძალზე მნიშვნელოვანი ესთეტიკური ფენომენი, რომელიც კარგად აქვს გადმოცემული რ. სირაძეს: „ვისაც სიყვარული არ ძალუძს, მშვენიერებასაც ვერ შეიგრძნობს. ხოლო ხელოვანი თუ სიყვარულით არაა გამსჭვალული, ვერაფერს შექმნის. შემაშემდის შთაგონება სიყვარულია. მაგრამ აღრუელ შუა საუკუნეებში შთაგონებულ სიყვარულად მიჯნურობა არ იგულისხმება. განა აგიოგრაფიაში სადმე ვხვდებით მიჯნურობით შთაგონებულ ავტორებს?! შთაგონებულს აქ სხვა სიყვარულია, წმინდა სულიერი სიყვარული, სიყვარული სიკეთისა, ქვეშაობიერებისა და მშვენიერებისა“.

წიგნის მეორე ნაწილში ასეთი ქვეთავია მოცემული — „სახე და სახისმეტყველება“ და თუკი ვაიხსენებთ, რომ ამ შრომას „სახისმეტყველება“ ჰქვია, ცხადი გახდება — ფრიადსაყურადღებო უნდა იყოს ეს ქვეთავი.

მართლაც, „ესთეტიკის მთავარი კატეგორიაა სახე...“

შაინც რა არის სახე?

კონკრეტულად თუ ვიტყვით, „ცალკე მხატვრული სახეა ჟოკონდის ლიმილი, ან მისი ხელები“.

რ. სირაძე წერს, რომ ყოველი ეპოქის ხელოვნებაში სხვადასხვაგვარია მხატვრული სახეები, სხვადასხვაგვარია მისი გაგებაც. მას მოჰყავს სახის განმარტება ძველი ქართული მწერლობის ძეგლიდან — „ჩველ ქართულ მწერლობაში ცნობილია სახის ასეთი განმარტება: „სახე არის ხილვა და ჩვენება დაფარულია“.

ამ პასაჟის წყარო არაა მითითებული, კარგი კი იყო ამ სიტყვების კონტექსტის ნახვა. ავტორი, ცხადია, იცნობს ამ სიტყვების კონტექსტს და წერს: „ასეთი გაგებით, ფარულია სახის შინაარსი, ჩვენ შევიცნობთ მხოლოდ მის ვარკობას“. რ. სირაძე აქ გულისხმობს იმას, რაც თავისთავად სწორია — ხილვით, გარეგნული სახის იქით ჩანს „მისი დაფარული

შინაარსი, რომელსაც პირველსახე ჰქვია“. როგორც ვთქვით, თავისთავად არსებობს დებულება, მაგრამ აქ მეორე, უკიდურესად მნიშვნელოვანი გაეროვნება აღსანიშნავია, რაც, ჩვენი აზრით, ხელოვნების არსის ძირისძირის წარმოშენია. რა თქმა უნდა, კატეგორიულად ვერ ვიტყვით ამას, მაგრამ თანამედროვე ესთეტიკის მიღწევებისდა კვალად თუ აღვიქვამთ ამ სიტყვებს, იქნებ შემდეგი საყურადღებო დავიკრებამდე შევიდეთ: ადამიანის ყოფიერების ერთდღესი რეალობა, როგორც წესი, დაფარულია ჩვენთვის, უბრალო მოცდავთათვის და აი, მხატვრული ნაწარმოების მეშვეობით ხდება ხსენებული ერთდღესი რეალობის „ხილვა“, „ჩვენება დაფარულისა“.

სიტყვა რომ არ გაგივიტყვოდეს, მოყვად ვიტყვით, მშვენიერად, დიდი ცოდნითა და ერთდღესიითა დაწერილი შემდგომი ქვეთავები — „აგიოგრაფია“; „საგალობელი“; „ტაძარი“, „შრომის ესთეტიკა“.

ამის შემდეგ იწყება მნიშვნელოვანი ნაწილი შრომისა: „ნეოპლატონური ესთეტიკა“. იგი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ქართველებს ფილოსოფიური აზრები პოეზიაში შეჰქონდათ, ამ მიზნით ნეოპლატონიზმი ყველაზე გამოსაღვი იყო. სხვა მიზეზებიც არსებობდა. ნეოპლატონიზმი ისეთ საკითხებს ეხებოდა, რომლებიც ქართველებს ოდითვე აინტერესებდათ“.

მოხდა ისე, რომ ამ მოძღვრების სულისჩამდგმელი ქართველი გახლდათ — პეტრე იბერიელი. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს მოძღვრება ახლოებო ადრინდეს ქართველი კაცისთვის — „საქართველოში... მრავალი მოძღვრება ერკულდებოდა. ხან დიდი ბრძოლა იყო მათ შორის, ხან მორიგება. ნეოპლატონიზმი სწორედ მის მორიგებას უწყობდა ხელს“.

ქვეთავი — „სამყარო და მხატვრული სახე“ ასეთი სიტყვებით იწყება: „ნეოპლატონური ესთეტიკის მიხედვით, სამყარო სახეა...“

ცხადია, ეს იყო ახალი სიტყვა ესთეტიკაში. ჩანს, რომ სახე სამყაროსათვის ამოუწერავი ხდება — „მხატვრული სახის შინაარსის საბოლოო ამოცნობა შეუძლებელია“.

ზემოთ მოყვანილი მოსაზრება ეხმარება თანამედროვე ესთეტიკურ შეხედულებას მხატვრული ნაწარმოების შესახებ. კერძოდ, იმ დებულებას, რომ შეუძლებელია მხატვრული ნაწარმოების ერთმნიშვნელოვნად ახსნა, ჩაღვან, როგორც ვან გოგს შეუენიშნავს — „პოეზია ისე ღრმა და მიუწვდომელია, რომ შეუძლებელია მისი სრულად განსაზღვრა და სისტემატიზირება“.

იოანე პეტრიწის შეხედულებები დღესაცაა აქტუალური თანამედროვე ესთეტიკისათვის: „პეტრიწი სამყაროზე ხელოვნების მიხედვით მსჯელობს. ხელოვნება აგებინებს მას. მთელ სამყაროს“.

ეს მოსაზრებაცაა თანამედროვე ესთეტიკის მიღწევების დონეზე — მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოებს შეუძლია სრულად წარმოგვიჩინოს ის, რაც არ ძალუბს ზუსტ მეცნიერებს. თეატრში, ღიყნაში და სხვაში — უფრო მეტი პოლიტიკური და სოციალური კუმარობებანი უჩვენებს სამყაროს. ვიდრე სუველა ერთად აღებულმა პროფესიონალმა პოლიტიკოსებმა და მორალისტებმა (მარქსი, ენგელსი, თხ., ტ. 10, გვ. 648; რუსული გამოცემა).

ეს იყო მეტად რთული და საინტერესო ეპოქა, ფრიალ გამორჩეული კაცობრიობის მთელი ისტორიის განძილზე — ამ სიტყვებით იწყება წიგნის ის თავი, რომელიც კართულ რენესანსს მიეძღვნა.

სწორედ ამ ეპოქაში მოხდა სულის განსხვავლება, ხელოვნება უკვე ადამიანის ყოვლისმომცველად წარმოჩენას მიეძღვნა. კონკრეტულად თუ ვიტყვით, რენესანსმა აღმოაჩინა პირიყნა, ანუ ადამიანი აღმოაჩინა თავისი თავი, უფრო სწორად, შედარებით მეტი გაიგო მან თავისი თავის შესახებ. მაგრამ რენესანსისთვის ადამიანის ანაღლებების დროს მასაზა ის მოტივები, რომელშიც მთელი ეპოქა მოიყვანა მერე: „პირველი სიხარულისა და აღდგომისა შენებდა განილა შიში, რომ ადამიანი მარტოა, რომ მას აღარ ჰყავს მფარველი, მან თითქოს დეარტა ღმერთი...“

რენესანსის დროს ადამიანი უკვე ღმერთზე კი არ ფიქრობდა, არამედ ადამიანზე, ამ ეპოქამ მოიტანა ის, რომ შემდეგ, ვთქვათ. ბ. პასკალის ფიქრები მდგრატე მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ფუნქციონის გათავისებანზე დაფუძნებული. სწორედ იმ ხანად გამოედა დანტემ და თქვა: „ადამიანი კეთილშობილება, თავის ნაყოფთა სიმრავლით, მთლიანად ანგელოზთა კეთილშობილებას აღმეტება და უფრო ღვთაებრივი“.

„პოეზიის საგანია ამქვეყნიური სიყვარული, „ქვიანა“ მღვთობა, ოღონდ არა ქვიანა გრანობა, არამედ „გვართ ზენათგან“, ნამღვლი-ადამიანური, კაცად-კაცური და ქალად-ქალური...“ — წიგნის ავტორი. წიგნის ამ თავში შოთა რუსთაველის ესთეტიკანზე საუბარი.

საინტერესოა ამ საგნისადმი ჩაღრმავება, იმისი ახსნა, თუ როგორაა პოეზიის საგანი ამქვეყნიური სიყვარული, რა ადამიანური „მეტანისმებით“ უკავშირდება სიყვარული პოეზიას.

ლ. ტოლსტოის მიხედვით, ხელოვნება აუცილებელია სიცოცხლისათვის, კაცობრიობის და ყოველი ადამიანის ბედნიერებისათვის, იგი ადამიანთა ურთიერთობის საშუალებაა, ერთსა და იმავე გრანობებით მათი შემეგრატებულია.

ცხადია, სიყვარულიც გრანობაც და რაღაც თეოლოგიკალი და იღვმალი გზებით ეს გრანობა მხატვრულ შემოქმედებასთანაა წინადა, ამ დებულების დასამტკიცებლად

ბრძენთა ხმობა არ დაგვიტრდება, რადგან ჩვენს ხელთა ხსენებული დებულებების განხორციელებად და რთული მოწმე, როგორც კარგად ვიცნობთ ფხისტყაოსანი“.

წიგნის ეს თავი რაღმად ეხმანება მისავე სათარის — „სახისმეტყველებას“; „რუსთაველის პოემა სათარადანვე მხატვრული სახით იწყება, ეგებისტყაოსანი მხატვრული სახეა და არა პოემის ებრალო სახელწოდება“.

განსაკუთრებით საინტერესოა წიგნის უკანასკნელი თავი — „დასავლურ-აღმოსავლური სინთეზი და აღმოსავლურობის დაძლევის ტენდენციები“.

განსაკუთრებით იმითაა საინტერესო, რომ ეს თავი უშუალოდ ჰვენს თანამედროვე კართულთა ცხოვრებას გებან ჩვენ აქ უკვე ესთეტიკა კი არა გვაქვს მხედველობაში, არამედ ელტურის ის ზოგიერთი საეჭო ელემენტი, რომელსაც ჩვენში ზოგჯერ, სამწუხაროდ, კარგი გასავალი აქვს. ასე, მაგალითად, აღმოსავლურ მოტივებზე ამდგრატება და აყვებულთა „ხელოვნება“ ხშირად საქმში ჩაუბნდა ეტორულს თუ ჩვენს ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილს კართული ეროვნული ელტურის გამოვლინებად მიიჩნია.

ხსენებული ახალგაზრდობის ნაწილის პართორიტული ელია კარგად გაიცნოს კართული ელტურის წარმომავლობის, ამში უთუოდ დაემატება ეს საინტერესო წიგნი და, როგორც ვთქვით, განსაკუთრებით ის თავი, სადაც აღმოსავლურობის დაძლევის ტენდენციებზე საუბარი.

უთუოდ კი იმბოტ დაემატება, რომ ამ თა. ვიღან ვებულობთ — კართული ელტურა ძირითადად დასავლური ტიპისა იყო, აღმოსავლურობის დაძლევის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამისი საპირობა ბევრჯერ დამდგარა და ეს საკითხი დღესაც აქტუალურია ესთეტიკისათვის“.

აგრეთვე:

„კართელებმა ქრისტიანობა მიიღეს, თავისი ელტურით გაემიწენ აღმოსავლეთს და დასავლეთის ქვეყნების განეთარების გზას დაადგინენ. ითარგმნა ბიბლია, აღმოუკვდა ორიგენალური აგოგრაფია და კონსტრუქცია. განეთარდა ახალი ტიპის ხერთომოდებება, კართელებმა იმბირი ელტურული ყოფით იწყეს ცხოვრება, რომლითაც დასავლეთის ქვეყნები ცხოვრობდნენ.“

კართული აზროვნების სხვა დარგებშიც დასავლურად ვითარებოდა, ფილოსოფიაში გაბატონდა ნეოპლატონიზმი, ანუ პლატონიზმის ახლებური სახე... ჩვენში სწორედ დასავლური ნეოპლატონიზმი განავითარეს, ეს განახორციელა იოანე პეტრიწმა. განავითარეს ის, რაც ახლებურად მიიჩნდა“ და ა. შ.

ქვეთავი „სპარსოფილური ესთეტიკა და მისი დაძლევა“ კარგად გვიჩვენებს იმ მიმძლავ-



რებას, რასაც განიცდიდა ქართული კულტურა ქვეყნის მონღოლთა შემოსევების ხანაში.

თვით „ვეფხისტყაოსნის“ ძველი ხელნაწერები სპარსული ყაღდის მინიატურებით იყო ილუსტრირებული, ამ უდიდესი ეროვნული ძეგლის აღმა XX საუკუნემდე შეტანილად აღმოსავლური ლიბრით იყო დაბინძურებული.

საბუნდოვროდ ქართული კულტურა, მისი საუკეთესო წარმომადგენლები არასოდეს შეგუებიან ამას.

დავით გურამიშვილმა გამარჯვებით დააგვირგინა ეს ბრძოლა.

კიდევ ორიოდე სიტყვა და ვაეპარულებთ ჩვენს სათქმელს ამ კარგი წიგნის გამო.

წიგნში არ არის ნახევრები წყაროები, რადგან იგი „სურათები“ პოპულარული სერითაა გამოსული და ეძღვნება ახალგაზრდა მკითხველს. მაგრამ, ჩვენის აზრით, ამ შემთხვევაში სასურველი იყო გარკვეული გამოაჯლის დამუშავება. შრომა ისე საინტერესოა და მჭიდრო (თუკად მისი სავანო საინტერესო და ამიტომაც, რაღა თქმა უნდა), რომ შესაძლოა

ბევრი ახალგაზრდა მკითხველი ჩააფიქროს ისეთ მნიშვნელოვან მეცნიერებაზე „ისტორიის“ ცაა ესთეტიკა, კერძოდ, ქართული „ესთეტიკა“

ჩვენ ზემოთ აღწინააღმდეგეთ, რომ ავტორს შიშა. ვაის ძალზე საყურადღებო პასაჟი ძველი ქართული მწერლობის ძეგლიდან (იგი არ ასახელებს ამ ძეგლს). შეგახსენებთ ამ პასაჟს — „სახე არის ხილვა და ჩვენება დაფარულია“. მკითხველს ალბათ დაინტერესებს ეს, როგორც ვხედავთ, მეტად მნიშვნელოვანი წყარო, საიდანაც, კიდევ უნდა გავიგეოროთ, თანამედროვე ესთეტიკისათვის ძალზე საყურადღებო დებულებების ამოკითხვა შეიძლება.

ერთი სიტყვით, სასურველი უნდა იყოს ამგვარი რთული საგნის მომხიბვლელ წიგნს მცირე, მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ლიტერატურის სია ჰქონდეს დართული.

დაბოლოს, უნდა დავაზნოთ, მადლობის მეტი რა უნდა ვუთხრათ ავტორსა და გამომცემლობა „ნაკადულს“, რომელთაც ნამდვილად კარგი ნაშრომი შემატეს ქართული წიგნის თაროს.

ზაურ კილაძე

წიგნი აღიღელთა ყოფისა და კულტურის შესახებ

1981 წელს, მაიკოში ადიღეს ეკონომიკის, ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ გამოცემული რიგით მეოთხე კომპლექსი ტრადიციულად ეძღვნება ადიღელთა ხალხური ყოფისა და კულტურის საკითხების ეთნოგრაფიულ შესწავლას.

კრებულის პასეხისმგებელი რედაქტორები არიან აკადემიკოსი გ. ჩიტაია და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. მერეტუკოვი. კრებულში განხილულია საკითხები, როგორც მატერიალური ყოფის, ისე სოციალური ურთიერთობებისა და სულიერი კულტურის სფეროებიდან, წერილების ავტორები ძირითადად იკვლევენ იმ სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებს, რომლებიც შეინიშნება ადიღელთა ყოფაში XIX საუკუნის II ნახევრიდან დაწყებული, ნათესაყოფენ ადიღური ეროვნული კულტურის თვითმყოფადობას და მის თავისებურებებს, ასევე მიუნიშნებენ იმ ცვლილებებზე, რომლებიც გამოწვეული იყო ადიღის რუსეთთან შეერთების შედეგად, წარმოაჩენენ ადიღური კულტურის იმ მიღწევებს, რომლებიც

ბაჟ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ზოგადკავისთური კულტურის ფორმირებაში.

კრებულის იწყება მ. მერეტუკოვის სტატიით — „ადიღური კულტურული საწარმოები და სახელოსნოები“. სტატიის შესავალში ავტორი ფართოდ მიმოხილავს ადიღური ხელოსნური დარგების შესახებ არსებულ წერილობით წყაროებსა და ლიტერატურას. იკვლევს რიგი ხელოსნური დარგების წარმოქმნისა და განვითარების საკითხებს. ხაზს უსვამს ამ დარგთა სიძველესა და თვითმყოფადობას. ეთნოგრაფიული მასალების მოშველიების საფუძველზე მ. მერეტუკოვი ზოგადად განხილავს ადიღური შინამრეწველობის ისეთ დარგებს, როგორცაა ფეიქრობა, ხალხების ქსოვა, ნაბღების დამზადება, ხის, თვლის, ჭრისა და ტყავის დამუშავება, იარაღის კეთება, ერომიკული წარმოება და სხვა. ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ამ კუთხეში განვითარებული შინამრეწველობის დარგები თავისი არსითა და ხასიათით მთლიანად შეესატყვისებოდა ადგილობრივი სამეურნეო და გეოლოგიურ პირობებს.

ენობილია, რომ შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და მაღალი ემპირული გამოც-

დიდების საფუძველზე, სანაქებო ოსტატური ხელოვნებით შექმნილი ადილეური ნაწარმი (იარაღი, ნახევრი, რქისა და ძვლის ნივთები) დიდი მოწონებით სარგებლობდა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში, იგი ფართო მოთხოვნილების საგანი იყო იმდროინდელი მრავალი ქალაქის ბაზარზე. ავტორი შენიშნავს რომ XIX საუკუნის II ნახევრიდან რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებამ თავისებური ზეგავლენა მოახდინა ადილეულია შინამრეწველობაზე. სასაქონლო ფელადი ურთიერთობის გაძლიერებამ ადილეული ზელოსნები საერთო რუსულ ბაზართან დაკავშირა და თითქმის მთლიანად შეცვალა ტრადიციული სახელოსნო ნაწარმები. ადილევი შემოტანილია საფაბრიკო-საქარბნო ნაწარმში მკვეთრი კონკრეტული გავლენა ადილობრივ ხელოსნურ ნაწარმს, რის გამოც მთელი რაგი ხელოსნური დარგებისა ან საერთოდ გაქრა ან მკვეთრად შენედა. ზოგიერთი მთვანი კი პირიქით, განვითარდა, ასე, მაგალითად, XX საუკუნის დასაწყისიდან თითქმის შეწყდა ადილეური განთქმული იარაღის წარმოება, შემცირდა რქის, ძვლის, ოქროშვედლობის, კერამიკისა და ტყვიის ნაწარმი; სამაგიეროდ, გაიზარდა მოთხოვნილება სამკედლო პროდუქციაზე. ურმის ფერსობებზე, ავეჯზე, ქურპულზე და სხვ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მ. მერეტეკოვი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კაპიტალიზმის განვითარების შედეგად, ადილევი შემცირდა ადილაზე დასაქმებულ მუშათა რაოდენობაზე, განვითარდა ე. წ. „სამოვარზე წასვლა“, რაც თავისთავად ხელს უწყობდა ქალაქისა და სოფლის ხელოსანთა ურთიერთდაახლოების პროცესს და სახელოსნო დარგების ურთიერთჩანაცვლებას. ყოველივე ეს კი ახალი ცხოვრების გზაზე დაშვარა ადილეული ხალხისათვის სრულიად კანონზომიერი, პროგრესული მოვლენა იყო, რადგან როგორც ე. ი. ლენინი შენიშნავდა «Перекачивание является одним из важнейших факторов, мешающих крестьянам обрабатывать мхом».

უველა ზემოთ აღნიშნული გარემოებანი საესებით დამაჯერებლად არის გადმოცემული და განალიზებული მ. მერეტეკოვის დასახელებულ სტატიაში, მაგრამ ჩატომლაც გვეჩვენება, რომ ავტორის თითქოსდა ენაქულდება საერთო ეთნოგრაფიული მასალა, ამასთან ადილეური შინამრეწველობის ულტერულ მიღწევებში ნაკლებადანა ვათვალისწინებელი ქართულ-ადილეური და საერთოდ საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა ეთნოკულტურული ურთიერთობის შედეგები, რომელთა ვათვალისწინება ბევრ საინტერესო საკითხს წარმოაჩენდა პატეცეპული ავტორის გამოკვლევაში.

ე. მ. მერეტეკოვის ზოგად-მიმოხილვით

ხასიათის სტატიაში ნაკლებად თვალსაჩინოა საკუთრივ ეთნოგრაფიული მანქნებუნი ნიშნები, საკმაოდ უხვადანა წარმოდგენილია მისი მისწრაფი კოვას წერილში — „ადილეური ვერცხლის-მკედლობის ინსტრუმენტები და ზოგიერთი ტექნოლოგიური პროცესები“. გამოკვლევა ეძღვნება ვერცხლის ხალხური დამუშავებისა და გამოყენების მდიდარ ტრადიციას. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შედარებით მცირე მოცულობის წერილში საესებით დაწვრილებით და ეთნოგრაფიული სიხუსტით წარმოგვიდგინა ვერცხლის დამუშავების მტრად რთული ტექნოლოგიური პროცესები, მას საგანგებოდ აქვს განხილული თითქმის ყველა ის ინსტრუმენტი, რომელიც ვერცხლის დამუშავებისათვის იყო საჭირო. განალიზებულია ფილგორიების წინა მისამზადებელი და თითო ფილგორინული სამუშაოები; ფორცლოვანი დამტამპვის ტექნოლოგია, ხაზოვანი ინკრუსტირება და ვერცხლის ჩაქვების გამოყვანი, მოსევადება და სხვ.

ავტორის განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა მიათვალოს არა მარტო დასმული პრობლემის დამაჯერებელი მეცნიერული ანალიზი, არამედ თვით საკითხის კვლევის სწორი მეთოდოლოგიური პრინციპიც, რამეთუ ავტორი ცდილობს ყოველი კონკრეტული ვითარების ასახუნებად მიქსიმალურად გამოიყენოს როგორც საკუთრივ ეთნოგრაფიული, ასევე არქეოლოგიური საარქივო და ფოტოლოგურ (დექსიკური) მონაცემები და მათი ურთიერთშეყრების საფუძველზე წარმოგვიდგინოს კვლევის შედეგები. მ. უნაროკვა ფრიალ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქართულ და კავკასიურ მასალათა ურთიერთშედარებას, ავლებს ზოგიერთ პარალელებს რაც მტრად საგულისხმო და მისასამაგებელი ფაქტია.

თვრიული ხასიათის გამოკვლევის განეკუთვნება მ. ნაფოს სტატია — „ტრადიციები, ჩვეულებები, მათი განვითარება“. ავტორის მარქსისტული მეთოდოლოგიისა და ისტორიციზმის პრინციპის საფუძველზე აქვს განხილული ხალხური ტრადიციების წარმოშავლობისა და განვითარების თავისებურებები. მისი დაკვირვებით მორალი ადამიანის ინდივიდუალურ თვისებათა გამომვლადენების საშუალება, ამდენად თითოეული ადამიანის მოქმედება მხოლოდ პირობითობით კი არ განისაზღვრება, არამედ გარკვეული მიზანდასახულობითაც. ამასთან ხალხური ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, უბრალოდეს ყოველისა, ადამიანის აღზრდას და მის საზოგადოებაში მოქმედებას უნდა ემსახურებოდეს. რამეთუ მორალი საზოგადოებრივი ცხოვრების თვალნათელი ანარკულია მასში ასახულია ადამიანთა მატერიალური ყოფის, პოლიტიკური და იდეოლოგიური მოღვაწეობის მხარეები.

ნაფოს თავის წერილში უტრადლებას ამხევი

ლებს სოციალისტური საზოგადოების ტრადიციითა განვითარებაზე და გვთავაზობს სათანადო პერიოდისთვის, ტრადიციითა განვითარების ისტორიული ეტაპების მიხედვით.

პირველი საფეხური, ავტორის აზრით, ვსაა კაპიტალიზმისა და სოციალიზმზე გარდამავალი ეტაპი. მეორე ეტაპი მოიცავს 1937 წლიან 1950-იანი წლების დასასრულს, როცა დაიწყო განვითარებული სოციალიზმის მშენებლობა და შესაბამისად ეს არის თანამედროვე განვითარებული სოციალიზმის ხანა.

ჩაფხის სტატია კიდევ ერთხელ მივყავიშენებს ხალხური ტრადიციების იმ განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, რომელიც მას გააჩნია საზოგადოების განვითარების საფეხურებობრივი ეტაპების დასაფუძვლად.

კრებულში შესულია მ. მერეტუკოვის მეორე წერილი, რომელიც ეძღვნება ადიღური ოჯახის განვითარებას საკვებო რეჟიმის შემდგომ პერიოდში. ავტორის ამოცანას წარმოადგენდა ენკვებებინა რეჟიმის შემდეგ ტრადიციულ ადიღურ საოჯახო ყოფაში მომხდარი ცვლილებები, რაც გამოწვეული იყო ფეოდალური ურთიერთობის დაშლისა და კაპიტალიზმის განვითარების შედეგად. ამავე დროს ავტორის მიზანი იყო გვიანდობებინა საოჯახო ურთიერთობის ის მხარეები, რომლებიც მნიშვნელოვნად შეიცვალა ადიღის რუსეთთან შეერთების შემდეგ. ამ თვალსაზრისით მ. მერეტუკოვი განიხილავს მთელ რიგ სოციალურ და კულტურულ გარდაქმნებს, ქალისა და მამაკაცის შრომას, საცხოვრებლებს, საოჯახო ინვენტარს, ტანსაცმელს და სხვა.

სტატია ზოგად-თეორიული ხასიათისაა და ამდენად იგი ეხება საოჯახო ყოფის მხოლოდ ზოგადი მხარეს, ჰენი აზრით, სასურველი იქნებოდა ავტორის გარკვეული ყურადღება დაეთმო საოჯახო ყოფის ისეთი საკითხებისათვის, როგორცაა ოჯახის ფორმები (დიდი და პატარა ოჯახები), ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულება, ოჯახის ეკონომიკური საფუძვლები, მისი იერიდიული მხარეები და სხვა, რომლებიც სოციალური ურთიერთობების მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენენ.

კრებულში მოთავსებულია ორი წერილი ადიღური მუსიკალური ეთნოგრაფიიდან.

მ. შუს სტატიაში — ადიღური ხალხური ინსტრუმენტული ორკესტრის შესახებ ავტორის ამოცანას წარმოადგენს ხალხური ინსტრუმენტების პრობლემები, რომელიც ადიღური ხალხური მუსიკალური საკრავების ორკესტრის ჩამოყალიბების ადგილებლობით არის ნაყარნაზველი.

ზემოთ აღნიშნული ამოცანის გადასაწყვეტად ავტორი საგანგებოდ განიხილავს ადიღური ძველი ხალხური ინსტრუმენტების სახეობებს (ხემიანი და სიმებიანი საკრავები, სასულე და დასასრულყანი ინსტრუმენტები) განიხილავს მათი განვითარებისა და საზოგადოებრივი განწყობილების შესაბამისობას. ძველი ხალხური ინსტრუმენტების მშენებლობას, საკრავი ინსტრუმენტების ურთიერთშეხამებას და პარტიტურის თავისებურებას.

ადიღური ხალხური სიმღერის ტრადიციულ თვისებრიობას განიხილავს გ. ჩიჩი თავის სტატიაში — „ადიღური ხალხური სიმღერის ტრადიციული თავისებურებანი“.

ავტორის დამატებლად აქვს ნაჩვენები ადიღური ხალხური სიმღერის ეტაპობრივი განვითარება, სიმღერის ენობრივი სახესხეობა და ის ცვლილებები, რომელიც ადიღური ფოლკლორით ნასაზრდოებმა ხალხურმა სიმღერამ განიცადა დროთა განმავლობაში.

ავტორი აწარმოებს სიმღერის რიტმული სტრუქტურის, მელოდიურობის, თემისა და ტექსტობრივი საფუძვლების ურთიერთდამოკიდებულებას. წერილში აქცენტი ძირითადად გაკეთებულია ხალხურ-ისტორიულ და საგზირო სიმღერებზე.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ადიღური ეთნოგრაფია კრებული უხვად შეიცავს საილესტრაციო მასალას, სქემებს, ფოტოებს, დიაგრამებს, ნოტებს, და სხვა. გამოყვამა სრულიად დამაკმაყოფილებელ დონეზეა შესრულებული.

ჩვენს პატარა რეცენზიაში, ბუნებრივია, ვერ შეძლებდით ადიღურ კულტურასა და მუსიკალურ საფუძვლებთან შეფასებას და ჩვენი მოკრძალებული დამოკიდებულება სურვილებისა და გამოხატულების სახით მხოლოდ ჩვენი შეფასებების მომავალი შემოქმედებით შეცნობილი მიღწევების საწინდარად გვიწავს მივიჩნიით.

გ. გოსიკრიძე

საყურადღებო ნაშრომი

ჩვენი საუკუნის 40-50-იან წლებში ქართული სათეატრო ზელოვნების ისტორიისა და თანამედროვე თეატრის განვითარების პროცესების შესწავლის პროფესიონალი თეატრმკოდნეები ჩაუდგენენ სათავეში.

6. ურუშაძე, „ქართული თეატრის აზნავი“, გამოცემულია „ნაკადული“, 1982 წ.

ქართული თეატრის ისტორიის შესწავლა და აწარმოება ამაჟამად მრავალი იხიბთა და ასპექტით მიმდინარეობს, რომელიც ვერძნობა და ითვლისწინებს იმ ნაშრომებსა და გამოკვლევებს, დოკუმენტებსა და ფაქტობრივ მასალას სპეციალისტ-თეატრმკოდნეთა უშუალო წინამორბედებმა რომ დაგვიტოვეს და ქართული სცენის ოსტატებმა სტატიებში, მიმოწერებში,

პირად არქივებსა თუ დასტამბულ ნაშრომებში შემოგვინახეს.

ასეთ საფუძველზე აღმოცენდა და განვითარდა ქართული თეატრმცოდნეობითი აზროვნება. იგი სადღესოდ სასცენო შემოქმედების სპეციფიკის შესწავლითაც ამდღარებს თეატრის ისტორიის კვლევას.

ქართველ თეატრმცოდნე-სპეციალისტთა საქმიანობამ სპეციფიკური აზროვნებითაც გააღრმავა ქართული თეატრის ისტორიისა და თანამედროვე სასცენო ბელოვნების კვლევა-ძიება და ამით სრულად გამოკვეთა თეატრმცოდნეობითი მოღვაწეობის განვითარების პრესპექტივა.

ქართველ თეატრმცოდნეთა ნაშრომებმა სრულიად ნათელი გახადეს, რომ თითქმის არ არის არც ერთი სისხლბორცველი საკითხი ქართული სათეატრო ბელოვნებისა, რომელიც მათი კვლევის მიღმა იყოს დარჩენილი. თეატრის ისტორიის გარკვეული პერიოდები და საკითხებზე მეტ-ნაკლები ინტენსივობით მუშაიდება და ახალი მომავალში უფრო გამდიდრდება. თეატრმცოდნეობა ახალგაზრდა მეცლევართა მიღწევი ნაყოფითა შეივსება. რაც გვაფიქრებინებს, რომ კიდევ უფრო გაფართოვდება და გაღრმავდება ქართული თეატრის ისტორიის მეცნიერული შესწავლა და დამუშავება. ამის ნათელი დადასტურებაა გამოქვეყნებული ნაშრომები, დასტამბული წიგნები, სტატიები, რეკონსტრუქციები, გამოკვლევები.

ამ მხრივ მნიშვნელოვანსა და ნაყოფიერ მემკვიდრულ-შემოქმედებით საქმიანობას ვწვენიან შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის თეატრისა და კინოს ისტორიისა და თეატრის სამეცნიერო სექტორის მეცნიერთან-ნაშრომლები (თეატრის ჯგუფი) პროფესორ დ. ჭანელიძის ხელმძღვანელობით.

ქართველ თეატრმცოდნეთა კვლევის ობიექტს წარმოადგენს დრამატურგია. რეჟისურა, სამსახიობო ბელოვნება, სცენოგრაფია; სათეატრო კრიტიკა, მსუფრებელი, სარეჟისურო პროცესი, სათეატრო კულტურათა ურთიერთობის საკითხი და სხვ. თუ თვალს გადავავლებთ სხვადასხვა ავტორთა შრომებს, ვსაგები გახდება, რაოდენ გაფართოვდა კვლევის მასშტაბები და ამაღლდა სპეციფიკური აზროვნების დონე.

მაგრამ აღნიშნული ნაშრომები უმეტესად ქართული თეატრის შემადგენელ ნაწილთა შესწავლასა და დამუშავებას ეხება. ჯერ კიდევ არა გვაქვს სრული საბოლოო წარმოდგენილი და დასტამბული ერთიანი შრომა, რომელიც ქართული თეატრის მთლიან ისტორიას წარმოადგენდეს და არა მისი ერთი რომელიმე ასპექტის ან ეტაპის გამოკვლევას.

ამ მხრივ საველისზნაო რუსულ ენაზე დასტამბული საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორიის ექსტრამედიული, რომლის ერთ ნაწილს ქართული თეატრის ისტორია წარმოადგენს და დ. ჭანელიძის გამოკვლევა-კონსპექტი — „ქარ-

თული თეატრის ისტორია“. რომელიც შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში ინახება.

ექსტრამედიული ნაწილი ზოგადად მიმოხილავს ქართული თეატრის ისტორიას, ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ რეჟისორისა და მსახიობის მოღვაწეობა, თეატრის გარკვეული პერიოდებიც კი ტენდენციურად არის გაშუქებული და მას უფროდ სტირდება პრინციპული გადამუშავება ხოლო მეორე ნაშრომი კონსპექტის სახითა წარმოდგენილი და დასტამბული არ არის. ქართული თეატრი კი — ხალხური სუფისებიდან თანამედროვე ეტაპამდე — საუკუნეებს ითვლის. მართალია სხვადასხვა დონისა და ხარისხის სათეატრო მოვლენებთან გვაქვს საქმე, თვად სათეატრო საქმიანობაც წყვეტილი საბოლოო ვითარდება (ისტორიული ავ-მედითობის გამო). მაგრამ ქართული თეატრის განვითარების გზას თავისი მინიშნები ავსებენ, ლოგოცა და ინდივიდუალობა გააჩნია, საერთო სათეატრო კულტურის განვითარების ფონზე ქართული თეატრის განვითარების სპეციფიკური გზის გამოკვეთა, ერთიანი სისტემის აღმოჩენა, სრულიად გარკვეული და ობიექტური კონცეფციის შემუშავება მიიჩნია იმ პოზიციად, რომელიც ასეთი სახის ფუნდამენტური ნაშრომის შექმნისათვის აუცილებელი ფაქტორის წარმოდგენს. ასეთი ნაშრომის მომზადების საკითხის სამომავლოდ გადადება კი აღარ შეიძლება. ქართული თეატრის ამგაომდელი დონეც გვაეოდლებულეს გარკვეული დისტანციიდან გადავხედვით ვანვალ გზას, გამოვკვეთით ძირითადი მოვლენები, ავსნათ ის მიხედვები, რომლებმაც შეამზადეს ნიადგი თანამედროვე ქართული სათეატრო აზროვნებისათვის. ვგონებ არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ საძირკველის გარეშე შეიძლება ვერ წამოიშართება და რომ არც სხვა შენობის საძირკველი (თუნდაც ძალზე მყარი) არ გამოდგება საყუთარის მშენებლობისათვის. თანამედროვე ქართულ თეატრს თავისი წარსული გააჩნია, მან მეტ-ნაკლები ხარისხითა და დონით განვლო გარკვეული პერიოდები, ვიდრე დღევანდელ სახეს მიიღებდა.

თეატრმცოდნეთა მიერ ქართული თეატრის განვითარების ცალკეული ეტაპებისა და საკითხების შესწავლა, დამუშავება და გამოკვლევა შესაძლებელია მოსამზადებელ საფეხურად მიიჩნით, რათა მომზადდეს და გამოკვეთს ქართული თეატრის ისტორიის ფუნდამენტური ნაშრომი. ამისათვის ეფიქრობ ვეველა წინაპირობა არსებობს: 1. მიკვლეულია და შესწავლილია თეატრის ისტორიის თითქმის ყოველი მნიშვნელოვანი საკითხი. ფაქტობრივი მასალა და დოკუმენტი; 2. შესწავლილია თეატრის ისტორიის ცალკეული ნაწილები. 3. არსებობენ ამ დარგის კომპეტენტური მკვლევარები. 4. არსებობს სახელმწიფო გამოიმკვლეობები („ხე-

ლოცვნა“. საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამომცემლობა „განათლება“), რომელთა ხელმძღვანელები, უდაოა, რომ ეროვნულ საქმედ მიიჩნევენ ქართული თეატრის ისტორიის საფუძვლიანი ნაშრომის გამოცემას.

ამრიგად, საკითხი მომწიფდა და მისი გადაწყვეტი თაოსნობა, ვეტიკობა, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტმა და მისმა ხელმძღვანელობამ უნდა იყოს.

სწორედ ამიტომ უოველი ნაშრომი, რომელიც ქართული თეატრის ისტორიას, თუნდაც მის ერთ რომელსავე პერიოდს ეხება, ქართველი საზოგადოებრიობისა და სათეატრო ზელოვნების მოღვაწეთა ცხოველ უურადლებას იმსახურებს. ამან განაპირობა ჩემი სურვილიც, რომ ჩამდენიმე მოსახრება გამომეუქვა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორ ნათელა ურუშაძის ახლახან გამომცემული წიგნის თაობაზე. „ქართული თეატრის ამბავი“, რომელიც დასრუბა გამომცემლობა „ნაქაღელმა“ 1982 წელს.

წინამდებარე სტატიის მიზანი არ არის აღნიშნული ნაშრომის ძირფესვიანი ანალიზი, მისი ღირსებებისა და ნაკლის საფუძვალად განსჯა — მომავლის საქმეა. ამჟერად მხოლოდ წიგნის ძირითად თვისებებზე ვაგამახვილებთ მეთხველის უურადლებას, რადგანაც რამდენიმე ასეთი ნიშანდობლობა პრინციპული სახის პოზიციას მიიყვანის არა მარტო ამ ნაშრომისათვის, არამედ საერთოდ თეატრის ისტორიის ნებისმიერი პერიოდის კვლევისათვის. მართალია, ნაშრომის სათაური „ქართული თეატრის ამბავი“ და მისი უპირველესი ადრესატი მოზარდ მეთხველია, მაგრამ რაც არ უნდა უპირატეხი იყოს ადრესტის მიზანი — ვაყენოს ქართველ ახალგაზრდა მკურებელს თავისი თეატრის ამბავი — ეს მონათხრობი თეატრის ისტორიის ასახვის მცდელობაა და ჩვენც ამ ასპექტის გათვალისწინებით გვსურს მასზე მსჯელობა.

ნ. ურუშაძე ამჟერად ცდილობს პოპულარული ენით მოეთხროს მეთხველს როგორი გზა განვლო ქართულმა თეატრმა ხალხური საწყისებდან XIX საუკუნის დამლევამდე, რა სახის სათეატრო აზროვნება ჩამოაყალიბა და როგორ იცვალა სახე პროფესიული, მუდმივმოქმედი სათეატრო დასის შექმნის შედეგად.

უნდა ითქვას, რომ აეტორი მინც არ იზღუდება მხოლოდ ფაქტობრივი მასალის მოწოდებითა და გაწეკებით. ფაქტებისა და დოკუმენტების ანალიზსაც გვათავისუფლებს და აშენდა ნაშრომის მნიშვნელობაც იზრდება — იგი აღარაა მხოლოდ ამბავი „მის შესახებ და იმით შესახებ, ვინც ჩვენს ქვეყანაში შექმნა ეროვნული სასკენო ხელოვნება“, როგორც ამას გვამცნობს წიგნის ანოტაცია, არამედ მთლიანი პროცესის, გათვლილი გზის, ინტერპრეტაციის მცდელობა; აეტორი ცდილობს სისტემაში მოიყენოს ქარ-

თული თეატრის ისტორიის ის მონაკვეთი, რომლის ამბის თხრობაც აქვს გათვლილი მხოლოდ ცდილობს არსებული ფაქტობრივი მასალის ტენების შეწყობით აღადგინოს აღნიშნული პერიოდის სანახაობითი კულტურა, ხოლო შემდგომ სათეატრო საკმის წარმოების მთლიანი სურათი მიაცვილის ამა თუ იმ მოვლენის მიზეზებს და ასწავს მათ შორის ურთიერთკავშირების არსებობა. შენიშნული აქვს აღნიშნულ პერიოდში თეატრისათვის დამახასიათებელი ძირითადი პათონი — პატრიოტიზმი, სამშობლოსა და ერის სიყვარული, ძლიერი განკცემა. მთავალითხასათვის ერთ ამონაწერს მოვიყვანთ:

„ამგვარად, უძველესი ქართული ხალხური თეატრის ორივე სახეობა — ბერეკობაც და უყენობაც — აშკარა მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე თეატრი იყო. ორივე ქვეყნისა და ხალხის მტრებს ებრძოდა — ვარდნილ მოსულელებსაც და შინაფრებმაც. პოზიციას მებრძოლის იყო, იმაც დროს უმჭიდროვსაც დაკავშირებული იმ დროის ქართველი ხალხის ცხოვრების რეალური ვითარებასთან — საქართველო ზომ მუდმივ ბრძოლაში იყო. ამიტომაც ქართული თეატრის ამბავი იწეება იმით, თუ როგორ იზარბდნენ უძველესი ქართული თეატრის მოღვაწეები თავიანთი იაბაღით (შემოქმედებით, სანახაობით) იმ ბოროტების წინააღმდეგ, რომელიც მამინ ყველაზე მწვავე იყო ქვეყნისათვის.“ საწყისშივე ქართული თეატრი იყო მოწინავე მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე, მებრძოლი სულის თანადროული სანახაობა ასე იწეება ამბავი“ (გვ. 10).

როგორც ვხედავთ სათეატრო ქმედების ორი უმნიშვნელოვანესი მომენტი აქვს გამოყოფილი აეტორს — მოქალაქეობრივი პოზიციას და მებრძოლი სულისკვეთება. ეს თვისებები სათეატრო ხელოვნების საფუძვლია, ამ თვისებებმა განსაზღვრეს შემდგომ ქართული პროფესიული თეატრის ცხოვრებაც, ურთიერთდამპირისპირებულ ძალთა შეჯახების პროცესებიც სათეატრო ქმედების საფუძველს წარმოადგენს.

ნ. ურუშაძეს მითითებული აქვს, რომ ძველმა ქართულმა თეატრმა ჩამოაყალიბა სანი ნაირსახეობა — ბერეკობა, უყენობა, სანახობა, რომელსაც XVII საუკუნის 60-80-იან წლებში დაემბა კიდევ ერთი სახის სასკენო სანახაობა — „სასკოლო საეკლესიო თეატრი“, ხოლო შემდგომ „სასკოლო თეატრი“ და სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ: „ქართული თეატრის ცხოვრების იმ ეტაპზე სათეატრო სანახობის რამდენიმე ნაირსახეობა არსებობდა, მაგრამ მათ შორის წამყვანი იყო სახობა, მისი პატრიოტული შტო. ის იყო მებრძოლი“ (გვ. 13).

ქართული თეატრის ერთიანი სისტემის კვლევის აეტორი გვიჩვენებს ერთიან პროცესში როგორ ვითარდებოდა სანახაობითი კულტურა

და როგორ დაწინაურდნენ ცალკეული პიროვნებები, რომელთა წვლილი ქართული თეატრის განვითარებაში მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, ნაშრომის ხასიათის გამო ღრმა კვლევა-ძიებით ინტენსივობა შესწავლულია, ამიტომაც ავტორის რამდენიმე მისახრება: ფრაგმენტულ შთაბეჭდილებას ტოვებს.

იმისათვის, რომ გამოიკვეთოს ქართული თეატრის განვითარების გზა, რამდენადაც ეს შესაძლებელია ასეთ ნაშრომში, მკვლევარი ცდილობს ქართული ერის ევლტურული ცხოვრების ფონი წარმოაჩინოს, ქართული თეატრის ხალხურ საწყისებზე მსჯელობისას და შემდგომაც ნათლად იგონება ავტორის პოზიცია: საკულტო-სახალხო სანახაობით ევლტურაში წმინდა სასცენო ქმედების ელემენტების მიყვება და გამოყოფა. ნ. ურუშაძე ეყრდნობა დი ითვლისწინებს ამ პერიოდის თვალსაჩინო მკვლევარის პროფესორ დ. ჩანელიძის შრომებს, ქართული თეატრმცოდნეობის მიერ დამუშავებულ მასალას, ქართული თეატრის ისტორიის ამსახველ დოკუმენტებსა და ისტორიულ წყაროებს.

„ქართული თეატრის ამბავის“ თბობა მიმდინარეობს იმ პერიოდების გამოყოფით, რაც საერთოდ არის დამახასიათებელი მსოფლიო სათეატრო ევლტურისათვის. ეს პოზიცია ჩვენ საგულისხმოდ მიგვანჩნია, რადგანაც თვალნათლივ წარმოისახება, რომ ქართულმა თეატრმა თავისი განვითარების გზაზე ჩამოაყალიბა სათეატრო აზროვნება, ისეთივე პროცესები, რაც დამახასიათებელი იყო სხვადასხვა ქვეყნის სათეატრო ხელოვნებისათვის. რა თქმა უნდა, სხვადასხვა პერიოდში ქართული სათეატრო ქმედება განსხვავებული ხარისხით უკავშირდება მსოფლიო სათეატრო ხელოვნების განვითარების ძირითად ნაკადს. ხალხური საწყისებიდან მოყოლებული ურველი ეტაპი, ნაშრომში წარმოდგენილია ქართული ერის ევლტურულ ცხოვრებასთან ერთად კავშირში. ხოლო რადგანაც ეს ერთიანი ნაკადი წუდება ნ. ურუშაძე სრულად სამართლიანად ასახელებს უმთავრეს მიზეზს: ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარებას.

ქართული თეატრის ამბავის თხრობისას ავტორი იყენებს და ეყრდნობა როგორც ქვეყნის ისტორიის ამსახველ მასალას, ლიტერატურული ცხოვრების პანორამას, აგრეთვე იმ დოკუმენტებსა და წყაროებს, რომლებმაც შემოგვინახეს „ეს ამბავი“. ამ მხრივ მკითხველის ურადღების არეში ხედება არა მარტო ავტორის განწყობი და დასკვნები, არამედ თავად ისტორიული მასალაც. ნ. ურუშაძის მიერ მოხმობილი დოკუმენტები და გასული საუკუნის სცენის ოსტატთა მიერ მოწოდებული ცნობები — ქართული მკვლევარებისათვის ცნობილია,

გამოუყენებელია არა ერთ ნაშრომში, მაგრამ აქ ისინი ჩაქსოვილია თეატრის განვითარების ერთიან სისტემაში, ამიტომაც ქართული ისტორიულმა ცნობამ და მასალამ აზრობრივი დომინანტის ფუნქცია შეასრულა და კიდევ უფრო გამოიკვეთა თავად ავტორის პოზიცია.

პრინციული მნიშვნელობის შვანა ნაშრომის კიდევ ერთი თვისება, ნ. ურუშაძე ქართული თეატრის ისტორიის (ამბავს, როგორც თავად აღნიშნავს) განიხილავს, როგორც სანახაობით ევლტურისა და სასცენო ქმედების ისტორიას, ავლენს და ინარჩუნებს მისი შემადგენელი ნაწილების ერთიანობის პრინციპს. ნაშრომში სათეატრო ხელოვნების ყოველი კომპონენტი ურთიერთდაკავშირებულია და ერთიანობაში არის მოცემული. საქმე გვაქვს (რამდენადაც ეს იყო შესაძლებელი ასეთი ხასიათის ნაშრომში) სანახაობით ევლტურისა და სპექტაკლების ისტორიის ერთიანი პროცესის ასახვასთან.

სრულიად სამართლიანად მიგვანჩნია ნაქმედების მოსახრება იმის თაობაზე, რომ თეატრის ისტორია არის სპექტაკლების ისტორია და არა დამატურგის განვითარების ისტორია. ამიტომაც თეატრის ისტორიის შექმნის ნებისმიერი მცდელობა უპირველესად ხალხური (საკულტო-საერო) და სასცენო ნაწარმოებთა ანალიზს უნდა ითვალისწინებდეს. ნაშრომის საუკეთესო ნაწილების გაცნობა გვაფიქრებინებს, რომ პატივემეული მკვლევარი იზიარებს ამ პოზიციას (მაგ. გვ. 18, 45-46, 93 და სხვ.).

ქართული თეატრის ისტორიის ერთიანი ნაშრომის მომზადებისას ვფიქრობ, ბ. გერმანის ზემოთ აღნიშნული მოსახრების გათვალისწინება კიდევ უფრო თვალნათლივ წარმოაჩინოს ქართული თეატრალური ევლტურის ინდივიდუალობას, მის მიერ განვლილი გზის სასიკეთესას და იმ საერთოებს, რაც მას აკავშირებს სხვა ქვეყნების თეატრის ისტორიასთან.

პატივემეული ავტორის მიერ გაშუქებული თეატრის ისტორიის ესა თუ ის პერიოდი აისახება ამავე პერიოდის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ფონზე, გამოკვეთილია ის პრობლემები, რომლებიც შემდგომ აისახება დასაწყისში საკულტო-სახალხო სანახაობებსა და მერე უკვე სასცენო ქმედებაში (ქვე სცენის მოყვარება, და შემდგომ პროფესიონალთა სპექტაკლებში). ამასთანავე ავტორის ურადღების ცენტრში ხედება ეპოქის ის ძირითადი ისტორიული ფაქტები, დამახული კონფლიქტები, რომლებიც ბიძგს აძლევდნენ და საფუძველს უყრიდნენ სათეატრო აზროვნების ჩამოყალიბებას (მაგ.: გვ. 12, 19-20, 74-81 და სხვ.). ამ პოზიციის განმტკიცება მიგვანჩნია აუცილებელ ფაქტორად,

როდესაც შეიქმნება ქართული თეატრის ერთიანი ისტორია და იგი აღარ იქნება უკვე თხრობა უმთავრესად განკუთვნილი მოხარული მკითხველისათვის, არამედ იქნება ფუნდამენტური ნაშრომი — „ქართული თეატრის ისტორია“.

ცნობილი მოსაზრება, რომ სათეატრო ხელოვნება აღმართულია სამ დედამოძრე — ავტორის, სცენის ოსტატთა და მსაყურებლის ერთობაზე — პატივცემული მკვლევარის ძიებითა და პოზიციას წარმოადგენს. ამიტომაც ქართული თეატრის ამბავიც ამ კომპონენტთა ერთიან კავშირში არის ნააშკარა. ნ. ურუშაძე შეძლებისდაგვარად გვაწვდის თეატრის ერთიან ისტორიაში ამ კომპონენტთა ერთობის ერთიან სისტემაში და კომპონენტთა ერთობის ერთიან სისტემაში. იგი მოგვმომბს ისტორიულ წყაროებს და ცდილობს მკითხველს დაანახოს, რომ თეატრის ისტორია, უკვე პროფესიული თეატრისა, ამ კომპონენტთა ურთიერთშემოქმედების აქტის განხორციელებაა. ამიტომაც მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს დრამატურგიაზე, როგორც სასცენო ქმედების საფუძველზე, სასცენო შემოქმედებაზე, როგორც ავტორისა და სცენის ოსტატთა მოქალაქეობრივი და ხელოვნებისეული ერთიანი პოზიციით შექმნილ შედეგზე. სასცენო ნიმუშები განხილულია ისე, რომ თვალწინ იშლება მთლიანი პროცესი — დაწყებული ცრცხალი სურათების წარმოდგენით, ლიტერატურული ნაშრომების კითხვით და უკვე სპექტაკლებით დამთავრებული. შემდგომ იგი განიხილავს სცენის ოსტატების შემოქმედებას. ამასთანავე მიუთითებს, სადადგმო ელტერის განვითარების პროცესში როგორ გამოიყვება ჯერ აქტიორის ხელოვნება, შემდგომ რეჟისურა, მხატვრობა, მუსიკა, ქორეოგრაფია.

მართალია ასეთი ნაშრომი პიესის თეატრალური ანალიზის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ასეთი ანალიზის თუნდაც ერთი ფაქტი უფროდ გაზრდიდა და გაამდიდრებდა პატივცემული ავტორის მსჯელობის პათოსს.

ნ. ურუშაძის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა არც სარეპერტიკო პროცესის წარმოჩენა, არც მხანობისა და რეჟისორის შემოქმედებით ურთიერთობის საკითხი, ის წინააღმდეგობანი, რაც არსებობდა ამ ორ კომპონენტს შორის პროფესიული ქართული თეატრის განახლების პირველ ეტაპზე. ფართოდ არის მოწოდებული ქართული მწერლების, საზოგადო მოღვაწეთა და სცენის ოსტატთა თეორიული მოსაზრებანიც. გამოჩრჩეული ადგილი სამართლიანად დათმობილი აქვს ი. ჭავჭავაძის, ა. ყურატლის, დ. ერისთავისა და სხვ. ღვაწლს პროფესიული თე-

ატრის აღდგენისა და განვითარების საქმეში. ნაშრომში შეძლებისდაგვარად ვხვდებით მსაყურებლისა და თეატრის ურთიერთობის „პრობლემების“ გაშუქების მცდელობას. დრამატული კომიტეტის საქმიანობას, პატივცემული ავტორი რეცენზიებასაც გვაწვდის და ზოგჯერ განიხილავს მათ. ამით თვალნათლივ წარმოჩენს ერთის მხრივ ამა თუ იმ სპექტაკლის საზოგადოებრივ რეზონანსს და მეორეს მხრივ ცდილობს რეცენზიებში გამოარჩიოს თეატრალური ანალიზის ის საფუძვლები, რომლებმაც შეაშაღდეს ნიადაგი ქართული პროფესიული თეატრმცოდნეობის ნაშრომობებისათვის.

ამრიგად, მოცემულია ქართული სათეატრო ელტერის განვითარების მთლიანი პროცესი, თავისი განშტოებებით, საზოგადოებრივი აზრითა და თეორიული საფუძვლებით. ეს კი სათეატრო ხელოვნების ისტორიის ფართო ნაკადის წარმოჩენასა და შესწავლას ემსახურება.

ვფიქრობ ამ მხრივ ჯერ კიდევ ვერ იქნა გადაწყვეტილი XIX საუკუნის პროფესიული ქართული თეატრის სცენის ოსტატთა შემოქმედებითი პორტრეტების შექმნის საბატო ამოცანა. ავტორი ე. აბაშიძის, მ. საჭაოვი-აბაშიძის, ნ. გაბუნის, ლ. მესხიშვილის, ვ. გუნიას მოღვაწეობის განხილვის დროს ფართოდ იყენებს მათი ხელოვნების ამსახველ მასალას, უმთავრესად ი. ზურაბიშვილის ცნობილ გამოკვლევას „ოთხი პორტრეტი“. ვფიქრობ, აქტიორის შემოქმედების შესწავლა და მისი მხატვრული გადმოცემა თეატრმცოდნეობითი კვლევის უველაზე რთულ პრობლემას წარმოადგენს. ამ მხრივ უველა სპეციალისტ-მკვლევარს მართებს მუშაობის გაღრმავება. ჩემს აზრით იმ პერიოდის მასალებისა და თანამედროვე ნაწერების მოხმობასთან ერთად საჭიროა მათი „გაიფხვრა“ და წმინდა სპეციფიკური აზროვნების წარმოჩენა. ასეთად გვესახება თუნდაც პატივცემული შეტნიერის მიერ ნ. გაბუნისა მადამ ფრონარის თაობაზე ი. ზურაბიშვილის დიდებული აღწერის ანალიზი. (გვ. 174 და სხვ.).

ასე რომ აღნიშნული ნაშრომი არაა დაზღვეული ნაკლისაგან, უფროდ იხოვს შევსებასაც, რამდენიმე ფაქტის ახლებურ გააზრებასაც (მაგალითად: 1879 წელს განახლებული პროფესიული თეატრის თვისებების კიდევ უფრო ფართო განხილვით ნათელი გახდება, რომ ქართული თეატრი თავისი განვითარების იმ ეტაპზე მნიშვნელოვნად გამოხატავდა თავისი დროის მიერ წამოჭრილ ძირითად ტენდენციას, რაც იყო უმთავრესი ნიშანდობლივი იმ დროის სასცენო

ნო ხელოვნებისათვის და ა. შ.; აგრეთვე უნდა გაფართოვდეს გიორგი ერისთავის მიერ დაარსებული თეატრის მხატვრული პრინციპებისა და თვისებათა ანალიზი და სხე.).

როგორც მკითხველი ზედაეს, ჩვენი მოსაზრებანი და სურვილები უმთავრესად გამიზნულია იმისათვის, რომ შემდგომში კიდევ უფრო სრულყოფილად და ყოველისმომცველად აისახოს ქართული თეატრის ისტორია, რისი პრეტენზიაც აღნიშნულ ნაშრომს არ გააჩნია.

აქვე ორიოდ მომენტზე მსურს გავამახვილო ყურადღება:

სადღეისოდ განსაკუთრებული სიმწვავეთ და-

დგა დღის წესრიგში ქართული თეატრის ისტორიის მომზადებისა და გამოცემის საქმეები... და რომ ეს უმნიშვნელოვანესი პრეტენზიაა, ამაში თავად აღნიშნული ნაშრომის ავტორიანობამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა.

„ქართული თეატრის ამბავი“ შესაძლებელია წაითვალოს მომავალი ფუნდამენტური შრომის ერთგვარ მოდელად. მისი ღირსებისა და ნაჯლის ანალიზი უთუოდ დაბადებს ახალ მოსაზრებებს, რომლებიც საფუძვლად დაედება ქართული თეატრის ისტორიის კვლევას.

ნათელა არამელაძე

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქციის — 92-55-11,

მთ. რედ. მოადგილის — 92-55-13, 3/მგ. მდივ-

ნის და განყოფილებების — 92-55-15; 92-55-17, 92-55-20.

გადაეცა ასაწყობად 17. 02. 83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 3. 83 წ., ასაწყობის ზომა 7¹/₄X 12, ქალაქის ფორმატი 70 X 108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღ-სავამომცემლო თაბაში 16,58.

უე 00777. ტირაჟი 32,700. შეეკ. 484. საქ. კაც-ციის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

6 / 74



ქართული
ენციკლოპედია

0600360

78128

ფანო 80 333.

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ